შინაარსი

წუთები და წლები	2	**მაკა ჯოხაძე სიბრძნე სიყვარულისა**
უჩვეულო რაკურსით	4	**თამაზ ნატროშვილი ჰაჯი-მურატი და კარმენი**
ექსპრეს-ინტერვიუ	10	**ეკა ფხალაძე „იყავი მოწყალე და მიიღებ წყალობას“** (მოამზადა ნატა ვარადამ)
გამოხმაურება	11	**ეთერ ბერიაშვილი ნინო დარბაისელის დარბაისულ-არტისტული სჯანი**
ახალი წიგნები	12	**ივანე ამირხანაშვილი წიგნი — ხასიათი** (ლუკა დვალიშვილის კრიტიკული სტატიების კრებული)
პროზა	13	**ზვიად კვარაცხელია ორი ნოველა**
	16	**დავით კიკნაძე ლურჯი მელანი**
პოეტის ერთი ლექსი	24	**ნატა ვარადა კათაკმეველთა**
პირველი შთაბეჭდილება	25	**ნინო სადღობელაშვილი ოთხი კიდე და სამი მდინარე**
პოეზია	26	**სევარიონ ნადირაძე ვითვლი ნაბიჯებს და სხვა ლექსები**
უცხოეთის ცხოვრებიდან	28	**პაატა ჩხეიძე დონოზო კორტესი — ესპანელი ტრადიციონალისტი**
რეპორტაჟი	32	**ნინო ვახანია ქვეყნის ჭირისუფლად: სცენაზეც, დარბაზშიც ხელოვნების ქუჩაზეც** (ორდღიანი ტურნეს სურათები)
მოგონებათა სკივრი	35	**გოგი ოჩიაური ანატორლები**
ეპისტოლე	39	**თენგიზ საბიაშვილი როდის არის ეროტიკის დრო?** (სოფიკო კვანტალიანის ლექსები)
კრიტიკა	40	**ემზარ კვიტაიშვილი ყინცვისის ანგელოზს შევადარებდი** (თამარ ერისთავის პოეზია)
დაუვიწყარი სახელები	50	**როსტომ ჩხეიძე გზად რომანისაკენ** (თენგიზ აბულაძის სახება — ანარეკლებად)
ჩანახატი	56	**თათია ჯგუშია ჩემი ავტოგრაფი**
დღიურის ფურცლებიდან	57	**ვახტანგ ბახტაძე დაცარიელებული სამყაროს წინაშე** (ჟაკლინ სირაძის „ხელოვანის გზა“)
უცხოური ნოველა	58	**გი დე მოპასანი უცნობი ქალი**
ნაკვესები	61	**მახვილსიტყვაობის ნიმუშები**
მოზაიკა	63	**არ დაიდარდო, პოეტო!**

ორკვირეული ჟურნალი

დამფუძნებელი **„ილიონი“**

მისამართი: თბილისი, ჩუბინაშვილის №41

რედაქცია – **(995 32) 96_20_62**

რეკლამა – **(995 93) 65_93_68**

გავრცელება – **(995 77) 11_24_30**

ფაქსი: **(995 32) 96_20_62**

E_mail: info@mtserloba.ge

ISO 9001:2008

ДОКУМЕНТИЗИЛ СЕРВИСНЫЙ "ОМЕГА ТЕГИ"
СЕРАДЖИШВИЛИ, ТБИЛИСИ, СЕРАДЖИШВИЛИ 17
ТЕЛЕФОНЫ: +995 32 53 03 62

PRINTED BY "OMEGA TEGI" PRINT HOUSE
TBILISI, GEORGIA, 17 SARAJISHVILI STREET
TELEPHONE +995 32 53 03 62

მთავარი რედაქტორი – **როსტომ ჩხეიძე**

პროზის რედაქტორი – **ივანე ამირხანაშვილი**

პოეზიის რედაქტორი – **მაკა ჯოხაძე**

კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი – **თამაზ ნატროშვილი**

მხატვრული რედაქტორი – **კარლო ფაჩულია** დიზაინერი – **მალხაზ იაშვილი**

სტილისტ-კორექტორი – **ნინო დეკანოიძე** დაკაბადონება – **თენგიზ რობიტაშვილი**

ოპერატორი – **თამარ ჩიხლაძე** სარეკლამო მენეჯერი – **ეკა ბუჯიაშვილი**

გავრცელების სამსახური – **ლევან კიკნაძე**

გარეკანზე: **გოგი ოჩიაური**

ბაბუა ალუდაურის ფოტოეტიუდი

„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 17 სექტემბერს

მაკა ჯოხაძე

სიბრძნე სიყვარულისა

ჯერ კიდევ 1957 წლის 12 თებერვალს, როცა კითხულობთ ზაგორსკის სასულიერო აკადემიაში სწავლის პერიოდში ირაკლი შიოლაშვილის წერილს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მელქისედეგ მესამისადმი, ვგრძნობთ იმ პოტენციას, აზროვნებისა და ღვაწლის იმ მასშტაბებს, უკვე რომ ჩასახულა ჭაბუკის გონებაში, სულსა და გულში. თვით ბარათის ინტონაციაც კი გვაგრძნობინებს, რომ ნელ-ნელა, მეთოდურად, მიზანმიმართულად დაიწყება საქართველოს ეკლესიის იმ პრობლემათა მოსახსნელად ზრუნვა, რომლებიც პუნქტებადაა ჩამოყალიბებული და გამოყოფილი.

ძვირფასო მეგობრებო! ეს ბარათი გახლავთ ნიმუში ღვთისაგან ხელდასხმული ჭაბუკისა, რომელსაც ყრმობიდანვე დაწყებული აქვს ფიქრი, გარჯა, სიყვარული და დიპლომატიური სვლები (ამ სიტყვის არა დღევანდელი დამცრობილ-პოლიტიკური, არამედ ყველაზე კეთილშობილური გაგებით. დიპლომატია, როგორც სიბრძნის სინონიმი ამ კონტექსტში).

საკმაოდ ვრცელი წერილია, ამიტომ ძლივს ვიკავებ თავს, რომ სრულად მოვიტანო იგი. რამდენიმე ამონარიდს მაინც გაგაცნობთ:

„თქვენო უწმინდესობავ, გვაკურთხეთ... აქ, ჩვენს წრეში, ვრცელდება ხმები იმის შესახებ, რომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია თითქოს დასასრულს უახლოვდება, რადგან: 1) მთელი რიგი ეპარქიები უმოქმედოდ, მღვდელმთავრის გარეშეა და არც არსებობს სათანადო კათედრა, 2) ღვთისმსახურების დროს ეკლესიებში მორწმუნეთა დასწრება ერთობ მცირეა, 3) საქართველოს მართლმადიდებლურ ავტოკეფალურ ეკლესიას არა აქვს სემინარია, გამომცემლობა, საეკლესიო მუზეუმი, წიგნთსაცავი, ბიბლიოთეკა. ლაპარაკია იმის შესახებ, რომ ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიაში არ იქნება დაშვებული ახლადხელდასხმული ქართველი მღვდელმთავარი“.

აკადემიის სტუდენტი, ირაკლი შიოლაშვილი, მოწიწებით მიაპყრობს კათოლიკოს-პატრიარქის ყურადღებას, რომ საბჭოთა მთავრობის სათანადო დადგენილების საფუძველზე რუსეთში, უკრაინაში, სომხეთსა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში არსებობს სასულიერო სემინარია—აკადემიები, ხდება ღვთისმსახურებისათვის საჭირო ლიტერატურის გამოცემა, ეკლესია-მონასტრების აღდგენა-განახლება, საქართველოს ეკლესიას თუ უპირატესობა არა აქვს, გამონაკლისს მაინც არ წარმოადგენს. ამიტომ საჭიროა ამ იურიდიული უფლების გამოყენება და საჭიროა საქართველოს ავტოკეფალური სამოციქულო ეკლესიის სასიცოცხლო საკითხების შესახებ საქართველოს სსრ ხელისუფლებას ენერგიულად მოეთხოვოს... წილკნის, ნიკორწმინდის, ყაზბეგის, ანანურის, გორის ეკლესიებში ღვთისმსახურების უფლების აღდგენა-განახლების შესახებ...

ძვირფასო მეგობრებო! მოთხოვნათა ნუსხა საკმაოდ ვრცელია, კიდევ უამრავი საჭირბოროტო საკითხია ჩამონათვალში, თავს აღარ შეგაწყენთ, მაგრამ როდესაც ჭაბუკი სტუდენტის ირაკლი შიოლაშვილის გამჭრიახობასა და დიპლომატიაზე ვსაუბრობდი, უპირველეს ყოვლისა, ამ გასაოცარ სიტყვებს ვგულისხმობდი ახლა რომ გაგაცნობთ:

„საქართველოს ეკლესიის და მისი მეთაურის მტერსა და ორგულს ჩვენს პირად მტრად ვთვლით, მაგრამ განუხორციელებელი განდიდების სურვილის გამო განაწყენებულნი, პატრიარქის შორსმჭვრეტელი გონების თვალით და კეთილნებით, შეიძლება ჩაყენებული იქნან საქართველოს ეკლესიის საკეთილდღეო საქმიანობაში“. ამაზე გამუდმებით ფიქრობს და ასეთი დასკვნები გამოაქვს 24 წლის ჭაბუკს.

გალაკტიონის უზარმაზარ არქივში, რომელიც თავისი სიღრმითა და მოცულობით ოკეანეს უტოლდება, სადღაც ფსკერზე, მისი მშფოთვარე ცხოვრებისა და ყოველდღიურობის სისხლივით შედედებულ შლამში, როგორც ვარდი სილაში, ისეა ჩარჩენილი ასეთი უცნაური ფრაზა:

„მოუნათლავი ბავშვები სკოლისკენ მიიჩქარიან“.

ეპოქალური შიშისა და სინანულის გლოვისა თუ სევდის აფრებდაბერილი პაწია ხომალდებივით მიცურავენ ეს სიტყვები ცხოვრების აბობოქრებულ ზღვაში. ამ გენიოსმა იცოდა, რასაც ნიშნავდა მოუნათლავი ბავშვის ცხოვრება. ეს იმ საფრთხის შემცველი იყო, რომლის თავდაპირველი, უღრმესი ხატი ასე გაცხადდა ცივილიზაციის ნევროზით დაავადებულ რიტმსა თუ გარემოში: „ქუჩაში, მტვერში, წაიქცა ბავშვი“...

მოუნათლავ თუ ჩუმად მონათლულ ბავშვთა თავთავებმა ათეული წლების განმავლობაში ჩუმად ჩავიარეთ ჩვენ-ჩვენი ცხოვრება და ჩუმად, გაუხმაურებლად მივიღეთ სულიერი პური.

დღეს, ღვთის მადლით, ჩვენი პატრიარქისა და საქართველოს სამოციქულო ეკლესიის წყალობით დამშეული ბარტყებივით ირგებენ ჩვენი შვილები და შვილიშვილები ჩვილობიდანვე სეფისკვერს. მომაკვდავთან სულზე მისწრებას ჰგავდა საქართველოსთვის ჩვენი პატრიარქის გამოჩენა და აღსაყდრება (ინტრონიზაცია).

ჩვენი უახლესი ისტორიის ურთულესი წლების განმავლობაში ვხედავდით, ვაკვირდებოდით და ვგრძნობდით უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორის უჩინარი ხელი როგორ წარმართავდა ამ საოცარ პროცესებს, ამ ხელახალ ქრისტიანიზაციას, გაქრისტიანებას ხალხისას. ჩვენ გვახსოვს ჩვენი სასულიერო პირებისა და სხვადასხვა იერარქიული წოდების მქონე ძლიერ გუნდთან ერთად, ისტორიული ავბედობით დაჩაგრულ აჭარაში, როგორ წამოაყენა და წელში გამართა პატრიარქმა რწმენა. რამდენი ბავშვი, რამდენი ქალი და კაცი, რამდენი მოხუცი მოინათლა ბოლო ათწლეულებში ილია მეორისა და ჩვენი სამღვდელოების წყალობით. აჭარიდან როგორ ნელ-ნელა გა-

*** სიტყვა, წარმოთქმული 2010 წლის 2 აგვისტოს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ანგელოზის დღეს საქართველოს საპატრიარქოში.**

დაეფინა იგი აფხაზეთში. ხედავ ჩირაღდნებისა თუ სანთლების მოძრავ ქარავანს იმ ცოდვაკითხვის ჟამს მეუფე დანიელის წინამძღოლობით. ხედავ ჩვენი ქვეყნის, სრულიად საქართველოს ტაძრებში, მდინარეებში, ტბებსა თუ ზღვებში მასობრივი ნათლობის ხიბლსა თუ მადლს. ხედავ ჩვენი ეპისკოპოსები, ბერ-მონაზვნები, დედები, სულიერი მამები, როგორ გადადიან სოფლიდან სოფელში, ქალაქიდან ქალაქში, ეპარქიიდან ეპარქიაში, როგორ გადასდებენ თანამემამულეებს ენერგიას, მხნეობას და ხედავ, როგორ ერთადაა ამ დროს ერი და ბერი. ექსტრემალურ, დრამატულ, ტრაგიკულ სიტუაციებში ისევ პატრიარქის რჩევას, ისევ მის სიტყვას, ისევ მის ქმედებას ისმენ და ხედავ; (სხვათა ამაოა, ფუჭია ყველაფერი). ხედავ აგვისტოს ხვატში შუა ქართლის სოფლებში, უპატრონოდ დარჩენილი ქართველებისათვის როგორ ჩააქვს არსობის პური. ხედავ როგორ გამოჰყავს „სასიცოცხლო დერეფნით“ ცოცხლად დარჩენილები სამშვიდობო ტერიტორიაზე, ხედავ, როგორ დასტირის და გლოვობს ჩახოცილ და ხრამებში ჩაყრილ ჩვენს დაუმარხავ გმირ-ვაჟკაცებს და წუხან და განიცდიან სასულიერო პირები, რომ ვერ დაუშალეს, ვერ გადაათქმევინეს, ვერ მოახერხეს მოხუცი პატრიარქის თვალი და გული ამ შემაძრწუნებელი სანახაობისათვის მოერიდებინათ, აერიდებინათ.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II

ჩვენ ყველაფერს ვგრძნობთ და ვხედავთ. იმასაც ვგრძნობთ, რასაც ვერ ვხედავთ... ამიტომ გვიყვარს ჩვენი პატრიარქი ასე. ამიტომ გვეიმედება და ვავედრებთ მის თავს უფალს. ამიტომ გვიხარია და გვეამაყება, როცა მსოფლიო პატრიარქები, სხვადასხვა რელიგიის მამამთავრები უმაღლეს შეფასებას აძლევენ ჩვენი პატრიარქის მოღვაწეობას...

სასაცილო იქნებოდა, სატირალი რომ არ იყოს იმ ადამიანთა სულიერი მდგომარეობა, რომლებიც პატრიარქის ავტორიტეტს, რბილად რომ ვთქვათ, შესჭიდებიან. ეს არის უვიცობის, უღმერთობის, ამბიციისა და სულმოკლეობის კლასიკური ნიმუში. ყოველივე ამის ფონზე უმწეო და უბადრუკია მცდელობები, რომ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი და საქართველოს სამოციქულო ეკლესია დაამცრონ და დაამცირონ სამშობლოსა და ღვთისმოყვარულთა გულებში. მაგრამ არ უნდა გაგვიკვირდეს, რადგან როგორც იოანე ღვთისმეტყველი ბრძანებს — ეს წუთისოფელი, რომელიც ქრისტეს ეკლესიის მიღმა ცხოვრობს, ბოროტებაში, სიცრუესა და სიბნელეშია ჩაფლული. თუმცა იმავე წმინდა იოანე მოციქულის თქმით — ნათელი ბნელში ანათებს და ბნელი მას ვერ გარემოიცავს.

„მოუნათლავი ბავშვები სკოლისკენ მიიჩქარიან“...

რა მადლი, სიბრძნე, რა სითბო უნდა მიიღონ ნათელმიუღებელმა ბავშვებმა სკოლებში, თვით ყველაზე პრესტიჟულ და ელიტარულ სასწავლებლებში?! სასიკეთო საქმეები უნდა მოიმოქმედონ ურწმუნო ადამიანებმა საკუთარი ოჯახებისა და საკუთარი სამშობლოს საკეთილდღეოდ?!

ყოველი არჩევანი, ჩემო ძვირფასო მეგობრებო, კეთილიცა და ბოროტიც — საიდუმლოა. მაგრამ ნუგეშია სახარებისეული სიტყვები, რომ არ არსებობს მზისქვეშეთში დაფარული, თავის დროზე რომ არ გაცხადდეს, მით უფრო არჩევანი, რომელსაც ჩვეულებრივი ადამიანი კი არა, თვით უფალი აკეთებს.

ზაგორსკის სასულიერო აკადემიის სტუდენტი ირაკლი შიოლაშვილი, 24 წლის ჭაბუკი, რომლის წერილიდანაც უკვე წავიკითხეთ ფრაგმენტები, რა თქმა უნდა, ღვთის არჩევანია, ისევე როგორც ღვთის არჩევანია „მგზავრის წერილების“ 24 წლის ავტორი — ილია ჭავჭავაძე, გადარჩენის ერად ყოფნის, დამოუკიდებელ სახელმწიფოდ არსებობის მთელი პროგრამა რომ შექმნა. სახელის დარქმევის საიდუმლოც ამ კონტექსტში ღვთის ნება იყო და ორივე შემთხვევაში ეს სახელი ილიაა. საგულისხმოა, რომ ილია ებრაულად „ღვთის ძალას“, ხოლო ბერძნულად „მზიურს“ ნიშნავს.

ჩვენ ვიცით, როგორი ტირაჟირება განიცადა, როგორ გაცვდა აღმატებითხარისხის ე.წ. ეპითეტი თუ პარალელები. ამიტომ მთელი არსებით ვგრძნობთ, რომ ეს არც ეპითეტია და არც პარალელი. ესენი არიან ღვთის ორი რჩეული, რომელნიც საქართველოსათვის უფალმა კიდევ ერთხელ გაიმეტა.

XXI საუკუნის ამ უმძიმეს პერიოდში, როცა გლობალიზაციის სახელით ადამიანის, ერების, ხალხების, სახელმწიფოების ზნეობისა და სულიერების დასარბევად და დასაპყრობად ცივილიზაციის მძლავრი ენერგეტიკაა ჩართული, ყველა სახისა და ყველა დონის ასეთი გააფთრებული, ბარბაროსული ბრძოლაა დაწყებული, ჩვენი პატრიარქის არსებობა და მოღვაწეობა ნამდვილი სასწაულია. ჩვენ ამ სასწაულის ყოველკვირეული, ყოველდღიური, ყოველწამიერი მომსწრენი, შემსწრენი ვართ. (და არა მარტო მომსწრენი და მოწმენი, არამედ) ეს სასწაული გიზიდავს და „გაიძულებს“, რომ სიკეთის იმ გამოსხივებას სიყვარული რომ ჰქვია სახელად, თანამონაწილედ გაქციოს. ამ შუქში შეგიყვანოს და გადაგარჩინოს.

არჩევანი კი, რა თქმა უნდა, „ადამიანის უფლებათა დაცვის“ ამ ტოტალურ ხანაში, როცა მოვალეობებს საერთოდ აღარ ახსენებენ, რა თქმა უნდა, ჩვენზეა... (ამიტომ) კიდევ ერთხელ ვულოცავთ პატრიარქს დღევანდელ დღეს, ვუსურვებთ მხნეობას, გამძლეობას, ჯანმრთელობას, რითაც ამ გულწრფელი სურვილების მიუხედავად, პირველ რიგში, დიდი ანგარიშით, ჩვენ, ქართველები, უპირველესად ჩვენივე თავსა და ჩვენს სამშობლოს ვლოცავთ.

თამაზ ნატროშვილი

ჰაჯი-მურატი და კარმენი

ენამწარე ნიკოლოზ ბარათაშვილი 1841 წლის 28 მაისს თბილისიდან სწერდა თავის ბიძას — გრიგოლ ორბელიანს: „თუ ქალაქის ამბავი გინდა, სწორე გითხრა, ბევრი ჭორიანობაა და ჭირიანობა. ორივე ერთია, მაგრამ ჭირი, ტყუილია ამ ხელად და ჭორი კი მართალი“.

ჭორი თავადაც ძალიან უყვარდა და სხვისიც ეჭაშნიკებოდა. იონა მეუნარგიას სიტყვით, „საღამო ისე როგორ გაივლიდა, სამ-ოთხს ოჯახს არ სწვეოდა ის, ამბები და ჭორები არ მიეტანა იქ, არ გამოეტანა“.

იონა მეუნარგია გვარწმუნებს, ამა სოფლის ამაოებაში აქტიურად იყო ჩაბმულიო. მოსწრებული მოლაპარაკე, მელექსე, მოლეკურე, მეჩონგურე, მეთარე, ქაღალდის გატაცებით მოთამაშე... არა ქორწილს, არა ღამისთევას, არა ყრილობას არა სტოვებდაო.

ერთი სიტყვით, როგორც ჩანს, არაფერი ადამიანურ-ქართული უცხო არ ყოფილა მისთვის. პარნასის თავზე როდი იყო აბობღებული და იქიდან როდი გადმოჰყურებდა ჭიანჭველებს, დღენიადაგ საზოგადოებაში ტრიალებდა, მისი განუყოფელი ნაწილაკი იყო, მისი მოსიყვარულე და, იმავდროულად, მოირონიე შვილი.

რაც შეეხება ჭორს, ჭირთან ხომ დააწყვილა და საუცხოო კალამბური შეთხზა, ერთიმეორის მსგავსებაც აღნიშნა და სხვაობაც. და მიუხედავად თავისი კეთილგანწყობისა, ქალაქური ცხოვრების მუდმივი ატრიბუტი იმ შემზარავ სენს შეადარა, რომლის მაფრთხობელა აჩრდილი დროდადრო შეაცახცახებდა ხოლმე ქალაქის ჭრელ-ჭრუალა მოსახლეობას.

მაიკო ორბელიანს გულთბილად დასცინოდა: როგორც კი ქალაქში ჩამოხვალ, აქ მაშინვე ჭორაობა უნდა გაჩნდესო?

ამ სიტყვას თავის ერთ წერილში (ბაბალე საგინაშვილისადმი) ლამის ეალერსება, თქვენგან წიგნს ველოდი, ჭორა-ჭურაებით სავსესო. „ჭორა-ჭურაები“, ალბათ, სიყვარულს უფრო შეეფერება, ვიდრე სიძულვილს.

ვერ კი მოესწრო იმ ყველაზე დიდ ჭორს ანუ, დღევანდელი გამოთქმა რომ ვიხმაროთ, უდიდეს სენსაციას, რომლის დარი ჩვენში არა სმენიათ მთელი XIX საუკუნე (თუკი არ ჩავთვლით საქართველოს შეერთებას რუსეთთან) და ეს გახლავთ ჰაჯი-მურატის ამბავი — ჯერ აქ ჩამოსვლა და მერე სიკვდილი. ორივემ ისე ააწრიალა მთელი ქალაქი, რომ უარესს ვერავინ იტყოდა.

ახლა წარმოიდგინეთ, რომ იმხანად, როცა არ არსებობდა არც ტელევიზია და არც ინტერნეტი, როგორ ააფორიაქებდა თბილის-ქალაქს მორიგი ჭორი: ჰაჯი-მურატი მოკლესო. და გამართლდა კიდეც. სულ მოკლე ხანში მისი მოკვეთილი თავი თბილისში ჩამოასვენეს და საჯაროდ გამოფინეს.

აი, რას ვკითხულობთ გრიგოლ ბებუთაშვილის წერილში (1852 წლის 1 მაისი) კონსტანტინე თარხნიშვილის სახელზე:

„ქალაქში ჰაჯი-მურადის გაქცევამ დიდი ჭორები და მითქმა-მოთქმა გაამრავლა; ამ ჭორებს ჰქონდათ მოკლე დრო; მეორე დილას მოგვივიდა ამბავი იმის სიკვდილისა; აყალ-მაყალი სრულებით დაწყნარდა, იყვნენ მაინც ჭორები, რომ იქნება არ იყოს მკვდარიო, მაგრამ ამასაც მოკლე დრო ჰქონდა. გუშინ მოიტანეს თავი იმა მხეცისა კაცისა. ბოლნიცაში ძევს სტოლზედ, კარზედ ჩასავოები დგანან, რომ ხალხი რიგიან შევიდეს, მთელი ქალაქი შეინძრა და სანახავად მიდის; გუშინ ასეთი სიმრავლე იყო, რომ მე ვერ შეველი, მაგრამ დღეს განგებ წაველ. ვნახე მისი მშვენიერება, წარმომიდგა ის დრო, როცა თავის ოთახში უცებ დაიძახებდა ლოცვას რასმე არაბულს. მართლად ღირსი დასჯა მიენიჭა და ძაღლი ძაღლურად ჩაკვდა“.

შამილისა და მისი ეპოქის საუცხოო მკვლევარი და გულწრფელი გულშემატკივარი აკაკი გაწერელია სწორედ ამ წერილს იმოწმებს იმის საჩვენებლად, რომ გრიგოლ ორბელიანის ნათქვამი („ჰაჯიმურადის ჩაძაღლება ძალიან მიამა“) სამწუხარო გამონაკლისი არ ყოფილა და ნაღვლიანად შენიშნავს: „შამილის განთქმულ ნაიბის სიკვდილით გამოწვეული სიხარული მარტო ორბელიანის სულისკვეთებას როდი ამჟღავნებს; თანამედროვენი, განსაკუთრებით, სამხედრო არისტოკრატიის წრიდან, ამ სიკვდილს სრულიად არა რომანტიულად უცქეროდნენ“.

გაივლის დრო და გასული საუკუნის ოციან-ოცდაათიან წლებში პლანეტის ერთ მეექვსედზე, მეორე მსოფლიო ომამდე, გაბატონებული ინტერნაციონალიზმის ჰუმანისტური იდეებით შთაგონებული ქართველი პოეტი, ჩასული გუნიბში, სადაც 1859 წლის 25 აგვისტოს ჩაესვენა მზე შამილისა, ულმობელ ვერდიქტს გამოუტანს გრიგოლ ორბელიანის ხმალსაც და ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსსაც („ომი საქართველოს თავად-აზნაურ-გლეხთა პირისპირ დაღისტნისა და ჩეჩნელთა, წელსა 1844-სა“). წარბშეუხრელად დაგმობს ლექსის ქართველ ადრესატებს: „ამ ცის სიმაღლის შეგინება როგორ გაბედეს, ამის ტკივილი, საქართველოვ, შენც ხომ გედება“ და მერე, ალბათ, არა მარტო გრიგოლ ორბელიანს გულისხმობს, აღტკინებით რომ წარმოთქვამს: „არ მინდა ვიყო მე პოეტი, სისხლით დამთვრალი“.

უიშვიათესი შემთხვევაა, როდესაც ორივე მხარე მართალია — თავისი სამრეკლოდან და თავისი ჟამის გადასახედიდან.

დროთა კავშირი დაირღვაო, ასე ამბობდა ჰამლეტი.

თუნდ ზღვა ემართოს სისხლისა

რას წარმოიდგენდა გრიგოლ ორბელიანი, რომ 1852 წლის თებერვლის დამდეგს ზაქათალაში სტუმრად ეწვეოდა ჰაჯი-მურატი და დაუსრულებელი ომითა თუ უცხო მხარეში ზამთარ-ზაფხულ წანწალით თავმობეზრებულს ახლა მხიარული მასპინძლის მძიმე ტვირთი დააწვებოდა მხრებზე.

რას წარმოიდგენდა დიდებული ქართველი პოეტი, რომელსაც ჩინებულად ჰქონდა მორგებული რუსეთის არმიის გენერალ-მაიორის მუნდირი და მისი შესაფერისი ადათ-წესები, რომ ზაქათალაში უეცრად მოუწევდა გამასპინძლება იმ კაცისა, ვისაც ხუთიოდე წლის წინათ ამუნათებდა, პაპაჩემი ირაკლიხანი შენსავით დედაკაცებს როდი ეომებოდა ანდა ცხვარს როდი იპარავდაო. მერე ემუქრებოდა, თუ შნო გაქვს, დღისით-მზისით მეიდანზე გამობრძანდი, ხმალამოღებული შეგხვდები და მაგ თავს ჩალმიანად მოგგლეჯ, თუკი არ გამექცევი, როგორც არაერთგზის გამქცევიხარო.

გრიგოლ ორბელიანს და ჰაჯი-მურატს ძველი ანგარიშები ჰქონდათ გასასწორებელი.

ერეკლე მეფის შთამომავალს პირადი შურისძიება როდი ამოძრავებდა, არამედ ის ჭრილობანი, ჰაჯი-მურატის თვისტომთ რომ მიეყენებინათ მისი სამშობლოსათვის შორეულსა თუ ახლო წარსულში.

ამიტომაც წერდა კერძო ბარათში იმ გულახდილ სტრიქონებს, დღეს რომ შოკისმომგვრელად გვეჩვენება და

მზად ვართ შევრისხოთ ის კაცი, რომელიც აღტაცებით წარმოთქვამდა: სხვა საქართველო სად არისო...

აი, სახელდობრ რას სწერდა 1848 წლის ივლისში თავის ძმას, ილია ორბელიანს: „სოფელი ასე დავარბიეთ, რომ საცა იყო გერგებილი, იქ ახლა დარჩა მხოლოდ სალი კლდე... მამა ვაცხონე, ეს სულ საქართველოს სისხლის ღაღადისია“.

ამ ტექსტის პირველი ნაწილი, რა თქმა უნდა, შემაძრწუნებელია, მაგრამ თავისი სიმართლე მოეპოვება ტექსტის მეორე ნაწილსაც ანუ პირველის მიზეზთა მიზეზს, არანაკლებ შემაძრწუნებელს.

ჰაჯი-მურატი

განა ტყუილად ეხმიანებოდა გრიგოლ ორბელიანის შურისმგებლობას მისი დისწულის მიერ გალექსილი მანიფესტი იმავე თემაზე — იმავე განწყობილებით: „აღებად შენგან სისხლისა, უბრალოდ დაქცეულისა“.

და მას, ვისაც კარგად ახსოვს საქართველოს ისტორია (შაჰ-აბასიდან აღა-მაჰმად-ხანამდე), ვერ გაიტაცებს ახალმოდური ქიმერები და თუკი ვერ გაამართლებს, გაგებით მაინც გაუგებს (მოარული აფორიზმის თანახმად კი გაგება ნიშნავს მიტევებასაც) რუსეთის არმიის შუახნის ქართველი გენერლისა და ქართული პოეზიის ჩაუმქრალ ვარსკვლავად მოვლენილი ახალგაზრდა კაცის მგზნებარე სულისკვეთებას, რომელიც ვერ გაიზომება და ვერ შეფასდება ჩვეულებრივი, ფრიად გაცვეთილი და მოყირჭებული ჰუმანისტური განსჯით, ხანდახან ფეხის ხმის აყოლისა და თვალთმაქცობის იერი რომ დაჰკრავს.

კარმენი

მაგრამ ზაქათალაში ჩაბრძანებულ ჰაჯი-მურატს უნდა გამასპინძლებოდა არა ერეკლე მეფის შთამომავალი, არამედ რუსეთის არმიის გენერალი, რომელიც უსიტყვოდ ემორჩილებოდა უზენაეს რესკრიპტს. გარეთ ყინვა იყო და შინ — უგარი. დრონი მეფობდნენ და არა — მეფენი. მთის ჭირვეული ამინდივით იცვლებოდა პოლიტიკა. თვალის დახამხამებაში მტერი მოყვრად გარდაისახებოდა და მოყვარე — მტრად. წყალში იყრებოდა სიუზერენისა და ვასალის თითქოსდა საუკუნოდ დადგენილი ურთიერთდამოკიდებულება. დავიწყებას ეძლეოდა სამშობლოს ინტერესები და გიორგი საakაძის სული, სასწაულებრივ, ჩასახლებულიყო კავკასიელი არწივის ბუნებაში.

ახლა ისიც დავძინოთ, რომ გრიგოლ ორბელიანს ძვალ-რბილში ექნებოდა გამჯდარი ის გრძნობა, ნახევარი საუკუნის შემდეგ კიდევ უფრო დიდებული პოეტი, ხევსური მოყმის პირით, ლაკონიურად რომ ჩამოაყალიბებს ურყევ ფორმულად: დღეს სტუმარია ის ჩემი, თუნდ ზღვა ემართოს სისხლისაო.

მთლად მოულოდნელი და დაუჯერებელი არ ყოფილა ჰაჯი-მურატის ვიზიტი ზაქათალაში. უკვე ორი თუ სამი თვე იქნებოდა გასული, რაც შამილის ერთგული ნაიბი გადასულიყო რუსეთის მხარეზე და დღევანდელი გამოთქმა რომ ვისესხოთ, ჯერჯერობით პოლიტიკურ თავშესაფარს ითხოვდა. და ეს ამბავიც ზაფხულის თოვლივით როდი დასცემიათ თავზე. გრიგოლ ორბელიანი ჰაჯი-მურატის აბობოქრებას თავიდანვე თვალყურს ადევნებდა და ზუსტი ინფორმაციით საზრდოობდა. აგერ, 1851 წლის 21 აგვისტოს ზაქათალიდან ამცნობდა თავის ძმას, შამილმა ჰაჯი-მურატი ნაიბობიდან გადააყენაო. ოქტომბრის თვეში კი უკვე ხვდებოდა, რომ მთაში „კარგი შფოთი“ მოხდებოდა, ოღონდ ისღა აწუხებდა, რომ „დაზამთრდა და ჩვენის ჯარებისათვის ძნელი იქნება შეწევნა ჰაჯი-მურატისა”.

ესეც თქვენი მოსისხლე მტერი! გული ეთანაღრებოდა, ჯეროვნად ვერ შეეწევითო. მართლაც როგორ იცვლება ხოლმე გზანი პოლიტიკისანი.

მოუთმენლად ელოდა, რით და როგორ დაბოლოვდებოდა ეს „პერევოროტი“ დაღესტანში და ასე ვარაუდობდა: „თუ შამილამ თავი ვერ მოსჭრა ჰაჯი-მურატსა, ძალიან შეირყევა მისი უფლება მთაში“.

თავის მოჭრას ვინ ჩივის, ფრჩხილიც ვერ ატკინა.

1851 წლის 6 ოქტომბერს გრიგოლ ორბელიანი იმავე ზაქათალიდან სწერს სვიმონ შალიკაშვილს: „ჩემო საყვარელო სვიმონ! ეჭვი აღარ არის, რომ ჰაჯიმურადი აბუნტდა“ და მერე აღწერს მასთან შებრძოლებისას სწორუპოვარი შამილის მარცხს.

და აი, ყველაფერი მთავრდება იმით, რომ რუსების მხარეზე გადასული ყოფილი ნაიბი შამილისა ცოტა ხნის შემდეგ ზაქათალაში ჩადის და გრიგოლ ორბელიანი გულწრფელად ჩივის, რომ ღირსეულ მასპინძლობას ვერ უწევს სახელგანთქმულ სტუმარს.

1852 წლის 13 თებერვალს სწერს ილია ორბელიანს:

„ჰაჯიმურადი მოვიდა აქ ჩემთან სტუმრად; მაგრამ ყოველდღე ავდარია და ვერსაით ვერ წავედით. მხოლოდ ვანადირე კი რამდენჯერმე მწევრებითა”. და დასძენს, ხვალ ისევ თბილისში მიჰყავთო.

დარდიმანდ ქართველ პოეტს ედარდება, რომ უამინდობის გამო საკადრისად ვერ შეაქცია სტუმარი. თუმცა რამდენჯერმე სანადიროდ წასვლაზე უკეთესს რას შესთავაზებდა ზაქათალაში? რუსეთის არმიის გენერალი და ყოფილი

ნაიბი შამილისა, ნადირობისას, ვინძლო იმის ერთობლივ გეგმებს დააწყობდნენ, თუ როგორ ენადირათ შამილზე.

გრიგოლ ორბელიანს ისღა ანუგეშებდა, რომ კავკასიის მთავარმართებელი უფრო მარჯვედ გაირჯებოდა თბილისში, ვინაიდან გაცილებით დიდი უფლებანი და შესაძლებლობანი მოეპოვებოდა, ვიდრე ზაქათალაში ჭარ-ბელაქნის სამხედრო ოლქის უფროსად გამწესებულ გენერალს.

მაგრამ, კაცმა რომ თქვას, თბილისში ნეტავი რა უნდა ეჩვენებინათ კავკასიელი მთიელისათვის ისეთი, რომ სულით და გულით დამტკბარიყო. თავაწყვეტილი ლხინისა და ლამაზმანთა მოყვარული პუშკინივით ორთაჭალის ბაღებში ხომ არ წაიყვანდნენ საქეიფოდ, მთელს მსოფლიოში აღიარებული ქართული სუფრით რომ მოეწონებინათ თავი და მეცხრე ცაში აეტყორცნათ სტუმარი მთელს მსოფლიოში სახელმოხვეჭილი ქართული სადღეგრძელოების ძალისხმევით. ჰაჯი-მურატს, ალბათ, მწევრებით ნადირობა ერჩივნა.

არადა, რამენაირად ხომ უნდა გაერთოთ ანგარიშგასაწევი მოკავშირე, ვიდრე კავკასიის მთავარმართებლის წერილი ჩააღწევდა პეტერბურგს, ვიდრე სამხედრო მინისტრი წაიკითხავდა მას და საქმის ვითარებას მოახსენებდა ღვთივკურთხეულ იმპერატორს და ვიდრე ეს უკანასკნელი გამოიტანდა უზენაეს მსჯავრს იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა მოქცეოდნენ ამ უშიშარსა და ცბიერ მთიელს, როგორ გამოეყენებინათ იგი გაჭიანურებულ კავკასიის ომში.

თბილისში არ დაიზარეს და სტუმარს აჩვენეს ორი ყველაზე ღირსშესანიშნავი რამ, რისი ჩვენებაც, მთავარმართებლისა და მისი გარემოცვის აზრით, გაართობდა და გაახალისებდა ველური კავკასიის მთებიდან ევროპისაკენ მლტოლვარე თბილისში ჩამოსულ კაცს. ერთი იყო ევროპული ყაიდის მეჯლისი (ანუ ბალი) ვორონცოვის სასახლეში და მეორე — თბილისში ახალგახსნილი იტალიური ოპერა.

იტალიური ოპერა

იტალიური ოპერის სეზონი გაიხსნა თბილისში 1851 წლის 9 ნოემბერს. ჰაჯი-მურატი თბილისში ჩამოდის იმავე წლის 8 დეკემბერს და აქ იმყოფება 18 დეკემბრამდე.

გაზეთ „კავკაზის“ ფურცლებზე, 1852 წლის 16 თებერვალს, გამოქვეყნდა ანონიმი თვითმხილველის კერძო წერილი, გაგზავნილი თბილისიდან პეტერბურგში, სადაც დაწვრილებით არის აღწერილი მორიგი სპექტაკლის (ბელინის ოპერა „ნორმა“) შთაბეჭდილებანი და ყველაზე საინტერესო დეტალები.

თეატრი გადაჭედილი ყოფილა. წერილის ავტორის გადმოცემით, საამო სანახავი იყო გასუსულ-ჩაბნელებული პარტერი, ლოჟების ბრწყინვალე წყება... ევროპელები და ადგილობრივი მკვიდრნი, სამხედროები და სამოქალაქონი... ერთმანეთში ათქვეფილნი, ქალბატონთა ევროპული კოსტუმები ადგილობრივ კეკლუცთა თვალწარმტაცი სამოსლის გვერდით.

ხოლო მაყურებელთა შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ: სპარსელი პრინცი ბეჰმეტ-მირზა და „გულადი მხედარი, ექს-ნაიბი შამილისა ჰაჯი-მურადი”. ამას კი მოსდევს ანონიმი კორესპონდენტის გაოცება: „მურადი და იტალიური ოპერა თბილისში — როგორ მოგწონთ? საიდან სადაო?!“

პრინცის მშვიდი მზერა თურმე გულგრილად გადაუვლიდა ქალთა სახეებს, დროდადრო მიეჯაჭვებოდა სცენას და თითქოს აყურადებდა უცნობ, მაგრამ ზღაპრულ ჰანგებს. ჰაჯი-მურადის მოელვარე თვალები კი განუწყვეტლივ გადარბოდა ერთი ქალის სახიდან მეორეზე და როცა მუსიკა ხმამაღლა, ძალზე ხმამაღლა („ფორტე ფორტისიმო“) აჟღერდებოდა, სწრაფად მიაპყრობდა სცენას, მაგრამ მაინცდამაინც ცხოველ შთაბეჭდილებას არ გამოხატავდა. ეტყობა, რაღაც ძალზე საგანგაშო ფიქრით იყო შეპყრობილი.

კორესპონდენციის ავტორის სიტყვით, თეატრი უჩვეულო სილამაზით გამოირჩეოდა. უშურველად აქებს დირიჟორს, ორკესტრანტებს, სოლისტებს, ქოროს, დეკორატორებს.

ტაშს უკრავდნენ მხოლოდ კარგად ნამღერ არიას. ზოგჯერაც გაისმოდა ხმადაბლა წარმოთქმული „ბრავო“ — ალბათ უნებურად წამოსცდებოდა რომელიმე მელომანს.

ზემო იარუსი (50-კაპიკიანი ადგილები) გავსებული ყოფილა, ძირითადად, ბიჭებით („ბიჩო“ — ასე წერს კორესპონდენტი).

იმასაც შევიტყობთ, რომ ეს ბიჭები მეორე დღესვე ქუჩაში ღიღინებდნენ მოტივებს, რომლებიც დაამახსოვრდათ. აი, ასე ვრცელდებოდა საოპერო მუსიკა იმდროინდელ თბილისში.

არ არის გამორიცხული, რომ სწორედ იმ სპექტაკლს, ჰაჯი-მურატთან ერთად, ესწრებოდა ახალგაზრდა რუსი ოფიცერი და მომავალი მწერალი ლევ ტოლსტოი.

მისი ბიოგრაფიიდან ცნობილია, რომ იგი 1851 წლის 1 ნოემბერს ჩამოვიდა თბილისში. 12 ნოემბერს მეგობარი ქალისათვის გაგზავნილ წერილში აღნიშნავდა: „თბილისი ძალზე ცივილიზებული ქალაქია, ძალიან ჰბაძავს პეტერბურგს და მიზანს კიდევაც აღწევს. აქ საკმაოდ მრავალრიცხოვანი და რჩეული საზოგადოებაა. არსებობს რუსული თეატრი და იტალიური ოპერა, სადაც დავდივარ იმდენად, რამდენადაც ჩემი მცირე სახსრები მაძლევს ამის საშუალებას“.

ჰაჯი-მურატის თავგადასავალი, ცხადია, ყველას აინტერესებდა, რუსსაც და ქართველსაც; ლევ ტოლსტოი რატომ იქნებოდა გამონაკლისი? თბილისიდან თავის ძმას სწერდა: „თუ გინდა კავკასიის ამბების ცოდნით თავი გამოიჩინო, შეგიძლია თქვა, რომ შამილის შემდეგ მეორე პიროვნება არის ვინმე ჰაჯი-მურატი, რომელიც ამას წინათ ჩაბარდა რუსების ხელისუფლებას. ეს იყო პირველი ჯიგიტი და მთელს ჩეჩნეთში სახელგანთქმული კაცი და ახლა კი სისაძაგლე ჩაიდინა“.

თუკი დავუშვებთ, რომ ლევ ტოლსტოიც ესწრებოდა ზემოხსენებულ სპექტაკლს, მართლაც საოცარი დამთხვევა იქნება. ერთსა და იმავე დარბაზში ერთსა და იმავე ოპერას უსმენენ მომავალი ავტორი რუსული პროზის უბადლო მწვერვალისა, რომელიც შეიქმნება ნახევარი საუკუნის შემდეგ, და ამ ნაწარმოების მთავარი გმირიც, ახლა აუღელვებლად რომ ზის სავარძელში, უგულოდ უსმენს იტალიურ ოპერას და, როგორც რუსთველი იტყოდა, სხვაგან ქრის მისი გონება.

და ვერ ხვდება, რომ უახლოეს ხანში წუთისოფელს გამოასალმებენ.

ყური ვათხოვოთ ლევ ტოლსტოის:

„იმავე დღეს, საღამოს, ახალ, აღმოსავლური გემოვნებით მოწყობილ თეატრში იტალიური ოპერა გადიოდა. ვორონცოვი თავის ლოჟაში იჯდა, პარტერში ჩალმიანი კოჭლი ჰაჯი-მურატის შესამჩნევი ფიგურა გამოჩნდა. ის ვო-

ცვლილება რეპერტუარში

თბილისის ოპერის თეატრის სცენაზე მიდის ჟორჟ ბიზეს „კარმენი“. ეგზოტიკური ბოშა ქალის პარტიას ასრულებს პოლინა ვიარდო.

თეთრ ჩოხაში გამოწყობილი ჰაჯი-მურატი, ოფიცერ-ადიუტანტის თანხლებით, სპექტაკლის უკანასკნელი აქტის წინა ანტრაქტში შემოდის მაყურებელთა დარბაზში. მთელი პარტერი და ლოჟები გამოცოცხლდებიან. მორთულ-მოკაზმული ქალბატონები ლორნეტს არ იშორებენ თვალთაგან.

ლოჟაში სხედან მიხეილ ვორონცოვი და მანანა ორბელიანი.

და ლოჟასთან მოკრძალებით შეჩერებულ ჰაჯი-მურატს „ულამაზესი ქართველი კნეინა“ ეკითხება:

— ჰაჯი-მურატ, მართალია, რომ შენ ყველაზე გულადი ჯიგიტი ხარ მთელს კავკასიაში?

ჰაჯი-მურატი მანანა ორბელიანს ხელით ანიშნებს პარტერის წინა რიგებში ჩაწიკწიკებულ გენერლებს, გულმკერდი ორდენებით რომ აქვთ მოჭედილი.

— თუკი რუსხელმწიფემ თავის გენერლებს ამდენი ორდენი დაურიგა ჯილდოდ იმისათვის, რომ მე მებრძოდნენ, ეტყობა, მართლაც ყველაზე გულადი ვგონივარ.

— რამდენი კაცი გეყოლება მოკლული? — არა ცხრება მანანა ორბელიანი.

— ოჰ, კნეინა! ღამე რომ არ იყოს, გეტყოდი, მაგრამ ვაითუ შეგეშინდეს და ძილი გაგიტყდეს.

...კარმენის სიკვდილისწინა სცენა ხოსესთან ისე შესძრავს ჰაჯი-მურატს, რომ სავარძლიდან წამოხტება და მთელი თეატრის გასაგონად აფრთხილებს კარმენს:

— ქალო, გაიქეცი... მაგას ხანჯალი აქვს... შენი მოკვლა სწადია...

ჰაჯი-მურატის ყვირილზე მთელი დარბაზი აჩოჩქოლდება, მერე ატყდება საერთო ხარხარი და ორკესტრის მუსიკას ახშობს. როდესაც სასიკვდილოდ დაჭრილი კარმენი დაეცემა, თავზარდაცემული ჰაჯი-მურატი სავარძელში ჩაეშვება. თვალს ვერ აშორებს მომაკვდავ კარმენს და გრძნობს ქალის ტანჯვას მომღერლის ხმაში. მერე გონს მოდის, გაჰხედავს რუსის გენერლებს, პირში რომ დასცინიან, ყველაფერს მიხვდება, ახარხარებული ჯგროსაკენ ხელს გაიშვერს და თანმხლებ ოფიცერს ეუბნება: „ეს რა გულქვა ხალხი ყოფილა!“

მერე ხმაგაკმენდილი უსმენს კარმენის უკანასკნელ არიას და თავისი თეთრი ჩოხის კალთებით იშრობს ძუნწ, კაცურ ცრემლს.

„კარმენის“ მომაჯადოებელი მუსიკა ღრმად ჩაუჯდება სულში და, ვიდრე თავის უკანასკნელ „ბუნტს“ მოაწყობდეს, სთხოვს პორუჩიკ ბუჩკიევს (გედეონ ბუჭყიაშვილი, ბატალიონის მეთაური), რომ „იმღეროს, როგორც ის ქალი მღეროდა თეატრში“. ბუჩკიევი წაიღიღინებს კარმენის



მიხეილ კალატოზოვი

რონცოვის მიერ მიჩენილი ადიუტანტის, ლორის-მელიქოვის თანხლებით შემოვიდა და პირველ რიგში დაჯდა. აღმოსავლური, მუსლიმანური ღირსებით ეჭირა თავი. სახეზე გაკვირვების ნიშანწყალიც არ გაჰკარებია. პირიქით, ერთგვარი გულგრილობით უყურა ჰაჯი-მურატმა პირველ აქტს, მერე ადგა, მშვიდად შეათვალიერა დარბაზში მყოფნი და გავიდა ისე, რომ ყველა მაყურებლის ყურადღება მიიპყრო“ (თარგმნა ელიზბარ უბილავამ).

თვითმხილველი კორესპონდენტისა და ლევ ტოლსტოის მონათხრობს შორის გარკვეული ფაქტობრივი განსხვავება შეინიშნება. თვითმხილველი აღნიშნავს, რომ დირექტორის ლოჟაში ისხდნენ თეატრის შემქმნელნი, მაგრამ იმ საღამოს იქ არ იმყოფებოდა ის, ვისგანაც არიან დავალებულნი ქვეყნისათვის ახალი, მაღალესთეტიკური სიამის შექმნით (ალბათ იგულისხმება კავკასიის მთავარმართებელი მიხეილ ვორონცოვი, რომლის დამსახურებათა შორის თბილისის საოპერო თეატრის დაარსებაც გახლდათ).

ლევ ტოლსტოის მოთხრობაში კი ვორონცოვი ესწრება სპექტაკლს, ხოლო ჰაჯი-მურატი პირველი აქტის შემდეგ სტოვებს თეატრს. ეს ორი ფაქტი არ გამორჩებოდა ანონიმ კორესპონდენტს. მაშასადამე, ორივე სხვაობა მწერლის მიერ შეგნებულად დაშვებული ლიცენცია უნდა იყოს.

ჩანს, ასე სჭირდებოდა!

ვიმეორებ, საოცარი დამთხვევაა, თუკი ვირწმუნებთ, რომ მომავალი მოთხრობის ავტორი ზემო იარუსიდან დაჰყურებს თავის მთავარ გმირს, პარტერის პირველ რიგში რომ გამოჭიმულა. დაჰყურებს და ჯერ არ იცის, რომ უღვთოდ დაჭრილ-დაჩეხილს თავისი მადლიანი კალმით გააცოცხლებს და მსოფლიო ისტორიაში სახელმოხვეჭილ კაცს რუსულ მწერლობაშიც მიანიჭებს უკვდავებას, როგორც ვაჟკაცობისა და შეუპოვრობის სიმბოლოს.

და უაღრესი სიზუსტით აღწერს ჰაჯი-მურატის უკანასკნელ ბრძოლას, რომელიც თვალით არ უნახავს, მაგრამ სანდო თვითმხილველთა ნაამბობს ბეჯითად მიჰყვება. ოღონდ ამ თვითმხილველებს სიზმრადაც ვერ მოელანდებოდათ ის მჭევრმეტყველი შტრიხები, რითაც დიდი რუსი მწერალი შეამკობს მკაცრი ფერებით დახატულ ბრძოლის სურათს და ცოცხლად წარმოგიდგება თვალწინ, მოთიბულ ბირკასავით წაქცეულ ჰაჯი-მურატს თავში ხანჯალს რომ დაჰკრავენ და გჯერა, რომ მართლაც ეჩვენება, თითქოს ჩაქუჩებს ურტყამენო, მაგრამ ვეღარ ხვდება, ვინ აკეთებდა ამას და რატომ აკეთებდა.

აგონიის უკანასკნელ წამთა ბრწყინვალე ფონოგრამაა და ვინ დაამტკიცებს, ასე არ ყოფილაო ანდა სწორედ ასე იყოო. ჯერჯერობით არავინ მობრუნებულა იქიდან.

და უკანასკნელი, სულისშემძვრელი აკორდი უკვდავი მოთხრობისა კიდევ უფრო დაგზაფრავს: „სროლის დროს ხმაგაკმენდილმა ბულბულებმა კვლავ დაიწყეს გალობა. ჯერ ერთმა სულ ახლოს, შემდეგ სხვებმაც მოშორებით“.

ეს სტრიქონებიც მწერლის „კერძო საკუთრებაა“.

არიას („სიყვარულს ჩიტივით ფრთები აქვს“?) და ჰაჯი-მურატი აჰყვება.

და ბოლოს: პორუჩიკი ბუჩკიევი, კაზაკებთან ერთად, უახლოვდება მომაკვდავ ჰაჯი-მურატს. ჟღერს მუსიკა — ისევ სიკვდილისწინა არია კარმენისა. თანდათან ძლიერდება. ბუჩკიევი შეშლილი თვალებით შეჰყურებს წამით წამომართულ და ხეს შემოხვეულ ჰაჯი-მურატს. მუსიკა კი გრიალებს (ჰაჯი-მურატის ყურებში?). ბუჩკიევი, ერთდროულად, ორი პისტოლეტიდან დაახლის ტყვიებს და ამ მშფოთვარე, დაუდგრომელ სიცოცხლესთან ერთად წყდება მუსიკაც.

მკითხველმა, ყოველივე ზემოთქმულს როცა წაიკითხავს, ვინ იცის, ეგებ იფიქროს, რომ ვარდბულბულოვან საქართველოში, ჩვენდა გასახარად, კიდევ ერთი სენსაციური აღმოჩენა მოხდა. რიგითი თბილისელი მოქალაქის სახლის სარდაფში თუ სხვენზე ანაზდად წააწყდნენ უცნობი ქართველი თვითმხილველის დოკუმენტურ მონათხრობს, სადაც ასე სურათოვნად არის გადმოცემული ჰაჯი-მურატის ვიზიტი თბილისის ოპერის თეატრში.

მაგრამ არა, ზემოთ დამოწმებული ტექსტი, რომელიც დღევანდელ მკითხველს ეგებ ექსცენტრულადაც კი მოეჩვენოს, განუხორციელებელი ფილმის ნაწყვეტია ანუ კინოსტუდიაში წარდგენილი ლიტერატურული სცენარის პირველი ვარიანტის ერთ-ერთი მთავარი ეპიზოდი. განუხორციელებელ ფილმს ჰქვია „შამილი“ (შემდგომ ვარიანტებში ეწოდა „მთის არწივები“) და იგი უნდა დაედგა სახელოვან ქართველ კინორეჟისორს მიხეილ კალატოზოვს (ყველასთვის კარგადაა ცნობილი, რომ მისი ნამდვილი გვარი გახლავთ კალატოზიშვილი და ასეც არის დასახელებული ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში, მაგრამ სჯობს მოვიხსენიოთ გვარის გარუსებული ფორმით, ვინაიდან, ძირითადად, „მოსფილმში“ მოღვაწეობდა და მთელს მსოფლიოში იცნობენ, როგორც კალატოზოვს. დღეს რომ კალატოზიშვილი დავწეროთ, ვაითუ ტელენანკა ეგონოთ).

კალატოზოვის განუხორციელებელი ფილმის ამბავი ბევრს არ ეცოდინება, რადგანაც მის ოფიციალურ ბიოგრაფიაში არაა შეტანილი. მაგრამ მკითხველისათვის კიდევ უფრო გასაკვირი იქნება, რომ დასადგმელი ფილმის ლიტერატურული სცენარიც თავად კალატოზოვს დაუწერია — ხუთწლიანი შემოქმედებითი პაუზის შემდეგ.

მაგრამ ფილმი შამილზე როგორ იქნება ჰაჯი-მურატის გარეშე, ეს ხომ წარმოუდგენელია, და მეტი რაღა გინდა, როცა წინ გიძევს ლევ ტოლსტოის დიდებული მოთხრობა, სადაც მართლაც რომ კინოკადრებივით მიმობნეულა შთამბეჭდავი ეპიზოდები, ზოგიერთი მათგანი ჟრუანტელს რომ მოგგვრის.

კალატოზოვი კი რატომღაც არ გაჰყოლია ამ მომხიბლავსა და, რაც მთავარია, საკმაოდ იოლ გზას. სხვას რომ თავი დავანებოთ, ლევ ტოლსტოის უზარმაზარი ავტორიტეტი „დაცვის სიგელივით“ გადაარჩენდა ათასგვარ ინტრიგებსა და ფათერაკებს. მაგრამ თავისი მრწამსი ჰქონდა, თავისი შეხედულებანი, თავისი პროფესიული ამბიციები, თავისებურად ესმოდა კინოს ენა და თუნდაც უბადლო შედეგრის იძულებით მონური ილუსტრაცია, ალბათ, არ ეჭაშნიკებოდა. ამას თვალნათლივ მეტყველებს ოპერის თეატრში ჰაჯი-მურატის ვიზიტის ასახვა კალატოზოვის სცენარში.

იცის, როგორ არ იცის, პური მეპურემ უნდა გამოაცხოსო, მაგრამ სცენარისტობა და რეჟისორობა არც ისე შორს დგანან ერთიმეორისგან, რომ გადაულახავ დაბრკოლებად მოეჩვენოს და გადაიფიქროს თითქოსდა სხვის ტერიტორიაზე შეჭრა, და ისიც მშვენივრად მოეხსენება, რომ კარგი ფილმისათვის სავალდებულო როდია გენიალური ლიტერატურული ნაწარმოები (ვინ მოთვლის, რამდენი საუცხოო რომანი თუ მოთხრობა წაუხდენიათ კინემატოგრაფიაში) და, პირიქით, გენიალური ფილმი შეიძლება გაკეთდეს საშუალო დონის ლიტერატურული ქმნილებიდან, რასაც თავად დაამტკიცებს ოციოდე წლის შემდეგ, როდესაც ვიქტორ როზოვის ორდინარულ პიესას გარდაქმნის უბრწყინვალეს ფილმად („მიფრინავენ წეროები“).

მარტოოდენ ლიტერატურული სცენარის მიხედვით ძალზე ძნელია იმსჯელო მომავალ ფილმზე, მით უფრო იმ ფილმზე, რომლის რეჟისორი იქნებოდა კალატოზოვი, არაფერი რომ აღარა ვთქვათ მსახიობებზე, რომლებიც სცენარის ფურცლებზე ხომ ვერ გაჭაჭანდებიან...

და მაინც...

დავუკვირდეთ მხოლოდ ოპერის ეპიზოდს, ერთიმეორეს შევადაროთ ლევ ტოლსტოის სიტყვაძუნწი აღწერილობა და კალატოზოვისეული ვრცელი პანორამა. თავი დავანებოთ იმას, რომ ტოლსტოი, როგორც ყოველთვის, ერთგულად მისდევს ისტორიულ სინამდვილეს და კალატოზოვი აშკარად ღალატობს.

ტოლსტოის პროზა ფიქრში ჩაძირული მკითხველისათვის არის გამიზნული, კალატოზოვის სცენარი — კინომაყურებლისათვის, რომლის მასას ძნელია უწოდო ელიტური.

ერთის მხრივ — დინჯი და აუღელვებელი პიროვნება, რომელიც პირველი აქტის შემდეგ სტოვებს თეატრს (ეს ხომ არ გვხვდება თვითმხილველი კორესპონდენტის ტექსტში) და მეორეს მხრივ — მშფოთვარე კაცი, მიამიტი და უშუალო, როგორც ამბობენ ხოლმე, „შვილი ბუნებისა“. ასეთია კალატოზოვის ჰაჯი-მურატი და მისთვის მნიშვნელობა არა აქვს, რამდენად შეესაბამება იგი ისტორიულ სინამდვილეს. მთავარია, რომ შეესაბამებოდეს რეჟისორის ხედვას და შემოქმედებით სტიქიას (აბა გაიხსენეთ „მიფრინავენ წეროები“, „გაუგზავნელი წერილი“, „წითელი კარავი“).

დაე, თავად მკითხველმა, კინომაყურებლის თვალით, გადაიკითხოს ორივე ტექსტი და განსაჯოს, რომელი მათგანი უფრო გამოდგებოდა რომანტიკული ჟანრის ფილმისათვის (იტალიური ნეორეალიზმი ჯერ არც კი დაბადებულიყო!).

თა-ვი-სუფ-ლება!

კალატოზოვის ლიტერატურული სცენარი, ვაგლახ, კინოფილმად არ გარდასახულა. რატომ და როგორ — ეს საგანგებო მსჯელობის თემაა და ფრიად საინტერესო სურათს გვიხატავს ხელისუფლებასა და ხელოვანს შორის ურთიერთობაზე, რაც ერთობ აქტუალური იყო საბჭოთა კავშირის კულტურულ ცხოვრებაში.

კალატოზოვმა პირველი ვარიანტი ლიტერატურული სცენარისა დაასრულა 1936 წლის 20 აგვისტოს (შემდგომ ვარიანტებზე მუშაობა გაუგრძელდა თითქმის 1939 წლამდე) და გამოაქვეყნა ჟურნალ „ისკუსტვო კინოს“ ფურცლებზე (1936, №12).

1937 წლის 9 მარტს დასახელებული ჟურნალის რედაქციაში მოეწყო კალატოზოვის სცენარის განხილვა რამდენიმე კინოკრიტიკოსის მონაწილეობით. ეს მასალები დაი-

ბეჭდა იმავე წელს, იმავე ჟურნალის მე-4 ნომერში. იქვე მოთავსდა ო. ლეონიდოვის სტატია იმავე საკითხზე სათაურით — „დამახინჯებული ისტორია“.

მთავარი ბრალდება კალატოზოვის მისამართით როგორც მრგვალი მაგიდის მონაწილეთა გამოსვლებში, ასევე ო. ლეონიდოვის სტატიაში, გახლდათ ის გარემოება, რომ ფილმის დასადგმელად წარმოდგენილი სცენარი, არცთუ იშვიათად, ღალატობდა ისტორიულ სინამდვილეს და ზოგჯერ შესამჩნევად ამახინჯებდა კიდეც.

ამჯერად ნუ გამოვედევნებით ყველაფერს და მარტოოდენ ოპერის ეპიზოდი ვიკმაროთ.

ო. ლეონიდოვმა, ჰაჯი-მურატის მიერ „კარმენის“ მოსმენასთან დაკავშირებით, მარტივად და დამაჯერებლად განაცხადა, რომ სინამდვილეში არაფერი ამის მსგავსი არ მომხდარა და ვერც მოხდებოდა იმ უბრალო მიზეზით, რომ ბიზეს ოპერა „კარმენი“ შექმნილია სცენარში აღწერილი მოვლენებიდან ოციოდე წლის შემდეგ (უფრო ზუსტად — 1874 წელს. მისი პირველი წარმოდგენა შემდგარა 1875 წელს).

ო. ლეონიდოვი ასკვნის: „ამ საყოველთაოდ ცნობილი ფაქტის დადგენა კალატოზოვს არ უნდა გასჭირვებოდა“.

შეუნიღბავი ირონია, გესლიანიც რომ შეიძლება უწოდო, კრიტიკოსის სინდისზე იყოს!

ო. ლეონიდოვი ჰაჯი-მურატის მიერ „კარმენის“ შექმნას მიიჩნევს „დამახინჯებული ისტორიის“ ნიმუშად და აღნიშნავს, რომ კალატოზოვის მთელი სცენარი აჭრელებულია ამგვარი „პოეტური ლაღობებით“, რომელთაგან ყველაზე სენსაციურია მოტივირება ჰაჯი-მურატის გადასვლისა რუსების მხარეზე (ესეც საგანგებო მსჯელობის თემაა და აქ არა ღირს მისი განხილვა).

კინოკრიტიკოსი კალატოზოვის ზემოხსენებული „ცოდვის“ განზოგადებაში იქამდე მიდის, რომ როცა სხვა ამბავთან დაკავშირებით ბრძანებს, ამგვარ ეპიზოდს ისტორიულ დოკუმენტებში ვერ იპოვითო, თვალსაჩინოებისათვის დასძენს: ვფიქრობთ, ესეც „კარმენი“ არისო.

კინოკრიტიკოსი მ. კრასნოსტავსკი, ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე, „კარმენის“ ეპიზოდს საცირკო ატრაქციონად შერაცხავს.

სამართლიანობა მოითხოვს იმის თქმას, რომ კალატოზოვის სცენარის პრინციპული დაწუნება შელამაზებული იყო საქებარი ეპითეტებითა და კომპლიმენტებით.

სცენარი ალაგ-ალაგ თითქოს მოსაწონი იყო, მაგრამ უამრავ კრიტიკულ შენიშვნას, მსხვილმანსა თუ წვრილმანს, იმსახურებდა.

ჟურნალის პასუხისმგებელმა რედაქტორმა დასკვნით სიტყვაში განაცხადა: ის ფაქტი, რომ სცენარი საფუძვლიანად იქნა გაკრიტიკებული, კალატოზოვს, ახალგაზრდა და ნიჭიერ შემოქმედს, უდავოდ დიდ სარგებლობას მოუტანსო.

მაშ ასე — ეჭვმიუტანელი ფაქტია, რომ თბილისის ოპერის თეატრში ჰაჯი-მურატი ესწრება ბელინის ოპერის „ნორმას“ წარმოდგენას.

რა თქმა უნდა, ნებისმიერ ავტორს უფლება აქვს გადმოგვცეს, თუ რას ფიქრობდა ამ ოპერის მოსმენისას კავკასიელი ჯიგიტი, მოეწონა თუ არა მისთვის უცნობი და უცხო სანახაობა და ა.შ. მაგრამ არავის არა აქვს უფლება, დაამახინჯოს ისტორია ანუ ბელინის „ნორმას“ ნაცვლად ჰაჯი-მურატს მოასმენინოს ბიზეს „კარმენი“, რომელიც ბუნებაში იმხანად არც კი არსებობდა.

ცოტა კომიკური ხომ არ არის ჭიქა წყალში დატრიალებული ქარიშხალი? მაგრამ რა გაეწყობა, ზოგადად სწორედ ასეთი იყო ჟურნალის რედაქციაში განხილვის მონაწილეთა მსჯავრი და, სხვა არანაკლებ საფუძვლიან არგუმენტებთან ერთად, გახდა მიზეზი კალატოზოვის ლიტერატურული სცენარის დაწუნებისა.

საერთო განწყობილების გათვალისწინებით, საფიქრებელი იყო, რომ უკეთესი ხვედრი არც შემდგომ ვარიანტებს ელოდა.

ასეც მოხდა.

ათას კაცში ერთს თუ ეცოდინება, ბიზემ თავისი უკვდავი ოპერა რომელ წელსა და რომელ თვეში შექმნა. და იმ ერთმა განათლებულმა კი შესაძლოა ის აღარ იცოდეს, სახელდობრ რომელ წელს იმყოფებოდა თბილისში ჰაჯი-მურატი, ვინაიდან სად ენციკლოპედიური ცოდნით აღჭურვილი მელომანი და სად შამილის ნაიბები!

ისტორიული სინამდვილის დამახინჯება სერიოზულ ბრალდებად შეიძლება ნაუყენო კალატოზოვის სცენარს, ჰაჯი-მურატი პარტერის პირველი რიგიდან სცენაზე რომ ავარდნილიყო, ხმალში გამოეწვია ლოჟაში მოკალათებული ვორონცოვი და შეუბრალებლად აეკუწა.

მაინც რამ გამოიწვია კალატოზოვის სცენარში ბიზეს „კარმენის“ გაჩენა თბილისის ოპერის სცენაზე?

ცხადია, რომ მარტოოდენ მისი გარკვეული ეგზოტიკურობა როდი მოხიბლავდა რეჟისორს. „კარმენის“ ლიბრეტოში, რომელიც პროსპერ მერიმეს მოთხრობის მიხედვითაა შექმნილი, ლაიტმოტივად ჟღერს ადამიანის ლტოლვა თავისუფლებისაკენ.

ჰაჯი-მურატსაც ხომ თავისუფლება სწყურია, თავისუფლება არა მარტო რუსხელმწიფის, არამედ შამილის უღლიდანაც. ეროვნული თავისუფლების იდეა მჭიდროდ არის გადაჭდობილი პიროვნული თავისუფლების ძიებასთან. კარმენი თავისი მიჯნურის ბორკილებს ვერ იტანს, ჰაჯი-მურატი — შამილისას.

ხოსე და შამილი ერთმანეთს ენათესავებიან ადამიანზე, სატრფო იქნება თუ ხელქვეითი, სრული გაბატონების დაუოკებელი წადილით.

თავისუფლების ტრფიალი კარმენი ღალატობს უძვირფასეს მიჯნურს, ხოლო ჰაჯი-მურატი — საყვარელ სამშობლოს. და ორივე ეწირება თავისუფლების წყურვილს.

სანატრელ თავისუფლებას ამქვეყნად ელტვის ყველა, ქალი თუ კაცი, დიდი თუ პატარა, ბრძენიც და უბირიც, კაიკაციც და ავკაციც. თავისუფლებას ელტვის ლორდ ბაირონიც და უბრალო, დაკნინებულ-დაბეჩავებული ექთანი ქალიც სოლჟენიცინის რომანიდან „კიბოს კორპუსი“, გარუსებული გერმანელი ვოლგისპირეთიდან, ტაშკენტის ონკოლოგიურ კლინიკაში რომ მსახურობს და საბჭოთა ხელისუფლების მიერ გერმანიასთან ომის დაწყებისას, პრევენციული ღონისძიების შედეგად, უზბეკეთში გადასახლებული უკვე უნდა დაბრუნდეს მშობლიურ მხარეში (ე.ი. ქალაქ სალსკში) — ხრუშჩოვისეული „დათბობის“ წყალობით. და სოლჟენიცინის რომანის მთავარი გმირი კოსტოგლოტოვი, ვისი პროტოტიპიც თავად ავტორი გახლავთ, გაოცებით ეკითხება გახარებულ ქალს: განა იქ უკეთესიაო? და ხნიერი, დაბეჩავებული, შეუხედავი ქალი ჩურჩულით, დამარცვლით წარმოთქვამს: „თა-ვი-სუფ-ლება!“

ათასჯერ, ათი ათასჯერ ნანატრსა და დასიზმრებულ სიტყვას თითქოს სწონის, ეფერება, გემოს უსინჯავს და აღმოსავლური ნუგბარივით უდნება პირში, განუმეორებელი სიტკბო ედება სასას და ყელს.

თა-ვი-სუფ-ლება!

და ჰაჯი-მურატისათვის რომ ეკითხათ, რა გინდოდა, რუსებთან რას გარბოდიო და მერე იქიდანაც რაღას გამორბოდიო, თავისუფლება მინდოდა, თავისუფლება მწყუროდაო, ალბათ, ასეთ პასუხს გასცემდა კავკასიის ომების ყველაზე ტრაგიკული ფიგურა, რომელიც ვაის გაექცა და უის შეეყარა.

P.S.

ჰაჯი-მურატს წაკითხული რომ ჰქონოდა შექსპირი, უსათუოდ გაიმეორებდა სასიკვდილოდ დაჭრილი მერკუციოს სიტყვებს როგორც კაპულეტების, ასევე მონტეგების მისამართით: „ჭირმა გასწყვიტოს ორივ თქვენი საგვარეულო!".

მაგრამ, რასაკვირველია, არ ექნებოდა წაკითხული.

ეკა ფხალაძე

„იყავი მოწყალე და მიიღებ წყალობას"

— თქვენი აზრით, რა არის უკიდურესი გაჭირვებული მდგომარეობა?

— უკიდურესი გაჭირვება ალბათ სასოწარკვეთაში ჩავარდნა იქნება მაშინ, თუ ვიგრძნობ, რომ ღვთის იმედით აღარ ვსუნთქავ...

— სად ისურვებდით ცხოვრებას?

— არსად...არანაირი განსაკუთრებული პირობების ფასადაც კი...

— რა არის უმაღლესი ბედნიერება?

— უმაღლესი ბედნიერებაა, ყოველთვის ვგრძნობდე, რომ სიკეთის ძალა მმართავს, გარშემო კი მშვიდობაა.

— თქვენი საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟები?

— სხვადასხვა ასაკში სხვადასხვა ლიტერატურული პერსონაჟის ხასიათს თუ თავგადასავალს დავუფიქრებივარ, ავუტირებივარ, ავუღელვებივარ,მაგრამ რომელიმეს რჩეულად დასახელება მაინც არ მიყვარს...

— თქვენი საყვარელი ისტორიული პერსონაჟები?

— ასეთი ბევრია. საუკუნეთა უმკაცრეს გამოცდაგამოვლილნი დღემდე რომ ანათებენ წარსულს... მაგრამ მაინც იმ უსახელო პერსონაჟებზე მეფიქრება ხოლმე, ვინც რუდუნებით აჩუქურთმებდა „ვეფხისტყაოსანს", სახარებას და სახელის მაგივრად უტოვებდა ქვეყანას. ვინც ცეცხლს ანთებდა ციხის ქონგურებზე მტრის შემოსევის ნიშნად, ვინც თაობებზე ზრუნვით ამყარებდა მომავალს. ახლა კი ერთი განზოგადებული სახელით მოვიხსენიებთ: ისტორიული პერსონაჟები...

— თქვენი საყვარელი მხატვარი?

— ლადო გუდიაშვილი, ფიროსმანი...

— თქვენი საყვარელი კომპოზიტორი?

— შოპენის მუსიკის მოსმენა დიდი სიამოვნებაა ჩემთვის.

— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად მამაკაცში?

— მამაკაცში... ვაჟკაცურობას, შინაგან სიმყარეს — თამამად რომ დაეყრდნობი, როგორც ძლიერს, მიზანდასახულს, ინტელექტუალს.

— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად ქალში?

— ქალში — ქალურ სინაზეს, წინდახედულებას.

— რომელი ადამიანური სათნოებაა თქვენთვის უფრო მომხიბლავი?

— საერთოდ, სამაგიეროს გადახდა უფრო იოლია, ვიდრე შენდობა! ამიტომ ჩემი აზრით, ყველაზე დიდი ადამიანური სათნოება მიტევების უნარია.

— თქვენი საყვარელი საქმიანობა?

— კითხვა და წერა...წერა და კითხვა... კიდევ — გიტარაზე დაკვრა და სიმღერა, რაც უდროობის გამო ძვირ სიამოვნებად მექცა.

— თქვენთვის ნაცნობი რომელი ადამიანი გინდოდათ ყოფილიყავით?

— კატეგორიულად— არცერთი.

— თქვენი ხასიათის მთავარი თვისება?

— სიმშვიდე და თავშეკავება, რაც ზოგჯერ არაადეკვატურ რეაქციად მიმაჩნია ხოლმე.

— რას აფასებთ ყველაზე მეტად მეგობრებში?

— სიტყვა მეგობარი უკვე თავისთავად გულისხმობს ერთგულებას, თანადგომას, ადამიანურ სითბოს და გაგებას.

— თქვენი მთავარი ნაკლი?

— ზედმეტი მიმნდობლობა.

— თქვენი წარმოდგენა ბედნიერებაზე?

— ჩემი წარმოდგენით ბედნიერება იმდენგვარია, რამდენიც ადამიანია ქვეყანაზე. საერთო ნიშანი მხოლოდ მისი ხანმოკლეობაა.

— რა იქნებოდა თქვენთვის ყველაზე დიდი უბედურება?

— ერის სულიერი დაცემა.

— როგორი გინდოდათ ყოფილიყავით?

— როგორი? ალბათ ისეთივე, როგორიც ვარ.

— თქვენი საყვარელი ფერი?

— ბუნების „ბატონი" ფერები: მწვანე, თეთრი, ცისფერი.

— ყვავილი, რომელიც ყველაზე მეტად გიყვართ?

— მაგნოლია მიყვარს. მისი ყვავილები ხეზე, ხშირ ფოთლებში აქა-იქ შემომსხდარ თეთრ მტრედებს მაგონებენ.

— თქვენი საყვარელი ფრინველი?

— არა მარტო რელიგიური დატვირთვით — მტრედი.

— თქვენი საყვარელი მწერალი?

— გულწრფელად რომ ვაღიარო, ამ არჩევანის გაკეთება არ მიყვარს, მაგრამ მაინც — კონსტანტინე გამსახურდია, ლევან გოთუა, ოთარ ჭილაძე. უცხოელთაგან — შტეფან ცვაიგი, გაბრიელ გარსია მარკესი, ჯეკ ლონდონი...

— **თქვენი საყვარელი პოეტები?**

— ვაჟა-ფშაველა — სამყაროს იტევს!

— **საყვარელი ლიტერატურული გმირი ქალები?**

— მიზეზთა გამო ბევრია გამორჩეული. პირადად რჩეული კი არ მყავს.

— **საყვარელი გმირები რეალურ ცხოვრებაში?**

— კათოლიკოს-პატრიარქი.

— **საყვარელი გმირი ქალი ისტორიაში?**

— ისტორია მამაკაცის შემართებასთან ერთად ქალის გამძლეობას, ღირსებას და ზნეობასაც ეყრდნობა. ამიტომ ამ თვისებით შემკული ყველა ქალი გმირად შეიძლება ჩაითვალოს.

— **საყვარელი სახელები?**

— ჩემი შვილების: ალექსანდრე და ნიკოლოზი.

— **რას ვერ იტანთ ყველაზე მეტად?**

— ვერ ვიტან დროის უქმად კარგვას და ლოდინს.

— **ისტორიული პიროვნება, რომელმაც თქვენი ზიზღი დაიმსახურა?**

— სამწუხაროდ, ჩამოთვლა ბევრის შეიძლება, მაგრამ ეს სხვისი განსჯაა!

— **საომარი მოქმედება, თქვენი აზრით, ღირსი მეტნაკლები აღტაცებისა?**

— საქართველოს მოგებული ომები.

— **რეფორმა, რომელსაც თქვენ განსაკუთრებით უმაღლეს შეფასებას აძლევთ?**

— ნებისმიერ მიზანდასახულ რეფორმას ოფლის და სისხლის კვალი გასდევს, მაგრამ უმაღლესი შეფასების ღირსი ჩემთვის მაინც ქრისტიანობის გავრცელებაა.

— **ნიჭი, რომელსაც გინდათ ფლობდეთ?**

— ხატვის.

— **როგორი გინდოდათ რომ მომკვდარიყავით?**

— როგორ და...ის მიწიერი ვალი მინდა გავიცნობიერო, რისთვისაც მშვა უფალმა. მერე — კი...

— **თქვენი სულიერი მდგომარეობა ამჟამად?**

— რა ვიცი... შინაგანი ფორიაქი გაწონასწორებული ხასიათის მყუდროებას სულ მირღვევს!

— **ქმედებანი, რომლებიც თქვენს შემწყნარებლობას იმსახურებენ?**

— შეწყნარება ალბათ გულწრფელად მონანიებული შეცდომისაც შეიძლება.

— **თქვენი დევიზი?**

— ვფიქრობ, დევიზს ასაკი და ყოფა გიცვლის ადამიანს. ამ ეტაპზე ჩემთვის ასეთია: იყავი მოწყალე და მიიღებ წყალობას!

— **თუკი ოდესმე შეხვდებოდით ღმერთს, რას ისურვებდით, რომ მას თქვენთვის ეთქვა?**

— როგორც ქართველი, ერთს: რომ არასოდეს მიგვატოვებს!!!

ნინო დარბაისელის დარბაისულ-არტისტული სჯანი

ჭეშმარიტად შთამბეჭდავი სურათია — ჩაკეტილი სივრცე ოთახის. გრამფირფიტიდან იღვრება მასენეს იდუმალი მელოდია. ახალგაზრდა პოეტი უსმენს მუსიკას და ფურცლავს ვიოლეს წიგნს ფრანგულ კულტურაზე. ზღვარდაუდებელი ოცნება ფრაგონარის მსგავსად იგონებს წარსულის ზმანებებს... ოთახის ჩაკეტილი სივრცეც შლის ყოველგვარ სამანებს და სამყაროს უსასრულობას უერთდება... ისმის მხოლოდ შრიალი ფურცლის და „ხმები მასსენეთა“...

წაგიკითხავთ ოდესმე ასეთი ხედვით გალაკტიონის „ვუალისა და ვიოლეზეს შესახებ!“ პირადად მე — ნამდვილად არა, რადგან არაფერი ვიცოდი იმ ხელოვანთა შესახებ, რომელთაც პოეტი ასახელებს. ეს ლექსი ჩემთვის ერთ-ერთი იდუმალი ყვავილი იყო, ჩვეული ფერადოვნებით, მოგონებებითა და კეთილხმოვანი ჟღერადობით სავსე, იმ იშვიათი და გამორჩეული თაიგულიდან, „არტისტული ყვავილები“ რომ ჰქვია. ამიტომ დიდი ინტერესით გავეცანი ნინო დარბაისელის წერილს „გალაკტიონის ვუალისა და ვიოლეზეს შესახებ“ („ჩვენი მწერლობა“, 2010, №14) და, ცხადია, სულ ახალი თვალით წავიკითხე უკვე ნაცნობი ლექსი.

ავტორი საოცრად დახვეწილი სკრუპულოზურობით განიხილავს ლექსის ყოველ მხატვრულ სახესა და დეტალს, თითოეულ სტრიქონს. დაწვრილებით ცნობებს გვაწვდის ფრაგონარის, მასენესა და ვიოლეს შესახებ. მსჯელობს ლექსის რიტმულ-ინტონაციურ მხარეზე. როგორც წერილის მცირე ანოტაციაშია ნათქვამი, ნინო დარბაისელის მიერ გალაკტიონისეული სიღრმეების წვდომა ნამდვილად არის ნიმუში იმისა, თუ როგორ გადაიქცევა „მეცნიერული კვლევა ესთეტიკურ პროცესად“.

მადლობა თვითონაც მშვენიერ პოეტს, რომ კიდევ ერთხელ გვაზიარა გალაკტიონის პოეზიის მოუხელთებელ იდუმალებას და ასე ხელშესახები და მახლობელი გახადა მისი ცხოვრების ერთი, სულ პაწია ფრაგმენტი.

...ერთი შეხედვით ჩაკეტილი სივრცე ოთახის, სინამდვილეში ჭაბუკი პოეტის ზღვარდაუდებელი სამყარო... მსუბუქი მელოდიით ივსება სივრცე. ჰარმონიულ სიმშვიდეს მხოლოდ წიგნის ფურცლების შრიალი არღვევს...

ფრაგონარი, მასსენე, ვიოლეზე და ... გალაკტიონი. უკეთეს გარემოს განმარტოებისა და ოცნებისათვის ვერც ინატრებ. ამიტომ ცდილობ, კიდევ უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, ამ ამაო ფუსფუსისგან თავდასაღწევად შეეხიზნო პოეზიის ამაღლებულ, მშვენიერ სამყაროს.

ეთერ ბერიაშვილი
წნორი

ივანე ამირხანაშვილი

წიგნი — ხასიათი

ფუტუროლოგი არ ვარ, მაგრამ რატომღაც მგონია, რომ დღეს თუ არა, ხვალ ლუკა დვალიშვილი ლიტერატურულ წრეებში სახელს გაითქვამს როგორც არაორდინარულად მოაზროვნე კრიტიკოსი. ნათქვამია, კვამლი უცეცხლოდ არ იქნებაო. არის ამ ლიტერატორის ხასიათში რაღაც ისეთი, რაც ძალაუნებურად ყურადღებას იპყრობს.

ჩვენ წინაშეა ლუკა დვალიშვილის ლიტერატურული წერილებისა და ნარკვევების კრებული „სიტყვის ფაცერი“, გამოცემული 2009 წელს ელგუჯა თავბერიძის რედაქტორობით, ქუთაისის საგამომცემლო ცენტრის მიერ. თვალის ერთი გადავლებაც საკმარისია, რომ დავინახოთ ავტორი და მისი აზროვნების თავისებურებები.

არ არსებობს ჩვენი მწერლობის ისტორიის მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი საკითხი, განსხვავებულად, თავისებური თვალთახედვით რომ არ ჰქონდეს წარმოდგენილი. სითამამე მისი ხასიათის გამორჩეული თვისებაა. შეცდომის შიში არ აქვს. თავისუფლად შეუძლია უარყოს ტრადიციულად დამკვიდრებული აზრი და მის ადგილას საკუთარი, ყველასგან განსხვავებული იდეა წამოაყენოს. ზოგჯერ უმართლებს, ზოგჯერ — არა, მაგრამ ხასიათს არ ღალატობს, უკან არ იხევს, პრინციპებს არ თმობს.

წიგნის გამორჩეულ ნაწილად მიმაჩნია წერილების ციკლი XIX-XX საუკუნეების ნაკლებად ცნობილი მწერლის ილია ჭყონიას ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ. ლუკა დვალიშვილი წარმოგვიდგენს ჩინებულ შემოქმედს, რომელიც მრავალმხრივ საქმიანობას ეწეოდა — აგროვებდა ფოლკლორულ მასალებს, წერდა თეატრალურ რეცენზიებს, თარგმნიდა ევროპული ლიტერატურის ნიმუშებს, აქვეყნებდა პუბლიცისტურ სტატიებს საქვეყნო პრობლემებზე, რედაქტორობდა გაზეთ „სიმართლის გზას“ და ჟურნალ „მეურნეს“, გამოსცემდა ლექსიკოგრაფიულ მასალებს, თანამშრომლობდა ისეთ აღიარებულ ენათმეცნიერთან, როგორიც იყო ნიკო მარი.

საინტერესო დაკვირვებებია წარმოდგენილი სტატიაში „უგალავნო ქვეყნის „აივნიანი ქალაქი“, რომელშიც განხილულია ნიკოლოზ გაბაონის (ვალერიან გაბაშვილის) გახმაურებული რომანის ისტორიულ-ლიტერატურული რეალიები.

მიმდინარე სამწერლო პროცესის შესახებ საუბარია სტატიებში, რომლებშიც განხილულია ოთარ ჩხეიძის, თამაზ ხმალაძის, ავთანდილ ნიკოლეიშვილის, ნოდარ ტაბიძის, ოტია იოსელიანის, ელგუჯა თავბერიძის, გონერ ჭეიშვილის, იაკობ პაპიაშვილის წიგნები.

საგულისხმოა სტატია ეგრეთ წოდებული აღორძინების ხანის ქართული პროზის განვითარების ტენდენციებზე, რომელშიც დასმულია საკითხი ლიტერატურის ისტორიის ამ პერიოდისათვის სახელის გამოცვლის შესახებ. ლუკა დვალიშვილი გვთავაზობს, „აღორძინების ხანას“ „გამოცოცხლების პერიოდის მწერლობა“ ვუწოდოთ. საინტერესო იდეაა, მაგრამ სიტყვაში „გამოცოცხლება“ არ ჩანს მიზეზი გამოცოცხლებისა. ამიტომ, თუ მაინც გვინდა სახელი შევუცვალოთ, ვუწოდოთ ბაროკოს ხანის ლიტერატურა, როგორც ამას გვთავაზობენ გიორგი გაჩეჩილაძე, ირაკლი კენჭოშვილი და მაკა ნაჭყებია. მითუმეტეს, ტერმინი სრულიად საგნობრივი, ხელმოსაჭიდი და კონცეპტუალურია.

ლუკა დვალიშვილის აზრით, ილია ჭავჭავაძისა და ივანე მაჩაბლის საბანკო დაპირისპირება უნდა ყოფილიყო ერთ-ერთი ის მიზეზი, რამაც დააჩქარა ივანე მაჩაბლის სიკვდილი.

ხისტი მოსაზრებაა, თანაც ისეთი, რომელსაც არგუმენტებით ვერ გაამაგრებ. ამიტომ სასურველი იყო ბატონ ლუკას მეტი სიფრთხილე გამოეჩინა.

რა თქმა უნდა, ილია ჭავჭავაძისა და ივანე მაჩაბლის საბანკო დაპირისპირება რიგითი მოვლენა არ ყოფილა, მას ბევრი სამწუხარო ამბავი მოჰყვა. მოჰყვა თუნდაც გამოცემა ივანე მაჩაბლის მიერ ხელმოწერილი წიგნისა „თავადი ილია ჭავჭავაძე და იმისი მოღვაწეობა“, რომელშიც უკანასკნელი სიტყვებით არის გალანძღული ილია ჭავჭავაძე. ამ ბრძოლაში თუ რამე არ აკლია ორივე მხარეს, ეს არის თანმიმდევრულობა და პირდაპირობა. ამიტომ თუ ერთი მხარის ინტერესებიდან შევხედავთ, მეორე მხარე ჩანს აშკარა დამნაშავე. ამ შემთხვევაში საუკეთესო გამოსავალი იქნებოდა ობიექტური განსჯა ან დუმილი.

საკამათოა სტატია „თემისა და პიროვნების ურთიერთმიმართების საკითხის ახლებურად გააზრებისათვის ვაჟას პოემებში“ („ალუდა ქეთელაური“, „სტუმარ-მასპინძელი“, „გველის მჭამელი“). ჩემი აზრით, ამ ნაწარმოებებში მთავარი ის კი არ არის, თუ ვინ არის მართალი დაპირისპირებულ მხარეებს შორის. თუ ასე დავსვამთ საკითხს, პასუხი მარტივი იქნება: ორივე მართალია. მთავარია ის, თუ რომელი მხარე ამაღლდა რეალობაზე, რომელმა მხარემ დაარღვია ჩვეულებრივობის საზღვრები, რომელი მხარე მიუახლოვდა იდეალს.

გაუმართლებლად მიმაჩნია აგრეთვე სერიოზული მსჯელობა ბესარიონ ჟღენტის შეხედულებებზე, თუნდაც ეს სუპერკრიტიკულ პლანში იყოს წარმოდგენილი. ბოლშევიკურ კრიტიკას ლიტერატურასთან კავშირი არასოდეს ჰქონია, და რამდენადაც ვიცით, არც სურდა, რომ ჰქონოდა.

ლუკა დვალიშვილის შემოქმედებითი, მაძიებელი ხასიათიდან გამომდინარე, წიგნში ბევრი რამ არის საკამათო.

საკამათო, ესე იგი საინტერესო.

წიგნი, რომელიც კამათს არ იწვევს, წიგნი არ არის.

„სიტყვის ფაცერში“ ბევრი რამ საინტერესო მოჰყვა. ლუკა დვალიშვილმა დაამტკიცა, რომ კარგი მესათხევლეა, როგორც კრიტიკაში, ისე ლიტერატურისმცოდნეობაში და, სხვათა შორის, იქაც, სადაც ეწევა პრაქტიკულ პედაგოგიურ მოღვაწეობას — ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ქართული ლიტერატურის ისტორიის დეპარტამენტის ასოცირებულ პროფესორად.

ფუტუროლოგი არ ვარ, მაგრამ რატომღაც მგონია, ლუკა დვალიშვილის მომდევნო წიგნი უფრო საკამათო იქნება.

უფრო საკამათო, ესე იგი, უფრო საინტერესო.

ზვიად კვარაცხელია

ორი ნოველა

ექსპედიცია ადრიან დილით

ნუ იუნჯებთ თქუენ საუნჯეთა ქუეყანასა ზედა,
სადა მღილმან და მჭამელმან განრყუნის,
და სადა მპარავთა დათხარიან და განიპარიან
მათე, 6:19

კოჩობა წყაბელიასაც მოაკითხეს გამთენიისას. წინდაწინვე დაეჭირა თადარიგი, ამიტომ ხაკისფერების დანახვაზე არ შემდრკალა, ფართოდ გამოაღო ჭიშკარი და საკუთარი ფეხით შემოუძღვა სახლ-კარის გასატიალებლად მოსულებს. სიმშვიდე არ ტოვებდა ჯერხნობით, მაგრამ მოსულთაგან ერთმა იოლად შეატყო წინა ღამის აფორიაქებული განცდა, მხარზე მოუთათუნა და დაამშვიდა კიდეც, — ნუ იღელვებ, ბიძა, ვიცით ჩვენ ყველაფერი, მალე მოვაყომარებთო.

ამ ბოლო სიტყვამ გაკენწლა სადღაც, წელსზემოთ და ხმაც აუკანკალდა. „ცოდნიათ... ამათ... ყველაფერი...“ — დამარცვლა ხმაამოუღებლად, გული ამოუჯდა და ცრემლი რომ ჩაეკლა, გადაფურთხებასაც ეცადა რისხვის ამოსაყოლებლად. მოეჩვენა: სისხლიც ამოატანა დუჟს, მაგრამ ამისთვის ვის ცხელოდა, ისედაც ყელამდე სისხლში იყვნენ სტუმრები.

— ფული, ავეჯი, მანქანა...

— ოქრო...

— მობრძანდით. რაც მაქვს, აგერაა, — კინაღამ მიაწია ბოლოში — „თქვენთვის ვინახავდიო“, შემდეგ ცოტა დამცინავი მოეჩვენა და უკანაც რომ არ წაეღო, რაღაც გამოძერწა, თავის მართლებასავით:

— ორი მიცვალებული გავასვენე შარშან... გავყიდე, რასაც ფასი ედო...

— რას მეუბნები, ძიაკაცო, ეგ რა მოგსვლია, ვიზიარებ შენს მწუხარებას! — პირტიტველა ბიჭი მიეჭრა, ტყავის ხელთათმნიანი მარჯვენა გაუწოდა და ძალათი დაქაჩა ქვემოთ.

„დამცინიან მაიმუნები“ — გაწიწმატდა კოჩობა, მაგრამ ხელი არ წაურთმევია, აცალა სამძიმარი. ბოლოს მხარზე მოუთათუნა და სიმწრისგან მანაც დაქაჩა სახელოზე.

— შენ შიგ ხო არა გაქ, ბიჭო?!

თვალები გადმოკარკლა ჯარისკაცმა, სახელო გადმოიწია, სამი თითი მოისვა ატკიებულ ადგილას, მერე ქეჩოში წვდა და ბავშვური მუჯლუგუნით წინ წაიგდო მასპინძელი.

— გაშლილი სუფრებით რო გვხვდებიან ყველგან, შენთანაც ველოდით პურმარილს. ისე, მართლა გეტყობა ზარალი, თორე აქაური პათხალიმაჟი არც შენ შეგეშლებოდა — ზედ რო გადაგყვებიან, ოღონდ არაფერი წაართვა... გლუპოი პასიოლოკ!

— ჩემი ცოლი სოფელშია მშობლებთან, ბავშვებიც წაიყვანა. რომ მცოდნოდა...

ხარხარი აუტყდა ერთ იმათგანს, დაოსებული ძლივს იკავებდა ცრემლსა და წვინტლს.

— გვაბოლებს პატრონძაღლი!

— შეგეშინდა, ბრატ?! ნი ბოისია, მალე გავსწორდებით!

— ვინც თქვენ იმედადაა, მე მაგის დედაც ვატირე!

— პლასტელინის ბელადი უნდოდათ ამათ, კერპივით რო დაისვამდნენ, საგალობლებს მიუძღვნიდნენ, დაუჩოქებდნენ, ხოტბას შეასხამდნენ...

— გაიქცა თქვენი საცოდავი ბელადი, ჭუკივით გაიძურწა. ხალხის მართვა რო გინდა, ჟილკაც უნდა გქონდეს, ქაღალდზე ნასწავლი ზღაპრები კი არა, ღონიერი მუშტი და ძლიერი შემოქნევა.

— ქუჩაში მაინც გაევლო... სმა მაგას არ ყვარებია და ქალები, არც კაიბიჭობა იცოდა!

— მამინი სინოკ!

ზავთიან ზრახვას გამტკნარებული უსმენდა კოჩობა. თავს ჩაქინდრავდა, ოხვრისაც ეშინოდა, ჭკუის დარიგებასა და შეპასუხებას ხომ ისედაც ვერ იტანდნენ სტუმრები. ერთმანეთისგან ვერ იტანდნენ — უცხოს და შეურაცხყოფილს რა უნდა გაებედა.

ძალა აღმართს ხნავს. აღმართებსაც, თუკი გამარჯვებულთა ხელშია.

— ჯერ კიდე სადა ვართ, ამათ ახლა ჭირდებათ ჭკუის სწავლება! ასე უცებ რო იაზრებდნენ, შავ დღეში კი არ ვიქნებოდით.

— სულ მაგ ვითომ ინტელიგენტის ბრალია, რეებსაც ახლა ეგ დაბეჩავებული ხალხი ჩადის, იმან წააქეზა, იმან მიგვიქსია ერთმანეთს. აბა ჩვენ რა, გვიხარია გონია იარაღის ხელში დაჭერა? ან იმ მამაოს რას ვერჩოდით...

წენდხას ეკლესიის წინამძღვარს, მამა გაბრიელ ჩაგინავას მისდგომოდნენ სტუმრები ამასწინათ. ცემა-თრევით აეყვანათ ტაძრამდე. ივედრებოდა მოძღვარი თურმე, — რას მერჩით, რა დავაშავე, ღვთის გულისათვის, შვილებო, უფალს ნუ განარისხებთ, სისხლს ნუ დაღვრითო.

— ის როგორაა, იარაღს რო მალავ და ყაჩაღებს მფარველობ, მამაო, — წვერში წვდომოდა მეორე იმათგანი, — ნაძირლების ბუდედ გიქცევიათ აქაურობა!

— ტყუილია, შვილებო, შეუცდენიხართ ვიღაცას...

— ესე იგი, კიდე ჩვენ ვართ მტყუანი?! გააღე კარები, თორემ ხელი არ ამიტოკდება, სადმე მიგასაღებ, ბნელეთის მოციქულო!

ბნელოდა ტაძარში. სიჩუმეში ჩაძირულიყვნენ ფრესკები და ანალოღიაზე დასვენებული ხატიც, გაყვითლებული ყვავილებით. სასანთლეც მოეცვა ამ იდუმალებას, იდუმალებას სიცარიელისა.

— იარაღით ნუ შემოხვალთ! ურჯულო ბოლშევიკების მერე აქ არავინ ყოფილა იარაღით...

— წითლები გინდოდათ თქვენ! მაგათ ხელში თრთოდით და ცახცახებდით, ვერ ბედავდით უწესობებს. რატომაც არა — ახლა შეგეხსნათ ბორკილი, აშტერებთ ისედაც გამოთაყვანებულ ბრბოს, ყაჩაღებს მფარველობთ, ელოლიავებით. კლეტკები მოგენატრათ, მამაო?

ახლა საკურთხეველში შეცვივდებიან, წინხვდომილ, ხელაპყრობილ მოძღვარს მოიცილებენ გზიდან და იარაღი დაუდგებათ თვალწინ — ყველა კუთხეში, ყოველ წმინდა ადგილას.

„ვერაფერი ნახეს და ჩემი მარტვილობაც იქიდან დაიწყოო“ — დიდი ხნის მერე იხსენებდა მამა გაბრიელი.

* * *

— ვაჟკაც, შენი სახელი...

— კოჩობა.

წინა დღეების ბურანიდან გამოერკვა კითხული.

— ეგ რას უნდა ნიშნავდეს?

— კაცობას ნიშნავს.

— თქვენს ენაზე? — ჩაიქირქილა მესამე იმათგანმა და მაგიდაზე გაშალა ცარიელი ტომარა.

მხატვარი ცირა პაპინაშვილი

არა, ჯერ დაფერთხა, ხელისგულით დააუთოვა და მერე გაშალა.

— ეძიებდეთ და ჰპოვებდეთო, ხო გაგიგია, ტონი. ჯგუფელი მყავდა აქაური, სუ გადაბულბულებული ჰქონდა მირავაია კლასიკა. ისეთებს დაგიციტატებდა, პირს ღია ვტოვებდით. პროფესორებს ჭრიდა. მერე ჩემი ძმაკაცი შემხვდა, ძველი ნარკუშა როა. ები როუდს ვეძახდით მაგას, „ბიტლებზე“ აფანატებდა ძაან.

— რაო?

— მაგ თქვენ ტრიპაჩას გადაეცით, ადამიანთა ნააზრევით და ლამაზ-ლამაზი ფრაზებით რო მოაქვს თავი, ჩემთან იაროს და აკრძალულ რაღაცებს წავაკითხებო.

— რეებსო?

— აღარ უთქვამს კანკრეტნა.

— არც კითხე, ტო?

— როგორ არ ვკითხე, მაგრამ მომიჭრა ეგრევე — ეძიებდე და ჰპოვებდეო.

გაიცინეს ორთავემ.

— უთქვამს და რაღა გინდათ მეტი აკრძალული, — თქვა კოჩობამ, რომელიც ერთიანად დათრგუნული, მოწყენილი და შებოჭილი იჯდა მაგიდასთან.

მალე გაგეცლებითო, არადა დილიდან ჩალიჩობენ, დილიდან აწყდებიან აქედან იქ, დილიდან დაძრწიან მეძებარი ძაღლებივით, როგორც მსუნაგი და ენაგადმოგდებული მწევრები... ამ დილის რიჟრაჟს რა ვუთხარი!

გათენებაც გადაგვარდა ყველაფერთან ერთად. ადრე მტრედისფერი იცოდა, ახლა მტრებისფერი, სისხლისფერი, ჭუჭყისფერი, მიწისფერი დაედო და წამლეკავ ზვირთებად მოაწყდა გადაგვარებულ ადამიანს. თვალებსაც ნუ მოიფშვნიტავ, უკვე გვიანაა — ნაწვიმარის ორთქლი დგას ოთახში, ბებო რომ მოაპრიალებდა და „პოლის ჯოხის“ სუნი რჩებოდა იატაკზე, ამაზრზენად უცხო, ამაზრზენად უცნაური.

სულ ასე ვიქნებით?

დგას და ბოლო სტუმარს ელოდება კოჩობა წყაბელია. ამ ლოდინში ის სიტყვებიც მოაქუჩოს იქნებ, რისი თქმაც მტრისა თუ მოყვრისთვის ერთნაირად შეიძლება — შუქსა და იმედს შეიტანს ორივეგან...

...წაიღეთ — მაგიდის ქვეშ თოფი გამოვკიდე, მამაჩემმა დამიტოვა: სიბერეში რომ მივლიდი და მიფრთხილდებოდი, ისე გაუფრთხილდი და მოუარეო.

უკანა ეზოში, ჩალით გადახურული ახალი „ნოლ-შესტია“. მენანებოდა და... არც ეგ დაგავიწყდეთ!

არც ის — ქალაქელები ხართ და იცით ალბათ ანტიკვარის ფასი — ძველი სერვიზებია თაროზე, ბებიაჩემის ნამზითვი.

ჩემს ბიჭს საათების კოლექცია ჰქონდა. სიკვდილის წინ დამაფიცა, ვინც გთხოვოს, უყოყმანოდ მიეცი, ნუ შეინახავო...

მე კიდე... აგერ... უკლებლივ...

ოღონდაც ამ ტომარაში არ ჩაგეტევათ, ბიჭებო...

წითლები იწყებენ და აგებენ

ფიქრსა და ოხვრაში გაატარა მთელი ღამე გოგიამ. ხან წათვლემდა, შიგადაშიგ, ძილის ბინდი წაეფარებოდა სახეზე, მაგრამ ბრაზიანი ტკივილისგან ატანილი გამოერკვეოდა უცებ და მჯიღს დაიცემდა გულში, კვნესას ამოაყოლებდა. თვალწინ ედგა ნაცნობი პროფილი და ტანში ცრიდა მჭახედ დაბოხებული ხმა.

დათრგუნულ ქალაქში ბინდს შემოჰყავდა სიჩუმე და გამტკნარებული შემოღამება შიშსაც შემოიყოლებდა, როგორც ბავშვი მაწანწალა ძაღლს, მშობლების შეუმჩნევლად.

გოგიას არ ეძინა, არც რაიმე აგონდებოდა ისეთი, რაც დარდს დაავიწყებდა, ამღვრეულ გუნებას დაუწყნარებდა, აბორგებულ ჯავრს ჩაუხშობდა.

— ოჰ, ღმერთო, შენი სახელის ჭირიმე! მე რატო მომესმა მაინც და მაინც, მე რათ გამაგონე!

სამზარეულოს მიაშურებდა. მაგიდაზე ელაგა შალითა და პირსახოცით ჩაბუბნული მაწვნის ქილები.

„თბილად არიან, მაგათ ვენაცვალე...“

მთელ ოჯახს ინახავდა წლების წინ დაწყებული საქმე. ყოველ დილით, ინათებდა თუ არა, გააწყობდა გოგია თავის ჩანთას, მაწვნით სავსე ქილებს ჩაალაგებდა და კარიკარ არიგებდა უბანში.

ემადლიერებოდნენ. გამარჯობა იცოდა ოქროს ფასი, მზიანი, დათაფლული, ვერ იტანდა ცუდ სიტყვას — არც სხვისას და შინაურობაშიც გაურბოდა. „მაწვნიდედა შამიწუხდებაო“ — ჭორიკანა ქალებიც გაიკმინდებოდნენ, ისე დაუბრიალებდა თვალებს.

— აკადემიკოსია ბოლოს და ბოლოს... რა სახელი, რა პატივისცემა... არ უნდა ეკადრებინა ამხელა კაცს...

ძილში ბორგავდა გოგია.

* * *

მომიტინგეები არ ცხრებოდნენ. ორ ბანაკად მონიშნული ქალაქი და ქვეყანა გაწეწილი, გულგაგლეჯილი იწვა ავადმყოფის სარეცელზე. ხმას არავინ იღებდა — ჩაკეტილიყვნენ და უბინაო წინათგრძნობით ელოდნენ ქარსუსხს ახალი დღისა.

„მოვიდა მამალი, და ქნა მაგარი, მოვიდა სპილო, დადო ასი კილო, მოვიდა მელა, მან გააბრტყელა, ვინც ახლა ხმას ამოიღებს, იმან ჭამოს ყველა“ — ეს მაკოს საყვარელი თამაში იყო, უშუქო და ყინვიან დღეებში თავშესაქცევი. თითქო აიმედებდა თავსაც და დანარჩენებსაც, სპილოც, მამალიც და მელაც ჩვენსკენ არიან, ვინ რას იტყვის, ვინ რას გაბედავსო. „ომი არ იქნება!“ — შესძახებდა მხიარულად და ჩაეხუტებოდა შრომისგან დაქანცულ მამიკოს.

იმ დღესაც იმავეს ამბობდნენ ტელევიზორში. გადაწყდა ერთხელ და სამუდამოდ: უნდა მორჩენილიყო ბარიკადებზე დგომის თვენახევარი. მაგრამ საღამომ უარესად დახლართა, ბურუსით ამოკემსა მომავალი.

აკადემიკოსი ნოშრევან ლომთათიძე დაიმუქრა სტუდიიდან, პირდაპირ ეთერში. წითლებს და უვარგისებს რომ გვიწოდებს, აგერ, ბატონო, რაც მიიღო, პასუხი აგოსო.

— ხალხი დაერია ერთმანეთს, ძვირფასებო, დანასისხლად გადაეკიდა. ამბების მეტი რა მსმენია, მაგრამ ასეთი რამ პირველად ხდება ჩვენს ისტორიაში. ბნელმა ძალებმა გაიმარჯვეს, მაგრამ ვიდრე ისინი საბოლოოდ გაბატონდებიან, მე მოვუწოდებ ყველა შეგნებულ ახალგაზრდას, ხელში აიღოს იარაღი და დაიცვას თავისი სამშობლო უწმინდურებისგან, განადგურებისგან იხსნას ქვეყანა. ეს ყოველი ჩვენგანის ვალია...

* * *

— გოგიას გაუმარჯოს!

— ჩემს ედიშერს სიცოცხლე! როგორ გიკითხო? ხომ კარგად მიდის შენი საქმეები? ღმერთი ძალას მოგცემს — ე რა შვილები გეზრდება, კაცო! გოგოც მოგესწრო, წეღან შემხვდა შენი მაკოი, ბავშვი აღარაა უკვე!

— შენკენ რა ხდება, გოგი? დროს არ დაეჩაგვრინო იცოდე — ღვთიური მაწვნის პატრონი ხარ, გენაცვალე.

— რა ვქნა, ეგღაა ჩემი ოჯახის შემწეც და იმედიც. და თქვენა კიდე. მთელ უბანს ჩამოვურიგე კარდაკარ. უცნაური ხალხი ვართ ჩვენა: არ ვუტყდებით გაჭირვებას, სიცილის შნო ძველებურად შეგვრჩენია!

— შენ გაიხარე!

— ოღონდაც ეს ერთი ქილა დამრჩა ეგრე, უგზოოდ. ცოტაი ვიწყინე კიდეც, ვიუცხოვე, მაგრამ ჯანდაბას...

— მოხდა რამე?

— მე ერთი უბრალო მემაწვნე კაცი ვარ, ჩემო ედიშერ, ამეების გარდა არაფერი გამეგება — ეგაა ჩემი ინსტიტუტიც და აკადემიაცა... მაგრამ სინდისი უფალთან მაქვს დათქმული — მე მაგ კაცს მაწონს აღარ ავუტანდ!

თავი გააქნია და მწუხარედ შეუყვა აღმართს.

ეს ორი ნოველა — „ექსპედიცია ადრიან დილით“ და „წითლები იწყებენ და აგებენ“ — იწყებს იმ ციკლს, რომელიც ზვიად კვარაცხელიას განუზრახავს და, რამდენადაც ვიცნობთ ამ ახალგაზდა კაცის მუყაითობასა და შემართებას, წარმატებითაც გააგრძელებს და გაასრულებს.

ჩანაფიქრის გაბედულებაც ავალებს ამას.

ჩანაფიქრის — წარმოისახოს საქართველოს ტრაგიკული დღეები სახელმწიფო-სამხედრო გადატრიალების შემდეგ, უმთავრესად მაინც ერთი კუთხის, სამეგრელოს მაგალითზე.

და წარმოისახოს ისე, როგორც სინამდვილეში იყო — მიუკერძოებლად და შეულამაზებლად, სწორედ იმგვარად, როგორც მწერალს მოეთხოვება და არა პარტიულ პროპაგანდისტსა თუ დაქირავებულ ჟურნალისტს.

ახალგაზრდა მწერალი მარტოდენ მხატვრული ფანტაზიისა თუ სახელდახელოდ მოკრებილი ცნობების იმედად კი არ არის, არამედ გულდასმით, მემუარისტისა და მკვლევარის სიჯიუტითა და დაუმცხრალობით აქვს თავმოყრილი უამრავი ამბავი, რომელთაგან ამჯერად ამოირჩევა ის ნიმუშები, ამ ციკლის ხერხემალი რომ უნდა შეადგინოს.

ნამდვილი ამბები გაეხვევა მხატვრულ საბურველში და ასე გადაგვიშლის მწუხარე ხანის მთრთოლვარე, აჩქარებულ მაჯისცემას.

რედაქციის მინაწერი:

რაკიღა მოქმედების ზოგადი ფონი დოკუმენტური იქნება, ვიმედოვნებთ, ზვიად კვარაცხელიას ნოველების ეს ციკლი არანაკლებ დაჭირდებათ ისტორიკოსებსაც და სოციოლოგებსაც, ვიდრე ლიტერატურის მკვლევარებს, რომელნიც ამ ნიმუშებსაც მიამატებენ ქართული ნოველის იმ ნაირსახეობას, რომლის სათავეშიც — ახალი დროით თუ შემოვიფარგლებით — ალექსანდრე ორბელიანი დგას, საუკუნის შემდგომ კი მნიშვნელოვანი კვალი დაუჩნიეს დავით ვაჩნაძემ და ოთარ ჩხეიძემ, აღარაფერს ვამბობთ ცალკეულ, მეტ-ნაკლებად წარმატებულ, ცდებზე.

ჩვენი დღევანდელობა კი ამ მხრივ საკმაო ნიმუშებით გვანებივრებს, არაერთი მწერლისათვის აღმოჩნდა ეს ნაირსახეობა განსაკუთრებით მახლობელი და ისე ჩანს, სალიტერატურო კრიტიკას დიდძალი სამკალი გაუჩნდება დოკუმენტური ნოველისა თუ დოკუმენტურფონიანი ნოველის შესწავლა-გააზრებისას.

მსჯელობისას არაერთხელ მოუწევთ ზვიად კვარაცხელიას ნოველების დამოწმებაც — მისი შემოქმედებითი ბუნებისათვის ასერიგად ნიშნეული სწრაფვა დოკუმენტალიზმისაკენ იმ ციკლსაც ძალიან წაადგება, საბედისწერო ჟამის სურათების შემონახვას რომ ისახავს მიზნად, რათა კიდევ ერთხელ გაფანტოს ყალბი ილუზიები, რომ ისტორიის გადაკეთება-გადმოკეთება ვინმეს შერჩება.

დავით კიკნაძე

ლურჯი მელანი

— მისმინე, ის ქალი ოცდახუთი წლის არის. თორმეტი წლით შენზე უფროსია და საქმრო ჰყავს. როგორ ავხსნა შენი საქციელი?!

— შენ რატომ უნდა ახსნა?

— მამა ვარ შენი!

— მერე?

— ბოდიში მაქვს შენ გამო მოსახდელი!

— არა!

— რატომ?

— ის ჩემი მტერია.

— აი, ახლა კი მართლა ფსიქიატრი გვჭირდება!

— ასე ნუ მეუბნები!

— აბა, ამიხსენი, ცამეტი წლის ბიჭს რა გინდა ოცდახუთი წლის ქალისგან.

— მიყვარს!

— ცამეტი წლისა ცოლს მოიყვან?

— გავიზრდები!

— ის რას იზამს?

— დაიცდის!

— ესე იგი, არ დაბერდება!

ბათო დაიბნა.

— შენ რომ იმის ხნის იქნები, ის უკვე ოცდაჩვიდმეტი წლის ქალი და ოჯახის დედა იქნება.

ჩუმად იჯდა ბათო მამის წინ.

— დედაშენი რამდენი წლისაა?

— არ ვიცი.

— ორმოცის.

წყენით დასჩერებოდა ბიჭი იატაკს.

— რადგან ხნიერი ქალები მოგწონს, იქნებ ეკას დაქალი ვნახოთ ვინმე და ის გაგირიგოთ, ჰა? — იკითხა გიგიმ და გაიცინა. ბიჭი ატირდა. კაცმა თავი შეიკავა ბიჭისკენ გადაიხარა. ტუჩები ყურთან მიუტანა და ხმადაბლა უთხრა:

— თუ საიდუმლოს შემინახავ, როგორც კაცი კაცს, ერთ ამბავს გაგიმხელ!

ბათო ჩუმად იჯდა.

— შემიძლია, რომ გენდო?

— კი, — ძლივს თქვა ბიჭმა.

— ელიკო მიყვარდა.

— ვინ ელიკო?

— ხარაგაულში, იას ბებია.

— მოხუცი ქალი?

— მაშინ შენი ტოლი ვიყავი, არ ვიცოდი, რომ ადამიანი ბერდება და ასაკი შეუქცევადია.

ბიჭს ისევ წამოუვიდა ცრემლი.

— კარგი, ხვალ ვილაპარაკოთ! — თქვა კაცმა და შვილის ოთახიდან გავიდა. ცოლ-ქმარმა ლოჯში გააგრძელა საუბარი:

— რა ვქნათ? — იკითხა ეკამ.

— იმ კაცის ტელეფონი უნდა გავიგოთ, ბოდიში მაქვს მოსახდელი.

— ეგ კი, მაგრამ სკოლაში რა ვქნათ?

— არ ვიცი.

— თეა უნდა ჩამოვიყვანოთ. მეთერთმეტე კლასის მოსწავლე მეშვიდე კლასის პროგრამის სწავლებას შეძლებს.

— არ დაუჯერებს.

— გეგონოს! უნდა აყვირებს, უნდა აცინებს.

— არ შემიმჩნევია.

— შენ კაცი ხარ. მე კი — ქალი. ვხედავ, რა გავლენა აქვს თეას ძმაზე.

— რა, ბათო უნებისყოფოა?

— უასაკოა.

— ვანო უნდა ვნახო.

— დაურეკე!

კაცმა ტელეფონზე დარეკა და გვიანი ზარისთვის ბოდიში მოიხადა. ექიმს მომხდარი უამბო და რჩევა სთხოვა.

— იმ ქალს ხატავს-თქო, ესეც უთხარი, — სთხოვა ეკამ ქმარს. კაცმა ეს ამბავიც გადასცა ვანოს.

— ხატოს, იქნებ ნიჭი აქვს. თუ არადა, ასე შეიძლება გათავისუფლდეს კიდეც მოზღვავებული ენერგიისა და ემოციისგან.

— ხომ არ ნახავდით?

— ვნახავ, ოღონდ ისე, რომ ვერ მიხვდეს.

— ბოდიში და მადლობა!

— არ ღირს ეს საქმე ბოდიშის ან მადლობის სათქმელად! მეზობლები ვართ და სხვა თუ არა, ბათო ჩემი შვილის მეგობარია.

გიგიმ ყურმილი დადო და ცოლს ნათქვამი გადასცა.

— შენ თეა ჩამოიყვანე, მე კი გიოს დავუკავშირდები!

— გიოს?

— რურუას.

— ის რა, ფსიქოლოგია?

— მხატვარია.

— მერე?

— ნახოს, რას ხატავს.

— ხატვა... ჰო, ეგ არ მიფიქრია.

— მის ოთახში იყავი და ნახატი ვერ შეამჩნიე?!

— ვერა.

— შენ თეა ჩამოიყვანე, ბიჭს კი მე მივხედავ!

— იმ კაცს რა ვუყოთ?

— ტელეფონის ნომერს გავიგებ და რომ ჩამოხვალ, დაურეკავ!

— ასე იყოს! — ცოლ-ქმარი შეთანხმდა და ტელეეკრანის წინ დივანზე დასხდნენ.

VI თავი

არც ფეხბურთის სათამაშოდ გასულა ბათო დილით ეზოში და არც უსაუზმია. იჯდა თავის ოთახში და ხატავდა თამრიკოს და მხოლოდ თამრიკოს — ხან ეშმაკთან ერთად და ხან ჯვრით ხელში.

ეკამ ნათესავს დაურეკა და როხროხა მაღალი კაცი სამ საათზე სტუმრად ეწვიათ. ქალი თავიანთ გაჭირვებას მოუყვა და მხატვარი გამხიარულდა. სიყვარულის ამბავი მოეწონა გია რურუას და ბიჭთან შევიდა ოთახში.

— როგორ ხარ, ძმაკაც!

— კარგად.

გიამ ბექჰემის პლაკატი და კედელზე გაკრული ნახატები დაათვალიერა და იკითხა:

---

* დასასრული იხ. „ჩვენი მწერლობა“ №17

— დიდი ხანია, რაც ხატავ?

მიხვდა ბიჭი ბიძის მოსვლის მიზეზს.

— უნდა გადავყარო!

— რატომ?

— არ ვარგა!

— ავტოკალმით შტრიხიანი ნახატის შესრულება, შუქ-ჩრდილის გამოყვანა და ცოცხალი სახის შექმნა არც ისე ადვილია.

— მოგწონს?

— კი! და ერთი კითხვა მაქვს...

— გისმენ!

— ქალებს ყველა ვხატავთ, მაგრამ, სხვა რამ თუ დაგიხატავს?

— არა.

— მე გეტყვი რაღაცას...

— რას?

— ჩემი ამხანაგია, ხატვაში ამზადებს აბიტურიენტებს. მოდი, ვანახოთ ერთი ნიმუში! იქნება და, ნიჭი გაქვს?

ბათოს არაფერი უთქვამს.

— წავედით! — თქვა გიამ და ბიჭი ბინიდან გაიტაცა.

ტაქსი დაიჭირეს და მთაწმინდაზე ავიდნენ. სხვენში ჰქონდა მხატვარს სახელოსნო მოწყობილი. უკითხავად შევიდა გია ოთახში და ბათოც მიჰყვა. რა არ იყო აქ: ნახატები, მცირე ზომის ქანდაკებები. ექვსი მოლბერტი კი ოთახის შუაში ჩაემწკრივებინათ.

— გაუმარჯოს! — მიესალმა გია ამხანაგს.

— რამდენი ხანია, არ მინახიხარ! — გაიხარა სტუმრის დანახვა ლევანმა და სახელოსნოში შესული ამხანაგი და ბიჭი თბილად მიიღო. საშუალო ტანის, გამხდარი, მოკლედ თმა და წვერგაკრეჭილი კაცი იყო. ღიმილი უხდებოდა და რაღაც თბილი და მკაცრი ერთად ჰქონდა სახეზე.

— გაიცანი, ჩემი ნათესავია, ბათო ჰქვია, — გააცნო გიამ ბიჭი ამხანაგს.

— ლევანი, — თქვა მხატვარმა.

ტაბლას მიუსხდნენ. ლევანმა კონიაკი და ჭიქები დადგა სუფრაზე და საუბარიც გაიბა. სტუდენტობა გაიხსენეს, დალიეს, იხუმრეს და გიამ მოსვლის მიზეზიც გაიხსენა:

— საქმე მაქვს.

— გისმენ!

— ეს კაცი ხატავს და მინდა, ნახო.

— შენ თვითონ?

— ხუთი წელია ხელში ფუნჯი არ ამიღია.

— რა ხდება?

— ოჯახი, ლუკმაპური, ფული...

— სად მუშაობ?

— სახლებს ვარემონტებ.

— ჰოო...

— ამ კაცს რა ვუყოთ, რას გვირჩევ?

— აი, მოლბერტი!

— ნახატი გვაქვს წამოღებული.

— მანახე!

ბათომ ფურცელი მიაწოდა და ლევანმა ყურადღებით დაათვალიერა სურათი.

— გიყვარს? — ჰკითხა მან ბიჭს. ბათო გაწითლდა.

— სხვას რას იტყვი?

— ავტოკალმით და პასტით ასეთი ნახატის შესრულება ძნელია, მაგრამ შეიძლება მარტო ამ ქალს ხატავს, ხდება ხოლმე ასე. უნდა გავერკვეთ! ხვალ თორმეტ საათზე მაქვს გაკვეთილი, მოვიდეს და ვნახოთ, რა ხდება.

— მოვა!

— მობურთალსა მოედანი და... გამოჩნდება!

ცოტა კიდევ დალიეს და კარგ გუნებაზე დაშორდნენ გია და ბათო მასპინძელს. ქუჩაში ტაქსი გააჩერეს.

— ეკას მე თვითონ დავურეკავ! — უთხრა ბიჭს ბიძამ და ბათო შინ დაბრუნდა. კარი თეამ გააღო.

— როდის ჩამოხვედი?

— ნახევარი საათია.

— რატომ ასე ადრე?

— უნდა მოვემზადო.

— ხო, შენ ათებზე უნდა ისწავლო, თორემ ცხრიანი არ გეკადრება.

— შარშან გამომყვა ცხრიანი ფიზკულტურაში.

— გიგის შვილს სპორტი უნდა უყვარდეს!

— ქართული ენა?

— ლიზა როგორ არის?

— მარტოა ისევ.

— ცუდია, — თქვა ბათომ და ოთახში შევიდა.

ვახშამზე მთელი ოჯახი შეიკრიბა მაგიდასთან. ივახშმეს და მამამ ჰკითხა ბათოს:

— ერთი სათხოვარი მაქვს, თუ შემისრულებ?

— კი.

— თეა და შენ ქართულ ენაში ერთად იმეცადინებთ!

აი, რატომ ჩამოიყვანეს წიგნის ჭია, — გაიფიქრა ბათომ და მამას ყასიდად დაეთანხმა.

— ხვალიდან დავიწყოთ!

— კარგი! ოღონდ თორმეტზე ხატვის გაკვეთილზე უნდა ვიყო.

მშობლები ტელევიზორს მიუსხდნენ. თეა მამას მიუჯდა გვერდში. ბათო კი თავის ოთახში გავიდა. მაგნიტოფონი ჩართო და სავარძელში ჩაჯდა. სექტემბრის საღამო იყო და სასიამოვნო სიგრილე იდგა ბინაში. ოჯახშიც სიმყუდროვე სუფევდა.

VII თავი

დილით ფეხბურთი ითამაშა ბათომ მამასთან ერთად. ოფლი ჩამოირეცხა და ისაუზმა. შემდეგ თავის ოთახში გავიდა და თეაც შეჰყვა.

— მამას თხოვნა გახსოვს?

— კი, მაგრამ თორმეტ საათზე ხატვა მაქვს.

— მანამდე ორი საათია!

— კარგი, მოიტანე, სიტყვა სიტყვაა!

თეამ წიგნი მოიტანა და ერთი საათი იწვალა ბიჭმა. თეას ახსნა-განმარტებიდან კი, რაც დაიმახსოვრა, მხოლოდ პირველი სტრიქონი იყო: „რაც არ იწვის, არ ანათებს“. როგორც იქნა თავიდან მოიშორა და ხატვის გაკვეთილზე წავიდა. ღიმილით შეხვდა ლევანი და ბავშვებს წარუდგინა: — ბათო ჩიკვაიძე. ჩვენი ახალი მეგობარია და, თუ სურვილი და ნიჭი შეათანხმა, ერთად ვისწავლით ხატვას.

ბიჭი მოლბერტთან დასვა და სტენდზე გამოფენილ თაბაშირში გაკეთებული ჭადრის ფოთოლი აღუნიშნა.

— აი, ეს დახატე!

თვითონ მაგიდას მიუჯდა და იქიდან აკვირდებოდა შეგირდებს.

ბათომ ბავშვებს გადახედა. ჩვიდმეტი წლის გოგო-ბიჭები იყვნენ. ყველა ფანქრით ხატავდა და გვერდით მყოფ თანატოლებს ვერცერთი ვერ ამჩნევდა. ბათომ ყველა დაზვერა. ზოგი ნატურმორტს ხატავდა, ზოგი — რას და ზოგი — რას. თვითონაც აიღო ფანქარი და ხატვა დიწყო. ორი საათი გავიდა და ლევანის ხმაც გაისმა:

— გამოცდა დამთავრდა, მანახეთ, ვინ ხატავდა და ვინ ნამცხვარზე ოცნებობდა!

ბავშვებს გაეცინათ. ყველამ მიუტანა ოსტატს ნახატი. ბათოს ნაშრომი დიდხანს ათვალიერა ლევანმა და ბოლოს უთხრა:

— ადრე ხატვა არ გიცდია?

— არა.

— არც სკოლაში?

— მეხუთე კლასამდე გვასწავლიდნენ.

— მასწავლებლის გვარი?

— მირცხულავა.

— ვიცნობ და, არ უნდა გამოჰპარვოდა!

— რა?

— ნიჭიერი ხარ, მაგრამ შრომა მეტი გჭირდება, ვინემ სხვას.

— რატომ?

— გვიან იწყებ ხატვას.

ბათოს არაფერი უთქვამს.

— ხვალ ისევ თორმეტ საათზე მოხვალ! გაიგე?

— დიახ.

— ხვალამდე ყველა თავისუფალია, — თქვა ოსტატმა და ბავშვები სახელოსნოდან გამოვიდნენ.

— გილოცავ, მიგიღო! — უთხრა პატარა ტანის შავგვრემანმა ბიჭმა ბათოს.

— რა, გამოცდა იყო?

— რა, არ იცოდი?

— არა.

— ლევანი გამოცდის მერე იყვანს ბავშვებს.

— ძველი ქართული იცი? — ახლა მეორემ დაუსვა უცნაური კითხვა.

— ლევანთან ჟარგონით არ ილაპარაკო. ლექსებსაც წერს და ქართული ენა ისე უყვარს, დედაენის მასწავლებელი გეგონება.

— კაფეში მივდივართ, წამოხვალ? — ჰკითხა ქერა ბიჭმა.

— კი, — დაეთანხმა ბათო და ხუთი გოგო-ბიჭი კაფეს ეწვია. მაგიდას მიუსხდნენ და შავგვრემანმა ბიჭმა ყველა გააცნო ბათოს:

— ლია, თამრიკო.

— შენც თამრიკო გქვია? — გაიკვირვა უცებ ბიჭმა გოგოს სახელი.

— „ც“ შენ გქვია, მე თამრიკო ვარ.

ბავშვებს გაეცინათ.

— კახა, თემო, მე გუგა მქვია. შენ?

— ბათო.

— ბათო „ც“, — დაამატა მის სახელს თამრიკომ.

ბიჭი გოგოს დააკვირდა. წაბლისფერი თმა ჰქონდა, ჭრელი თვალები და ნაზი, თეთრი კანი. შვლის თვალები ჰქონდა, მაგრამ მკაცრად უყურებდა ბიჭს და გრძელი წამწამები ერთხელაც არ შეურხევია.

— თამრიკოს მკაცრი ხასიათი აქვს, — ახსნა კახამ.

ბათო ამ თამრიკოს მასწავლებელს ადარებდა. ჰგავდნენ და არც ჰგავდნენ ერთიმეორეს. ლოყები, — იაზრა ბიჭმა, — ორივეს დაბურცული ლოყები აქვს.

— რას მიყურებ, ბათო „ც“? — იკითხა გოგომ და წელში ამაყად გასწორდა. წვენი და ხაჭაპური შეუკვეთეს და კახამ დალიზე დაიწყო ლაპარაკი.

— დალი ვინ არის? — იკითხა ბათომ. ბავშვებს სიცილი აუტყდათ.

— რა გაცინებთ? — წყენით იკითხა მან.

— „ც“, მხატვარი გინდა რომ გახდე და დალი ვინ არის, არ იცი? — ჰკითხა თამრიკომ.

— მე ბექჰემი მიყვარს და ფეხბურთელი გავხდები. აქ კი ისე მოვედი.

— ისე, რას ნიშნავს?

— გიოს ხათრით.

— ოოო, — ამოიძახეს ბავშვებმა.

— გიო ვინ არის?

— ნათესავი! და ისიც მხატვარია.

— მოდი, გავისეირნოთ! — გამოთქვა აზრი თემომ.

— კარგია! — დაეთანხმა კახა და მიმტანს დაუძახეს. ფული გადაიხადეს და რუსთაველის გამზირზე გაისეირნეს. დაიღალნენ და ერთიმეორეს ხვალამდე დაშორდნენ.

ბათო ავტობუსით გავიდა სახლში. სადილზე უარი თქვა და ოთახში ჩაიკეტა. ნახატები აიღო და თამრიკოს სახეს დააკვირდა. ახალგაცნობილი გოგო გაიხსენა და მისი გამოთქმული „ც“. პატარა დიდ თამრიკოს შეადარა და წარმოსახვა ნახატზე მკრთალი გამოჩნდა. დავხატავ, — გაიფიქრა და ხატვას შეუდგა. დიდხანს იმუშავა და ორი სახე ერთმანეთს შეადარა. უცებ შერცხვა. ახალგაცნობილი გოგოს სურათი დახია და გული დასწყდა. ეს რა ვქენი, ა? — ჰკითხა თავს და ოთახიდან გავიდა. დედა და თეა ლოჯში ტელევიზორს უყურებდნენ. ისიც ეკრანს მიუჯდა და ფიქრში წავიდა: ეს რა მჭირს ამ ბოლო ხანს? რასაც უნდა ვაკეთებდე, ბოლოს მაინც მრცხვენია და მწყინს.

შინ ოჯახის უფროსი დაბრუნდა და სუფრა გაიშალა. ისადილეს და მამამ შვილს ჰკითხა: რაც გთხოვე, გააკეთე?

— კი.

— ისე რა, — გამოაცხადა თეამ.

— მეტიჩარა.

— კარგი, ხვალ უკეთ იმეცადინე! მე კი ამაღამ მორიგე ვარ და უნდა დავისვენო.

— რა ხდება? — იკითხა ეკამ.

— ოცდაოთხი საათი მუშაობს დღეიდან რესტორანი და ამაღამ მორიგეობა მომიწევს.

— რატომ?

— მეტი ფულია.

კაცი საწოლ ოთახში გავიდა. ტელევიზორის ხმა დაუწიეს და ამერიკულ საბრძოლო ფილმს მოწყენით მიაჩერდა თეა. ბათო გაერთო. გოგო კი სასადილო ოთახში გავიდა და წიგნის კითხვა განაგრძო.

VIII თავი

მარტო ჩავიდა ბათო დილით სტადიონზე, კედელთან თამაში დაიწყო და გადაწყვიტა, შინ გვიან ასულიყო და ასე დაეძვრინა თავი სწავლა-წვალებიდან. ბურთი ხან ფეხით კენწლა და ხან — თავით. როდის დაიწყება ვარჯიში? — ფიქრობდა ბიჭი და მწვრთნელი გაიხსენა. დინამოში ვთამაშობდიო, მამაჩემიც იძახის, კარგი გუნდი იყო ადრეო. ახლა რა! სულ აგებს. ეჰ, ბექჰემია მაგარი!

— ჯიგარ, აბა მოგვხედე!

ბათო მიბრუნდა და მის წინ ვართანა და მასზე უფროსი ბიჭი იდგა. ძვალმსხვილი და კუნთა ტიპი იყო გრძელცხვირა უცხო. ცხვირის ბოლო კი ინდოურივით ჰქონდა მოკაუჭებული.

— რა არის?

— აბა ერთი, მითხარი, სომხები როგორ ახსენე?

— ჭუჭყიანი ხალხი ხართ!

— ვაჰ!

— უკანალში რქა — გაშლილი თხა!

უცხო ეძგერა, ბათომ ადვილად აიცილა შეტევა. ახლა ვართანა ეცა, ცხვირში დასცხო მუშტი და შადრევანივით იფეთქა სისხლმა. ისევ უცხო ეძგერა. მასაც დაარტა და ძვრა ვერ უყო. მიხვდა, სცემდა ეს ბიჭი და გაიქცა. ისიც უკან მიჰყვა. ზიგზაგით დარბოდა ბათო ეზოში. ღონიერი, მაგრამ მძიმე და მოუქნელი იყო მდევარი. კარგა ხან ირბინეს და უცხო დაიღალა. ბათო შორიახლოს გაჩერდა. ბურთი ჰაერში ააგდო, მთელი ძალით დასცხო ფეხი და სახეში მოხვდა ბიჭს ბურთი. სახეზე ხელები აიფარა და ბათოც მივარდა. ახლა ფეხის წვერი მისცხო მუხლის თავში. ბიჭი გამოერკვა. ისევ გაეკიდა. მანქანის ირგვლივ დარბოდნენ.

მხატვარი ნინო ზაალიშვილი

— მოუარე! — დაუძახა ვართანას ნათესავმა და ბათო შუაში მოექცა. მანქანის სახურავზე ახტა ბიჭი და ყვირილით დაპატიჟა ორივე საჩხუბრად.

— მანდ რა ხდება? — გაისმა ხმა. სამივემ გაუხედა ხმას. ვანო იდგა ეზოში და ბიჭები თავისთან იხმო. ბათო მანქანის სახურავიდან ჩამოხტა. ცალ-ცალკე და მივიდნენ ვანოსთან.

— რა მოხდა?

— არაფერი.

— როგორ, არაფერი?!

— სომხებზე ჭუჭყიანი ხალხი თქვა.

— შენ რა, ნაცისტი ხარ? — ჰკითხა ვანომ ბათოს.

— არა.

— აბა, რა ხდება?

— მართალი ვთქვი!

ვანოს თავისდაუნებურად გაეღიმა. იმავ წამს თავი შეიკავა და მკაცრად ითხოვა შერიგება.

— ბოდიში მოიხადოს!

— მამაშენმა გიხადოს ბოდიში, ასეთი მახინჯი რომ გაგაჩინა!

— არა ხარ მართალი! — წყენით უთხრა კაცმა ბიჭს, — ახლა კი დაიშალეთ!

— ცხვირში დამარტყა.

— ჩხუბი ცუდია და ასეთ შედეგსაც ნუ გაიკვირვებ, გაიგე?

— იმან დაიწყო!

— ერთი ორს დაგესხათ არა თავზე?!

— არა გუშინ მცემა და დღესაც მირტყა!

— ეს ბიჭიც ამან მოიყვანა?

— ხაჩიკა ჩემი ბიძაშვილია.

— მორჩა! ჩხუბი აღარ გავიგო.

ბიჭები ნაწყენები, მაგრამ უხმოდ დაშორდნენ ერთიმეორეს.

ბათო შინ ავიდა, დაიბანა და ტანზე გამოიცვალა.

— ვიმეცადინოთ! — გამოუცხადა თეამ.

— ხატვაზე მივდივარ.

— მამას ვეტყვი!

— სხვა რა შეგიძლია!

ბათო სახელოსნოში მივიდა.

— დაგვიანება არ შეიძლება! — მკაცრად შენიშნა ოსტატმა. ბიჭი ადგილზე დაჯდა და ლევანიც თავზე დაადგა.

— ნატურმორტს დახატავ?

— რატო არა...

— ხედავ, ლარნაკში ხილია?

— ვხედავ!

— სინჯე!

ორი საათი იმუშავა კლასმა და ოსტატმა ნახატები ითხოვა. ყველას რაღაც ურჩია და ჩაუსწორა — შუქ-ჩრდილი თუ ხაზის სიმკვეთრე. ბათოს ნახატი დიდხანს ათვალიერა და ჰკითხა:

— სახლში თუ ხატავ?

— არა.

— მოლბერტი, პალიტრა, ქაღალდი, ფუნჯი, ფანქარი და საღებავები უნდა იყიდო.

— კარგი, — დაეთანხმა. ბიჭი და სახელოსნოდან გავიდა. ქუჩაში ბიჭები ელოდნენ.

— გამოფენაზე წამოხვალ? — ჰკითხა კახამ.

— რატო არა!

— ფეტვიაშვილის ნახატებიც არის.

ბათოს უნდოდა ეკითხა, ფეტვიაშვილი ვინ არისო, და გუშინ დალის შესახებ დასმული კითხვა და დაცინვა გაიხსენა. აღარაფერი უთქვამს და რუსთაველზე ჩავიდნენ. გალერეაში დიდხანს იარეს. ზოგი სურათი მოიწონეს და ზოგი დაიწუნეს. ფეტვიაშვილი ადიდეს და თამრიკომ ჰკითხა:

— „ც“, შენ რას იტყვი?

— ჯერ ვსწავლობ.

გაეცინათ, გალერეიდან გამოვიდნენ და რუსთაველზე გაიარეს. დრო მოვიდა და სახლებში წავიდ-წამოვიდენ.

ბათოს კარი თეამ გაუღო.

— სამეცადინო გვაქვს! — იქვე აუწყა დამ.

— იქნებ ვისადილო? — იყო პასუხი.

გოგომ ძმა ასადილა. ნახევარი საათი დაასვენა და სამეცა-

დინოდ დასვა. აკაკის ლექსებს უხსნიდა. ის კი ორ თამრიკოზე ფიქრობდა და თეას ლაპარაკი ხმაურად ესმოდა. როგორც იქნა, თეა დაიღალა და ტანჯვა-მეცადინეობაც მორჩა. ბათო თავის ოთახში გავიდა და მაგნიტოფონი ჩართო. დივანზე დაჯდა და ისევ ორ თამრიკოზე იწყო ფიქრი: „არ უნდა დამეხია ის ნახატი!“ ოსტატის ნათქვამი გაიხსენა — მოლბერტი, პალიტრა, ქაღალდი, საღებავი, ფუნჯი, ფანქარი... ფანქარი თეას ექნება, — იაზრა ბიჭმა და დას ფანქარი სთხოვა. ჰქონდა და გამოართვა. ღია ფერის რვეულს ყდა ააძრო და ხატვა დაიწყო. დაბნელდა და ნათურა აანთო, დაწყებული საქმე არ შეუწყვეტია. ხან ვინ მოვიდა და ხან — ვინ. ის კი პატარა თამრიკოს ხატავდა ყდაზე.

ვანო, გიგი და ეკა მაგიდას უსხდნენ. ვანო დილით მომხდარი ჩხუბის ამბავს მოუყვა მეზობელს და იქვე აუხსნა:

— დასჯა არ შეიძლება! თუ ნდობა დაკარგეთ, ბიჭი ფარულ ცხოვრებას დაიწყებს. ასე კი საქმე უფრო გართულდება.

— რა ვქნა, მოჭიდავე ვარ, ფსიქოლოგი ხო არა?!

— მისთვის სასურველი საქმით უნდა დავტვირთოთ.

— ფეხბურთი უყვარს.

— კარგია. ფეხბურთით სცადე მისი „აყვანა-ორგანიზება“!

— როგორ?

— მოსთხოვე, რომ უკეთ ითამაშოს და უფრო მეტად დატვირთე!

— ხატვაზეც დადის, — შენიშნა ეკამ კაცებს.

— კარგია. ცოტა დრო ექნება, ცოტას იჩხუბებს.

— თუ არ დაიშალა?

— კრივზე მიიყვანეთ! სპორტი ჩხუბი არ არის. წესია მთავარი. ახლა თუ ორგანიზებული არ გახდა, მერე გაუჭირდება ცხოვრება.

— იქნებ დასაწყნარებელი წამლები მივაშველოთ? — იკითხა ეკამ.

— ო,ეგ არა! ის ახლა ინტენსიურად იზრდება და რა მოჰყვება ასეთ ჩარევას, კაცმა არ იცის!

— რა გამოსავალია მაშინ?

— მარტივი და რთული.

— რა?

— პირველი — მამამ შვილის ნდობა უნდა მოიპოვოს, და მეორე — ბიჭი საკუთარი ინტერესების მიხედვით უნდა დაიტვირთოს. დანარჩენი თანდათან გაირკვევა. მეზობელი ვარ და ადვილია ჩემი ნახვა.

— კარგი.

— აბა, ნახვამდის და, ჩხუბის ამბავი რომ იცით, ნუ იტყვით!

— ასე იყოს! — დაეთანხმა ექიმს გიგი და ეკაც. სტუმარი წავიდა.

ბათომ ნახატი კედელზე მიაკრა. დიდი და პატარა თამრიკო ერთმანეთს შეადარა და დაიბნა. ხატვა უფრო ადვილია, ვინემ ქალის გარჩევა, — იაზრა და სარკეში ჩაიხედა. მგონი, ორივე მიყვარს, — უთხრა თავის ანარეკლს. შერცხვა და კითხვების კორიანტელი დაუტრიალდა გონებაში.

IX თავი

ფეხბურთი ითამაშეს და კიბეზე ასვლისას ბიჭმა წამოიძახა:

— მართლა, მამა, დავალება მაქვს!

— თქვი!

— ოსტატმა, მოლბერტი პალიტრა ქაღალდი, ფანქარი და საღებავი იყიდეო.

— რა თანხა სჭირდება შენი წარმოების შექმნას?

— ასი დოლარი მომე და თუ რამე დარჩა, უკან მოგიტან!

— კარგი, ბატონო, რადგან ასეთი ნიჭიერი ხარ!

— ნიჭიერი?

— ფეხბურთი, ხატვა... მრავალმხრივ განვითარებული შვილი მეზრდები!..

— ცოტა მაცადე და შეიძლება ჭადრაკის თამაშიც დავიწყო.

— გინდა, გასწავლი?

— არა, ისე, ვიხუმრე!

მამა-შვილი ბინაში შევიდა. ოფლი ჩამოირეცხეს, ისაუზმეს და ბათომ ფული ითხოვა.

— სწავლა? — იკითხა თეამ.

— ოსტატის დავალებას ვასრულებ!

— მამისას?..

— ვიმეცადინებ.

გიგიმ ფული მისცა შვილს. ბათომ ჩაიცვა და ხატვის გაკვეთილზე გასწია. ამჯერად დროზე ადრე მივიდა სახელოსნოში.

— რაც გითხარი, იყიდე? — იკითხა ოსტატმა.

— არ ვიცი, სად იყიდება?

— რუსთაველის პარალელურ ქუჩაზე, ქვევით. ახლა კი ცოტა რთული დავალება უნდა მოგცე!

— გისმენთ!

— ხედავ ქალის ქანდაკებას?

— დიახ, — გაიცინა ბათომ და შიშველი ქალის ყველა ნაკვთი აღიქვა.

— დახატე!

ბათომ ხატვა დაიწყო. დანარჩენი ბავშვებიც მოვიდნენ და ყველამ ცალ-ცალკე მიიღო დავალება. ხატავდნენ და ოსტატი უსწორებდათ. ორი საათი მალე გავიდა. ლევანმა ყველა ნახატი ჩაიბარა. ბათოს ნახატს დიდხან უყურა და დაბეჯითებით უთხრა:

— რაც გითხარი, იყიდე და შინ ხატე, ბევრი ხატე! რაც შეიძლება მეტი და მეტი!

— კარგი! — თქვა ბიჭმა და ამხანაგებს დაეწია.

— მოლბერტი და რაღაცები მაყიდინეთ, რა!

— მე გაჩუქებ, — უთხრა თამრიკომ.

— ეს როგორ

— ბევრი მაქვს.

— რატომ?

— დედ-მამა მხატვარი მყავს. ბაბუაც მხატვარი იყო და ასე მეც ამ პროფესიას ვსწავლობ.

ბათო თამრიკოს გაჰყვა. ბავშვები სასეირნოდ წავიდნენ. ნუცუბიძის პლატოზე ავიდა გოგო-ბიჭი. მხატვართა დასახლება ჯერ კიდე კომუნისტების დროიდან გაშენდა, მაგრამ ყველა სახლი ერთიმეორის ზუსტი ასლი იყო. არ მოეწონა ეს ბათოს. თავისი უბნის ერთგვარი სახე და სიმახინჯეც გაიხსენა. ბინაში შევიდნენ და ღიმილით შეხვდა ბიჭს ხნიერი ქალი.

— მოდით! — მიიწვია დიასახლისმა ბავშვები და თამრიკო და ბათო სახელოსნოში შევიდნენ. უამრავი ნახატი თუ ესკიზი ეკიდა კედელზე, ძველი თუ ახალი.

— შენი მშობლები სად არიან?

— კანადაში, შეკვეთა აქვთ აღებული.

— ბაბუა?

— გარდაიცვალა.

ბებიამ მცირე სუფრა გააწყო ტაბლაზე და ბავშვები ნამცხვრის გემომ შეიქცია. ყავა დალიეს და თამრიკომ მუსიკა ჩართო. უცხო იყო ბიჭისთვის ეს მელოდია.

— ვინ მღერის?

— ლუი ამსტრონგი.

— არ გამიგონია.

— ძველია. ბაბუაჩემს უყვარდა და მეც მომწონს. თუ გინდა, სხვა რამეს მოგასმენინებ!

— არა, იყოს.

— ისე, ხატვის წინ განწყობისთვის მოცარტის მოსმენა სჯობია.

— ჩემს დას წიგნები უყვარს და სხვა მუსიკას უსმენს.

— შენ?

— იმავეს, რასაც ის.

— მაინც?

— კლაასტი, ტერნერი, ქანთრი...

— პოპმუსიკა კარგია, მაგრამ ხატვისთვის რომ განეწყო, კლასიკურ მუსიკას უნდა მოუსმინო, — თქვა გოგომ და ახალი დისკი გამოიტანა. მოცარტი ჩართო და ბათომ ყური უგდო. ჯერ ზედმეტად მდორე ეჩვენა მელოდია, მერე სიმშვიდე იგრძნო და ბოლოში რაღაც უცხო ამოიზარდა მის სულში. მუსიკა შეწყდა და ახლა შეამჩნია ბიჭმა, თამრიკოს თითქოს ეძინა სავარძელში.

ლამაზია, — გაიფიქრა და გოგომ თვალი გაახილა. ახლა ის ხატულა თოჯინას ჰგავდა.

— მოგწონს?

— კი.

— ხატვის წინ მოცარტს ვუსმენ.

— ნახატი მაჩვენე!

— არა.

— რატომ?

— შინაგამოფენა უნდა მოვაწყო და ამიტომ ნახატები ჯერ საიდუმლოა.

ბიჭმა გოგოს შეხედა და გულში გაიფიქრა, შენს სილამაზეს როგორღა დამალავ?!

რაღაც იგრძნო თამრიკომ და ფეხზე ადგა.

— ახლავე, — თქვა და კედელთან მდგარი სკივრი გახსნა. მოლბერტი, პალიტრა, ქაღალდი, საღებავი, ფუნჯი, ფანქრის ყუთი ამოიღო და ყველაფერი მაგიდაზე დაანყო. სტუმარს კი უთხრა:

— აქ შვიდი ფერია. მაგრამ რამდენი მხატვარიც არის, იმდენი სხვადასხვა ფერი ჩნდება. თუ კიდევ დაგჭირდეს რამე, მითხარი!

არ უნდოდა ბათოს წასვლა. ფეხათრევით ადგა, მადლობა თქვა, ნაჩუქარი ნივთები აიღო და კარისკენ წავიდა. ეზოში ჩაჰყვა და ჭიშკრამდე გააცილა გოგომ სტუმარი. უხმოდ გავიდა ბიჭი ეზოდან.

— ნახვამდის ვინ უნდა თქვას? — იკითხა თამრიკომ.

ბათო მიუბრუნდა, ერთხანს ჭრელ თვალებში უყურა და უცებ ტუჩებში აკოცა. თამრიკო აიმრიზა, თავი შეიკავა და მკაცრი ტონით ჰკითხა:

— „ც“, რამდენი წლისა ხარ?

— ცამეტის.

— მე — თექვსმეტის, — გაიღიმა და შეგონება დაამატა, — ჭკვიანად იყავი, ბათო- „ც“!

მასზე მაღალი იყო თამრიკო. მხოლოდ ახლა შეამჩნია ეს ბათომ. არა უთქვამს რა, ისე გაშორდა სულთამხუთავ განცდას თუ ლამაზ გოგოს.

პლატო ჩაიარა და ქუჩაზე გასული ავტობუსს გაჰყვა. ბაგეზე მარწყვის გემო ჰქონდა და გულში — წყენა. მზერა აერია და ფიქრში გაატარა მთელი გზა. ავტუბუსში იჯდა და თამრიკოს ხედავდა. შინ დაბრუნდა.

— რატომ დაიგვიანე? — იკითხა თეამ.

— მაცადე! — თქვა ბიჭმა და თავის ოთახში შევიდა. სავარძელში ჩაჯდა და სიჩუმეს უგდო ყური. კარგა ხანს იჯდა ასე. ხან კოცნას იხსენებდა და ხან „ბიჭი-ც“ ესმოდა ყურში... „შვიდი ფერია, მაგრამ რამდენი მხატვარიც არის, იმდენი ახალი შეხამება ჩნდება ტილოზე“, — გაიხსენა ნათქვამი და ახლა მიხვდა, ნაჩუქარი ნივთები ხელში ეჭირა და ისე იჯდა სავარძელში.

უნდა დავხატო, — გაიფიქრა და ფეხზე ადგა. მოლბერტი ააწყო და ქაღალდი გააკრა. პალიტრაზე ფერები დაიტანა და ჭიქაში წყალი მოიმზადა. ფუნჯი დაასველა და ხატვა დაიწყო.

მწვანე, წითელი და... ასე შვიდი ფერი დაიტანა პალიტრაზე. ფერი ფერს შეურია და ნარევ ფერთაგან ხორბლისფერი არჩია. ჯერ სახე დახატა. ლურჯი ფერი ჭრელად აქცია და თვალები გამოკვეთა. ვარდისფერი წითლად გაამუქა და ტუჩები ააელვარა. თმა წაბლისფერში გახვია და რაღაც დააკლდა. უკან გაიწია, სურათს შეხედა და ვერ მიხვდა, რა აკლდა. ის ცოცხალია, — გაიფიქრა და სურათს ეჭვით შეხედა. თეა შემოვიდა ოთახში და სწავლა შეახსენა.

— მაცადე რა! — ითხოვა ბიჭმა და დის დანახვაზე იაზრა, მარტო სახე იყო ქაღალდზე. თეა ახლოს მივიდა, ნახატს დახედა და ძმას უთხრა:

— თუ გინდა, რომ საწადელს მიაღწიო, ნუ აჩვენებ, რომ გიყვარს, თორემ გაგაწვალებს და ისე გაერთობა. ახლა კი იმეცადინე! არც თავი დაიჩაგრო და ნურც მამას აწყენინებ!

ბიჭმა დაღლა იგრძნო და თავისდაუნებურად დას დაემორჩილა, მისაღებ ოთახში გავიდა და მაგიდას მიუჯდა.

— დღეს გურამ პეტრიაშვილის პატარა დინოზავრი უნდა გავარჩიოთ! — თქვა თეამ და ბათო უცებ ახარხარდა.

— რა გაცინებს? — იკითხა თეამ.

ბიჭი კი იცინოდა და ძლივს ლუღლუღებდა: პ ა ა ტ ა რ ა ა დ დ ი ნ ო... ა ჰ ა ჰ ა ...

X თავი

სახელოსნოში ღიმილით შეხვდა ოსტატი შეგირდს.

— იყიდე, რაც გითხარი? — იკითხა ლევანმა.

— თამრიკომ მაჩუქა.

— კარგი გოგოა თამრიკო, — თქვა ოსტატმა და იქვე შეგონებით დაამატა, — დღეს რთული დღე გექნება!

— რატო?

— ნიმუშის გარეშე უნდა ხატო.

— რა?

— ეს შენ უნდა მოიფიქრო!

— ცოტა მიკარნახე.

— პირობითად გეტყვი!

— გისმენთ!

— მინუსსა და პლუსს შორის ნულია. მინუს-პლუსი, ვთქვათ, პირობითი გოგო-ბიჭია, ნული კი — სარკე. უყვარს თუ არა ამ გოგო-ბიჭს ერთიმეორე? როგორია ამ სიყვარულის ანარეკლი სარკეში და მისი ისტორია, შენ უნდა ამოიცნო. ოღონდ, იაზროვნე ხატვით და ნუ შეიბოჭები, შენი განწყობილება თავისუფლად გადმოეცი!

ბათო გაწითლდა.

ოსტატს გაეცინა და მოკლედ დაამთავრა სათქმელი:

— უმთავრესს თვითონ იპოვი, სხვისი კარნახი არ გჭირდება! იაზროვნე და ხატე თვითონ. ისე, როგორც ეს თქვა გალამ: „მაქვს მკერდს მიდებული ქნარი, როგორც მინდა“...

— გალა?

— რა, არ იცი?..

გალა გალაკტიონია, — იაზრა თუ გაიხსენა ბიჭმა და მოლბერტთან დაჯდა. ჯგუფი შეიკრიბა. ერთანეთს მიესალმნენ. ცივი მზერა ჰქონდა თამრიკოს და ვერ შეამჩნია მის წინ მყოფი ბათო.

ბიჭმა ფიქრი დაიწყო: ბიჭი, გოგო, სარკე, სიყვარული, სურათი, ქნარი... თამრიკოს გახედა, მოცარტი გაახსენდა. გაეცინა და თავი შეიკავა. თამრო ხელში ქნარით. პარიკიც უპოვა გოგოს და მის სახეს მოარგო. ფანქარს გაჰყვა და გარემოს გაეთიშა. როგორ გავიდა ორი საათი, არ გაუგია. მხოლოდ ოსტატის ხმაზე გამოერკვა.

— დროა, — ეძახდა ლევანი და უღიმოდა.

ბათომ დაუმთავრებელ ნახატს დახედა და ოსტატს მიუტანა. კარგა ხანს უყურა მხატვარმა შეგირდის ნაშრომს. მიხვდა, ვინ იყო ნახატზე და ქნარის წარმოშობის ამოხსნაც არ გასჭირვებია.

მოკლედ გაკრეჭილ თმაზე ხელი გადაისვა, თითებით გაუპარსავ სახესაც ჩამოყვა და შეგირდს უთხრა:

— ნიჭიერი კაცი ადვილად იღუპება. ასეთ კაცს მეტი შრომა სჭირდება, ვინემ საშუალო გაქანების ხელოსანს. თუ იფიქრებ, კარგია!

— ვფიქრობ.

— მისმინე! სახლში ახალი ნახატი დახატე და ეს დაივიწყე!

— კარგი!

— უმთავრესი არჩევანია. კარგს იზამ, თუ ხატვით ფიქრს ისწავლი. არ ვმალავ, ნიჭი გაქვს. ახლა კი წადი!

ბათო გარეთ გავიდა, ქუჩაში არავინ დახვედრია. რუსთაველზე ჩაირბინა და არც აქ იყო არც თამრიკო და არც სხვა ვინმე. ეწყინა და შინ წავიდა. თავის ოთახში შევიდა და ნერვებაშლილსა თუ დაღლილს სავარძელში ჩაეძინა.

კარზე ზარი დაირეკა და გია რურუა ესტუმრა დეიდაშვილს.

— კაი გამარჯობა თქვენი! — როხროხებდა მაღალი ქერა კაცი, — რავა ხარ, დაიკო ეკა! — ეკითხებოდა დეიდაშვილს და იქვე სიძის ამბავს კითხულობდა, — ა, ხო არ დაბერდა ჩემი კუნთმაგარი სიძე? — იცინოდა გია და ცოლქმარი თვითონ შერეკა მისაღებ ოთახში.

— რა ხდება? ამდენხანს რატომ არ ჩანდი? — ეკითხებოდა ნათესავს გიგი და სტუმარი ისევ სიცილით პასუხობდა:

— ამ გაჭირებულ ქვეყანაზე თუ გიყვარს კაცი, იშვიათად უნდა ესტუმრო.

— რატომ, შე კაცო! — აღშფოთდა გიგი და ცოლს ანიშნა. ისიც მიხვდა და წამში გაიშალა სუფრა. მაგიდას მიუსხდნენ და გიამ იკითხა:

— კარგით დავიწყო, თუ ძალიან კარგით?

ცოლ-ქმარს გაეცინა.

— როგორც გინდა.

— ლევანმა მითხრა, ოცი წელია ბავშვებს ვამზადებ და ბათოსნაირი ჯერ არ შემხვედრია, სემესტრის მასალა ოთხ გაკვეთილში გაიარა, პირველკურსელის დავალებაც მივეცი და ათ ქულაზე შეასრულაო.

— ესე იგი, ნიჭიერია!

— იმ კაცმა თქვა და... თუ ნიჭის მკვლელები არ გინდათ რომ გახდეთ, ბავშვმა ნიკოლაძეში უნდა ისწავლოსო.

— საშემოდგომო გამოჰყვა ქართულ ენაში.

— ხდება ხოლმე. გამონაკლისს უშვებენ.

— რატომ? ბიძის გამო?

— ბიძის კი არა, ნიჭის გამო!

— სკოლაში მაინც ვერ სწავლობს.

— ხატვის ნიჭი აქვს და ამიტომ სხვა რამის სწავლა უჭირს.

— არ ვიცი.

— ლევანმა იცის.

— ახლა დავლიოთ. მიყვარს გემრიელი სამხარი და თეთრი ღვინო.

— გაგვიმარჯოს! — თქვა ოჯახის უფროსმა და სამხარიც დაიწყო.

ბათოს ხმაურზე გაეღვიძა და მიხვდა, ვინ იყო ოჯახის სტუმარი. გია უყვარდა, მაგრამ სუფრასთან ჯდომა არ უნდოდა და ოთახში დარჩა. ერთხანს სიბნელეს უყურა. მობეზრდა ასე ყოფნა. სინათლე აანთო და თამრიკოს სურათს შეხედა. უცებ მოუარა, რვეული და ფანქარი აიღო და ლექსის წერა იწყო.

ხატი შენი სახის —
ცა ლურჯ მელანს მისხამს.
კალამს ვანდე გული,
ვსახე მზე ქალისა,
თამარ, ისე გეძებ,
მგონი, ვკარგე ხსნის გზა...
თამარ, ვარდსა ჰგავხარ,
ხატი ამ კალმისა.

მოეწონა ბიჭს ლექსი და ტელეფონთან მისულს გაახსენდა, თამრიკოს ნომერი არ იცოდა. ფანჯარაში გაიხედა. ბნელოდა. როდის გათენდება? — იკითხა თავისთვის და ბოლთის ცემას მოჰყვა ოთახში. ჭიშკარზე დავუწერ ლექსს, — იაზრა და აინთო. ფუნჯი, საღებავი, წყლიანი ბოთლი ჩანთაში ჩააწყო და ბინიდან გავიდა. ავტობუსით ნუცუბიძის ქუჩაზე მივიდა, ფერდობი ფეხით აიარა, ნაცნობი სახლი იპოვა და ფანჯარაზე დაშვებულ ფარდაში სინათლეს ჰკითხა: რა იქნება, მანდ რომ ვიყო? — იკითხა თუ ინატრა ბიჭმა და ჭიშკარის ფრთაზე ლექსი მიახატა.

— მიყვარხარ, თამუნია! — შესძახა ფანჯრის ფარდის მიღმა სინათლეს და სირბილით გაშორდა ჭიშკარსა თუ თავის ქმნილებას. შინ მისულმა ზარი დარეკა და კარი დედამ გაუღო. ქალი გაოგნდა:

— შენ, რა, შინ არ იყავი?

— კი.

— აბა!

— კარლსონი ვარ, ფანჯრიდან გავფრინდი და კარებიდან დავბრუნდი.

— კარგი, კარლსონ, ხვალ ვილაპარაკოთ! — თქვა ეკამ და ბათო შინ შევიდა.

XI თავი

დილით ისაუზმეს და ეკამ შვილს ჰკითხა:

— მხატვრის პროფესიაზე რას იტყვი?

— ინტერეს დიაად...

— არ გეხუმრები, ნიკოლაძეში სწავლას გთავაზობს გია.

— რურუა?

— სხვას ვის იცნობ, მხატვარს?

— ლევანს.
— აა, შენი ხატვის მასწავლებელია, არა?
— ბავშვები ოსტატს ეძახიან.
— მოგწონს ოსტატი და ხატვა?
— კი ბატენი სკვა!
— მე ქალი ვარ, პეტრა-კოჩი! ბატენი სკვა კაცია.
— მერე არ გინდა ულვაშები?
ეკას გაეცინა.
— იფიქრე! — უთხრა შვილს და სუფრა ააალაგა.
ოსტატზე ადრე მივიდა ბათო სახელოსნოში. კარში მდგარი შეგირდის დანახვა ლევანს გაეხარდა. ბიჭს გაუღიმა და სახელოსნოში შეუძღვა.
— რა მოიფიქრე? — იკითხა მან.
— ვისწავლი!
— გიას ხათრით თუ შენ თვითონ გინდა?
— მაქვს მკერდს მიდებული ქნარი, როგორც მინდა...
ოსტატს გაეცინა და ახალი ფრაგმენტი უთხრა გალაკტიონის ლექსიდან:
— „თავისუფლება სულს ისე მოსწყურდა,
ვით დაჭრილი ირმების გუნდს — წყარო ანკარა...“
ბათო დაფიქრდა.
— მოფიქრებული გაქვს, დღეს რა უნდა ხატო?
— არა!
— მაშ არა დახატე!
— არა როგორ დავხატო?
— იფიქრე, როგორი იქნებოდა არას სახე! არას რომ სახე ჰქონდეს...
ბათოს გაეცინა.
— არამ სიცილიც იცის.
იცინოდა ბიჭი და გრძნობდა, უყვარდა მას ეს თმახოტორა, ოდნავ წვერმოშვებული კაცი, სახელოსნო და, საერთოდ, ცხოვრება.
— დაიწყე! — უთხრა ოსტატმა და ბათო მოლბერტს მიუჯდა.
ხატვა დაიწყო და გოგო-ბიჭებიც მოვიდნენ — ლია, თემო, კახა, გუგა, თამრიკო, რომელიც ბიჭს არ მიესალმა. თავის ადგილზე დაჯდა და ხატვა დაიწყო. ერთ წამს შეყოვნდა ბათო, რაღაცას მიაგნო და ხატვას შეუდგა. ფურცლის შუაში პირღია კურდღელი დახატა. გაღიმებულ ორკბილას თვალებზე ცრემლი მიახატა, ფურცლის კუთხეში მელია დაასკუპა, სტაფილო ეჭირა ონავარ ცხოველს ბასრი კბილებით. ფონი ან გარემო არ დაუხატავს.
ნახატი პირველმა ჩააბარა ოსტატს და გვერდზე გადგა. ერთ წამს ნახატს უყურა პედაგოგმა, ბიჭთან საუბარი გაიხსენა და უთხრა: ანიმაციის ნიჭიც გქონია, ძმაო შენ! სხვების ნახატებიც ნახა. რაღაც მოიწონა და რაღაც დაიწუნა. შეგირდებს მეტი შრომა ურჩია და სახლებში გაუშვა.
გარეთ გავიდნენ თუ არა, ბათო თამრიკოს აედევნა. არ იმჩნევდა გოგო მას. ქუჩა ჩაიარეს და ბათომ გამოფენაზე წასვლა შესთავაზა ამხანაგებს. ყველა დაეთანხმა თამრიკოს გარდა. არც ის უთქვამს, რატომ არ უნდოდა გამოფენაზე წასვლა. ბათომ ამხანაგებს ბოდიში მოუხადა და თამრიკოს გაჰყვა.
— სად მიდიხარ?
— იქ, სადაც სხვის კარს არ დღაბნიან.
— ვერ გავიგე?..
— თუ მხატვარი ხარ, უნდა იცოდე. ზეთის საღებავით შეღებილ ლითონზე აკვარელი იდღაბნება. ეს ერთი, მეორე, თუ ლექსს წერ, გრამატიკა უნდა იცოდე და უმთავრესი!.. ბავშვები მიყვარს, ოღონდ თავის ადგილას... და რომ არ იწვალო, იცოდე, მე ლევანი მიყვარს!.. და თუ არ შემაწუხებ, მართლა კარგი ბავშვი იქნები!
— ის დიდია.
— შენ — პატარა.
— ის ოსტატია.
— შენ — შეგირდი.
— მეც ვიქნები დიდი ოსტატი.
— გაიზრდები და დიდი იქნები. ოსტატობა კი ნიჭის და შრომის ძნელად ასახსნელი ამოცანაა, — ასე თქვა ლევანმა და მეც მისი მჯერა.
— მე ამოვხსნი! — იყვირა ბათომ.
თამრიკო ავტობუსში ავიდა და ბიჭისკენ მოიხედა, მათი თვალები ერთმანეთს შეხვდა... ტრანსპორტი დაიძრა... ბიჭს ჯერ ნაცნობი პოეტური ფრაზა მოაგონდა: „მაქვს მკერდს მიდებული ქნარი, როგორც მინდა“...
და იქვე ფიქრი ამოთქვა:
თამრიკო მიყვარს...

ქალაქ ქუთაისის ადგილობრივი თვითმმართველობის, უშუალოდ ქალაქის საკრებულოს თავმჯდომარის **ამირან ხვადაგიანისა** და მერის **გიორგი თევდორაძის** ხელშეწყობითა და თანადგომით ქუთაისში ყოველწლიურად იმართება **„ფოტოკონკურსი ილო“**, რომელიც ცნობილი ფოტოხელოვანისა და გამორჩეული ქუთაისელის **ილო ხახიაშვილის** ხსოვნას ეძღვნება.
წელს მეოთხედ ჩატარდა ფოტოკონკურსი, რომელზეც ოცი ფოტოგრაფის 157 ნამაუშევარი იყო წარმოდგენილი. კომპეტენტურმა ჟიურიმ **გურამ წიბახაშვილის** თავმჯდომარეობით პირველი ადგილი და ფულადი პრემია მიაკუთვნა **ბაბუა ალუდაურს**, მეორე ადგილი — **ბექა ყურაშვილს**, III — **არჩილ გეგენავას**.
გამარჯვებულებს სიტყვით მიმართა ქალაქის მერმა **გიორგი თევდორაძემ**. მან აღნიშნა, რომ ქუთაისელებს ყოველთვის ახსოვდათ და ახსოვთ გამორჩეული ადამიანები. **ილო ხახიაშვილი** საოცარი ღირსებითა და კაცურკაცობით შემკული პიროვნება იყო. მომავალმა თაობებმა არ უნდა დაივიწყონ ისინი, იცხოვრონ ილოსავით და მათი სახელებიც გაბრწყინდება“. **გურამ წიბახაშვილმა** განაცხადა, რომ ჩვენშიც და უცხოეთშიც უამრავი ფოტოკონკურსი იმართება, **„ილო“** ერთ-ერთი გამორჩეულია მათ შორის, რომელსაც ალბათ სულ მალე საერთაშორისო რეზონანსიც მიეცემა.
გიზო თავაძემ ყურადღება გაამახვილა ილო ხახიაშვილის პიროვნებაზე. თქვა, რომ შარშან წიგნიც გამოვიდა მის შესახებ, რომელსაც ეპიგრაფად ასეთი სიტყვები ჰქონდა წამძღვარებული „იცხოვრე, დარჩი!“
გამარჯვებულები ფულად პრემიებსა და დიპლომებთან ერთად ილოს მცირე ზომის ქანდაკებით **„ოსკარი ილო“**-თაც დააჯილდოვეს.
პრემიების საზეიმო გადაცემას მუსიკალურად აფორმებდნენ თბილისიდან ამ დღისათვის საგანგებოდ მოწვეული ტყუპი დები **ნია** და **ანი სულხანიშვილები**.

ნაფა ვარდა კასიკევ�ს

ხმა 1. *სოჰრაია*
ჩვენ ხორცი გვესხა, სანამ ვიყავით.
დღეს თხელი ძვლები, თეთრ გარსაკრავით
გრძელი თმის ბეწვით გადავიფარეთ.
ნაქმარისაკენ დედაზარდლიან
სოფლის მოედნამდე დაწყობილან
ქვა ღორღიან ხელისგულებს მალავენ უკან.
ზიზღის მზერებით, ანგელოზებად გარდავისახეთ.
სოჰრაია, აი მე ვარ, ეს ხვეული, გრძელი თმით და
შავი კანით,
მოღალატე და დედობა წართმეული,
არას ვდარდობ -
უკანასკენლ წამსაც, როცა განვეშორე სულით სხეულს -
არას ვნანობ -
მართალი ვარ.
ჩემი ოთხი შვილით ვდგავარ მეუფის წინ.
ორი გოგო, ორიც ბიჭი. ოთხი ფრთა მაქვს,
სხეულს ვწონი -
თეთრი ძვლები მდინარის ქვეშ -
სული ზეცას.

- ცეცხლი რომ დაენთოთ შავ-შავი მორების
მოზიდეს ტყეები,
ბიჭებმა შავტუხა კლდე-ღრეზე,
საცალო ბილიკს გაუტიეს
პატარა გუდებით გამოზიდეს სიპი და წვერ
თლილი ნაშალი.
პატივი - პირველად მიუგდეს მამილოს,
თან სიტყვით. წყევლაა. სიკვდილი წინ და წინ,
წინდაწინ - ტკივილი განელდეს.
ჩვენ ვიცით. ერთმანეთს თვალებით ვუღიმით.
მადლობა.
და მერე შვილების აცდენილ ქვებს შორის
ცრემლები სისხლამდე,
წითელ ალისგან ალესილ
ხვატში გაწოლილა დედაზარდლიან.
სოფელი, რა
ენა გრძელია.

ღამე კი დუმილი.
მდინარის დუდუნი არავის ლოცვაა.
ალიონს, ტურების ხახაში დამდნარი,
მზეზე მზის სხივებად
ქვების ქვეშ ელავენ ეშვები -
ძვლებია.

სამი წლის, გრუზა თმით, მამილოს
ჩავყავარ ნაპირზე. თვალებში
ორი მუგუზალი მინთია -
ვანათებ.

ხმა 2. *ლია*
მე ვარ ლია.
ელამი და ხელმრუდე.
გამოვედი იოსების აქლემით.
მამის კერპებს საჯდომის
ქვეშ ვამყოფებ.
მე რაქელის შვილებს სიტყვით განვდევნი,
მოვიყვან და სხვა ქალს ვუყოფ სარეცელს,
ოღონდ, შვილი იოსების დაბადოს —
სატყუარას ღამ-ღამობით
ვაყლაპებ,
მწარე არის ეს ტყუილი,
ვაშაქრებ.

იოსები მწყემსად ედგა ცხრა წელი,
მამაჩემის საძოვრებზე ათას მგელს.
მე ვარ ლია,
ელამი და ხელმრუდი,
რაქელი კი ბავშვებს აჩენს
ბაგაში
ჩვილის ნაცვლად ძველ თოჯინებს ჩავუწვენ.

იოსები მწყემსად ედგა მამაჩემს.
ფარას მწყემსდა
ათ-თორმეტსაც წელიწადს,
რაქელს მართლაც უნაკლოს და შნოიანს
არ ეყოლა შვილი მასთან არც ერთი,
მე კი, ასე ელამი და ხელმრუდე,
იოსების ბავშვებს ვაჩენ ზედიზედ.
ყინვა-ყინულ, ტყე-ველებს
ქარივით რომ გასდებიხარ, იოსებ,
გაავდრდება,
აშრობ ხეებს დარდს და ნაღველს,
რაქელის.
ვკერპდები.

ხმა 3. *ესთერი*
თვლა ამერია, მზე მომდებია.
ამ საზაფხულო ჰარამხანაში
თვლემის წებოვან გარსში ვინთქმები.
ველის წვრილ, ათას დეკა-შროშანებს მოუფენიათ
ტანზე, ტერფებზე.
იუდეველთა ბებერ კერპების
ჩრდილი მგონია.

ბედუინები შემოდიან ობიანი უდაბნოს სუნით,
აქოთებული აქლემის ბეწვით, ავსებული ხალთა-კალთებით,
ჩვენ ვეძლევით მათ ნამზეურ ვნებას,
ისინი
გვსვამენ - მწყურვალებივით ეწაფებიან,
ჩვენი მიმჭკნარი მკერდის სიცივეს
და ჩვენც გვავსებენ, თავიაანთი ბერწი თესლით,
როგორც ქარში უნაყოფონი - გაიბნევიან.

შაჰი კი დადის, ქვეყანას უვლის,
ავხორცობა ერთ ადგილას არ დააყენებს,
სისხლი სწყურია.

იპყრობს ახლო და შუა მდინარეთს.
მინარეთს მოლა დააბოლებს, შუაღამიანს,
ეს მერამდენჯერ,
ყირავდება ჩვენი დარწეული დათლილი აკვნები,
ყრმები პირაღმა წვებიან წყებად,
სადილი მლაშდება,
ქვაბშივე რჩება.

რიგი გადაიწევს.
სხვა წელთაღრიცხვამდე.

ნინო სადღობელაშვილი

ოთხი კიდე და სამი მდინარე

ოდესღაც, ძალიან დიდი ხნის წინათ, ვიდრე სამყაროს ჯერაც დაბადებისდროინდელი ყიფლიბანდი არ აშრობოდა, მის ყოველ საგანსა თუ მოვლენაში ალბათ საერთო სული იდგა. ალბათ სწორედ ეს სული იძვროდა კაციდან ხეში, მთიდან – მდინარეში; ალბათ ადამიანი არასდროს ისე ძალიან არ ჰგვანებია ბუნებას, როგორც მაშინ, როცა იწყებდა.

აი, წარმოიდგინეთ, ადამიანზე ყვებოდი და, გეგონება, შენს წინ მდინარემ ჩაიარა, ან მთა გადაადგილდა, ან ბალახმა ნაზამთრალი მიწა მოიცვა..

ეს ყოველივე გემრიელი ფიქრია. გემრიელი ხსოვნაა, რაც დღეს, ამდენნანახ და ამდენგანცდილ ადამიანს შემორჩა.

და, რა კარგია, როცა ეს ფიქრი და ხსოვნა პოეზიად გარდაიცვლება ხოლმე. უფრო სწორად, ჯერ ვიღაცაში ბლომად დაგროვდება, მის ბედს და იერს ფერს შეუცვლის, ყველა სხვა საფიქრალ-საზრუნავზე მეტად მიეცემა და, პოეზიად აქცევს.

მერე, კითხულობ მას და, იხსენებ.. გიკვირს და იხსენებ.

ნატა ვარადა ჩემთვის ამ უხსოვარი ფიქრის პოეტია.

ხანდახან ძნელიცაა, გაიხსსენო, საიდან მოდიან მისი ეს შორეული, უცხო, პირველქმნილი მზით სავსე ხატები.

ნატას პოეზიაზე სასაუბროდ უფრო დიდი ენერგია და შინაგანი მზაობა მჭირდება, თუმცა მისმა ლექსმა „კათაკმეველთა“ ამ ისედაც გემრიელი ფიქრების საღერღელი უფრო ამიშალა და, სევდიანი სიხარულიც მომგვარა.

სევდიანი იმიტომ, რომ სიშორის განცდას ყოველთვის ახლავს მსუბუქი, უთქმელი ნაღველი. მონატრებასავითაა, ოღონდ ისეთი რამის მონატრებასავით, რომელიც ალბათ არც არასდროს გადაგხდენია, მაგრამ ყოველთვის შენში ცხოვრობდა... სიხარული კი იმიტომ, რომ დღეს, ჩემს გვერდით, ამ ქალაქში, ამ ენაში ცხოვრობს პოეტი, რომელიც იხსენებს და წერს, და ხანდახან ისე ღრმაა ეს დაწერილი, ისეთი ძველი და სიძველით გამუდმივებული..

“კათაკმეველთა” ნახატივით ლექსია. სამი შენაკადი აქვს, სამი ქალის ისტორია: სოჰრაია, ლია და ესთერი. სახელებიდანაც ცხადია – საქმე ბიბლიურ ამბებთან გვაქვს. ლექსს ცოტა ზემოდან რომ დახედო, ასეც კი შეგიძლია დაინახო: სამი ქალი, როგორც სამი მდინარე: ტიგროსი, ნილოსი და ევფრატი. მით უფრო, რომ პოეზიაში, ანუ სამყაროს პირველსაწყის სუნთქვაში, ვინ გაყო ერთმანეთისგან ქალის და მდინარის სულები, ვინ დაანაწევრა!

მიედინებან, მიაგრიალებენ ყოველი ქალისთვის ნაცნობ ტკივილებს, ვნებებს, სიკვდილს და თავგანწირულ სიყვარულს. “კათაკმეველთა” მკაფიოდ მდედრული საწყისის ლექსია, აქ ქალს “კაცში” ანუ ადამის ძეში ვერ განაზოგადებ. აქ ქალი ინდივიდუალური სტიქიაა, მარტოსული მოვლენაა, რომელმაც ნახა, ივნო და შეიყვარა. რომელმაც თავისი აქტიური მედინობით სიცოცხლე დღემდე მოიტანა.

აი, სოჰრაია: **„უკანასკნელ წამსაც, როცა განვეშორე სულით სხეულს – არას ვნანობ, მართალი ვარ“.**

საკუთარ სიმართლეში არიან დარწმუნებულნი ლიაც და ესთერიც. მიუხედავად შეცოდებებისა, ვნებებისა, თვითმკვლელობისა, ღალატისა – ისინი მართლები არიან უზენაესი ღმერთის – სიყვარულის წინაშე.

ვინ არის სოჰრაია? – მოღალატე, დედობაწართმეული ქალი, რომელმაც შვილებთან ერთად მდინარეს მისცა თავი; ლია – ელამი და ხელმრუდე, რაქელის მოსამსახურე და ათასი მავნებლობით სავსე, თუმცა – ნაყოფიერი. რაქელის ბერწობის გამომსყიდველი. **„რაქელს მართლაც უნაკლოს და შნოიანს არ ეყოლა შვილი მასთან არც ერთი, მე კი, ასე ელამი და ხელმრუდე, იოსების ბავშვებს ვაჩენ ზედიზედ“.**

ლია ნამდვილი, სრულყოფილი ქალია, რომელმაც თავის პატრონს ნაყოფიერებით აჯობა. სხვას მისგან არც არაფერს მოითხოვდნენ... ესთერი კი – სილამაზით განთქმული დედოფალი, რომელმაც ეს სილამაზე თავის ხალხს, სამშობლოს შესწირა მსხვერპლად. დიდია მისი შინაგანი ტრაგიზმი: **„ბედუინები შემოდიან ობიანი უდაბნოს სუნით, აქოთებული აქლემის ბეწვით, ავსებული ხალთა-კალთებით, ჩვენ ვეძლევით მათ ნამზეურ ვნებას, ისინი გვსვამენ - მწყურვალებივით ეწაფებიან, ჩვენი მიმჭკნარი მკერდის სიცივეს და ჩვენც გვავსებენ, თავიაანთი ბერწი თესლით, როგორც ქარში უნაყოფონი — გაიბნევიან“.**

უსიყვარულოდ ათას მამრს უნდა გაეყოს, რათა ერთი, ყველაზე ძვირფასი სარეცელი – სამშობლო — შებილწვას გადაარჩინოს...

სამივე ქალის ტკივილი მარადიულია. მთლიანად ლექსიც ისეთ დინამიურ რიტმშია დაწერილი, ისეთი ჯავრითაა ამოთქმული, რომ მკაფიოდ გრძნობ: პოეტიც ამ ტკივილების მემკვიდრეა. ეს ქალები ჩვენი თანამედროვენი არიან. უბრალოდ, ხანდახან ტკივილებს აი ასე, ლექსებით ვაყუჩებთ.

“კათაკმეველი” მოუნათლავს ნიშნავს და, როცა ლექსის სათაურზე ვფიქრობდი, მენიშნა, რომ სამივე ქალის ისტორია ქრისტეშობამდე, ძველი აღთქმის წიაღში ვითარდება. ქრისტე კი ის სამანია, რომლის აქეთაც ნათლობა, ანუ სულიწმიდის მადლს ზიარება, უპირველესი აქტია ადამიანის სულიერ ცხოვრებაში. ძველი აღთქმა მთლიანად კათაკმეველთა “საცხოვრისია”. სულიწმინდა კი, ის ერთი დიდი სულია, რომელზეც თავშივე ვამბობდი – პირველქმნილი სამყაროს საგნებსა და მოვლენებს შორის განფენილი, კაცსა და მთას, წყალსა და მიწას შორის მოარული. ალბათ სწორედ ამიტომაა, ამ ქალებშიც ბიბლიური მდინარეების სული რომ დგას, მათი განფენა კი, სამყაროს ოთხივე კიდეში, ქალური საწყისის აქტივობაზე მეტყველებს. სიცოცხლე მიაქვს, სიცოცხლეს მიედინება.

სამი შენაკადი და ოთხი კიდე. ისე, ამ ხატებში სამოთხეც გაილანდა.. უფრო სწორად, დიდი ადამიანური ოცნება სამოთხეზე...

ნატა ვარადას ლექსის სამი პერსონაჟიც “მოუნათლავი” დროის შვილები არიან, ოღონდ რწმენა და სიყვარული აქვთ ისეთი მძლავრი, ისეთი თავგანწირვაც შეუძლიათ, როგორც ეს ნამდვილ მორწმუნეებს შეჰფერის.

ნატას პოეზიაც ამ ენერგიის მატარებელია – რწმენა და სიყვარული, თავგანწირვა, თვითდაკვირვება. ეს ყველაფერი კი უცხო, უფრო სწორად, უხსოვარ სივრცეში გამოხატული და ადამიანური განცდების სიღრმიდან დაძრული.

მთავარი მაინც ის არის, რომ მთლიანობა აღდგენილია. კაცსა და სამყაროს, ანუ ადამიანსა და ღმერთს შორის მთლიანობა.

სულ რამდენიმე სტრიქონი, რითაც ავტორის წარდგენა ხდება მკითხველის წინაშე, ისე შეითვისა ჩვენმა ჟურნალმა, რომ უიმისოდ თითქოს წარმოუდგენელიც კია. რა თქმა უნდა, თვით პოეზიისა და პროზის ნიმუშებს ამით არც არაფერი ემატება და არც არაფერი აკლდება, მაგრამ მის გარეშე ერთი უცნაური განცდა მაინც ჩნდება: თითქოს შორეულ მოგზაურობაში მიმავალ კაცს გზა არ დაულოცეს...

ბუნებრივია, რომ მეტ-ნაკლებად არათანაბარია პოეზიის რუბრიკით წარმოდგენილი მასალები, მაგრამ როცა რედაქციაში სევარიონ ნადირაძის ლექსები ჩნდება, უკვე იცი, რომ მკითხველი ნამდვილი პოეზიით გაიხარებს.

სევარიონ ნადირაძე უაღრესად ბუნებრივად, ორგანულად ფლობს ბიბლიურ სიბრძნეს — ამ მზისქვეშეთში არაფერია ახალი, ყველაფერი გამოცდილი და გადატანილია. ნიჭიერებასთან ერთად იქნებ ესეცაა იმის მიზეზი, რომ დღევანდელ პუბლიკაციაშიც იშვიათი მხატვრული სიძლიერით იხატება, როგორც წარმავლობის არსი („ვითვლი ნაბიჯებს"), ისე იმედისა და გადარჩენისა („სიმონ კრიხელს").

სევარიონ ნადირაძე

ფოლკლორულ ანსამბლ „წინანდალს"

მე რომ მეგონა,მორჩა, გათავდა,
ამოიწრიტა,ვერ ამისრულდა!
წინანდალიდანამოთავთავდა,
ყვარლის მთებიდან ამომზისგულდა...

ვინ თქვა, ქართველი მტერთან დაზავდა?
ვინ თქვა, დაღალა ბრძოლამ ეგ გული?!
თქვენი ყელიდან ამოზანზარდა
ხმა წიწამურთან დაგუბებული...

* * *

ჯიბეში მიდევს მხოლოდ აბაზი,
სურვილი დამაქვს ხელისგულებით
და გაზაფხულის მწვანე კაბაზე
წვიმას გაებნა სამკაულები...

ისე მივდივარ ახლა ქუჩაში,
სულ არ მადარდებს ჭექა-ქუხილი,
ყოველ კვირტზე და ყოველ ბუდეზე
აფოფრილია მარტი კრუხივით...

* * *

ნუღა შემეკამათები,
ნურც ნაწვალებ სტრიქონს მიქებ,
კენჭებით და კამათლებით,
დღე ნისლებში ბილიკს იკვლევს...
სად გავექცე ახლა მდევრებს,
დღე მომელის, ვხედავ, მძიმე,
ლექსებს სული შევუბერე,
შურის ცეცხლი გავაღვივე!

ნაძვები

ერთმანეთისთვის იწვიან,
ოცნებები აქვთ ლამაზი,
ამ ნაძვს ათასი წიწვი აქვს,
ამ წიწვს ნატვრა აქვს ათასი...
კოცნასაც მოიპარავდა,
მაგრამ ტანზე რომ იხდიდა,
მზე მდინარეში გადახტა
ცისარტყელების ხიდიდან...

* * *

ეს სამახსოვროდ დარჩება, ვიცი,
ფარდას დასწევენ სუსტი ხელები,
და ზამთრის მწარე და ბოლო ქვითინს
შეუერთდება კაცის ხველება!

ეს სამახსოვროდ დარჩება რადგან,
განწირული ხარ ვხედავ, პოეტო,
და ვერ ჩააქრობ მოვარდნილ ხანძარს,
თუ სახლს მოედო, თუ გულს მოედო...

პოეტს

ნუ დაღონდები,
მეგობარო,
თუ არ გიმართლებს,
გაელვებაა
გესლიანი
ჟამის ციმციმი,
ბევრს არ მოსწონდა
უტიფარი
შენი სიმაღლე,
ბევრს აწუხებდი
მოუქნელი
შენი სიმძიმით.

შენს წინ,
იცოდე,
ეკლიანი,
დიდი მთებია,
ნუ გეშინია
თუ ჯიბგირთა
ბრბოშიც გაები,
თუ პოეტი ხარ
მძარცველები
გამოჩნდებიან,
არ დაგენანოს
საწყალთათვის
თითო ტაპი...

ვითვლი ნაბიჯებს

ვითვლი ნაბიჯებს
და ქარს ვატან
კალენდრის ფურცელს
და რადგან მთებიც
იზრდებიან თურმე მითიდან,
თუ გზა დავკარგე,
თუ ლაბირინთს
წავაწყდი უცებ,
მეც ქარს გავყვები,
ის გამიყვანს
ლაბირინთიდან.

მატარებელი
მწუხარე დღის
მიყვება ამბავს,
ბეჭებზე მთები
დასწოლია ვით
პირამიდა,
ერთი გვირაბიც
საბოლოო იქნება ალბათ
და სხვა ცხოვრებას
დავინახავთ
იმ გვირაბიდან...

ძველი სალუდე

ახლა ლოთს ერთი
გროშიც არ უდევს,
ცხელა, საშველი
თითქოს არ არის...
და იღლიაში
ბებერ სალუდეს
ამოუჩრია
ხმელი ტარანი...

ახლა თამაშში
ისე გაები
და დაგამარცხეს
ისე მარტივად,
ყველა სიტყვა და
ყველა ტაეპი
ამოგიცვივდა
თითქოს
კარტიდან...

მატარებელი
ქშინავს ოხერი
და როცა ზარით
ხვდება სადგურებს,
ხელში უჭირავთ
ყველა ჯოკერი,
ყვავის დამებს და
დამა აგურებს...

ახლა ლოთს ერთი
გროშიც არ უდევს,
ცხელა, საშველი
თითქოს არ არის...
და იღლიაში
ბებერ სალუდეს
ამოუჩრია
ხმელი ტარანი...

სიმონ კრიხელს

კეთილი გული
ძმობისკენ გიწევს,
ყველაფერს სწირავ
ღმერთს და მშვიდობას,
და საქართველოს
შეჰხარი ისე,
როგორც კურთხეულ
ნოეს კიდობანს.

მჯერა უფალი
ჩვენც შეგვიბრალებს,
ცაზე ანთია
მოსეს ღიმილი
და ვხვდები ახლა
ნამდვილ ებრაელს
გული რად უცემს
პილიგრიმივით...

* * *

აზრი არა აქვს გლოვას და ვიშვიშს,
აენთო ელვა, გავარდა მეხი,
და ყვითელ ფოთლებს
მივყვები მწკრივში,
რომ შემოდგომას ავუწყო ფეხი...

ეს შემოდგომა შვილებზე ღელავს,
ტანზეც მარხულის ჯვალო აცვია,
და მოწყვეტილი ფოთოლი ყველა
ომში წასული ჯარისკაცია...

* * *

აქ იფარავენ
ნიღბებით სახეს,
რადგან ცახესი
ტაშს უკრავს ცახესს!

ტალახში სვრიან
ღირსებას,სახელს,
რადგან ცახესი
ხელებს ბანს ცახესს...

მაღალს და ძლიერს
უგებენ მახეს,
რადგან ცახესი
აღმერთებს ცახესს!!!

იოსეგი

ხანდახან ტყესაც შეაჟრიალებს,
ძნა წამოიწევს ხოლმე ძნებიდან
და ნაპურალში ისევ შრიალებს
სიზმარი წმინდა იოსებისა...

წუთისოფელი ვის არ გამოცდის,
ძმებს ხომ ღვიძლი ძმა განუძარცვიათ,
და იოსების ჭრელი სამოსი
უდაბნოს ცოდვილ ტანზე აცვია...

ძმა მოგადგება ერთხელაც ურმით,
საწუთრო თურმე ამისთანაა
და იოსების ნაკურთხი პური
ტაბლაზე უდევს დღესაც ქანაანს...

აბრაამი

გზა ღმერთის რწმენით არის ნალესი,
შვილიც აბრაამს მისდევს მთისაკენ,
და დღესაც ყველა ბავშვის თვალებში.
ღმერთის მოშიში ცელქობს ისაკი...

თბილისს ჩაესმის ლოცვა რაბინთა
და იფანტება დარდი ნისლივით
და დღესაც ყველა დედის ბაგიდან
გაოცებული სარა იცინის...

დავითი

მეფეო, ცრემლებად
გექცევა ქორწილი,
მსჯავრსა გდებს ნათანი,
მტკიცე და კეთილი
და ფსალმუნებიდან
გიყურებს მორჩილად
ერთგული თვალები
ურია ხეთელის...

მეფეო ოცნება
ზეცაში მიტაცებს,
წარსულზე ვფიქრობ და
სულ ასე მგონია,
დავითის შურდული
განგმირავს იმ წამსვე,
თუ გზაზე წავაწყდი
მრისხანე გოლიათს...

პაატა ჩხეიძე

დონოზო კორტესი — ესპანელი ტრადიციონალისტი

ადრეული ევროპელი პოლიტიკური მოაზროვნეებიდან მოყოლებული (ჰობსი, ლოკი, მონტესკიე), დღემდე ამოუხსნელ ამოცანად რჩება საკითხი ძალაუფლებისა, გამუდმებით რომ ისწრაფის ტირანიისა და აბსოლუტიზმისაკენ. მონტესკიე ძალაუფლების შეზღუდვის საჭიროებას ქადაგებდა, რადგან ადამიანის თავისუფლებისადმი მისწრაფებას ხედავდა, ხოლო თვით თავისუფლებას იმ სახელმწიფოში ეძიებდა, თვითონ რომ იცნობდა ან წარმოედგინა. იგი ცდილობდა გაეგო თუ როგორ შეიძლებოდა ტირანიის თავიდან არიდება მაშინ, როცა რესპუბლიკა დაეუფლებოდა ხელისუფლებას, ხოლო ხელისუფლება კი მარადიულ და აბსოლუტურ ძალაუფლებას ნიშნავდა. და როცა ჩავუფიქრდებით იმ ტრაგედიას, რაც, ენციკლოპედისტთა მიერ გადამუშავებულ-დახვეწილმა, თავისუფლების მონტესკიესეულმა გააზრებამ მოიტანა, ალბათ ევროპული ტრადიციონალიზმის ერთ საუკეთესო წარმომადგენელს, დონოზო კორტესს უნდა მივაკითხოთ.

ევროპული ლიბერალიზმი საფრანგეთის რევოლუციიდან ამოიფრქვა, როგორც პოლიტიკური აზროვნებისა და პრაქტიკის სისტემა; ლიბერალიზმმა — მცირეოდენი გამონაკლისებისა თუ ჩავარდნების მიუხედავად — მაინც განსაზღვრა XIX და XX საუკუნის პოლიტიკური ცხოვრება ევროპაში; პროგრესი რელიგიად გამოაცხადა, საზოგადოებრივ ცხოვრებაში სეკულარიზმი დანერგა, მთავრობის ფორმად კი პარტიულ სისტემაზე დაფუძნებული, მტკიცედ ცენტრალიზებული პარლამენტური დემოკრატია გამოაცხადა, რაც ძირითადად კომერციული და ინდუსტრიული ინტერესებით წარიმართებოდა. წინა საუკუნის იაკობინური ტრადიციიდან წარმოშობილი ლიბერალიზმი გაცილებით უფრო მოსახერხებელი გზა ჩანდა რევოლუციურ რეჟიმებთან შედარებით, მაგრამ უფრო ოლიგარქიული კი იყო, ვიდრე ეგალიტარიანული. და თუმცა უკეთესი ვერაფერი შესთავაზეს კაცობრიობას, ლიბერალები გადაჭრით უპირისპირდებოდნენ ყველანაირ რესტავრაციას, ხოლო ეკლესიისა და ტახტის უფლებათა აღდგენის გაგონებაც კი არ უნდოდათ.

მონტესკიე მსჯელობს ძალაუფლების დანაწილებაზე, მაგრამ მისი მსჯელობა აღწერილობითი უფროა და სავალდებულოდ არ აცხადებს ანალიტიკური განსჯის შედეგებს. ევროპელმა ლიბერალებმა კი დასაბუთებულად გამოაცხადეს ძალაუფლების დანაწილებისა და გაწონასწორების დოქტრინა მაჟორიტარული დემოკრატიისა, და სავალდებულოდ მი-

იჩნიეს ლიბერალური დემოკრატიისათვის. ამის შემდეგ ძალაუფლების დანაწილება გაუიგივდა თავისუფალ სახელმწიფოსა და ხელისუფლებას, და თუ გაბედავ და შეეწინააღმდეგები ამ სეკულარულ დოგმას მკრეხელად ჩაგთვლიან და მოგიკვეთენ. ძალაუფლების დანაწილების დოქტრინა შეიტანეს 1830 წლის საფრანგეთის კონსტიტუციაში, რომელმაც ხელი ვერ შეუშალა ნაპოლეონ III-ს, ნამდვილი დესპოტიზმი დაემყარებინა საფრანგეთში; ან რა უნდა ექნა, როცა ჯიშით და სისხლით ასე მოსდგამდა. აბა, როგორ უნდა აეტანა და აემოქმედებინა ინგლისელთა მიბაძვით შექმნილი კონსტიტუცია, იმ ინგლისელთა, ვინც მისი წინაპარი დაამხეს და განდევნეს.

დონოზო კორტესი

დონ ხუან დონოზო კორტესის ჯიში და მოდგმა სულ სხვა გახლდათ; ამიტომ მისი შეხედულებანი სრულიად საპირისპიროა და XIX საუკუნეში გაბატონებულ ლიბერალურ იდეათა კრიტიკას გვთავაზობს. ჩვენში უცნობია დონოზო კორტესის ცხოვრება და მოღვაწეობა და მის გასაცნობად გადადგმული მოკრძალებული ნაბიჯიც კი საგულისხმო უნდა იყოს.

როგორც ამბობენ, კორტესის თხზულებანი გამოირჩევა ღრმა ინტელექტითა და დახვეწილი სტილით, მაგრამ თუ ლიბერალურ ღირებულებებს მიჩვეული კაცი მის გაცნობას გადაწყვეტს, იმისათვის, რომ არ დაიბნეს და არ ეუცხოოს კორტესის არგუმენტები, წინასწარ უნდა იცოდეს, რომ საქმე ექნება არა ინგლისური ტიპის კონსერვატორთან, არამედ კონტრრევოლუციონერთან. ალბათ მაინც სჯობს, ევროპელების მსგავსად, ტრადიციონალისტი ვუწოდოთ და ზოგადად მოვხაზოთ ის საკითხები, რის გამოც კორტესი წერდა ან რასაც ემსახურებოდა.

კონკისტადორ ერნან კორტესის შთამომავალი, დონ ხუან დონოზო კორტესი, მარკიზ დე ვალდეგამასი, ესპანური პრაგმატიზმის საფუძვლების ერთ-ერთი ჩამყრელია; მხარს უჭერდა იზაბელ II-ის ლიბერალურ მონარქიას; დაუპირისპირდა დონ კარლოსს, როცა იგი ტახტზე პრეტენზიას აცხადებდა; გამოდიოდა მადრიდის რადიკალური ცენტრალიზმის წინააღმდეგ; ამდენად, მას თითქოსდა შეეძლო ლიბერალთა მხარეს გადახრილიყო, მაგრამ სწორედ მათ წინააღმდეგ გაილაშქრა მთელი სიმძაფრითა და სიმკაცრით. კორტესს მრავალი მტერი ჰყავდა, მაგრამ განსაკუთრებით მემარცხენეებს სძულდათ. პოლიტიკის თეორეტიკოსებს იგი დღემდე თეოლოგი ჰგონიათ, ხოლო თეოლოგებს — პოლიტიკის ფილოსოფოსი; პრაქტიკოსები თეორეტიკოსად მიიჩნევენ, აკადემიურ წრეებში კი პოლიტიკოსად იხსენიებენ; შესაძლოა იგი ერთიც იყო, მეორეც, მესამეც და მეოთხეც, მაგრამ თუ მისი მსოფლმხედველობის განსაზღვრას მოვინდომებთ, ერთი რამ არ უნდა დაგვავიწყდეს, იგი ყველანაირი რევოლუციის მტერი გახლდათ.

კორტესს საყვედურობდნენ, ეკლესიის ძალაუფლებისა და საერთოდ შუა საუკუნეობრივ ურთიერთობათა აღდგენას არათუ ასაბუთებს, არამედ ჩააგონებს კიდეც თავის მკითხველებსა და მიმდევრებსო. ამ ბრალდებას კორტესი არ გაურბოდა და დამაჯერებლად პასუხობდა: შუა საუკუნეებში ძალაუფლება დაფუძნებული იყო ქრისტიანი ერების საჯარო სამართლის პრინციპებზე, ხოლო თანამედროვე ევროპაში კი ძალაუფლება კათოლიკური ნორმებისაგან გაუცხოებულ აბსტრაქტულ თეორიებსა და კონცეფციებს ეფუძნება, რასაც შედეგად, არცთუ შორეულ მომავალში, ის მოჰყვება, რომ ძალაუფლებას ხელში წარმართული არსისა და სატანური ზიზილ-პიპილების მქონე დემაგოგია ჩაიგდებსო, ამბობდა კორტესი და ევროპელებს ძალაუფლების ბუნების საკუთარ თეორიას სთავაზობდა.

იგი ამტკიცებდა, რომ ღმერთმა კაცობრიობას დაუწესა უზენაესი კანონი ზნეობისა, რომლის მიხედვითაც, თვით ღმერთში არსებული ერთობა და მრავალფეროვნება უნდა ვეძიოთ ყოველ არსებაში. აქ იგი უთუოდ სამებასა და ერთარსებას გულისხმობს ქრისტიანული ღმერთისა. 1851 წელს გამოქვეყნებულ, გახმაურებულ ნაშრომში — "ესეი კათოლიციზმის, ლიბერალიზმისა და სოციალიზმის გამო" — კორტესი ითვალისწინებს და იზიარებს ეკლესიის მამათა ეპოქის სწავლებას, რასაც წლების შემდეგ ჯილბერტ კიტ ჩესტერტონი გამოეხმაურა თავისი ფუნდამენტური ნაშრომით "ორთოდოქსია".

ღმერთია შემოქმედი და წარმმართველი პოლიტიკური ცხოვრებისაც და ოჯახური ცხოვრებისაც. ზეცაში ყველაზე უმაღლეს და დაფარულ, ყველაზე მშვიდსა და გაცისკროვნებულ ადგილას გაშლილია კარავი, სადაც თვით ანგელოზთაც კი არ შეესვლებათ; იმ კარავში აღესრულება უდიადესი წირვა და საიდუმლო. არსებობს საყოველთაო ღმერთი, ერთი და სამსახოვანი; ერთიანობა, რომელიც განაფენს საკუთარ თავს მარადიულ მრავალფეროვნად და ამავე დროს შეაკავშირებს საკუთარ თავს მარადიულ ერთიანობაში, რადგან ის არის ერთი, ის არის ღმერთი და, რაკი ღმერთია, სრულყოფილიცაა, რაკი სრულყოფილია, ნაყოფიერია, რაკი ნაყოფიერია, მრავალფეროვანია და, რაკი მრავალფეროვანია, ოჯახია. თავის არსში მოიცავს შემოქმედების კანონთა შეუცთომელსა და მიუწვდომელ გზას. ყველაფერი შექმნილია მის ხატად და ამიტომ შემოქმედება ერთია და მრავალგვარი.

კანონი ერთიანობისა და მრავალფეროვნებისა, რასაც კორტესი ჭეშმარიტებად მიიჩნევს, მოქმედებს ოჯახში, სადაც ბავშვი, როგორც ერთი, იბადება მშობლებისაგან, როგორც მრავალგვარობისაგან; ეს აქტი წრიულად მეორდება და ჩვენ ვერ შევძლებთ ვამტკიცოთ, თუ რომელია პირველი — ერთიანობა თუ მრავალგვარობა. ამით კორტესი სავსებით ემიჯნება იმგვარ ინდივიდუალიზმს, რომელიც უარყოფს სოციალურ ურთიერთობათა არსებობას და აგრეთვე ჰეგელიანურ "ორგანიციზმს", რომელიც ინდივიდს განიხილავს ამოზრდილს საზოგადოებიდან, როგორც წინარეარსებული მთლიანობიდან. მრავალფეროვნებისა და ერთიანობის კორტესისეული კანონი შესაძლოა თომისტურ გავ-

ლენად მოგვეჩვენოს, მაგრამ, ნაკლებად უნდა ვივარაუდოთ წმინდა თომა აქვინელის გავლენა დონოზო კორტესზე, რადგან თომიზმის გავლენა ევროპელ კათოლიკეებში გაძლიერდა XIX საუკუნის ბოლოს, კორტესის სიკვდილის შემდეგ. გარდა ამისა, კორტესს სხვებისაგან გამოარჩევს იმის გააზრება, რომ თუ არსი მრავალგვარი არ იქნება, დასავლეთი იძულებული გახდება ისლამის მარტოხელა ღმერთი აღიაროს.

კორტესი მიიჩნევს, რომ ამ კანონში ყველამ უნდა დაინახოს იდუმალი, უმაღლესი მისტერია, თუ როგორ წარმოშობს მარადიულად ერთიანობა მრავალფეროვნებას და მრავალფეროვნება შეადგენს ერთიანობას (esei). ღმერთმა ამ კანონს დაუქვემდებარა როგორც ღვთაებრივი, ასევე ადამიანური არსი, და ამიტომ ეს არის ყველაზე ბრწყინვალე და ამოუცნობი ხილულსა და უხილავ კანონებს შორის. მაგრამ ეს არ გახლავთ მათემატიკური ფორმულა, რომელიც ყველა საგანსა და მოვლენას ერთგვარად ამოხსნის. მრავალფეროვნებისა და ერთიანობის კანონი საკმაოდ პარადოქსულია და საკუთარ თავს ექვემდებარება; არსით ერთია და განუსაზღვრელია თავისი გამოვლინებებით: ერთ შემთხვევაში ის ღმერთშია, მეორე შემთხვევაში ღვთისაგან შექმნილ კაცში; შემდეგ მას აღმოაჩენ ეკლესიაში, შემდეგ ოჯახში, მერე მთელ სამყაროში იპოვი, თვითეულ ნივთში, როგორც მთლიანობის ნაწილში; ის ხან უხილავი და მიუწვდომელი საიდუმლოა და ხანაც ხილული ფენომენი თუ ხელშესახები ფაქტი.

ეს კანონი გაუგებარი დარჩება ყოველი მკითხველისათვის, ვინც მოდერნისტული თვალით შეხედავს და რაციონალისტური ტრადიციის ქურაში გაატარებს. კორტესის კანონი მის მიერ შეთვისებული სამების ქრისტიანული დოქტრინის შედეგია და მხოლოდ რწმენით შეიძლება მიუდგე. ამიტომ კორტესი ავგუსტინესთან უფრო ახლოა, ვიდრე თომა აქვინელთან, რადგან მისი ეპისტემა თუ პოლიტიკური შემეცნება შემუშავებულია მისი განაზრებიდან ჭეშმარიტების გამო, რომელიც სცილდება ადამიანური გონების შესაძლებლობებს. ღვთის შესახებ ქრისტიანული სწავლება გაცილებით მეტ ცოდნას იძლევა, ვიდრე იმანენტური პოლიტიკური ფილოსოფია. ერთიანობისა და მრავალფეროვნების კანონი მოიცავს ყველაფერს, მაგრამ ჭეშმარიტება მიიწვდომება მხოლოდ დოგმატიკის შედეგად, როცა კი არ ხედავ, არამედ გწამს.

კორტესი ნეტარი ავგუსტინეს ტრადიციის — "მწამს რათა შევიცნო" — გზას მიჰყვება.

ამრიგად, თუკი ლიბერალურსა და რაციონალისტურ სამყაროს ერგვაროვნება და ერთხმოვანება მართავს, დონოზო კორტესის ტრადიციონალისტური, ქრისტიანული სამყარო ერთიანობისა და მრავალფეროვნების წესრიგს აღიარებს. ლიბერალურ საზოგადოებაში ძალაუფლება მბრძანებლობს, ქრისტიანულში იერარქიაა გამეფებული, რაც ურყევია და წმინდა; მათი თანაარსებობა უშუალო განხორციელებაა ღვთის ნებისა და უზრუნველყოფა ხალხის თავისუფლებისა. კორტესის აზრით, ჯანსაღი პოლიტიკა გულისხმობს ერთის მხრივ ძალაუფლების თავმოყრას ერთ ხელში და მეორე მხრივ იერარქიის არსებით მრავალგვარობას. ძალაუფლებისა და იერარქიის შეერთება აუცილებელი პირობაა ქრისტიანული პოლიტიკისა და სოციალური წესრიგისა.

დონოზო კორტესი განასხვავებს შუა საუკუნეებისა და აბსოლუტურ მონარქიებს. პირველში სწორად და სამართლიანადაა განაწილებული ძალაუფლება და იერარქია. ძალაუფლება ერთია, მარადიული და შეზღუდულიო, ამბობს კორტესი; ძალაუფლება მეფის ხელშია თავმოყრილი და მემკვიდრეობით გადადის მის ოჯახის წევრებზე; მაგრამ მისი ძალაუფლება შეზღუდულია და განონასწორებული ორგანიზებული იერარქიის ძალით. კორტესი მიიჩნევს, რომ უაზრობაა შუა საუკუნეთა დარბაზები და პარლამენტები სახალხო ძალაუფლების მიერ ჩამოყალიბებულად მივიჩნიოთ. როცა მონარქია არ იყო აბსოლუტური, მაგრამ ძლიერი გახლდათ, წარმომადგენლობითი კრებები ხელს უშლიდა ძალაუფლების უსაზღვროდ ზრდას. როცა მონარქია სუსტი იყო, კრებები ბრძოლის ველად იქცეოდა ხოლმე და საზოგადოებას ქაოსისაკენ მიაქანებდა. მისი აზრით, იმ ისტორიკოსებს, რომლებიც შუა საუკუნეთა წარმომადგელობით კრებებს თანამედროვე პარლამენტარიზმის წარმომშობად მიიჩნევენ, წარმოდგენა არ გააჩნიათ პარლამენტარ ხელისუფლებასა და მის საწყისებზე. ამრიგად, კორტესი ვერ ხედავს უწყვეტ კავშირს შუა საუკუნეთა ავტონომიურ პოლიტიკურ ინსტიტუტებსა და XIX საუკუნის ლიბერალურ პარლამენტურ სისტემას შორის. მერე რა, რომ აბსოლუტიზმის წინააღმდეგ მებრძოლნი, თავიანთი რევოლუციური მიზნების შესაბურად, ხშირად ახსენებდნენ შუა საუკუნეთა შეზღუდულ მმართველობას. თანამედროვე ცივილიზაცია იმიტომ დაქვეითდა ზნეობრივად, პოლიტიკურად და რელიგიურად, რომ აღარ დაემორჩილა ძალაუფლებასა და იერარქიას შორის არსებულ წონასწორობას.

აბსოლუტური მონარქია ინარჩუნებდა ერთიანობასა და მრავალგვარობას მეფის ძალაუფლებისა და დინასტიური ოჯახის საშუალებით. აბოლუტიზმმა დააშავა, როცა დათრგუნა კორპორატიული იერარქიების წინააღმდეგობანი საკუთარი ძალაუფლების მიმართ და ამით კიდევ უფრო გააძლიერა წინააღმდეგობა. აბსოლუტიზმმა დაარღვია ერთიანობისა და მრავალგვარობის ღვთაებრივი კანონი. შეუზღუდავი ძალაუფლება ანტიქრისტიანული ძალაუფლებაა და მიმართულია ღვთის უზანაესობისა და კაცის ღირსების წინააღმდეგო, ამბობს კორტესი. შეუზღუდავი ძალაუფლება კერპთაყვანისმცემლობას წარმოშობს მეფესა და მის ქვეშევრდომებს შორისო: ქვეშევრდომი ეთაყვანება მეფეს და მეფე იფერებს თაყვანისცემას.

კორტესი აკრიტიკებს აბსოლუტიზმს, რამაც განმანათლებლობის ეპოქაში მიაღწია კულმინაციას, ხოლო განმანათლებლობისა და ფრანგული რევოლუციის მიერ შობილ ახალ რეჟიმს ბრძოლას უცხადებს. მართალია აბსოლუტურმა მონარქიამ დაარღვია ქრისტიანული მონარქიის წესრიგი, მაგრამ შეინარჩუნა ერთ-ერთი მის ფუნდამენტურ ასპექტთაგან: ძალაუფლების ერთიანობა და მუდმივობა; ამით ემორჩილებოდა კორტესის მიერ გააზრებულ პოლიტიკური ძალაუფლების მეტაფიზიკას. პარლამენტარიზმმა კი არსებითად დაარღვია ძალაუფლების სტრუქტურა და სამწუხარო შედეგებიც მოიმკო.

კორტესის აზრით, ლიბერალიზმი უარჰყოფს ძალაუფლების ერთიანობას, როცა ძალაუფლების დაყოფის დროს ერთი გადაიზრდება სამში, რაც სინამდვილეში ერთია; ლიბერალიზმი უარჰყოფს ამ პრინციპს მუდმივობისა, რადგან ხელშეკრულების პრინციპს აღიარებს, ხოლო როცა ძალაუფლების საფუძველი ცვალებადია, ადვილად მოწყვლადიც ხდება; ლიბერალიზმი უარჰყოფს ძალაუფლების შეზღუდვას; კორტესი ფიქრობს, რომ ეს პოლიტიკური სამება ვერ გაამართლებს და ტირანიისაკენ გადაიხრება.

პარლამენტური სისტემა თრგუნავს სოციალურ იერარქიებს და უკუაგდებს ქრისტიანულ მონარქიას.

როგორც კი ლიბერალური სისტემა ფესვს გაიდგამს, საზოგადოებაში დაფუძნებული იერარქიული წესრიგი ქრება და თან წაიყოლებს ყველანაირ "კორპორაციას". "კორპორაციებში" კორტესი გულისხმობს არა სპეციფიკურ სახელმწიფო ინსტიტუტებს, არამედ იმ გაერთიანებებს, რომლებიც მოიცავს არისტოკრატიას, თავისუფალ გილდიებს, თვითმმართველ ქალაქებს, სამხარეო საკრებულოებს, კერძო ან საეკლესიო უნივერსიტეტებს, ადათებრივი კანონით მცხოვრებ გლეხობას, მოკლედ, ყველა იმ ავტონომიურ ინსტიტუტს, აბსოლუტიზმმა და ლიბერალიზმმა რომ მოსპო კონტინენტზე და მხოლოდ ანგლო-საქსურ სამყაროში შემორჩა. თავისუფალი ინსტიტუტები იერარქიულ სისტემაში იქმნება და მათ რღვევას მოაქვს გათანაბრება მთელი თემის შიგნით და იერარქიის პრინციპის ამოძირკვა პოლიტიკური წესრიგიდან.

პარლამენტური სისტემის უზენაესობის დროს მთელი პოლიტიკური ძალაუფლება ერთ ორგანოში მოექცევა და გამორიცხავს დიალოგს საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის; მინისტრთა კაბინეტის წევრები მხოლოდ პარლამენტის ელჩები და მისი სურვილის აღმასრულებელნი არიან. კორტესი ამტკიცებს, რომ გამორიცხულია დიალოგი ლიბერალურ პარლამენტსა და ხალხს შორის; ეს ალბათ მხოლოდ თავისუფალი არჩევნების დროს შეიძლება და ძალიან იშვიათად და მოკლე დროში ხდება. ხანმოკლე საარჩევნო შეკავშირება უკუშედეგს გვაძლევს, რადგან მერე და მერე ხალხი ფიქრობს, პოლიტიკური საქმეებიდან გამრიყესო, და ხალისი ეკარგება; ამას მოსდევს ქაოსი, რადგან არჩევნებზე მიმსვლელთა რიცხვი კლებულობს და იოლი ხდება მაქინაციების დატრიალება.

რევოლუციების კრიტიკისას კორტესი ისტორიულ მეთოდს მოიმარჯვებს და კონკრეტულად მსჯელობს. იგი წუხს, რომ გაქრა შუასაუკუნეობრივი თავისუფლებანი და ძალაუფლება ცენტრალიზაციის მომხრეთა ხელში მოექცა. ხედავს, თუ როგორ დაიყო საფრანგეთი ადმინისტრაციულ მხარეებად და ყველა მხარე პარიზს დაექვემდებარა; როგორ გაქრა გილდიები ესპანეთში და ხელოსნები ლუმპენპროლეტარებად იქცნენ, უქონლებად და უუფლებოებად. მუნიციპალური და საეკლესიო ქონების ჩამორთმევამ და აუქციონზე გაყიდვამ გააჩინა საშუალო კლასი, წარმოშვა ეჭვი რელიგიური წესრიგის წინააღმდეგ, გაათანასწორა ევროპა, რომელიც პარტიული იდეოლოგიით წარმართული ცენტრალიზებული მთავრობებით იმართებოდა.

კორტესის აზრით, მწარედ ცდება ის, ვინც განსხვავებას ეძებს ლიბერალიზმსა და სოციალიზმს შორის, რადგან პირველი არღვევს ძალაუფლების ბუნებას პოლიტიკური წესრიგისა, მეორე კი — სოციალური წესრიგისა.

დონოზო კორტესი არ უარჰყოფს პოლიტიკურ ხელშეკრულებას; იგი თავისი ქვეყნის შვილია და იცის ესპანეთის ისტორია; იცის, თუ როგორ გაერთიანა კასტილიამ სხვადასხვა ხელშეკრულებებისა და პაქტების საშუალებით ესპანეთის სამეფო და ეს ხელშეკრულებანი წმინდაა და ურღვევი; ამიტომაც კორტესი ხელშეკრულების მნიშვნელობას კი არ უარჰყოფს, არამედ იმას, რომ პოლიტიკურ ძალაუფლებას ფილოსოფიურად გაიაზრებენ, როგორც კონტრაქტს.

პოლიტიკური ძალუფლება ადამიანურ საზოგადოებასთან ერთად არსებობს. ძალაუფლების არარსებობა ნიშნავს ანარქიას. პოლიტიკური ძალაუფლება არსებობს პოლიტიკურ საზოგადოებასთან ერთად. კორტესის შენიშვნა ძალაუფლების მუდმივობის გამო არც მარადიულობას ნიშნავს და არც რევოლუციებს გამორიცხავს. დრო-ჟამის მანძილზე მრავალი ძალაუფლება წარმოიშობა და გაქრება დაპყრობათა, რევოლუციების, ძველი წესრიგის მოშლის გამო. კორტესი მრავალგან იმეორებს, რომ ძალაუფლება ცოცხალი ისტორიული საზოგადოების აუცილებელი გამოხატულებაა. XIX საუკუნის ლიბერალიზმი კი ამტკიცებდა, რომ ძალაუფლება ცვალებადია თვით არსებული საზოგადოების შიგნითაც, და ისე შეარყია ძალაუფლების მთლიანობა, რომ საზოგადოება ბრძოლის ველს დაამგვანა. აქედან გამომდინარე, ლიბერალური თეორია არა მარტო უარჰყოფს ძალაუფლების შეზღუდვას, რაც იერარქიული მრავალფეროვნების ნაყოფია, არამედ არღვევს საზოგადოების საფუძვლებს, ანაწევრებს და გამორიცხავს ძველი წესრიგით შეკავშირებას.

ისე გამოდიოდა, რომ პარლამენტური სისტემის კრიტიკა კორტესს აპირისპირებდა არა მარტო მონტესკიესა და განმანათლებლებთან, არამედ ინგლისის კონსტიტუციასთანაც; ამიტომ მას ან საკუთარი პოზიცია უნდა გამოეხატა ინგლისური სისტემის მიმართ, ან კამათი შეეწყვიტა და ლიბერალური ევროპის გონებაში ჩანერგილი ძალაუფლების დაყოფის პრინციპი ეღიარებინა. რაკი ევროპა პარლამენტური სისტემის ინგლისურ მოდელს სამაგალითოდ სახავდა, ნებით თუ უნებურად კორტესი ინგლისურ გამოცდილებასა და კონსტიტუციას უნდა შებმოდა.

მან მიიღო გამოწვევა, ოღონდ თავდაპირველად ის აღნიშნა, რომ ცდებოდნენ ისინი, ვინც პარლამენტარიზმს ყველა დროში და ყველგან არსებულად მიიჩნევდნენ. ასეთი ფორმა ინგლისშიაო, აცხადებს კორტესი, იქ სახელმწიფოს სათავეში გვირგვინი დგას და ქვეყანას ორპალატიანი პარლამენტი მართავს; მსგავსი სისტემები ევროპაშიც იყო, როცა თავადები, მოქალაქეები და სასულიერო პირები ერთად მსჯელობდნენ საზოგადო საკითხებზე, მაგრამ იმაზეც მიუთითებს, რომ შუა საუკუნეთა პარლამენტებსა და ბრიტანულ კონსტიტუციას არაფერი აქვს საერთო ევროპულ ლიბერალურ პარლამენტარიზმთან.

თუ ინგლისის რეფორმამდელი პარლამენტარიზმის ანალიზს მოვინდომებთ, არა მხოლოდ მისი გარეგანი სახე უნდა დავათვალიეროთ, არამედ სიღრმეშიც ჩავიხედოთო, წერდა კორტესი. ამ რეჟიმისას მეფე არ მართავს, იგი მხოლოდ ერის ხატი და სიმბოლოა. თემთა პალატა უმცროსი ძმა იყო ლორდთა პალატისა და მის ნათქვამს იმეორებდა; ნამდვილი მმართველი ლორდთა პალატა იყო; ამიტომ ინგლისური მმართველობა სინამდვილეში მონარქია კი არა, არისტოკრატია გახლდათო. არისტოკრატია ფლობდა ერთ, მუდმივსა და შეზღუდულ ძალაუფლებას. ის იყო ზნეობრივი სუბიექტი და ეს სუბიექტი გახლდათ კლასი, ის კანონით იყო აღჭურვილი და ვალდებული — ემართა მუდმივად, მაგრამ ტრადიციის, სამართლისა და თავისივე წოდების შესაფერისად. და თუმცა ბერკიანელები ამტკიცებდნენ, ინგლისმა მნიშვნელოვანწილად შეინარჩუნა ადამიანის თავისუფლების ბერკეტებიო, კორტესის აზრით, რეფორმების შემდეგ ინგლისური კონსტიტუცია და ძველი ტრადიციული მმართველობის სისტემა დაღმა დაეშვა და ევროპულ პარლამენტებს დაემსგავსა. თუმცა ანგლო-საქსურმა სისტემამ მაინც შეინარჩუნა თავისი სახე და შემორჩა

ერად, რომელსაც წინ უძღვიან არისტოკრატები; მათი მმართველობა შეუზღუდავია შინაგანად, მაგრამ გარედან შეზღუდულია სათემო კანონმდებლობით, ტრადიციული უფლებებითა და მოვალეობებით; ეს ყოველივე მემკვიდრეობით გადაეცათ ამერიკის კოლონიებს და ჩაინერგა ამერიკულ ტრადიციაში. კორტესი ამტკიცებდა, რომ არ არსებობს ორგანული კავშირი ანგლო-საქსურ ტრადიციასა და რევოლუციას შორის, და თუ რამე კავშირი შეიძლება არსებობდეს ანგლო-ამერიკულ ტრადიციასა და ევროპულ ლიბერალიზმს შორის, ეს კავშირი XIX-XX საუკუნეთა კონტრრევოლუციურ ფილოსოფიაშია საძიებელიო.

ფრანგებმა სრულიად საპირისპირო გზა გაიარეს; მათ ჯერ ძალაუფლების ცენტრალიზება მოახდინეს, მოსპეს შუა საუკუნეობრივი ინსტიტუტები და შემდეგ, XVIII საუკუნეში, როცა სამეფო კარმა საფრთხე იგრძნო, ძალაუფლების გადაცემა მოინდომა პარლამენტისათვის. ძალაუფლების გადაცემის აქტი იმდენად ხელოვნური და ყალბი იყო, რომ ერთი მხრივ მეფემ დაკარგა ძალაუფლება და მეორე მხრივ ასპარეზზე გამოჩნდნენ დემაგოგი იურისტები, ვინც კანონის ინტერპრეტაციის გზით, საკუთარ ინტერესებს ახორციელებდნენ, რითაც სამართლიანობის საფუძვლები შეარყიეს. საფრანგეთის მეფეებს რომ მოეხერხებინათ რევოლუციის თავიდან აცილება და ბურჟუაზიისათვის თანმიმდევრულად გადაცემა ძალაუფლებისა, XVIII საუკუნეშივე მოხდებოდა ის, რასაც ლუი ფილიპემ მიაღწია 1830-1848 წლებში; საფრანგეთის მეფე ლიბერალიზმის აგენტად გადაიქცეოდა.

კორტესის აზრით, სოციალ-პოლიტიკური არეულობის ეპოქაში ღმერთი უფლებას იძლევა ბრძოლისა, მაგრამ კრძალავს გამარჯვებას. ესაა კორტესის ძალაუფლების ფილოსოფიის დასკვნა. თუ ერთიანობისა და მრავალგვარობის კანონი ჭეშმარიტად ყოფიერების უმაღლესი წესრიგის შესაფერისია, ყოველი მცდელობა მისი სტრუქტურის დარღვევისა საკუთარ დამარცხებას ნიშნავს. კორტესი მთლიანობაში განჭვრეტს ძალაუფლების ისტორიასა და ფილოსოფიას და უპირატესობას შუასაუკუნეებრივ მონარქიას ანიჭებს; მას მერე ძალაუფლება და მმართველობა გამუდმებულ დაღმასვლას განიცდის. ძალაუფლების დაყოფა და ძალაუფლების ცენტრალიზაცია, კორტესის აზრით, ტყუპი ონტოლოგიური სიმახინჯეა. ავტონომიური ინსტიტუტებისათვის დელეგირებული, დეცენტრალიზებული პოლიტიკური საზოგადოება კი პოლიტიკური ეგზისტენციის კანონის დიქტატია.

პოლიტიკოსები არღვევენ ყოფიერების კანონს და ამით ამზადებენ საკუთარ დაღუპვას. ან ტირანიის ხელში ვარდებიან ანდა პოლიტიკური ქაოსის მორევში ამოჰყოფენ თავს, სადაც ყველა ყველას ებრძვის ძალაუფლების გვირგვინის ხელში ჩასაგდებად. კორტესის ძალაუფლების ფენომენოლოგია, მისი წინასწარმეტყველება მართლდება ახალი და გათავისუფლებული ქვეყნების მაგალითებით. მმართველობის ტრადიციადაკარგული ერები იწყებენ წესრიგის ძიებას, დემოკრატიის შენებას და ძალაუფლების ცენტრალიზაციამდე მიდიან. ისინი, ვისაც ღვთაებრივი ლეგიტიმაცია და სიბრძნე არ გააჩნია, ტირანული სულის მარწუხებში ვარდებიან და ტოტალიტარულ რეჟიმებს ჰქმნიან.

დონ ხუან დონოზო კორტესმა, სხვებისაგან განსხვავებით, უარი თქვა საზოგადოების შეკეთება-შემაგრებაზე და, რაკი სხეული მეტისმეტად იყო დასნეულებული, კონტრრევოლუციური ქირურგია გამოუწერა.

ნინო ვახანია

ქვეყნის ჭირისუფლად: სცენაზეც, დარბაზშიც, ხელოვნების ქუჩაზეც

ორდღიანი ტურნეს სურათები

2010 წლის 10 აპრილი.
ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის თეატრი.
ლიტერატურული კომპოზიცია —
„ნისლის ტიხარი“ —
ელგუჯა თავბერიძის ამავე სახელწოდების რომანის მიხედვით.
დამდგმელი რეჟისორი — ალეკო ტოროტაძე.
ქორეოგრაფი — აკაკი ფუტკარაძე.
მსახიობები — ნიკა ფაიქიძე, შალვა კამლაძე, ალეკო ლომთაძე, გივი ავალიანი.
მუსიკოსები — ალექსანდრე გეგეშიძე, დავით ლობჟანიძე, ოთარ ლორთქიფანიძე.

თუმცა შთამომავალთა თვალში მეველე მაინც გმირია.

სცენიდან მაყურებელთა დარბაზს მოგვმართავს რუსი ჩინოვნიკი: მაბეზღარობას, შუღლს, ერთმანეთის მტრობას გვიკიჟინებს. თმები ყალყზე დაგიდგება ადამიანს... მარადიული მტერი, დამპყრობელი, მოძალადე. „შორით მოსული ჩემს მამულში მყვედრის ცხოვრებას“.

სპექტაკლის აპოთეოზი დასასრულია. ჟღერს საქართველოს არაოფიციალური ჰიმნი — „ჩემო კარგო ქვეყანავ“, მარადისობაში გადასული დავით მიქელაძე სულით ზეცამდე მაღლდება, ხოლო აქ ტოვებს სახელსა და საქმეს, რომელიც შთამომავლობამ არ უნდა დაივიწყოს. რამეთუ დავით მიქელაძის ჭირისუფლობა საქართველოს ჭირისუფლობაა.

წარმოდგენის დასრულების შემდეგ შთაბეჭდილებას სახელდახელოდ გვიზიარებენ.

გიზო თავაძე *(მწერალი, ქუთაისის მერიის კულტურის სამსახურის ხელმძღვანელი):* სასიკეთო საქმე გაკეთდა იმით, რომ ელგუჯა თავბერიძემ დაწერა შესანიშნავი რომანი ნაკლებად ცნობილი, თუმცა შესანიშნავი პიროვნების შესახებ. დღევანდელი სპექტაკლი კი ახალგაზრდებისთვის ლანგრით მირთმეული ბიოგრაფიაა დავით მიქელაძისა. სცენიდან დავით მიქელაძისთანა მამულიშვილების მოსმენა არა მარტო სასიამოვნო, არამედ საჭირო და

აუცილებელიცაა. ვისურვებდი, ეს წარმოდგენა განმეორდეს სკოლებშიც.

ლია კუხიანიძე *(მკვლევარი, პედაგოგი):* ლიტერატურული კომპოზიცია მოგვითხრობს მარადიულ მსხვერპლზე. ახალგაზრდებმა რომ განიცადეს და გაიგეს მივიწყებული ამბები, ეს დავით მიქელაძის უკვდავებაა. დღეს ჩვენ წინაშე იგივე პრობლემა დგას და ამნაირი კაცების დავიწყება საქართველოს ბედის დავიწყება იქნებოდა.

სკოლის მოსწავლეები: **ონისე, ალექსანდრე, პაპუნა, ნელი, ნოდარი, მელანო, გიორგი...** ერთმანეთს საუბარს არ აცლიან: „მინდოდა, სპექტაკლი უფრო მეტხანს გაგრძელებულიყო“, „აკაკი წერეთლის სცენაზე გამოჩენამ განსაკუთრებით გამახარა“, „შემძრა რუსი გუბერნატორის ცინიკურმა მიმართვამ ქართველებისადმი“, „ბოლო სცენაში დავით მიქელაძის ძეგლის გამოჩენა ამაღელვებელი იყო“, „სომეხი ვაჭრის ცეკვა სანახაობრივად საინტერესოდ და მიმზიდველად მეჩვენა“...

ელგუჯა თავბერიძე

* * *

სცენაზე იდგნენ ჩოხებში ჩაცმული ვაჟები. ისმოდა მადლიანი ქართული სიტყვა, ივსებოდა დარბაზი წარსულიდან მონაბერი ეროვნული სულით, ეროვნული ცნობიერებით. საქართველოს ჭირისუფალთა სცენა და მაყურებლებით სავსე დარბაზი ერთი აზრით, ერთი ფიქრით განმსჭვალულიყო.

სად არის ვაჟკაცობა? სად არის რაინდობა? სად არის მამა-პაპათებრი ღირსეული თავგანწირვა? უნუგეშოდ გამქრალი და გადაშენებული რომ გვეგონა, თურმე აქავე ყოფილა, არსად წასულა, უფრო გაძლიერებულ-გამშვენებული გადმოსცემია შთამომავლობას.

ვუყურებდით და ვუსმენდით ნისლში გახვეულ მამულიშვილებს, მათ, ვინც საქართველოს მაჯისცემას აყურადებდა, ვინც ქვეყნის ბედ-იღბალზე ფიქრობდა, ვისი გულიც სამშობლოსთვის ძგერდა...

ილიას, აკაკის, გიორგი წერეთლის, ნიკო ნიკოლაძის, კირილე ლორთქიფანიძის, სხვა ქართველ სამოციანელთა თანამოაზრე დავით მიქელაძე (მეველე) აქამდე ჩრდილში მდგომი დიდი მოღვაწეა. „ნისლის ტიხარი“ დავით მიქელაძის შესახებ დაწერილი ბიოგრაფიული რომანია. ელგუჯა თავბერიძის ეს წიგნი დაედო საფუძვლად სცენარს ლიტერატურული კომპოზიციისა იმავე სახელწოდებით — „ნისლის ტიხარი“.

დავით მიქელაძე ევროპული ტიპის მოაზროვნე იყო. ევროპასთან დაახლოების მომხრე და მოწადინე მეველე მიიჩნევდა, რომ უპირველესად საკუთარს, ქართულს უნდა გავფრთხილებოდით და მოგვევლო. არ ავთქვეფილიყავით სხვაში, არ ვქცეულიყავით სხვად, უცხოდ.

სრულიად გამორჩეული საქციელი, მართლაც გმირობის ტოლფასია დაპატიმრებული დავით მიქელაძის მიერ წერილობით მოთხოვნა ეკლესიის ავტოკეფალიისა და სახელმწიფოებრივი ავტონომიისა. ეს საქციელი დიმიტრი ყიფიანის გმირობას არ ჩამოუვარდება. მეველეს თავი განწირული ჰქონდა. ეშმაკმა სლავოჩინსკიმ დათმობა ამჯობინა, რათა ქართველი თავადი გმირად არ ექცია.

* * *

გია ხოფერია *(მწერალი, პროფესორი):* მშვენიერი ლიტერატურული კომპოზიცია წარმოადგინეს ახალგაზრდებმა. ჩვენ არ ვართ განებივრებული მსგავსი მასშტაბური ლიტერატურული კომპოზიციებით. მიხარია, რომ ბიოგრაფიული რომანის ავტორი — ელგუჯა თავბერიძე — ჩემი მეგობარია. წიგნის შესახებ შესანიშნავად თქვეს უკვე კრიტიკოსებმა, მაგრამ არანაკლები იყო დღევანდელი სპექტაკლი, რომელმაც თავისებურად, სანახაობრივად გააცხადა სათქმელი. აშკარაა, რომ გულდასმითაა ნამუშევარი.

ალეკო ტოროტაძე *(დამდგმელი რეჟისორი):* ძალიან მინდა, რომ მსგავსმა დადგმებმა პროექტის სახე შეიძინოს. იყოს დადგმა, იყოს თვალსაჩინოება, გავაცოცხლოთ ნაწარმოები, შევაყვაროთ მაყურებელს. კომპიუტერის ხანაში წიგნი დაიკარგა. სპექტაკლმა წარმოაჩინა დავით მიქელაძის დიდი კაცობა და ხელმისაწვდომი გახადა საზოგადოების ფართო ფენისთვის. მინდა, რომ მუშაობა აქ არ შეწყდეს და ასეთმა დადგმებმა მიიღოს ინტენსიური ხასიათი. ვნახოთ.

ალეკო ლომთაძე *(მსახიობი):* თეატრი არის გზა, სადაც ადამიანს შეუძლია თავისი სული სარკედ წარმოადგინოს და ამ წარმოდგენით მაყურებელს სთხოვოს, ამ სარკეში საკუთარი თავის ანარეკლი დაინახოს... ეს სარკე, წარუშლელი კვალი თავისი სულისა, წარმოადგინეს დღეს მესხიშვილის თეატრის სცენაზე ელგუჯა თავბერიძემ და ალეკო ტოროტაძემ...

გივი ავალიანი *(მსახიობი):* რეპეტიციები გრძელდებოდა დაახლოებით ორი თვის განმავლობაში თითქმის ყოველდღე. ძალიან ვღელავდი, მგარამ დარბაზიდან ისეთი მუხტი მოდიოდა, რომ ყველაფერი გაგვიადვილდა. ბევრი ვისწავლეთ...

ელგუჯა თავბერიძე *(მწერალი):* დავით მიქელაძის ცხოვრება სცენაზეც უნდა გაცოცხლებულიყო. მისი ბობოქარი ცხოვრება, მტკიცე ხასიათი, შეუდრეკლობა და პირდაპირობა წარმოჩენილიყო მაყურებლის წინაშე. პიროვნების ბიოგრაფია უამრავ მასალას იძლეოდა საიმისოდ, რომ გვეხილა რაინდული სულის ადამიანი, ქვეყნისთვის უღალატო კაცი...

მიზანი გახლდათ — თანამედროვეებს სცოდნოდათ, როგორ, რა პირობებში ამბობდა დავით მიქელაძე სიმართლეს, როგორ ერთგულობდა მამულის თავისუფლების იდეას.

ჩვენი მხრივ ვეცადეთ და რა გამოვიდა, მაყურებელი განსჯის, მთავარია, შედგა სპექტაკლი, რომლის განხორციელებაშიც დიდი წვლილი დამდგმელ რეჟისორს — ალეკო ტოროტაძეს — მიუძღვის!

ჩემთვის, დავით მიქელაძის სახის გაცოცხლებასთან ერთად, სასიხარულო ის გახლავთ, რომ დადგმაში მთლიანად ახალგაზრდები მონაწილეობენ. ვფიქრობ, მათ ახლოს გაიცნეს დავით მიქელაძე, ჩაწვდნენ მის ხასიათს, მოკლედ, არასდროს დაავიწყდებათ ქვეყნისთვის დამაშვრალი ეს მამულიშვილი.

დიდი მადლობა ყველას!

სპექტაკლი შედგა, სპექტაკლი გრძელდება.

* * *

როსტომ ჩხეიძე და **იოსებ ჭუმბურიძე**, ყოველი ახალი და სასიკეთო საქმის თანამდგომნი, ამჯერადაც დარბაზში იმყოფებოდნენ, სპექტაკლის შემდეგ კი შემპირდნენ, რომ თავიანთ შთაბეჭდილებებს ნახევარ-ნახევარ გვერდზე დამიწერდნენ რეპორტაჟში ჩასართავად. ეტყობა, შთაბეჭდილებანი ისეთი მძაფრი აღმოჩნდა, რომ ეს ერთიბეწო ფართობი ვერ იმყოფინეს და ორივემ მცირე სტატია დაწერა „ნისლის ტიხარის“ პრემიერის შესახებ. მაშინვე გამოქვეყნდა ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ ფურცლებზე, მე კი ამ მხატვრულ-დოკუმენტური ჩანაწერის სისრულისათვის იქიდან დავესესხები თითო-თითო პასაჟს:

ჯერ ამ სტატიიდან „დათა მიქელაძე — სპექტაკლის გმირადაც“:

„სპექტაკლის საუკეთესო სცენა მაინც დათა მიქელაძისა და გუბერნატორის შეჯახებაა, რასაც მსახიობები დიდი შინაგანი დაძაბულობით წარმოსახავენ. ინსცენირებისა და რომანის ეს ეპიზოდი ეყრდნობა იონა მეუნარგიას მონათხრობს, თუ როგორ არ იკმარა მეველემ კირიონის დევნის შეწყვეტისა და საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენის მოთხოვნა და ქვეყნის ავტონომიაც მოითხოვა.

ელგუჯა თავბერიძემ ისე გაშალა მწვავე დიალოგი, შთაბეჭდილება გრჩება, რომ სტენოგრაფიულ ჩანაწერს კითხულობ. და ეს იმიტომ, რომ ეპოქის სულსაც ღრმად გრძნობს და თავის გმირს თითქოს თვალდათვალაც შეჰყურებს...

ერთადერთი, რაც გულს დაგვაკლდა – მოქმედ პირთა შორის ქალის არყოფნაა. მითუმეტეს, ქუთაისის თეატრალურ დასს არ აკლია ლამაზმანები...“

ახლა კი ამ სტატიიდან „ქუთაისიდან წყალტუბომდე გაფანტული ნისლი“:

კარგი მაგალითიც გადამდებია.

მარჯანიშვილის თეატრში დადგმული „ქაქუცა ჩოლოყაშვილი“, ჩანს, ასეთად იქცა.

გასახარია, რომ ქუთაისშიც დაიდგა სპექტაკლი, რომელიც მინავლებული პატრიოტული გრძნობის გაღვივებას ღირსეული მამულიშვილის ღვაწლისა და ბედის ჩვენებით ცდილობს...

მართალია, წარმოდგენას სპექტაკლის პრეტენზია არა აქვს და დამდგმელებს „ლიტერატურულ კომპოზიციად“ მოუნათლავთ, მაგრამ ისიც აშკარაა, რომ ეს სახილველი ხსენებულ ჩარჩოშიც ვერ ეტევა.

* * *

ახალგაზრდა მსახიობებმა ისიც თქვეს, რომ თბილისიდან ქუთაისში წარმოდგენის სანახავად საგანგებოდ ჩასული მაყურებელი მათთვის დიდი პატივიცაა და მომავალი საქმიანობისთვის შემაგულიანებელიც.

საუბარში გამოიკვეთა საერთო აზრი — ამ სპექტაკლმა უნდა მოიაროს საქართველო. დღევანდელი დღე მოვიაზროთ, როგორც დიდი ჩანაფიქრის ნაწილი — კიდევ დაიდგას ამ ყაიდის სხვა სპექტაკლებიც, საფუძველი ჩაეყაროს პოლიტიკურ თუ პუბლიცისტურ თეატრს... აშკარაა — ახალგაზრდა მსახიობებსა და მათ ხელმძღვანელს (რეჟისორს) ძალი შესწევთ ქადილისა. შესანიშნავად გააზრებული პირველწყარო — ელგუჯა თავბერიძის რომანი, გულსა და გონებაში გამოტარებული ტკივილი, მაყურებლამდე დამაჯერებლად და სახიერად მიტანილი სათქმელი — ეს ხომ საქართველოს ჭირისუფლობაა, საქართველოს ტკივილებისთვის მალამოს ძიებაა? სწორედ რომ ისაა.

* * *

მეორე დღეს, კვირაცხოვლობას, წყალტუბოში, სოფელ გვიშტიბში ვესტუმრეთ ყველა თაობის მკითხველისთვის საყვარელ მწერალს **ოტია იოსელიანს**. მწერლის ციხე-დარბაზი შემაღლებულ ადგილზე დგას, როგორც სიმბოლო ამ მხარისა და მთელი საქართველოს მეთვალყურისა და ჭირისუფლის.

მოგონებებმა გაიტაცა მასპინძელი. სიყვარულით გაიხსენა ოთარ ჩხეიძე, განსაკუთრებული სიამოვნება გამოხატა ბატონი როსტომის სტუმრობის გამო... უფრო შორეულ წარსულშიც გადაინაცვლა, სალიტერატურო ასპარეზზე გამოსვლის მოსურნე ახალგაზრდა ოტიას შესახებ პოლიკარპე კაკაბაძეს უთქვამს: წეროს, თუ არ იშლისო. და მწერლობაში გზის დალოცვაც ეს აღმოჩნდა.

საუბარი, რა თქმა უნდა, ჩვენს ქვეყანას, მის წარსულს, აწმყოს, მომავალს შეეხებოდა. საქართველოს ირგვლივ შემოიქსოვა ყოველი სიტყვა, ფრაზა, მოგონება, განსჯა, სურვილი, ნატვრა.

იყო განგაში: მრავალი დიდი ერი აღგვილა პირისაგან მიწისა. ვაითუ!.. მსოფლიო ყოველთვის გულგრილია ნებისმიერი ერის მიმართ. სხვის იმედად ყოფნა კარგს არას გვიქადის...

იყო იმედიც: უფალი ყოვლისშემძლეა. ღმერთმა შექმნა ქაოსიდან სამყარო. ღმერთი არ გასწირავს ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანას. ოღონდ ჩვენც მოვეხმაროთ, ჩვენც ხელი გამოვიღოთ, უპირველესად მაინც — ზნეობის ამაღლებით, სულის განსპეტაკებით, რადგან უზნეო, უღმერთო ქვეყნისთვის სახელმწიფოს შექმნა ან შექმნილის შენარჩუნება ძალზე სათუოა.

ბატონი ოტიასგან დასაჩუქრებულნი (მწერლის ათტომეულის ჯერჯერობით გამოსული ცხრა ტომი) ფიქრ და გონება განწმენდილნი წამოვედით, გამოუცნობი ნაღველიცა და ჩუმი სიხარულიც ერთდროულად დაგვეუფლა. ხელშესახებად ვგრძნობდით — კვირაცხოვლობის მადლი მოჰფენოდა ხელოვნების ქუჩას და მთელ საქართველოს.

გოგი ოჩიაური

ანატორლები

არდოტსა და ხახაბოში სჯულის კაცების „საწევად“ უფროსებმა ბადია გაგზავნეს. ყველაზე უმცროსიც იყო და მაგ მხარეს არც ვინმე მძიმე მტერი ჰყავდა, თან სჯულის კაცების გარდა რამდენიმე ახალგაზრდის მოწვევაც აუცილებელი იყო დიდი სისხლიანი საქმის საბოლოოდ მოსაგვარებლად.

გურო — შატილისა და ანატორლების მტრობა ისე შორს წავიდა, რომ მომიჯნავე მამულებში მტრებმა აღარც მოთიბეს, აღარც მოხნეს. საქონელსაც საძოვრად შორი-შორს უშვებდნენ და მოახლოებული ზამთრის პირზე აშკარად გამოჩნდა, რომ უჭირნახულოდ დარჩენილ ოჯახებს ძალიან გაუჭირდებოდათ კიდევ ერთი ზამთრის გადატანა. და გადაწყვიტეს უფროსებმა, თემის კითხულმა კაცებმა, რომ გაარჩიონ მტრობის საქმეები და მათ გადაწყვეტილებას ყველა დაემორჩილოს, ხოლო ვინც არა, თემმა მოიკვეთოს, თორემ ესე გაგრძელება რომ აღარ შეიძლებოდა, ყველა მიხვდა.

უკვე მერამდენე წელია სისხლიანი მტრობა უფრო და უფრო გაღრმავდა გვარებსა და სოფლებს შორისაც. და ამას ბოლო უნდა მოღებოდა.

მომავალი კვირისთვის დიდი შეკრება დათქვეს სჯულის კაცებმა. ჯვარში დააფიცეს მოშუღლარებიც, რომ სჯულის დროს თავს დაიჭერდნენ და თავისი საქციელით სჯულის ბჭობის სვლას ხელს არ შეუშლიდნენ. ნანუკმა ზენუბნით ჩამომავალი ცხენის ფეხის ხმა გაიგონა, მოუცადა. დილის ბინდში ახალ სხივზე აშურმა — ყაწიმიანი მკერდი უელავდა ბადიას, ლამაზი ცხენი სადავით მოჰყავდა. ნანუკთან გაჩერდა და სალამის მერე დილა მგზავრობის მიზეზი უთხრა.

ნანუკმა გზა დაულოცა, ჯვარი გადასწერა, კარგ საქმეზე მიდიხარო და უკვე ამხედრებულს მუხლზე აკოცა. კლდეზე გაღეჭილმა ცხენის ნალებმა მწვანედ გაანათეს. დღესაც თვალწინ მიდგასო, — უამბობდა შემდეგ ნანუკი დიაცებს: „არ მშორდებიან, სუ აი ნალთ ნათებას ვხედავ“. ლამაზად ძუაგამოკვართული ჩალისფერი ულაყი მიუშვა ბადიამ და სიმღერა თქვა ხმამაღლა, როგორც მიჩვეული იყო.

მიცუს ჭალაში წყალში გაერია და მაღალდიყიანი ჭალა რომ იყო, იქ შევიდა. ხმალი ამოაგო და სადაც მისწვდა დიყის ტარსა თუ დიფჩას, მსუბუქად ნახმარ ფრანგულს აჭრევინებდა. ხმალი კარგა, ძალიან კარგა იყო გალესილი და ისე მსუბუქად, ცბიერად უქნევდა, რომ მოჭრილი დიყის წვერი გვიან გადაიქცეოდა. ბადია ძალიან გაართო ამ თამაშმა. წაუქნევდა დიყს ხმლის წვერს და უცდიდა, როდის დაიძვროდა მოჭრილი, ფართოდ გაშლილი დიყის ყვავილი და ზანტად გადაწვებოდა. მერე ერთ ტანწითელ მაღალ დიყს მიადგა და მარტო ხმლის წვერს უწვდენდა, მსუბუქად, ძალიან მსუბუქად დაუსერა ტანი, ისე, რომ დიყი მარტო ერთხელ, ისიც ძალიან ძნელშესამჩნევად, შეინძრა. ბედნიერმა და კმაყოფილმა დანამული ხმალი კარგა გაწმინდა, ჩააგო და მაშინღა დაინახა, დიყიანის გვერდზე რომ ბალახიანი შემაღლება იყო, მედიდური ღიმილით აბა, ოდინათ აბა, ადევნებდა თვალს.

— როგორ მსუბუქად ხმარობ, გეტყობის არხოტიონთ დისწულობაი. თუ შუღლობ, ნაჭრევ ნაჭრევს უნდა აფერ. ეგრ უნდა წამავიდას სისხლი, აი, ე წყარო რო გადმაედინებ ბის ნაწყვეტ-ნაწყვეტად ფოთლებზე (ქვაზეით). ბადიამაც გაიცინა, მიადგა ახლოს, დაქვეითდა და მიესალმნენ ერთმანეთს, როგორც წესია.

უთხრა წამოსვლის მიზეზი. დაითანხმა, რომ კვირას ეგეც უნდა წამოვიდეს, როგორც დააბარეს.

კარგ ლუდს აპირებენ. ნადირის მწვადიც იქნების, მენადირეებ გაგზავნეს. იქ ვნახავთ ერცხვას.

მუცოს ბორჩათ ლაზაგა ნახა და სჯულის კაცად მიწვევა მოახსენა. არდოტშიც შეასრულა დანაბარები და სამხრობა იქნებოდა, ხახაბოს რომ მიაღწია.

იმედაის ქვითკირს მიადგა. მიიპატიჟეს, ცხენიც ჩამოართვეს: დღეს ახალუხალი გვყავ და ჩვენთან დარჩიო. დარჩა. სჯულისკაცი ნახა, კიდევ გადასცა დანაბარები. ახალგაზრდებსაც შეხვდა, მიიპატიჟა, ვინც საჭირო იყო და იმედასთან მიბრუნდა. თითქმის ყველა ოჯახში, სადაც საქმეზე მივიდა, არაყით გამოისტუმრეს და იმედათ ბანზე გამართულ ცეკვა-თამაშში პირდაპირ „ასას“ კივილით ჩაერთო.

თავადაც იცოდა, რომ თამაში უხდებოდა ახალულვაშაშლილს და დაღლამდე ცეკვავდა.

რამდენიმე მოთამაშე გამოიცვალა, ვიდრე ძალით, მხიარული შექებით არ გაიყვანეს სათამაშო წრიდან მასპინძლის ქალებმა. ნინომ, მაგის სწორფერმა: დაისვენეო, მეც ხო უნდა მიამბო ქვეყნის ამბები და არ დაგაძინებო.

ცოტა კიდევ იმხიარულა და საწოლისკენ გააცილეს სწორებმა. მერე მარტო ნინო დარჩა და კიდევ დიდხანს არ დაიძინა. გვიან შებრუნდნენ ერთმანეთისკენ ზურგებით. დილაბინდზე ნინომ ცხენი მოუყვანა, შეკაზმვაში დაეხმარა. არაყიანი ყანწი გამოაცლევინა და: მასპინძლებთან გამომშვიდობებას ნუ დაუცდიო, საჭირო არ არისო, გადაკოცნა და გაუშვა.

არაყმა გაჭრა, სოფელს რომ გასცდა.

ჩავალის, ჩაეუბნების
როშკას გაზდილი საღარსა:
გულ თუ არ გიძე, ოჭერო,
გულს მე ჩაგიდებ მაგარსა.
ჩაგკიდებ ბექბუქიანსა,
ჩაგაფრენ მაღალ-მაღალსა...
მაღაააალ მაღალსააა! —

აუწია ყივილს, ვიდრე მომდევნო სიტყვებს გაიხსენებდა და დაამთავრა:

ყიდუს აქებენ ყანებსა,
ჩაგატანიებ ნაღარსა...
ნაღარსააა.

კიდევ გაიხსენა და:

გამოვლენ ყიდუელები,
ხმალს ამოვაგებ სამღარსაააა...
სამღარსა.

მოცლილი ხელით საყვარელი ხმლის ვადას მოეფერა... მე შენზე ვფიქრობო.

ჩაიარა ჩაღმართები, მიცუს ჭალაც ჩაათავა და ეხლა, გარსევანს რომ სახლი აქვს გამართული, იმ ჭალაში გავიდა, ცხენს მოხადა, თექალთო დაიგო, თივა რომ იდგა, იმის პირს ზურგი მისცა და უძილო ღამისა და არაყის მერე სწრაფად დაეძინა. მანამდე ცხენიც დააბა კაი ბალახზე. არ ვიცი, რამდენ ხანს ეძინა: გვერდში წყნარი, ფრთხილი ჩხვლეტა იგრძნო. თავქვეშამოდებული ხელი ხმლის ვადაზე ედო და ისე სწრაფად, ხელგაუშვებლად შემოტრიალდა.

ხნიერი კაცი ჩამომჯდარიყო, ყალიონის ბოლში გახვეული ჯოხის წვერით აღვიძებდა: გათენდ! გათენდ! ძილ გაგიგრძელდ! „ამადე, ნანაის ძეო, ლულუან გელევიანო“...

— გუშინ მეც იქ ვიყავ, მინდიათ ბანზე. იქ გავიგ, ვინც იყავი, რა საქმეზედაც იყავი მასული. ღმერთმა ხელ მაგიმართოს! კარგ საქმე მაუფიქრებავ ანატორელთ.

მიესალმნენ ერთმანეთს, ბადია წამოხტა. იქვე გადაიბანა ხელპირი, დაბრუნდა, ჩამოჯდა ბოლიან კაცთან და ვინაობა ჰკითხა. ჯერ იჯდა დიდხანს მდუმარედ, მერე უთხრა, ყალიონის გამობოლების მერე, თავისი ვინაობა.

ბადიას გაგონილი ჰქონდა მაგის ამბავი და: „ისი ხარა, რო?..“ ხნიერმა აღარ დაამთავრებინა და: „ისი ორ! ისი!“ ისა ვარო, სწორედ ისაო.

— გუში ჩემ შვილს გაფერე და დღეს შენ ცხენიც ვიცანი და დიდხანს ვიჯე შენ გვერდი. ეეგრ გიაზრებდი, გეძინა და მერე კი გამაგაღვიძი. მეჩქარისა და შენაც გიცდიან, ალბათ, შატილ. სახეზე მოკრძალებული ღიმილით გაჩუმდა. დიდი ხნის დუმილის მერე უთხრა ბადიამ: — მასარიდებ კი ას მაგ ამბის ატეხა, მაგრამ, ვერ მიამბობა, ეგ როგორ მოგიხდ. ხო დიდ ხანი გასული და თუ არ გიჭირს, ვერ მიამბობა? სხვადასხვანაირად მაქვ გაგონილი, შენგან მართალს გავიგონებ: თუ არ გწაის, იყვას ეგრ, ნუ მიამბობ. არა უშავ... ხნიერმა ყალიონი კიდევ გააბოლა და: — ეგ ისრ იყვ... ეგ ისე იყო, რომ მე და ჩემი ძმა გვერდიგვერდ ვცხოვრობდით სახლებში, ორთავ თოთო ვაჟი გვყვანდ მოსწრებული და საქმეს კარგა ვუძღვებოდით.

ერთ დღეს წავიდეს ჭალაზე ჩემ ვაჟი და ძმისწული. ჯორ წაიყვანეს, წყლის ნაგალ შეშას მავაგროვებთაო და მავიღებთავ. შუა დღე კი იქნებოდ, ჯორზე აკიდებულ, ნატყვიარ ძმისწულ არ შამააჩინა ჩემ შვილმ?!.

ახალგაზრდები ერთმანეთის დასწრებით აიშალნენ, იარაღის მოკრეფას ვინც ვერ ასწრებდა, ოჯახის წევრები აწვდიდნენ უკვე ხვადებზე ამხედრებულებს და ისე გაიყარნენ იმ ადგილისკენ, სადაც ჩემი ძმისწულისთვის თოფი დაეკრათ.

მდევარი სოფელში გვიან დაბრუნდა. მე და ჩემი ძმა ვისხედით, სხვა მოკეთე — მეზობლები კიდევ, — მოკლულთან. ჩემი შვილის თქმით, ქისტებმა დათოფეს წყლის გაღმიდან... თვალით კი ვერავის ვხედავდით. მე ქვას მავეტოლე, თოფი ჩემ შინშთან იყვ ჩემგან მაშორებით. პირველ გასროლაზე დაჰკრესა და მემრ მე მაყრიდეს. რო გაწყვიტეს სროლა, გავიგი. ქისტურად კივილ გამადიოდ გაღმით, როგორც იციან.

ჩემ ძმა ჯორს დავაკარი და წამავიღი. მდევრები ჩვენთან აღარ შემოსულან. მარტო ორნი შემოვიდნენ. ბევრ რაიმ ჰკითხეს ჩემ ვაჟსა და ბოლოს ვეღარ აძლევდ სწორ პასუხებს. სრუ გაჩუმდა და მდევრებიც ადგესა და ხმის ამაუღებლად გავიდეს. წამადგ ჩემ ძმაიცა და გავიდ.

მთელ ღამეს არ ეძინა, თავადაც მიხვდა, რომ შინში მაგის შვილის მოკლული იყო. რა თქმა უნდა, მიხვდა მაგის ძმაც. იმიტომ გავიდა გარეთ. ძლივს გასძლო გათენებამდე.

დილაზე რო გამავედი და ქაზდარზეით გადავხენ, ჩემ შვილი ჯორს ჰკაზმავდ. უძახ სახელი — იდუაო! შამამხენა და თავ აღარა გაიბრუნ. მამეწონ! მამაც ყოფილიყვ ჩემ შვილი. თავ აღარ გაიბრუნ, მე მიაზრებდ პირდაპირ. შიგ შუბლში დავხკარი.

ყალიონის ბოლში გაეხვია სახე.

გვერდიგვერდ დავმარხეთ შინშები. შენ ჯვარ გეწერას. გუში ჩემ შვილს გაფერე. სხვებმაც დამიმოწმეს, ვისაც ჩემ შვილ ახსონდ. შენ ჯვარი გწერავ!..

წამოდგა, გამოუმშვიდობებლად შეჯდა ცხენზე და მაღალშალდაყიან გზაზე გაუჩინარდა. დიდხანს იჯდა ჩვენი ბადია გაოგნებული და მერე მაგანაც შეკაზმა ცხენი. ფიქრობდა: ეგ მეც ადვილად მკრავდა თოფს, შენ რაღა გაცეკვებდა გუშინ, როცა ჩემი ძმის შვილი და შვილი მიწაში გავრიეო. მერე თავის სისულელეზე თავადვე გაეღიმა. ჯერ სადავით ატარა ცხენი და წყალთან რომ მივიდნენ, იქ ამხედრდა. დიდხანს მიჰყავდა ნაბიჯით და არც სახლამდე აუჩქარებია. ბნელში მივიდა შატილში. სოფელს არ ეძინა. თავისებს უთხრა, რომ ყველას შაატყობინა დაბარებული. ეხლა დაღლილი ვარო და უვახშმოდ დაწვა დასაძინებლად.

პარასკევ დილას დაიწყო მოსვლა ხალხმა და სჯულისკაცებიც მოგროვდნენ.

იარაღს ყველა იხსნიდა და მასპინძელს აბარებდა. ყველას გააცნეს სჯულის პირობა: ბჭობის დროს ვინც თავს ვერ დაიჭერდა, მტრობას ასტეხდა და ვერ დააშოშმინებდნენ, საერთო შეთანხმებით ჯვარში დაარისხებდნენ, მოშუღლარებსაც და თუ სისხლამდე მივიდოდა საქმე, მთელ გვარსაც. კიდევ უარეს შემთხვევაში თემიდან მოკვეთის საქმეც გაირჩეოდა. მტრები და ნაშუღლარი ხალხი ორ მეზობელ კოშკში გაათავთავადეს და სჯულის საბძანებელ ერთ-ერთი კოშკის ზედა თვალში იქიდან მიიწვევდნენ. მსუბუქი შუღლის შემთხვევაში მტრებს ცალ-ცალკე მოიწვევდნენ, მერე ორივე მხარეს ერთად და ფიცს ადებინებდნენ სჯულის შესრულებასა და შერიგებაზე.

ძნელი იყო თავის დაჭერა მტრების შეხვედრის დროს, მაგრამ იარაღიც აყრილი ჰქონდათ და ფიციც დადებული. და იმასაც უკვე ყველა მიხვდა, რომ თუ მტრობას არ შეწყვეტდნენ, მთელ მხარეს საბოლოო დაღუპვა ელოდა შიმშილითა თუ სიკვდილით.

მთელ თემში აღარავინ დარჩა ხმლიანი, დაჭრილი ან დამჭრელი რომ არ ყოფილიყო.

ღამემდე არჩევდნენ საქმეებს. მეორე დღისთვისაც გადადეს, მაგრამ ვერ მოასწრეს და შერიგებულებსაც სთხოვეს ერთ დღეს კიდევ დარჩენა საბოლოო ფიცისთვის სჯულის კაცებმა.

ყველაფერი მოათავეს და მერე თქვეს: გუშინ ქვევიდან მოსული კაცი კვდება და ამბობს, უთურგა მაჩვენეთო, სათქმელი მაქვსო.

პირდაუბანელს ჰგავდა. შუახნის კაცს შუბლზე მუქი ლაქები ჰქონდა დაყრილი.

საჭმელს აღარ იღებსო, — უთხრეს უთურგას. უთურგა ყველაზე კითხული კაცი იყო სჯულის კაცებში.

არ თქვა, ვინ იყო. პირდაპირ დაიწყო: — მთელ ბარს ჟამი აქვს შემოსეული. მე და ჩემი ძმა ყიზლარში ვიყავით, ხალხმა

რო დაიწყო ხოცვა, დარიალისკენ წავედით. გვითხრეს, სოფლებია გაწყვეტილი და ვერ გაასწრებთო. ჩემი ძმა აქეთ წამოვიდა, ფშავში გადავასწრებო. მე ღილღველ ძმობილთან დავრჩი ერთ დღეს. არ გამომიშვა და ორი დღის მერე მეც აქეთ წამოვედი. ძმა შატილში ან ხახაბოში დამიცდიდა.

ორი დღის მერე წამოვედი ძმობილისგან და მივხვდი, რომ ჭირს მე ვზიდავდი. ჩემმა მასპინძელმაც ვეღარ ჭამა დილას პური. დიაციც შეუძლოდ არისო, — მითხრა. იქიდან ცხენით მეორე დღეს მოვე თერეთეგოს, ჩემ ძმას წინა დღეს ამოევლო, თერეთეგოელმა კაცმა წაიყვანა თავისკენო, მითხრეს.

შეუძლოდ იყო და ჩემთვის დაებარა, იქ მოვუცდიო — ორივე ვმალავდით ჭირს. კაკნიეხის აღმართს რო მივადეგ, ორი მომაკვდავი ვნახე. მთელი სოფელი კვდებაო, მითხრეს. ჩემი ძმის ამბავი ვკითხე. მე და ჩემ ძმას ხევსურული არ გვეცვა და ქისტურადაც კარგად ვუქცევდით.

ალბათ მაინც გვეტყობოდა უცხოობა. მოვიდა და სიკვდილიც მოგვიტანაო! — შეაგინეს ჩემ ძმას, მეც შემაგინეს, თავი კი აღარაფრისა ჰქონდათ, კვდებოდნენ. გამოვაბრუნე ცხენი, იქნებ როგორმე გადავურჩეო და აქისკენ გამოვწიე. ცხენმ მამიღ გუში და დავმალე, რომ ჟამი კი არ მამდევს, მე მავაბრძანე თქვენ კარზე. ვიცი, რომ თქვენშიაც ქვითკირში მყოფებში. იჩენს თავს ჭირი, ყველა დაიხოცებით ჩემთან ერთად... გაიცინა უკვე იმქვეყნიური სიცილით.

უთურგაის ხმალმა გაანათა ყველა, ყველაი და ფლასში მჭიდროდ გაახვიეთო, ბრძანა — აკლდამაში უნდა გატანაო. მერე ქვითკირის ქვედა თვალში ჩავიდა, სადაც უკვე შერიგებული ხმლიანები ისხდნენ. ყველა მოგროვდითო! გადაიკითხეს ერთმანეთი, ყველა აქ იყო. ყველა სჯულისკაცსაც აქ შეყრა სთხოვა. დიდხანს წყნარად ითათბირეს. უკვირდათ და ვერ გაეგოთ ღვთის რისხვის მიზეზი.

— აი, მტრობას, შუღლსა და ბოროტებას რო ვერ მაევრიეთ, სისხლ რო ვერ ვიკმარეთ, ალბათ მაგაად გვსჯისო და ღირსნიც ვართო და მართალიც არისო ღვთის ნება და არც განისჯებაო.

გამოუცხადეს ხმლიანებს ამბავი: ჩვენ კი ეს გადავწყვიტეთ, უფროსებმა, რო ერთ გზაზე გავიაროთ მწკრივად ყველამ, მემრ ხიდიც ჩავაგდათ, მივიდათ აკალდამეებამდე, ვისაც მაგვივ სიკვდილი, თავის ფეხით შავიდათ აკალდამაში, თუ აღარ შაგვიძლავ, შამძლეებმა დაგვალაგონ წესიერად. სოფელსაც და თემსაც მარტო ეს გადაარჩენს. სოფლად ნუღარავინ გავ: სოფელსაც უძახეთ! ყველას გააგებინეთ!! ეხლა თქვენი თქვით.

სხვაზე უარე აქ არავინ ორთ! — თქვეს ხმლიანებმა, — სირცხვილიანებ ხო არ ვივლით. სახელ ყველას გვინდ! გათავდ!!! ანატორულმ სახელ ნასხდლომებს მოგვართა, იდიდას მაგის სახელი.

დილით ბანზე გავიდნენ. სოფელი გააღვიძეს: უთხრეს, რაც გადაწყვიტეს: სოფლის შესავალ-გასავალი შეკრან, აღარავინ შეუშვან და თუ ვინმეს უკვე სჭირს, იმათ ქვითკირს აღარ გაეკარონ. სჯული დავამთავრეთ, ყველა საქმე გასწორებული...

გაზაფხულზე მაჭანითა და დათესეთ გვერდი-გვერდ... დიაცებმა ტირილი დაიწყეს. ჯერ არავინ მომკვდარაო და ისინიც გააჩუმეს. ჯვარიმც გეწერებისთ, კარგა გადაგიწყვეტავთ. ჩვენ დარდს ნუ გაიყოლებთ. უთურგას მოკლული ჟამის მომტანი გრძელ ხარიხაზე მიაკრეს საბლით. მაგრა შეკონილი წინ დაიყენეს. ოცდაათი ხმლიანი გამწკრივდა ხიდისკენ. ბოლოებმა ხიდიც ჩააგდეს წყალში და ფლასში შეკონილი ჭირის მომტანიც დაურთეს. ამ წყალს ზღვამდე არავინ სვამს და აღარც საშიშია ვინმესთვის, ხეობა მთლიანად მოწამლულიაო.

აკალდამას რომ მიუახლოვდნენ, ნაგალი შეშის გროვება დაიწყო ზოგმა: ღამით სიცივე შეგვაწუხებსო. გაეცინა მაგათ შემყურე უთურგას, არაფერი უთქვამს.

მოგროვდნენ. სამოცნი იყვნენ. ბადიას თავისი ცხენი გამოღმა ღამით გამოეყვანა და მოფარებულად დაება ბალახიანში. და ეხლა მიიყვანა. ხურჯინიდან საგძალი და ფანდური ამოიღო.

— სად აპირებდი საგძლითა და ფანდურითო, — აბამ, ოდინის შვილმა. (ყოველთვის რომ ყველაფერს ამჩნევდა), ვინ გიცდის და მერე რას აპირებთო?

ბადიამ: — ეხლა აღარაფერს! ნუ გადარდებს სხვისი საქმე!

ზოგი მიხვდა აბაის კითხვის აზრს, ზოგისთვის აღარაფერს ჰქონდა მნიშვნელობა ამქვეყნიურს და აღარც ღირდა რამე რაიმედ. ჟამი თავს იჩენდა ჩუმად, გველივით შემპარავად. ნელ-ნელა, უჩინრად ეხვეოდა ხან ერთის, ხან მეორე ხმლიანის სულს.

ვისაც ჯერ კიდევ შეეძლო — მიცვალებულებს ალაგებდა აკალდამაში. მერე სწრაფად შემძლეთა რიგებიც შეთხელდა. მესამე დღეს ბადიაი, აბა და აბასთან ახალშერიგებული მოსისხლე ძმები დარჩნენ ფეხზე.

— ბადიავ! ეს ჟამი შენ გივლის გვერდს და ვატყობ, არც მოგკლავს.. ეხლა ვატყობ, რომ მეც მიგვიანებსა და ჩემ მესისხლეებსაც. მართალია, ფიცით, რჯულით შეგვარიგესა და მთელ სოფელსაც აცნობეს ჩვენი შერიგების ამბავი, მაგრამ მე არ ვფიქრობ ბალახივით სიკვდილს. აქ აღარავინ გვხედავს. მე თქვენ უნდა დამეხოცეთ, მაგრამ სხვანაირად მავიგონი. ამაიღით ხმლები და დავაყარათ, როგორც შაგვიძლავ, ერცხვას. თემში ამ ამბავს აღარავინ მიიტანს, სჯულიც ძალაში დარჩების შერიგებისაი ჩვენი ბიძაშვილების ასასრულებლად. თქვა და ჯერ გონს ვერ მოსულიყვნენ, რომ ერთ ძმას სასიკვდილო დაჰკრა და მეორემ კი უკვე ფარი შეაგება. აბამ ბოლოს იმასაც შეაწვდინა ხმალი და ყელში გაუყარა. ჯერ კიდევ ჰქონდა ძალა და მეორეც დაუმატა მომაკვდავს და: წყალსამც უზიდავთ მამაჩემსო, — შესწირა. ეხლა შენ დარჩი ბადიავ, ახალი ხარა და არ იცი. თუ ამ ამბავს გაიტან, იქავ აირევის თემ-სოფელი. და ხალხიც ვეღარ გაუძლებსა და აიყრებიან, წავლენ მაგ ადგილებიდან, მტრობას გააგრძელებენ.

შენ დღეს კიდევ მაუცად სიკვდილს, დღეს ღამითაც თუ გადაურჩი, დილას უჩუმრად წახვიდ ფშავისკე. გზაში სადმე ერთ-ორ დღეს მაიცადე და მაშინ გეცოდინების, რო ჟამთად გადარჩენილი ხარა და სხვებთანაც გექნების მისავალი.

რო შამეძლას, შენაც მაგკლავდი, მაგრამ ეხლა დავატყვე, რომ ჟამითაც ვკვდები და ჭრილობაც მაგარი მჭირს, სისხლად ვიცლები, აიმან სიკვდილამდე მაგარ დამკრა და მარცხენას ვეღარ ვხმარობ, ეხლა ჯერ კიდევ შამიძლავ, რო დაგეხმარა და ეს ორი შევასვენათ აკალდამაში.

მე ჯერ თავად შამიძლავ შასვლა, შიგ დაველოდებ მუხთალს, დიდხანსაც აღარ მალოდინებს, ვგონებ.

აბა დაიხარა ერთი მკვდრისკენ და მარცხენა ხელით გული ეჭირა ჩოხის შიგნით შეყოფილი. ბადამ გველის ენასავით გამოაგდო ხმლის წვერი და აბაის მომზადებულ ფარში გაეჩხირა ჩოხის შიგნით. მივხვდი, რო მანდ რაღაცას ღმალავდი, გული მარჯვენა მხარეზე არავის გვიძევსო — უთხრა.

სიბოროტით არ მინდ შენ მაკვლა, მეშინის, ამბავს გაიტანა და კიდევ აირევის სოფელი. და ცბიერად წაგრძელე-

ბულმა კიდევ ერთხელ მოუქნია სასიკვდილო. ბადიას სამღარმაც გაიელვა და შუბლი გადაუხეთქა აბას.

ნეტარების ღიმილი შერჩა სახეზე, ისე დალია სული. ბადიამ დააბინავა ახალი მკვდრები. ისე დაასვენა, რომ ჭრილობები არ შეემჩნიათ, როცა სოფლელნი მოაკითხავდნენ აკალდამას, ერთმანეთისგან შორიშორ... ანატორლებს წყლის გაღმა ნაპირზე ისევ ენთოთ ცეცხლი, იმედის უკვე მბჟუტავი ცეცხლი. იქნებ ვინმე გადარჩენილიყო. იქნებ.

სამი დღის წინ სასიკვდილოდ მოსულმა ხმლიანებმა აკალდამაის წინა კედელზე მუხის წამახული სოლები დაასჭვეს და ყველა ჟამისგან მიცვლიდის იარაღს სოლებზე ამაგრებდნენ ფარის საბღუჯებით, რომ შემდეგ მიცვალებულთა ოჯახების ცოცხლად დარჩენილ წევრებს თავთავისი იარაღი გაერჩიათ და წაეღოთ. აკალდამის კედელი მალე შეიმოსა ელვარე ყაწიმებითა და ფარხმალით. კედლის შუაში შავად დარჩა პატარა სულეთის კარი. ეგაც დაგმანა ბადიამ და დაღლილი, ძალიან დაღლილი ჩამოჯდა.

უაზროდ უყურებდა ჩამავალი მზის სხივით წითლად აელვარებულ ყაწიმიან, იარაღასხმულ კედელს. რა თვინიერად ეკიდნენ სახელიანი ხმლები საბღუჯებით სოლებზე დაბმულები. საწყლები.

— არა გინდათ! გაიფიქრა: „ხანდიხან შაგძრავთ ქარიო“. მერე, მერე კი აუცილებლად გაიზრდებიან ახლები, სახელის მაძიებლები და ისევ ამოგამღერებენთ ქარქაშებიდან.

გვიან, გვიან მოეგო გონს. ბინდი ჩამომდგარიყო. ღამე მოიპარებოდა ხეობაში. მძიმედ წამოდგა, გაჭირვებით.

გაახსენდა სადიდებელი:

„თავადო მთავარანგელოზო, ანატორ სიმურთ ყარაულო!..“

ჩაიარა დაბლა წყლისპირზე თვალსმოფარებით დაბმულ ცხენთან.

უნაგირი დაადგა და აღმა, ხახაბოსკენ მიმავალ გზაზე, შეერია სიბნელეს.

საშიში იყო, არავინ შეჰყროდა ღამის გზაზე და გადაუხვია მოშორებით, ნაბადში გახვეულს, სამი ღამის უძინარს, უცბად ჩასთვლიმა.

გამოეღვიძა. რა დრო იყო, ვერ გაიგო. შავი, უვარსკვლავი ღამე არაფერს ეუბნებოდა.

ჯერ ნაბიჯით ატარა ცხენი, მერე ამხედრდა. გზაზე არავინ შეხვედრია. ხახაბოს შორს აუქცია. კოშკებში ერთ ადგილას სინათლე ბჟუტავდა. სანთელი ენთო ვიღაცას. ვიღაცას კი არა, იმას, ვინც პირობას ელოდა.

ვერასდროს გაიგებს, რა მოხდა. კარგია. არ შეუნელებია სვლა. მთაზე ფშავისკენ გადავლილი იყო, რომ გაუთენდა. ადგილი იცოდა ერთი, მწყემსების ნაბინავარი ქოხი. იმას მიაგნო. ფრთხილად მიუახლოვდა. არც ძაღლები, არც ცხვარ-მეცხვარე. კარგია. შეშაც იპოვა, ნაგზები. აქ აღარავინ მოვა, რამდენსაც გასძლებს, აქ იქნება, თუ არ მოკვდა. მუხთალი ჟამი თუ არ უცდის თავის დროს.

აქ გაიგებს თავისი სიცოცხლის ამბავს და ყველაფერს მერე გადაწყვეტს. ტალ-კვესით გააღვია და ცეცხლი დაანთო.

ნელა მიხვდა, რომ ჟამმა დაინდო, აყურებინა თავისი სისხლიანი ღრეობისთვის და გაუშვა.

ოთხი ღამე გაათია. ველარ არჩევდა, როდის ეძინა და როდის იყო ფხიზელი. რატომ შეიწყალა ანატორულმა ჯვარმა, ყიზლარის ველებიდან მოღწეულმა ჟამიანმა კაცმა ხომ ბარში უფრო მრავალის სიკვდილი ნახა. იქაც ხო ანატორული სალოცავები არ განაგებდნენ სიკვდილ-სიცოცხლის საქმეს.

ნეტავ ყველაფერი სიზმარი ხომ არ არისო! — თავი ახალა ქოხის კედელს. ტკივილის გრძნობა ნორმალური ჰქონდა, სისხლიც წამოუვიდა.

ყველაფერს თვალნათლივ ხედავდა. ყველაფერი ახსოვდა. დღისით ხმალი ამოაგო — სისხლიანი იყო, აბაის სისხლიანი. არ გაწმინდა, ისევ ჩააგო.

ყველაფერი ნამდვილად მოხდა. დღეს ანატორლებმა ყველაფერი იციან, გარდა სისხლიანი ბოლოსი და ეს მარტო ბადამ იცის და ვერავინ გაიგებს. ვერასოდეს ვერავინ გაიგებს. სჯულმა დიდი შერიგება შესძლო და აღარავინ დაარღვევს უზენაეს კანონს.

მეორე დღეს მათურის წყლისკენ დაეშვა. წყლის გვერდზე მიმავალ გზას მიჰყვა, ვიდრე შუაფხოს მიაღწევდა. არც იმ ხალხმრავალ სოფელში გაჩერდა. სოფლის ბოლოზე წყალში გაერია და დაღმა გაუდგა გზას. სადღაც კაწალხევის გამოღმა ორი დაქვეითებული მგზავრი ერთმანეთს მისდგომოდა. ცხენები სადავეებით ეჭირათ და სამგზავრო არაყს ასმევდნენ ერთმანეთს.

დაქვეითება სთხოვეს, წესი შეგვისრულეო. დაგვილოცე ჩვენი არაყით მგზავრობის მიზეზიო. დალოცა. არხოტიონი ვარო, მოატყუა, დედულთ გვარი უთხრა. ერთმა: მე შენ ეხლა არ გაგიშვებ, გაღმა კაწალხევში ვცხოვრობ და ერთი დღე მაინც გაათენე ჩემ ჭერქვეშო. არხოტიონებს იშვიათად ვხვდები, ცოლი არხოტიონი მყავს ჩამომავლობით და უარს ნუ მეტყვი, მინდა, ჩემი სტუმარი იყო, დაისვენე და ხვალ გაგისტუმრებო. მიატრიალეს ცხენები და კაწალხევამდე ცოტა ხანი დასჭირდა კაი ხვადებს. უმცროსი ძმა და მშობლები თბილად დახვდნენ. ცხენი თივაზე დააყენეს და იმ ღამეს გვიანობამდე ისხდნენ ტაბლასთან. ხორნაულს ბუბა ერქვა, პატარა ბავშვი, მამის მუხლებს მოხვეული სტუმარს თვალს რომ არ აშორებდა, გაგა იყო. თვითონ გააცნო თავი პატარამ.

ხევსურული ტალავარიც აღარა მაქვსო, — ბუბამ: ფშაურად ვიცვამთო. ბადიამ პერანგი, ჩოხა და პაჭიჭები შესთავაზა თავისი. საძმობილოდ ფშაური თუ გაქვს რამეო. დილაზე გაცვალეს ტალავარი. მაღალი, მეცხვარის ბეწვიანი ქუდიც დაურთო ბუბამ და ორივე ერთმანეთს უქებდა ჩაცმულობას. ხმალიც, მინდა საძმობილოდ, შენ გაჩუქო და ყაწიმის სამხარიღლიოზე შებმული სამღარი გადააცვა მხარზე. ამას კი აღარ ელოდა ბუბა, მაგრამ ბადიამ დაშნა გამოართვა. ხორნაულმა ფრანგული ამოაგო და შემხმარი სისხლი მოუვლელ პირს შავად ეტყობოდა.

არ გაეწმინდა აბაის სისხლი ანატორელს ხმლის პირზე და: საიდან მოდიხარ, ვინა ხარო — ხორნაულმა რომ ჰკითხა, გაწმინდე და შეინახეო, სასირცხვილო ან დასამალავი არაფერ ჩამიდენია, მეტს ნუღარაფერს მკითხავო და ეგრე დაშორდნენ ერთმანეთს. თბილად გააცილა ოჯახმა სტუმარი: დალოცეს და გაისტუმრეს.

ყოფილხარ ბარშიო? — ბუბამ ჰკითხა. გაიგო, რომ პირველად მიდიოდა. გაგიჭირდება კახებთან. ნაყმევები სახელ-სირცხვილს აღარ დაგიდევენო, ვერ შეეჩვევი, ბევრის მოთმენა დაგჭირდებაო.

შემხვედრ ხალხს ათვალიერებდა. უკვირდა, ყველას დახეული და ლეგა, შალის კი არა, ვერ მიხვდა, რა ქსოვილისგან შეკერილი თუ მოქსოვილი განიერი, თეთრ წინდებში ჩატანებული შარვლები ეცვა. ყველა უიარაღო, თავზე დაგლეჯილი ნაბდის ქუდები. გასაპარსავები. მიხვდა ნელ-ნელა, რომ სხვა ქვეყანაში მოხვდა. გზის გვერდზე ჩამომსხდარ ორ

ახალგაზრდას მიადგა. აბაის მიახლოვებაზე ლაზღანდარობა შეწყვიტეს. არც განძრეულან. არ მიესალმნენ, უძრავი სახეებით შესცქეროდნენ. ქალაქის გზა ჰკითხა:

— რა თემის ხალხი ხართ? მე ანატორის ჯვარის ყმაი ორ, თქვენა?

— ჩვენა კიდენა მილახვრიანთ ყმები ვართ. შააყოლე ეხლა, თუ მიდიხარ, შენ გზაზე.

მოშორდა, ქალაქისკენ გააგრძელა გზა.

მრავალი წლის მერე, ძალიან დიდი ხნის მერე ლამაზი, ხმელ-მაღალი ბერი ხვდებოდა ბეთანიაში მოსალოცად ასულ მრევლს. მდუმარედ ემსახურებოდა საყდრიონსაც და მრევლსაც. ამბობდნენ, ფშავიდან ჩამოსულია, ოჯახი დაღუპვია, ზვავს დაუტანია და ბარში გადმოხიზნულა მარტოდ დარჩენილიო.

რამდენიმე წლის წინ შატილში თბილისიდან სალაღობოდ ამოსულმა ბიჭებმა აკალდამიდან ერთი თავიქალა გამოიტანეს. ქალაზე ღრმა ჭრილობის კვალი ვერ წაეშალა დროს.

სათევზაოდ წამოღებული ამონალის ერთი ლულა ჩადვეს შიგ და პატრუქმოკიდებული შატილის ჭალაში დიდ ლოდზე შემოდვეს. თვითონ მოასწრეს და ქვებს მოეფარნენ.

აფეთქების მერე ცაში ნაკერებზე დამსკდარი თავის ქალა დედამიწის კონტინენტების მსგავს ფირფიტებად დასკდა და მერე დაიფერფლა ჭალაზე.

ძვირფასო მკითხველო! ანატორის სალოცავი არა მარტო ხევსურებისა, არამედ, იმავდროულად, ნახებისაც ყოფილა, და რამდენად ერთად ვიყავით ან შორს ერთმანეთისგან ქისტები და ქართველები, აღარ ვიცით.

ეგ კიდევ არაფერი: „ჩვენთვის ცხადია, რომ მეგრული ანთარი და ხევსურული ანატორი ერთი და იგივე ღვთაება უნდა იყოს. ამ ღვთაების სახელი შენახულია აფხაზეთშიც, რომელშიც ეს სიტყვა გვხვდება „აიათარ“ სახით... ნუ განმსჯით წაკითხულისთვის, ეს დიდ ივანე ჯავახიშვილს ეკუთვნის. ანატორელთა სრულიად სწორუპოვარი აქტი მოქალაქეობრივი თავშეწირვისა, საერთოკავკასიურია და იმ დროს ეკუთვნის, როცა საერთო სალოცავი გვყავდა და ერთი ღმერთი გვიფარავდა ყველას.

როდის არის ეროტიკის დრო?

ალბათ ყველამ მიაქცია ყურადღება სოფიკო კვანტალიანის ლექსებს, რომლებიც „ჩვენი მწერლობის“ მე-17 ნომერში დაიბეჭდა.

თამამი ლექსებია. უფრო თამამებიც გვახსოვს. თუმცა, დარწმუნებული ვარ, „უფრო თამამებს“ რედაქცია არ გამოაქვეყნებდა. შესაძლოა არც ამ ციკლის გამოქვეყნება იყო გამართლებული, მაგრამ რადგან დაიბეჭდა, ესე იგი, რედაქციას აქვს თავისი პოზიცია ისეთ მარგინალურ ჟანრთან მიმართებით, როგორიც არის ეროტიკა.

ლექსებმა დღის სინათლე იხილეს, გავეცანით, წავიკითხეთ, გავიზიარეთ და მგონი უფლება გვაქვს, ჩვენი აზრიც გამოვთქვათ.

მე ეს ლექსები მაინცდამაინც არ მომეწონა.

რატომ? იმიტომ, რომ ფრთხილად, თავშეკავებით არის დაწერილი. თითქოს პოეტს უჭირს გადალახოს ზღვარი დასაშვებსა და დაუშვებელს, ნებადართულსა და აკრძალულს, სექსუალურსა და პორნოგრაფიულს შორის. არადა, თუ რამე არ უხდება ეროტიკას, ეს სიფრთხილე და თავშეკავებაა.

გასაოცარია, დახედავ, წაიკითხავ, ძალიან თამამი ლექსებია, დააკვირდები, გაიაზრებ და — ფრთხილი, შებოჭილი, გაუბედავი გეჩვენება.

რა ხდება? ხდება ის, რომ ჟანრის კანონები ბოლომდე არ არის დაცული. თუ ეროტიკაა, იყოს ეროტიკა! — ფრთაგაშლილი, ლაღი, დაუოკებელი, მაგრამ არც ისეთი სადავემიშვებული, როგორებსაც, მაგალითად, მიშელ უელბეკი და მამუკა ლეკიაშვილი გვთავაზობენ და არც ისეთი პრაქტიკულ-საზოგადოებრივი, როგორებიც სჩვევიათ, მაგალითად, დათო ბარბაქაძესა და ჩარლზ ბუკოვსკის. ნიმუშად შეიძლებოდა აგვეღო ჰენრი მილერის ან მიხეილ ჯავახიშვილის მოტივები.

ეს, რა თქმა უნდა, ნახევრად ხუმრობით. სხვათა შორის, ხუმრობაზე გამახსენდა, ოთარ ჭილაძეს აქვს „აველუმში“ მახვილგონიერი ხუმრობანი ეროტიზმის, უფრო ზუსტად, პლაჟის ეროტიზმის შესახებ.

ეროტიზმის თემა ჩვენში ბოლშევიზმის იდეოლოგებმა გაუკუღმართეს, თორემ რა სჭირდა გასაუცხოებელი და გასაუკუღმართებელი ეროტიკას, რომელიც ქართულ ეთნიკურ ხასიათში არსებობს, როგორც არქეტიპი.

ეროტიზმი, აბა რა არის ფშაური წაწლობა და ხევსურული სწორფრობა, ოღონდ, იქაც, ნახეთ, რა ხდება — ზღვარია დაწესებული, სამკვდრო-სასიცოცხლო ნიშნულია დადებული, რომლის გადალახვა ტრაგედიის ტოლფასი იყო.

ეროტიზმს აქვს თავისი უსაზღვრო სამყარო, რომელიც ფანტაზიის სფეროს განეკუთვნება. როგორც კი ფანტაზიიდან ემპირიაზე გადავდივართ, მაშინვე ირღვევა საზღვარი და იწყება პორნოგრაფია, უხამსობა, გათახსირება.

აი, სწორედ ამას მოერიდა, ჩემი აზრით, სოფიკო კვანტალიანი და ამიტომ გამოუვიდა „მორიდებული“ ეროტიკა.

სამაგიეროდ, უნაკლოა ბგერწერა და ინტონირების მანერა — რბილი, ლირიკული, მელოდიური, ტემბრი ქმნის ემოციური აღმავლობის განცდას.

აქ ჩანს ოსტატობა, ნიჭი და გემოვნება სოფიკო კვანტალიანისა. მან იცის, რომ პოეზიაში ბგერა განსაკუთრებული არჩევანია, ხარისხობრივადაც კარგად ახერხებს ხმოვნებისა და თანხმოვნების შერწყმას. ერთი სიტყვით, ტექნიკის თვალსაზრისით, ყველაფერი რიგზეა, ოღონდ... ანუ როგორც ზემოთ მოგახსენეთ.

ერთმა ჩემმა მეგობარმა ეს ლექსები რომ წაიკითხა, თქვა, რაღა დროს ეროტიკაა, ხალხს სატრფიალო ლირიკა აღარ ახსოვსო. ვინ იცის, იქნებ მართალიც არის, მაგრამ მე ჩემი მოსაზრება მაქვს: პოეზიაში მთავარი ის კი არ არის, რაზე ვწერთ, არამედ — როგორ ვწერთ.

თავის დროზე საკულტო ეროტიკის საფუძველზე წარმოიშვა სატრფიალო ლირიკა და რატომ არ შეიძლება, ახლა პირიქით, სატრფიალო ლირიკა გადაიზარდოს ეროტიკაში.

ასე რომ, რა დროს ეროტიკაა, არ არის სწორი. ეროტიკის, როგორც პოეტური თემის, დრო ყოველთვის არის და ეს შეგვახსენა სოფიკო კვანტალიანმა, რისთვისაც მადლობას იმსახურებს ჩვენგან, ლექსის მოყვარულებისგან.

თენგიზ საბიაშვილი
ფსიქოლოგი

ემზარ კვიტაიშვილი

ყინცვისის ანგელოზს შევადარებდი

თამარ ერისთავის პოეზია

არასოდეს დამავიწყდება ის დღე, როცა ჩემს სიყმაწვილეში თამარ ერისთავი გავიცანი. გიშერივით თმა და თვალები, თანდაყოლილი კდემამოსილება, გვერდზე ოდნავ გადახრილი თავი იმდენად მომხიბლავი იყო, თუ მსგავსებაზე მიდგებოდა საქმე, წამითაც არ შევყოყმანდებოდი, ლაჟვარდის ფონზე გამოსახულ, ლურჯად აციალებულ ყინცვისის ანგელოზს შევადარებდი. გარდა ამისა ვიცოდი, იგი მისი გარეგნობის შესაფერის ლექსებსაც წერდა.

წლების მერე, სახელოვანმა ლიტერატორმა, ჩემმა მოძღვარმა აკაკი გაწერელიამ გაკვირვებულმა მითხრა — რამ დააბრმავა ეს ჩვენი კაცები, როგორ მოხდა, რომ თამარ ერისთავი, ვისი მარტო თვალები რამდენიმე ეშხიან ქალად ღირს, დღემდე ცალად დაიარებაო. გივი გეგეჭკორმა საუცხოო ლექსი უძღვნა თამარს და ერთგან მეგობრულად შეაპარა, შენი იერსახის პატრონს სიყვარულის გამხელა ვერავინ გაგიბედაო.

მთელი ცხოვრებაა გასული მას შემდეგ და გუშინდელივით მახსოვს, უნივერსიტეტის ალმანახ „პირველი სხივისთვის“ თამარ ერისთავის ლექსები რომ უნდა შერჩეულიყო. თუმცა შერჩევა აღარც გახდა საჭირო. ალმანახის მესვეურები და ლიტერატურული წრის წევრები აღტაცებულნი შეეგებნენ მთის წყაროსავით ანკარა, გულიდან დაძრულ ლექსებს. განსაკუთრებულად უშუალო, ახლებური იყო ერთი უსათაურო, რომელიც ზეპირად დაგვამახსოვრდა:

შენ დაგეძებდი ბაკურიანში,
თვალი ვერ მოვკარ, საით წახველი,
ხშირად მესმოდა, ვიღაც გეძახდა,
მაგრამ ვერ გავხდი შენი მნახველი,
სხვა პასუხობდა, შენ არსად ჩანდი,
რამდენს რქმევია შენი სახელი!

ამ ხალასი სტრიქონების მოსმენისას ადვილი წარმოსადგენი იყო სპორტულად ჩაცმული, თხილამურებზე შემდგარი, კოხტაგორადან შურდულივით დაქანებული თამარი, რომლის შავ, ნაზად აზნექილ წამწამებზე ვერცხლისფრად ბრწყინავდა ფიფქთა პაწია კრისტალები. მხოლოდ იმაზე დაგწყდებოდა გული, მისგან სწორფერად მიჩნეულმა და მოწონებულმა ჭაბუკმა ისეთი მეფური მზერა რომ ვერ დაიჭირა და თოვლიან ბურუსში ჩაიკარგა.

იმჟამინდელ ლექსებში ერთმანეთს ენაცვლებოდა ქართლისა და იმერეთის თვალისმომჭრელი ხედები, აკვარელური სიფაქიზით დახატული პეიზაჟები. ამღერებული კილოთი, სილაღით აშკარად გამოირჩეოდა „ისევ ქართლში“, ჭეშმარიტი ლირიკისა და კლასიკური სისადავის მაგალითად რომ გამოდგება. საჭირო გახდება ამ ლექსის მოზრდილი ნაწილის ამოწერა, რათა თვალნათლივ დავინახოთ სრულიად ახალგაზრდა თამარ ერისთავის პოეზიის აუმღვრეველი, წმინდა სათავე:

განვლილ ყრმობას ვერ დავიწყებ,
თორემ გზას კი — თავიდან,
ბილიკს მოვდევ არაგვისა
და მტკვრის შესართავიდან.

მზემ სხივები დამაფრქვია,
ძალა გამიზიარა,
გზად ნიავი დამეწია,
ჩემს ფეხდაფეხ იარა,
ქართლო, შენი სილამაზის შემყურეს,
ფრენა მინდა, სიარული კი არა;

ვიცი, გულში ეს უსაზღვრო
სიყვარული რამ შობა,
აქ მწყერჩიტას ბარტყთან ერთად
ბუდობს ჩემი ბავშვობა...

ბავშვობის ფერადოვანი, განუმეორებელი წლების მწყერჩიტას ბარტყთან დაკავშირება ძალზე ბუნებრივი და პოეტურია, მაგრამ თვით თამარის გარეგნობა უფრო საიმისოდ განგვაწყობს, იგი გნოლისა ან კაკაბისთვის შეგვედარებინა.

თამარ ერისთავი უმამოდ გაზრდილთა კეთილშობილ, მრავალჭირნახულ თაობას ეკუთვნის. მამამისი, დიდებული ინტელიგენტი ლევან ერისთავი ავადსახსენებელმა ოცდაჩვიდმეტმა წელმა შეიწირა და ციმბირში დაღუპულის ხსოვნას ქალიშვილმა მძაფრი, მოუნელებელი ტკივილით აღსავსე ლექსი მიუძღვნა. დაობლებულზე მზრუნველობა, ძირითადად, გაუთხოვრად დარჩენილმა, თამარივით ულამაზესი შესახედაობის ქალბატონმა, წლების მანძილზე ბავშვთა ტურისტული სადგურის ხელმძღვანელმა მზია ერისთავმა იკისრა, ვისთან ერთადაც ძმისწულმა მართლაც ნაბიჯ-ნაბიჯ მოიარა საქართველოს მთა-ბარი.

გასულ წელს გამომცემლობა „ეროვნულმა მწერლობამ“ დასტამბა თამარ ერისთავის დიდი, საკმაოდ სრული ერთტომეული — „რაც იყო — იყო, რაც არის — არის“, რომელიც შესაძლებელს ხდის, მკითხველმა თვალი გაადევნოს პოეტის ძალზე ფასეულ შემოქმედებით გზას.

წინასწარ უნდა განვაცხადო — საჟურნალო წერილის შეზღუდული მოცულობიდან გამომდინარე, მცირეზე მცირე ნაწილს შევეხები იმ საუკეთესო ლექსებისა (ავტორი შეგნებულად არ იცავს ქრონოლოგიას; ცალკეული ციკლები თემებისა და მონათესავე განწყობილებათა მიხედვით არის დალაგებული), რაც ამ მრავალმხრივ საყურადღებო წიგნშია თავმოყრილი. ამდენად, ეს უფრო გახლავთ წიგნის წაკითხვის შემდეგ მიღებული პირველი, უშუალო შთაბეჭდილება.

ადრევე იგრძნობოდა, რომ საქართველოს მთიანეთის ისეთი თავგადაკლული მოტრფიალისათვის, როგორიც თამარ ერისთავი გახლავთ, ვაჟას სამყარო განსაკუთრებულად ახლობელი და მიმზიდველი იყო. ამის დასტურია მოზ-

რდილი, პოლიფონიური ლექსი „ვაჟა“, რომელშიც ოსტატურადაა განფენილი გენიალური ფშაველის გამაოგნებელი ვიზიონერული ხატები და, ჩვენდა სამარცხვინოდ, მისი დუხჭირი ცხოვრების მიმანიშნებელი ეპიზოდები. სრულიად ნათელია, თუ რისი თქმა უნდა ავტორს, როცა ფინალში ერთმანეთთან აწყვილებს ყველა დანარჩენ სიმაგრეთაგან განსხვავებულ „ქაჯეთის ციხეს და შატილს“; ვაჟასადმი მისი მიმართება, უზომო თაყვანისცემა ერთ სტროფში მოქცეული ამ აღტაცებული შეძახილითაც საცნაურია:

ვინა ხარ, სიმღერით გონების წამღები,
სულეთის კართან რომ დაობ,
ხევებზე ყმუიან შავფერი ჯანღები, —
შენ ხედავ სამყაროს ქაოსს.

მცირე, ერთ სხეულად შეკრული, დაუნაწევრებელი ლექსი („დადევნება იყო გვიანი“), რომელიც დიდი ხნის წინათ, გამოქვეყნებამდე, წაგვიკითხა გივი გეგეჭკორს და მე თამარ ერისთავმა და ორივენი აღფრთოვანებული დავრჩით, წლების მერეც ისევ ისე მხიბლავს, მაგრამ მიჭირს ახსნა იმ მაგიური ზემოქმედებისა, რასაც იგი ახდენს. მასში თითქოს არაფერია ახალი, მოულოდნელი; პირიქით, უკიდურესად სადაა, სამკაულებს არიდებული, განცდა სრულიად ჩვეულებრივი, სასაუბრო მეტყველებითაა გადმოცემული, მაგრამ ყოველი ადამიანისთვის სასურველი რამ — ბედნიერება — პოეტის თვალით ისე ლამაზად არის დანახული და განსახოვნებული, პერსონიფიცირებული, ყველა ინატრებდა, თვითონაც ეხილა ამგვარი ნეტარი და მოუხელთებელი წამი. ბევრჯერ თქმულა, რომ ხელოვნებაში, პოეზიაში ყველაფერი დიდებული და ამაღლებული უბრალოა და ეს ნათელი სევდით და სინანულით აღსავსე უმშვენიერესი ლექსიც ამის დასტურია:

ბედნიერებას იმ დღეს ეცვა
უბრალო კაბა,
მხრებში მოხრილი მოდიოდა
პატარა შუკით,
თვალებში ედგა უჩვეულო
სინათლის შუქი, —
რაღაცა ძნელი სიხარული
მოჰქონდა ალბათ.
ჩავუარე და არ შევჩერდი,
არ გავყევ უკან,
მხოლოდ ღიმილი შევაგებე
თავაზიანი,
მოვიხედე და...
დადევნება იყო გვიანი, —
უკვე გაევლო გასავლელი
პატარა შუკა.

თამარ ერისთავის მრავალი ლექსი ნაირფერი ყვავილებითა და მცენარეებითაა მოქარგული (ამაზე ქვემოთაც ვიტყვი) და ეს მისი პოეტური მეტყველების ერთი მთავარი თავისებურებათაგანია. ყვავილთა სამოთხისებური სინაზე და მშვენიერება ძალას, ხალისს მატებს პოეტს, აიმედებს, რომ ბევრი თვალწარმტაცი დღე ჯერ კიდევ წინ არის და მისი შთაგონება ასე იოლად არ დაიშრიტება. მან კარგად იცის — სამყაროში ყველაფერი მოძრაობს, მიედინება, მაგრამ ბუნების უჭკნობ მშვენიერებას, ერთმანეთზე გადაბმულ ზღაპრულ სურათებს დასასრული არასოდეს ექნება:

ჯერ მზე არ ჩასულა, —
დღე კიდევ დიდია,
თეთრი გვირილები
ჯერ მზისკენ მიდიან;
ჯერ კიდევ ჩრდილები
გაღმა მთას დაჩითავს
და ლურჯი ზარებით
დარეკავს მაჩიტა...
და ტყეში ფიჭვები —
მწვანედ, რომ ღელავდნენ,
დაემსგავსებიან
ანთებულ კელაპტრებს.

უყურადღებოდ არ შემეძლო დამეტოვებინა ერთობ დელიკატურ თემაზე ოსტატურად დაწერილი თავისუფალი ლექსი „სიბერის გალანტური ეტიკეტი“, რომლის ტონი ზუსტად არის შერჩეული და თავიდან ბოლომდე შეუმცდარი, უტყუარია. ყველაზე მტკივნეულად ასაკისმიერ, გარეშეთაგან იოლად შესამჩნევ ცვლილებებს ლამაზი ბანოვანები განიცდიან და უთუოდ მოსაწონია პოეტის ტაქტი, რომ იგი თვალთა შუქისა და ეშხის დამამცრობელს, სახეზე ნაოჭთა გამჩენს, მზაკვრულად ჩასაფრებულ ხნოვანებას, სიბერეს ამეტყველებს; გვესმის მისი ყასიდად დამამშვიდებელი, შემპარავი ხმა, ვითომ დიდი შეღავათი იყოს, რომ ღვთისგან მომადლებული იშვიათი სილამაზის ჭკნობა თანდათანობითი, მაგრამ შეუბრალებელი კანონზომიერებით ხორციელდება:

ნუ გეშინია,
მე ერთბაშად არ წაგლეკავ
თემურ-ლენგივით.

წნეხი ნელ-ნელა უფრო და უფრო შემბოჭავი ხდება, ძლიერდება და სტრიქონთა ბუნებრივ მდინარებას წერტილს უსვამს მშვიდი კილოთი ნათქვამი, ოღონდ საკმაოდ შემაძრწუნებელი, ავის მაცნე, მოკვეთილი ფინალი:

თანდათანობით გზის გავლის და
კარის მიკეტვის,
ჩემი წესი მაქვს
და ეტიკეტი.

თამარ ერისთავის სპეტაკი შინაგანი ბუნებიდან გამომდინარე, მისთვის ძალზე მახლობელია აკაკის პოეზიიდან კარგად ცნობილი და დამკვიდრებული ფუტკარის ემბლემური სახე-სიმბოლო და ერთ ლექსში, რომლის მიზანდასახულობა სათაურიდანვე აშკარაა („ო, როგორ მინდა, ვიყო ფუტკარი“), შემოქმედს გულმხურვალედ ევედრება: „მოიღე ჩემდა მოწყალება, ფუტკრად მაქციე!“

ამის მახვეწარი, როცა კი დაჭირდება, თასმასავით იმ-

ორჩილებს რვამარცვლიან დაბალ შაირს. ამ დროს მისი ფიქრი, ჩვეულებრივ, საქართველოს წარსულს, ქვეყნის გადასარჩენად გამართულ ომებს დასტრიალებს და ასეთ ლექსებს ხშირად „ქართლის ცხოვრების“ ამონარიდებს და „სახარების“ შესაფერის მუხლებს წაუმძღვარებს ხოლმე. სიძველით დაღდასმული ნანგრევებიც სიამაყეს უნერგავს პოეტს და ლაღად ამოთქმულ ლექსში („ჩემი თრიალეთი“) გმირული სულისკვეთებაა დასადგურებული:

მთის ფერდზე ციხე-კოშკია,
„ქართლის ცხოვრების“ აბზაცი,
გალავანს ლიბო მოშლია,
ცა მოჩანს კოშკის ნაბზარში.
.....
ვიცი, წინ გზები გველიან
მომავლის დანაპირები,
შენ გასწი, მე კი წავალ და
იმ ბზარში ჩავეკირები.

თამარ ერისთავი, როგორც ყოველი ჩვენგანი, ცხოვრების მანძილზე, მრავალი ტრაგედიის მომსწრე გახდა, წუთისოფლიდან წასულ არაერთ ახლობელს მიაგო უკანასკნელი პატივი და ამან დააწერინა მისი თაობის გასაგონად ნათქვამი, სითბოთი და თანაგრძნობით განმსჭვალული, ლამაზად და ამავე დროს სადად გაწყობილი საჭირისუფლო ლექსი „ცრემლის აპოლოგია“, სადაც ყოველი ხატი თუ შედარება იმისთვისაა მოხმობილი, ძვირფას ადამიანთან განშორების მწუხარება გვაგრძნობინოს:

...ცრემლს გავაყოლებთ წამავალს
ცრემლი სიკვდილის მზითვია;
ცრემლს თუ გაიღებ მოყვრისთვის,
სისხლზე ნაკლები რითია.
.....
ორ სოფელს შუა გამყოფი
სულ სიფრიფანა ძგიდეა
და ცრემლი ყოფნა-არყოფნის
უფლის წამწამზე ჰკიდია.

ფინალურ სტრიქონებში შემოხაზული უფაქიზესი სურათი ერთ-ერთი უმშვენიერესია ქართულ პოეზიაში და თუ რითია მიღწეული ეს ამაღლებული სულიერი განწყობილება, ამას მსჯელობა არ სჭირდება, ისედაც ცხადია.

კრებულში შეტანილ არაერთ, ოსტატურად დაწერილ ლექსს გასდევს მძაფრი პუბლიცისტური პათოსი, რაშიც მკაფიოდ ვლინდება ავტორის მოქალაქეობრივი მრწამსი, სამშობლოს უპირველეს სიწმინდეთა (ქართული ენა, ქართული წიგნი, ჩვენი ისტორიული ძეგლები) დასაცავად სიცოცხლის ფასად მზადყოფნა, შინაურ და გარეშე მტრებთან დაუფარავი დაპირისპირება („ნუმც გაიხარებს“).

პოეტმა რამდენიმე ბრწყინვალე ლექსი უძღვნა თავის საყვარელ მხატვარს ელენე ახვლედიანს, ვისი ზამთრის პეიზაჟებიც მისი მუდმივი აღტაცების საგანია, ვის ტილოებზეც სამუდამოდაა აღბეჭდილი „ჟამთა დინებას“ გამოტაცებული „ხილვა, ქცეული ხატად...“, გაცოცხლებულია ფეერიული წამები, როცა ფუნჯის ჯადოქარი ჰაერში თავბრუდამხვევად მოფარფატე ფანტელებს სუნთქვაშეკრული შეჰყურებდა და მათ დატყვევებას ლამობდა:

მალე გაქრება ეს ზამთრის ღამე,
ეს მოლოდინიც დილის, დამდეგის.
და გაჰყვებიან გაფრენილ წამებს
ფიფქების თეთრი ფარშევანგები.

თამარ ერისთავს მრავლად აქვს სათაყვანებელი წინაპრებისა და ღირსეული თანამედროვეებისადმი მიძღვნილი ლექსები. ამ დიდებულ გალერეაში უთვალსაჩინოესი ადგილი სამართლიანად უჭირავს „ქართლის ჭირის“ გულდამწვარ მოზარეს, თითქმის რუსთაველის ბადალ ტიტანს დავით გურამიშვილს. ნიშანდობლივია, რომ ერთ-ერთი ლექსი მას ჩვენი საამაყო მოქანდაკის მერაბ ბერძენიშვილის გენიალობით აღბეჭდილ ძეგლთან უთქვამს, რათა უცხოეთში გადახვეწილი, სვეტედისგან გამწარებული კაცისთვის ნუგეშის სიტყვა ეთქვა:

ფიქრს გიწყალებდა ჟამი აშარი,
გზას გიღობავდა ბედი აბრუნდი,
მაგრამ ეული და დამაშვრალი,
საქართველოში ლექსად დაბრუნდი.

სრულიად განსაკუთრებულია თამარ ერისთავის დამოკიდებულება საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული პიროვნების დემნა უფლისწულისადმი, ვისაც დიდოსტატურად აგებული, სულმოუთქმელად საკითხავი საუკეთესო, ცალკე წიგნად გამოცემული ესსე მიუძღვნა (პირადად მე მიძნელდება, რუსთაველისა და დემნას იგივეობა ვიწამო, მაგრამ ეს არაფერს აკლებს ამ საუცხოოდ მოფიქრებულ ნააზრევს). მცირე ლექსში სასოებით აღვლენილი ვედრებაა, რათა საქართველოს ტახტის კანონიერმა მემკვიდრემ, ღვიძლი ბიძისაგან უწყალოდ გამეტებულმა, კვლავ აჩვენოს პოეტს უცხო თვალთაგან დაფარული თავისი ნაწამები სახე:

მომივლინე შენი ხატი,
გარდმოსული ზესთა-ზესით,
კიდევ ერთხელ, კიდევ ერთხელ,
კიდევ ერთხელ სიცოცხლეში.

როცა თამარ ერისთავი პატივს მიაგებს ლადო გუდიაშვილის, გიორგი ლეონიძის, სიმონ ჩიქოვანის, მირზა გელოვანის, გოგი თურმანაულის, თემურ კუხიანიძის, ჯუმბერ მეძმარიაშვილის, მზია ანდრონიკაშვილის, შალვა კილასონიძის და სხვათა ხსოვნას, თვითეული მათგანის სახეს თავისებური კუთხით წარმოაჩენს, ტრაფარეტი, ზოგადი ფრაზები ყველა შემთხვევაში არიდებულია.

ჯერ კიდევ სიცოცხლეში უძღვნა თამარ ერისთავმა მთაწმინდის კალთას მიბარებულ ანა კალანდაძეს მეტად ნატიფი ლექსი, რაც იმავდროულად „ქართული პოეზიის დედოფლის“ უზადო პორტრეტია:

ღიღილოსფერი ქათიბი გეცვა, ანა,
შენი თვალებიც ცის ღიღილოებს გვანან;
ვარძიის ხატთან დღეს თუ სანთელი იწვის
და ანგელოზი თუ არ გასცლია ყინცვისს,
თუ არ შევკრულვართ ეშმაკეულთან ზავით,
ყურში თუ რეკავს — თამარ, ქეთევან, დავით! —
და თუ ლექსები სამრეკლოებად დგანან,

შენი სიტყვითაც, შენი მადლითაც, ანა!

ასეთად დაინახა მან ხატის სანთელივით წმინდა შემოქმედი და დიდი წინასწარმეტყველება არ იქნება საჭირო — ასეთივე სხივმოსილი დარჩება იგი მომავალი თაობების თვალში.

არაერთი ნათესავისა და ახლობლის ხსოვნა უკვდავყო თამარ ერისთავმა და მათ შორის უპირველესია კოჯრის უთანასწორო ბრძოლაში შემოსეული მოძალადეების ხელით დაღუპული დეიდამისი, ლეგენდად ქცეული ცხრამეტი წლის მარო მაყაშვილი, რომელიც მოწყალების დად გაჰყვა უმამაცეს ქართველ ვაჟკაცებს. პოეტს ღრმად სწამს, რომ საქართველოს სიმბოლოდ ქცეული უწმინდესი არსება გაზაფხულზე, ენძელასთან ერთად ამოარღვევს მიწის ჯურღმულს და მშობლიური ცის ლაჟვარდს დაეინახვება. ლექსში გაცოცხლებულია ჩვენი წარსულის უკიდურესად დრამატული წუთები და არც ის არის დავიწყებული — სამზეოზე გამოსასვლელად, გმირი ქალიშვილი მარტო არ დატოვებს საფლავის დირეს:

ამოგყვებოდნენ ის ჭაბუკებიც,
წყლულს რომ უხვევდი, მწარეს, დოლბანდით,
თვალში რომ ღიმილს შეაშუქებდი,
ნატყვიარ მკერდზე სისხლს რომ მობანდი.

დიადი და ამაღელვებელია, შთაგონებისა და წარმოსახვის უმაღლეს გამოვლინებად უნდა ჩაითვალოს ლექსის ფინალური სტრიქონები, ჩვენს თვალწინ რომ ქსოვს მითოლოგიური ემბლემით სულჩადგმულ სანახაობას და საბოლოოდ კოსმიური გაქანების გრანდიოზულ სურათად წარმოგვიდგენს:

და ახლა, როცა მთვარე ამოვა,
კოჯრის ზეთავზე, მარიამობას,
მე უკვე მხნედ ვარ, —
შენს გვერდით ვხედავ
თეთრი გიორგის უამრავ მხედარს,
თვალებანთებულს და თმააქოჩრილს,
მიგაცილებენ ციური გზებით
მარად ქალწულის ზოდიაქოში.

ქართული გენია რომ არ დაშრეტილა და მისგან ახალ-ახალ სასწაულებს უნდა ველოდოთ, ამის ნიშნად გვესახება უნიჭიერესი მუსიკოსის ირმა გიგანის გამოჩენა, ვისი განსაცვიფრებელი საშემსრულებლო ხელოვნება, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში ტრიუმფით გამოსვლები საყოველთაო აღფრთოვანებას იწვევს და ახლო მომავალში გაცილებით მეტს გვპირდება. თამარ ერისთავს ნათელმხილველის მზერით აქვს განჭვრეტილი ამ ოქროსთმიანი, ცისფერთვალება ფერიის არაამქვეყნიური მადლი, რაც პირველსავე სტრიქონებში მთელი სიცხადით ჩანს:

შენ, ანგელოზთა დასის მიმგვანო,
ცით მოვლენილო ირმა გიგანო,
სული ბავშვური კდემით გიკრთის და
შიგ სტიქიონის ვნება გრიგალობს.

ჩემი ბრალი არ გახლავთ, რომ ხშირად მიწევს ნათქვამის განმეორება — თამარ ერისთავმა ამქვეყნიდან უდროოდ წასული ბევრი ძვირფასი ადამიანი დაიტირა. მათ შორის მართლაც სხვაგვარად ანათებს მშვენიერებისა და სისპეტაკის განსახიერება, განუმეორებელი ლეილა ნადარეიშვილი, ვისმა ელვის სისწრაფით გაქრობამ მეც უსაშველოდ მატკინა გული. თამარმა მის ხსოვნას უბრწყინვალესი თავისუფალი ლექსი („თოვდა ლეილაღა“) უძღვნა და ნადირთა მფარველ ქალღმერთად წარმოაჩინა, რაც ყველაზე მეტად ესადაგებოდა ულმობელი სენით მოშთობილის უმანკო ბუნებასა და ღვთაებრივ გარეგნობას. ორი აბზაცი მაინც უნდა მოვიტანო, რათა თუნდ სანახევროდ შევიგრძნოთ ამ საუცხოო ქმნილების მომნუხსველი ძალა:

„ზაფხულის ბუღით გათანგულ ქუჩაში, — ასე ჩვეულებრივ და ყოველდღიურ ქალაქის ქუჩაში, ჩანდა სიცოცხლის გაღმა ნაპირი და არავის არ ეთმობოდა იქით მიმსწრაფი ლამაზი სული. ის კი მოდიოდა ვარდებისა და გვირილების ტევრში, როგორც უმანკო არტემიდა; და კვალში მისდევდნენ თავაღერილი ფურირმები.

მერე უეცრად წამოვიდა თოვლი და ქათქათა ფიფქებით დაფარა გაღმა ნაპირისკენ გაშლილი ველი; და მან ეს ველი გადაიარა თავისი ულამაზესი ამალის თანხლებით. თოვლზე დარჩა მისი ფაფუკი ნაკვალევი; ჰაერში განიმქრა მშვენიერების ხილული ხატი — ათასი ადამიანის ცრემლიან თვალებში თოვლის ფიფქივით ირეოდა ლეილაღას თეთრი ყვავილების ფანტელები. თოვდა ლეილაღა — უსასრულობის ბურუსში ინთქმებოდა ირემივით ყელშეღერებული არტემიდა!“

ყოველთვის მომწონდა ადრინდელი, ორსტროფიანი უსათაურო („ნუ მომიშალოს ღმერთმა“), რომლის ადრესატი უცნობი რჩება, მაგრამ მისდამი ავტორი გულგრილი რომ არაა, ეს იქვე ჩანს:

მუდამ მეკიდოს ცეცხლი
ჩუქურთმიანი ქვების,
მწამდეს სიმაღლე შენი
და საქართველოს მთების.

ყოვლად შეუძლებელია, ამის მთქმელს იმედი გაუმტყუნო, ფიცივით წმინდა მისი სიტყვების სიწრფელე არ იწამო და შენი სამშობლოს უკეთესი მერმისისათვის თავი არ გადასდო.

თამარ ერისთავი ახალგაზრდობაში ბევრს მოგზაურობდა, ფეხით აქვს მოვლილი მთელი საქართველო და მის ლექსებში გაელვებული ზედაზენი, დიდგორი, ბიჭვინთა, აილამა, დართლო, ქომიტი, ქაჩუ, ცხვადირი და უამრავი სხვა მხოლოდ ტოპონიმები როდია, თვითეული მათგანი გულში აქვს ჩახატული, საქართველოს მიწის ყოველ მტკაველს თავს ევლება, ზღაპრულ სურათებად წარმოგვიდგენს და კალმის ერთი მოსმით აცოცხლებს მშობლიურ გარემოს, საუკუნეთა წიაღში დანთქმული ჩვენი უძველესი მითოსის გმირებს და ამ დროს პოეტის ხმაში სხვაგვარი ძალა და სიამაყე იგრძნობა:

ამ მთიდან იწყება ზღაპრული სამანი
და ჩემი მამული ჯერ კიდევ დიდია,
იქ, მაღლა, ღრუბლებში კოშკია ყამარის,
ბილიკზე ბადრი და უსუპი მიდიან.

მოტანილი სტრიქონების ავტორს ღრმად აქვს შესწავლილი მსოფლიოს კულტურული წარსული და სავსებით ბუნებრივია, ლექსთა საუკეთესო ციკლი („იმ სიყვარულის დიდი სევდა“, „ახეტატონის გათხრები“, „ამენხოტეპი და ტია“...) რომ უძღვნა ძველი ეგვიპტის მონუმენტურ, განსაცვიფრებელ ქმნილებებს, განუმეორებელი ხელოვნებით

ტკბობის ჭეშმარიტ სიყვარულს გვაზიარა.

განუზომელი სითბო და ალერსი, ნედლი ბალახის სურნელი ისადგურებს თამარ ერისთავის ლექსებში, როცა იგი სიყრმის წლებთან სამუდამოდ გადაჯაჭვულ იმერეთს ეფერება, ემადლიერება საოცნებო მხარეს, რომელსაც „ჩემი ბავშვობის სავანე“ უწოდა (ამ ლექსების ერთი ნაწილი მან თავის ძვირფას ძმებს — ელიზბარსა და გიორგის უძღვნა). ზემო იმერეთის თვალისმომჭრელად ლამაზი სოფლები ცოცხალი არსებებივით გამოიყურებიან, რადგან მათ პოეტმა სული ჩაუდგა, აამოძრავა — ხედავ ერთმანეთზე გადაბმულებს, შეფენებაზე გამწკრივებულებს:

დიმი, რიკოთი,
ფერსათი და სადემეტრაო
მთისკენ მიდიან
წითელ კრამიტის ფაფანაკებით.

ხასხასა ფერები და ცინცხალი მეტაფორები ზომიერად ენაცვლება ერთმანეთს, რათა სამოთხის სადარი მშვენიერება დაიხატოს:

ახლა რიონის ჭალებში
სიცოცხლე იწყებს ფართხალს,
მიწას წალეკავს ალერსით
ჩიტისთავა და ხვართქლა.

არანაკლებადაა შეყვარებული თამარ ერისთავი სვანეთის პირქუშ ბუნებასა და ლომგულ, კლდესავით უდრეკი ნების ადამიანებზე. ამაში უმალ დაგარწმუნებს სვანეთის რკალის პირველივე, ცეცხლოვანი რიტმით გაჯერებული საუკეთესო ლექსი „ლემშვანიერა“, რომელშიც სვანური ფრაზები, უჩვეულოდ დინამიური სახეების გვერდით, ძვირფასი ქვების ორნამენტებივით არის ჩასმული და ზარივით რეკს:

შხარას მთაო, მხარგაშლილო,
ვაჟკაცების ფერხულს გავხარ,
მევარ მალატ ლემშვანიერა,
ლემშვანიერაი, მიჩია ლახვარ.
აილამას თეთრო ნისლო,
საქორწილო მანდილს გავხარ...

მწვერვალების ისეთ მოტრფიალეს, როგორიც თამარ ერისთავია, შეუძლებელია უმწვავესად არ განეცადა იტალიის ციცაბო კლდეზე საბედისწეროდ გადაჩეხილი, მსოფლიოს ერთ-ერთი უპირველესი მთასვლელის, სიცოცხლეშივე ლეგენდად ქცეული მიხეილ ხერგიანის დაღუპვა, ვისთან ერთადაც ადრე უშბის ლაშქრობაში მონაწილეობდა და ვინც მის თვალწინ „ჭრიდა საფეხურებს ცისკენ“. „სიმღერა მთების რაინდზე“ სამაგალითო გზნებითაა დაწერილი და ამ დიდებული ლექსის ორი სტროფი მაინც უნდა მოვიხმო:

შენ ვეფხვი იყავი, ხერგიანო
და ვეფხვზე უფრო უმალესი,
შენ მთები გიყვარდა, ხერგიანო,
მთები, ყველაზე უმაღლესი.
.....
კვლავ მოენატრები, ხერგიანო,
უშბას, ყინვარების ბანდულიანს,
შენი სოფლის თავზე გადმოკიდულ
მარადნისლებიან ბანგურიანს.

ასეთივე ამაღლებული, გულისშემძვრელი და ფერადოვანია ფშავ-ხევსურეთსა და თუშეთზე დაწერილი ლექსების უმრავლესობა, რომელთაც მშვიდად, აუღელვებლად ვერ წაიკითხავ, იმდენი სილამაზე და იქაურობის გაუკაცრიელებით გამოწვეული ტკივილია მათში ჩაქსოვილი.

თუშეთისადმი მიძღვნილ ციკლში ასკილის ნაყოფივით და ბროწეულის ყვავილივით ანათებს თამარ ერისთავის ლირიკის ადრინდელი (1964) შედევრი, რომელშიც მისი ყველაზე ფაქიზი და ინტიმური გრძნობაა გაცხადებული. რაოდენ დასანანია, რომ ეს კდემამოსილი, მორცხვი ხმა სასურველი რაინდის ყურთასმენას ვერ მისწვდა. უსათაურო ლექსი იმდენად მჭიდროდ არის შეკრული, ჩამოქნილი, ისე უნაკლოა მონათესავე სულთან საკრალურ ფიქრში გასაუბრება, რომ მისი ორი სტროფის გათიშვა, დაცალკევება შეუძლებელია:

წამოდი ჩემთან,
ჩემს ოცნებას იქ განდობ მარტო,
სადაც გაბმული ფერხულია
ჟოლოს ბარდების,
სადაც მთის წყარო
მთის წყაროსთან შეხვედრას ნატრობს
და ჰკლავს სურვილი
გულისსწორთან განავარდების;
იქ, სადაც ჰაერს
მავთულები ჯერ არ სერავენ,
ქვაფენილები არ ზღუდავენ
გზების სიგანეს,
იქ, სადაც ჩვენს ხმას
ყვავილების გარდა ვერავინ
ვერ გაიგონებს...

მკვიდრთაგან სავალალოდ დაცლილი, ლანდების საუფლოდ ქცეული, მთის გრანდიოზულ, უკაცრიელ მასივებად განფენილი თუშეთის შემხედვარეს, ყოველ ქართველს უსაშველო ნაღველი ეძალება და თამარ ერისთავმა ზეზვა გაფრინდაულის წარმომშობ კუთხეს ელეგიური შეფერილობის არაერთი ლექსი მიუძღვნა, რომელთაგან საუკეთესო („დართლოში სახლი ინგრევა“) აქვე უნდა ამოვიწერო:

ფიქალი ფიქალს გაურბის,
ქვემო ჰღალატობს ზემოსა,
ნანგრევში ქარი ხმაურობს,
სიჩუმე ხავსმა შემოსა.

არვინ გვინახავს, ქერს მკიდეს,
ან კარი გამოეღოსა,
„გვიამბე, ელიზბარაო,
რა ამბავ მოხდა ეღოსა?!“

რა ამბავ მოხდა ფარსმასა,
დართლოს, დანოს და გირევსა?!
რად გიმღერია მხედრული,
ხმალი რაისთვის გილესავს,
თუ ჭინჭარს შეატოვებდი

ოხრად ალაზნის პირებსა...

პოეტს უფლება არა აქვს უკიდურეს სასოწარკვეთას მიეცეს, იმედის მცირე სხივი მაინც არ დაიტოვოს და საამაყო წარსულის მქონე მადლიან მხარეს ვაჟასეული შემართებით ამიტომაც ამკობს და ამხნევებს:

ირმის რქებივით მაღალო,
შეღერებულო მთა-ბარო,
შუბებით შემომესრილო,
ხანჯლებით გადანაბარო,
გაფრინდაულის ლეგენდავ
და ალაზნების ზღაპარო,
ნაღველს არ დაეჩაგვრინო,
თმები არ გაიჭაღარო.

თუ რაოდენ ლაღი, მიმნდობი და ალალი გულის პატრონი გახლავთ თამარ ერისთავი, ეს მთელი სისავსით ჩანს ასევე ადრინდელ (1962) მშვენიერ უსათაუროში, რომლის პირველი და ბოლო, მეოთხე სტროფი უნდა მოვიტანო, რათა მკითხველმა კიდევ ერთხელ დაინახოს და ირწმუნოს მისი უჭკნობი ნიჭი და სიწრფელე:

ოცდაცხრა წლამდე ქვეყნად მჯეროდა
გაზაფხულის და ჩემი ოცნების,
მჯეროდა, გული რასაც მღეროდა,
რასაც მღეროდნენ ცაში ფრთოსნები.
.....
მჯერა გულების ასიმღერება,
და სიყვარული, ასული ცამდე,
მჯერა ოცნების არდაბერება,
როგორც მჯეროდა ოცდაცხრა წლამდე.

მოზრდილი ლექსების გვერდით, თამარ ერისთავს მრავლად აქვს თითოსტროფიანი მინიატურები და აქაც საანაქებო ოსტატობას ავლენს; მათში არაფერია ზედმეტი, უგერგილოდ ნათქვამი, ყალბი — აზრი მუდამ დასრულებულია, ფორმის შესაფერისი, მკვრივად შეკრული. ორიოდე მაგალითის მოტანას დავჯერდები:

თუ შენს ხსოვნაში ჩაძირულ ღამეს
ციცინათელას ციმციმივით არ შერჩენია
ნაპერწკლიანი წამის ელვა და ჟრუანტელი,
გინდაც აანთო მოკაშკაშე ლამპიონები,
ერთ ჩაბნელებულ გულის კუნჭულს ვერ გაანათებ.

ასეთივე ხასიათისაა და ბევრი, გრძნობებისგან დაცლილი, სილამაზის ვერშემცნობი ადამიანი უნდა დააფიქროს მეორე სხარტულამაც, რომელიც გაფრთხილებასავით ისმის, მაგრამ მშრალი, დიდაქტიკური მოწოდება როდია, ჭეშმარიტი პოეზიით სუნთქავს:

ტყეში თუ არ ისმის ჩიტების გნიასი,
სულში თუ არ ისმის ზარების რეკვა,
სიმართლედ ვერ იტყვის სიმართლის მეასედს,
რომ ასეთ სიცოცხლეს სიცოცხლე ერქვას.

ნამდვილი შემოქმედის ხელში თუ რა უბრალოდ, ძალდაუტანებლად იქმნება მშვენიერება, ამას ცხადყოფს თამარის ორსტროფიანი უსათაურო, სოფლის იდილიურ სურათს რომ გვიხატავს და ბევრ რამეზე მიგვანიშნებს. აქ ყოველი დეტალი ისე ზუსტადაა მიგნებული და ოსტატურად განლაგებული, მკითხველს მართლაც დიდ სიამოვნებას მოგვრის, ძველ, პატრიარქალურ ყოფას მოანატრებს:

კატა მზის გულზე ყურებს იბრუნებს
და მერე თათის ბალიშებს ლოკავს,
დაბრუნებულა წყლიდან თებრონე,
მოუტანია სველ-სველი კოკა.

ჩითის კაბაზე გაფრენილ ჩიტებს
ჩასაფრებიან თვალები სხვისი,
ჩიტი უცნაურ სიხარულს ითმენს
და კოკის ყელში სიმღერა ისმის.

თამარ ერისთავის ერთტომეულში უამრავი ლექსი მოვინიშნე, გულწრფელად რომ მომეწონა და, დღევანდელობის უღიმღამო ფონზე, ასე გაძვირებული სიხარული მაგრძნობინა, მაგრამ მათი უბრალო ჩამოთვლაც კი გაძნელდებოდა და ამდენად მხოლოდ მცირე ნაწილს შევეხები იმ ლექსებისა, წინამდებარე კრებულს რომ ამშვენებს.

ერთი უცნაური ლექსი აქვს თამარ ერისთავს — „რბილი ბალიში“ — რომელშიც მისი წარმოსახვა მტანჯველ სურათს ხატავს; ყურატკივებულს ეჩვენება, რომ „უწყინარ, ფაფუკ ბალიშში“ ჩატენილი ღინღლი, რომლის გულისთვის საცოდავ ფრინველს უმოწყალოდ პუტავენ, აწრიალდება და ჩხვლეტას უწყებს საძილედ გამზადებულს, ჯოჯოხეთურ ტანჯვას აყენებს. მას, ვისაც „ფუმფულა ღინღლი“ გაეცალეს, თითქოს შურისძიება განუზრახავს. პირველივე სტრიქონები კმარა იმის წარმოსადგენად, რა დღე დასდგომია გაწამებულ, ძილგამფრთხალ პოეტს:

რაღა ამაღამ აკვნესდა ბატი
ჩემს სასთუმალში,
რაღა ამაღამ გადაირია —
მიკორტნის ყურებს,
ფართხალებს, კივის,
და ტკივილზე მიმატებს ტკივილს...

ფაქიზ, ზემგრძნობიარე არსებას, გასაკვირი არ არის, ბალიშის პირიდან ამოჩრილი ბუმბულის ჩხვლეტა ბატის გაშმაგებად მოსჩვენებოდა და, უნებურად, „რბილმა ბალიშმა“ ანდერსენის ცნობილი ზღაპარი („პრინცესა მუხუდოს მარცვალზე“) გამახსენა, სადაც ფერიასავით ნატიფი გოგონა ვერსგზით ვერ იძინებს, სულ ძირში, ლეიბქვეშ დატანებული ციცქნა მარცვლის გამო.

თამარ ერისთავი მეტაფორას თვითმიზნურად, გარეგნული ეფექტის მოსახდენად არასოდეს იყენებს, იგი მუდამ ბუნებრივად არის ჩაქსოვილი სტრიქონთა მდინარებაში და მუდამ მთავარი სათქმელის გამოკვეთას ემსახურება. შემოქმედის, სიტყვასთან შეუპოვრად მორკინალი პოეტის თავგანწირვა ბევრჯერ შეუდარებიათ ოქროსფერ პარკში გამომწყვდეული, პეპელად ქცეული აბრეშუმის ჭიის გარჯასთან, მაგრამ თამარმა ამ ტრადიციულ სახეს სხვაგვარი დრამატიზმი, სიმძაფრე და ბევრად უფრო ფართო განზო-

მილება, სილაღე შესძინა:

თითქოს ცხელ ქვაბში ჩაყარეს ყაჭი
და ვიღაც უბრად ახვევს აბრეშუმს,
არავითარი მუდარა არ სჭრის,
ძაფად მაქციოს, ალბათ აგრე სურს.

ო, ნუ დამქსაქსავ ობობასავით,
ნუ შემატოვებ კლდეთა შვერილებს,
იწამე ღმერთი, ბადედ მომქსოვე,
არაგვში ვარსკვლავს დაგაჭერინებ.

ასეთი ორსტროფიანი, კონტრასტის ტეხილებზე აგებული, კომპოზიციის მხრივ უზადოდ შეკრული ლექსი მრავლადაა მიმობნეული წინამდებარე კრებულში და აქვე, სახელდახელოდ შემიძლია ამოვიწერო სხვა უსათაურო, რომელშიც ავტორის მრწამსი, მისი კეთილშობილური ბუნება, სულისკვეთება თვალნათლივ არის წარმოჩენილი:

შენ სიყვარულით სიკვდილს მიმზადებ,
მადლობელი ვარ, ღმერთო მაღალო,
მიმაღწევინე შენს დიდ მიზნამდე,
არ დამაოკო და არ დამღალო.

სამოთხის კარი დატოვე ღრიჭოდ,
მოდი მომნუსხე, ძალავ ფარულო;
მე სიყვარულით სიკვდილი მიჯობს,
ვაგლახ სიცოცხლეს უსიყვარულოდ.

კარგა ხნის წინათ, თავისი ერთ-ერთი წიგნის მოკლე წინათქმაში თამარ ერისთავი მოხდენილად, ხატოვნად წერდა: „ჩემი ფუტკარი ხელოვნური საკვებით ვერ საზრდოობს, ბუნებრივ ყვავილებს ეტანება — ყვავილებს, რომლებიც ძველი ციხეების ნაგრევებზეც იზრდებიან, ელსადგურების ბურჯებთანაც და ადამიანის სულის კუნჭულებშიც“.

ქარაგმულად ნათქვამში იოლი მისახვედრი იყო, რომ ლექსს იგი მხოლოდ იმ იშვიათ წუთებში უხსნიდა სადინარს, როცა სათქმელი საშველს არ აძლევდა და მაშინ ნაირფერ მდელოზე შეწოვილ ნექტარს, მინდვრის სურნელოვანი ყვავილების ღალას მოქნილ სტრიქონებად ალაგებდა. მისი ეს მოკრძალებული სიტყვები გამახსენა მშვენიერმა თავისუფალმა ლექსმა (თავისუფალი ლექსი, ჩვეულებრივ, მას გამოსდის კარგად, ვინც კლასიკურ ფორმებს სრულყოფილად ფლობს) „ფიქრი პოეზიის მუზასა და ზღაპრის ფერიაზე“, რომელშიც ზომიერად, ოსტატურად არის გამოყენებული ფოლკლორული მოტივები და გამოხატულია ყველა გონიერი შემოქმედის თანამდევი უკმარობის გრძნობა, მაგრამ ავტორის უკიდურესი თავმდაბლობა მთლად პირდაპირ არ უნდა გავიგოთ:

ჰკრეფს ფეტვის მარცვალს
დედინაცვლის მკაცრი ბრძანებით,
ჰკრეფს ფეტვის მარცვალს ლამაზი გერი,
ასე ყოველდღე — სულ, დილიდან დაღამებამდე
ჰკრეფს ფეტვის მარცვალს...

მერე უეცრად გადაიცვამს უცხო რამ კაბას,
გაფრინდება ზღაპრის საუფლოს, —
რომ თავის ფიქრთა ფერადები ჯარაზე ართას,
და მერე ცაზე, ავდრის შემდეგ...
ცისარტყელა გამოაფინოს.

.....
ეჰ, ჩემი ზღაპრის მკაცრო ფერიავ,
რა ძუნწად ურევ ფეტვის მარცვალში
პოეზიის ლალს და საფირონს.

თამარ ერისთავს უხვად აქვს ღრმა განცდით სავსე პატრიოტული ლექსები, სადაც დაურიდებლად, მთელი სიმწვავით არის ნაჩვენები, მტრისგან ვერაგულად მიტაცებული აფხაზეთისა და ასე უღვთოდ დაჯიჯგნილი შიდა ქართლის ტრაგედია, ალალი ცრემლითაა დატირებული მკერდით სამშობლოს დამცველი, ბრძოლის ველზე დაცემული გმირები.

ხშირად დავიჩივლებთ ხოლმე, რომ შაგრენის ტყავივით შემოგვადნა მრავალჭირნახული მამული და იმასაც ვხედავთ — ჯერჯერობით ჩვენი საშველი არ ჩანს. თამარ ერისთავმა ერთ მოზრდილ ლექსში („მე წეროსავით ცალ ფეხზე ვდგავარ“) მეტაფორულად გამოხატა ეს საერთო სატკივარი. დიდად მესიამოვნა, როცა ამას წინათ ჩვენმა უნიჭიერესმა პროზაიკოსმა ზაირა არსენიშვილმა მითხრა — თანამედროვე ქართულ პოეზიაში ასეთი ძალისა და სიღრმის ლექსი იშვიათად წამიკითხავსო. მარჯვე მინიშნება ჩვენს ირგვლივ დასადგურებულ შემზარავ სინამდვილეს სიმძაფრეს სრულებითაც არ უკარგავს. ლექსის პათოსი და დანიშნულება რომ გასაგები გახდეს, მტრებით გარშემორტყმულებმა ჩვენი სავალალო მდგომარეობა რომ გავისიგრძეგანოთ, წინა ორი სტროფის ამოწერაც კმარა:

მე წეროსავით ცალ ფეხზე ვდგავარ ჩემს ლერწმოვანში,
მეორე ფეხის დასადგმელად არ მყოფნის მიწა, —
მელიების სოროები ისე მომრავლდა...
მაგრამ აქ დგომა მაინც მახარებს.

ვდგავარ ცალ ფეხზე
და სოროებში ჩამალული ჩუმჩუმელა მელიები
მეტევებიან, —
უნდათ დამაფრთხონ და მომიშალონ
ეს...
ცალი ფეხის დასადგმელად სამყოფი მიწაც.

კრებულში თითებზე ჩამოსათვლელი როდია ისეთი ლექსები, მთიდან მოქროლილი ნიავის სილაღე და თრთოლვა რომ დაჰყვება და მათი წაკითხვისას ხშირად მიფიქრია — მამულს სწორედ ის უნდა მოეფერო და მოესიყვარულო, როგორც ეს თამარის ამ, ერთი ამოსუნთქვით ამოთქმულ უსათაუროშია გაცხადებული:

ზოგჯერ უბრალოდ უნდა ჩაჯდე მატარებელში
და გაემგზავრო,
რათა შენს თვალწინ
გაირბინოს
შენი ქვეყნის ცამ და ღრუბელმა,
თორემ თვალებს დაავიწყდებათ,
საქართველოს ლურჯი ქედები
ზეცის ტილოზე
რამდენ ტეხილ ხაზით ხატია.

ამ სტრიქონებს, მტკიცედ მჯერა, მის გარდა ვერავინ დაწერდა. არცერთ ქართველს არ აწყენდა, ეს კეთილი რჩე-

ვა გაეთავისებინა.

ზემოთაც აღვნიშნე — თამარ ერისთავმა ამქვეყნიდან წასულ ბევრ ღირსეულ პიროვნებას მიაგო შესაფერისი პატივი. ეს მისი სულიერი მოთხოვნილებაა. ერთ, თითქოსდა არაფრით გამორჩეულ ადამიანს, გამომცემლობის რიგით, ტექნიკურ მუშაკს (წიგნის გამომშვები იყო), საქმეზე გადაგებულს, ერთგულს, უღალატოს — ნოე მაჭარაშვილს, ვინც სულეთის გზაზე დადგომის მერე აღარავის გახსენებია, მან სითბოთი და სიყვარულით აღსავსე სტრიქონები უძღვნა, ძველ, ნამუსიან საქართველოში მცხოვრებ დიდებული ტაძრის მაშენებლებს შეადარა და ცნობილ ხალხურ ლექსზეც მიგვანიშნა, რაც ფინალში უფრო საგრძნობი და გამოკვეთილია:

ისევ ჩნდებიან საქართველოს ზეცის ეკრანზე
გერგეთის აღმართს შერკინებული
„ხარი ლაბა და მწყემსი თევდორე“.

ამ ლექსის („მარადისი ლანდები“) ჩაკითხვისთანავე თვალწინ დამიდგა გამხდარი, ელამი, დარცხვენილად მოღიმარი (ბახუსთან არ გახლდათ მწყრალად, ხშირად მინახავს შეჭიკჭიკებული) ნოე მაჭარაშვილი, ვისაც ასე ეხალისებოდა მწერლებთან მეგობრობა და მუდამ ცდილობდა მათ გახარებას, ახალდასტამბული წიგნის პირველი ცალი შინ მიჰქონდა ავტორებთან. ასეთი უჩინარი, ჩრდილში მყოფი, დამაშვრალი ადამიანები აცოცხლებენ და საძირკველს უმაგრებენ საქართველოს.

ჩვენი თამარის ხასიათის უმთავრესი წახნაგები, სპეტაკი ბუნება, კდემამოსილება, მეტწილად, მცირე ფორმის ლექსებში ვლინდება. ერთი მათგანი („პასუხი წერილზე“) მყუდრო, მიყრუებულ სენაკში განმარტოებული ძველი ჩინელი ლირიკოსების მჭმუნვარე, ელეგიურ სტრიქონებს მაგონებს:

მკითხავ — როგორ ვარ,
მტერ-მოყვარეს როგორღა ვწვდები,
ამ დროს ან თავი როგორ გამაქვს,
ან ლელო წლების...
მოგონებათა სანთელს ვანთებ
ჩემს ბნელ მღვიმეში
და შორეული ღიმილების
ციმციმით ვთბები.

პოეტი ის ადამიანია, ვისთვისაც ღმერთს წინასწარჭვრეტის იშვიათი ნიჭი უბოძებია და ამ უნარს თამარ ერისთავიც ქარაგმულად ავლენს ხოლმე იმ დროს, როცა მის სამშობლოს განსაკუთრებულად უჭირს. ამის დასტურია თუნდაც „ავი ზმანება გზაჯვარედინზე“ (2002), სადაც შინაური და გარეშე ურჩხულებისგან დაძიძგნილ, გაუბედურებულ მამულს ხატავს და უარესი განსაცდელის მოლოდინშია. ლექსის ბოლო სტროფში ეს ორაკულის გაფრთხილებასავით რეკავს:

ჯეჯილს მტრის გარდა სხვა ვინ მომკიდა
ან ვინ დაკრეფდა ვენახში ისრიმს...
უბერავს ქარი ჰელესპონტიდან
და ტროას ცხენის ჭიხვინი ისმის.

თამარ ერისთავის დარად ინგლისური ენა და ლიტერატურა ცოტამ თუ იცის (გავიხსენოთ, როგორ თარგმნა მან რობერტ ბერნსი, ბაირონი და სხვებიც), თუმცა ამით არასოდეს მოუწონებია თავი. სავსებით გასაგებია მისი აღშფოთება, როცა საყველპურო ინგლისურის მცოდნე, კომპიუტერისგან ტვინგაწყალებული გოგო-ბიჭები ასე ყოყოჩობენ და უფროს თაობებს ამრეზილად უყურებენ. თამარს ირონიაც საკმაოდ ემარჯვება და ამიტომაც კალმის ერთი მოსმით ამასხარავებს ამნაირ გათავხედებულ ტინგიცებს:

თავზე დაგვასვეს ყველა შეთე,
ყველა ტიკინა,
ვინც ინგლისურად ორი სიტყვა
წაიტლიკინა.

ასეთივე ხასიათისაა ძლიერი და მეტად საჭირო ალეგორიული ლექსი „ჩიტების არაკი“, რომელშიც არცთუ მთლად ნართაულად არის ნათქვამი მწარე სიმართლე, განუკითხავად, ძალად დანერგილ, მამა-პაპური ტრადიციების ამოსაძირკვად გამიზნულ გლობალიზაციას რომ უპირისპირდება. რა სიკეთეს მოიტანს ის უწყება, რომელიც შენს მშობლიურ ენას ავიწროებს და „დედის ნამღერ ნანას“ გავიწყებს, უფროსთა გამოცდილება ჩალის ფასადაც არ უღირს. პოეტის ზღვარგადასულ გაგულისებას რეალური საბაბი რომ არ ჰქონდეს, ასეთი რამ არ დაიწერებოდა:

ჰოი, როგორ მტრულად გვიბღვერს
ვარდ-ეკლების ხანა,
არც პირველ ხმას გვამღერებენ,
არც ვუნდივართ ბანად;

აქ სხვა ბარტყებს წამოჩიტავს
„ჩინუნ-ჩანუნ-ჩანა“,
მღვიმეების ღამურებად
არ გვაქცევენ სანამ.

ადრე ვნახეთ — ხანდაზმულობის ჟამს, პოეტის მანუგეშებელი ლამაზი, გაუხუნარი მოგონებებია, რაც უფერული დღევანდელობისგან გუნებაწამხდარს, სულის მოსათქმელად სჭირდება. ერთ-ერთ ასეთ მოგონებად ცოცხლდება „ბავშვობა და ქართან ცეკვა“, რომელშიც უმალ ვაშლის ყვავილებით გადაპენტილი გაზაფხული შემოგვანათებს და შორს დარჩენილი სამოთხისებური გარემოა გახსენებული. ნეტავი იმ დროსო, უთუოდ გაიფიქრებდა თამარი, როცა სუფთა ქაღალდზე ეს უფაქიზესი, ჰაეროვანი სტრიქონები გამოჰყავდა:

მე მიყვარდა ქართან ცეკვა —
ხის ტოტებზე დანდობილად,
ეს ცეკვაა ფერიების
და მიწაზე არ შობილა;

სულ სხვაგვარი დილა იყო,
სულ სხვაგვარი იდგა დარი,
მიწის ბანგით თავბრუდასხმულს,
მიმაფრენდა ცაში ქარი.

შეუძლებელია, სულით ხორცამდე არ შეგძრას თამარ ერისთავის უძლიერესმა თავისუფალმა ლექსმა, რომლისთვისაც „გაზაფხული“ დაურქმევია და ყველაფრით ამართ-

ლებს ამ ათასჯერ გამოყენებულ, თითქოსდა ჩვეულებრივ, მაგრამ მაინც მრავლის აღმთქმელ სათაურს. ბედნიერებაა, როცა ამ სიტყვის მიღმა გადაშლილი ენით აუწერელი მშვენიერების შეგრძნება და უმაღლეს პოეზიად გარდაქმნა ხელგეწიფება. ძნელია გამოაცალკევო, ჩამოთვალო და ჯეროვნად შეაფასო შესაშური ბუნებრიობით გადაბმული, ეფემერული და მაინც ხელშესახები სიცხადით დახატული დაუვიწყარი სურათები, ამ მომაჯადოებელი ლექსის ურღვევ მთლიანობას რომ ქსოვს. პირდაპირი მიმართვის ფორმა ერთადერთია, რის გამოყენებაც ასეთი უშუალობის მისაღწევად გამოდგებოდა:

არ ვიცი რა ხარ:
მოხნული მიწის სურნელი ხარ ნაწვიმარზე,
თუ მიამიტი თეთრი პეპელა ხარ —
ცასა და მიწას შუა მოფარფატე...

განგებისად გულუბრყვილო შეკითხვები, რომელთაც პასუხის გაცემა არ ესაჭიროება, საერთოდ ხშირია ლირიკაში და ამ ლექსის დამწერსაც ოსტატურად აქვს მომარჯვებული ეს ძველისძველი, დაუბლაგვებელი ხერხი. ბანგმორეული უმძაფრესი განცდები, როგორც მოსალოდნელი იყო, ფინალისთვის შემოუნახავს და მისი შეუბორკავი წარმოსახვაც აქ აღწევს ყველაზე დიდ სიმაღლეს, რომელშიც თავად გაზაფხულის მახარობელივით, მერცხალივით უჩინარდება და ჩვენ გვიტოვებს გამოუთქმელ სევდას, ჰაერში არიალებული ფერების ზღვას, ბუნების მოუბეზრებელი სასწაული კიდევ ერთხელ რომ ვიხილოთ. მარტო ეს ლექსი რომ დაეწერა თამარ ერისთავს, დიდად ნიჭიერი, ყველასგან განსხვავებული პოეტის სახელს დაიმკვიდრებდა. რა ძალა და მიმზიდველობა, მოუგერიებელი მომხიბლაობა უნდა ჰქონდეს წელიწადის დროთა დედოფალს — გაზაფხულს — ასე რომ აგაფორიაქოს და ეს ულამაზესი, თავაწყვეტილი სტრიქონები დაგაწერინოს:

რა ხარ, გაზაფხულო, მიამიტო თეთრო პეპელაო,
სულის ფსკერზე დალექილო სიხარულო.
ან მე კი რა ვარ? იქნებ ამქვეყნად მხოლოდ იმიტომ
მოვედი, იქნებ სულ იმიტომ ვახვიე ჩემი ფიქრის
შვიდფერი გორგალი, იმიტომ ვქსოვე ოცნებების ჭრელი
ფარდაგი, იმიტომ ვკერე გვირისტიანი მზითვის საბნები,
რომ ერთ დღეს შენს ეზოში გამომეფინა.
მერე მერცხლად ვქცეულიყავ,
ფრთა ფრთისთვის შემომეკრა და ლაჟვარდებში
დავნთქმულიყავი.

არ უნდა გვიკვირდეს — თავის დროზე, ღვთაებრივი ფლორას ამ გონისწამრთმევმა სილამაზემ წარმოათქმევინა ანა კალანდაძეს გულიდან ამოხეთქილი, მღელვარე სტრიქონი: „უძლიერეს ხარ, შენ, გაზაფხულო!..“

თამარ ერისთავის შედევრებს უნდა მივაკუთვნოთ, აგრეთვე, ამ ხუთიოდე წლის წინათ შექმნილი, სიმბოლური ულერადობის უმშვენიერესი ლექსი „ბალადა ბებერ ნუშზე“, რომელიც შორეულად გვახსენებს ნოდარ დუმბაძის ასეთსავე ბრწყინვალე, ოღონდ გაბერწებულ ვაშლის ხეზე დაწერილ მოთხრობას, „ხაზარულას“.

ლექსში გადმოცემულია, თებერვლის უქმე დღეს, გაჯავრებული მებაღე როგორ შემოუქნევს ნაჯახს ბებერ ნუშს და სამჯერ მედიდურად დაემუქრება — თუ ნაყოფი არ გამოგისხამს, გაზაფხულზე ძირკვად გაქცევო. ამის შემსწრე პოეტს ელდა ეცემა, ტანდაკოჟრილ, გადაბერებულ ხეს რაღა ააყვავილებს, ასეთ მრისხანებას ჯობს, ახლავე მისდგეს ნაჯახით და სიცოცხლე მოუსწრაფოსო.

მოხდება დაუჯერებელი რამ — „მარტის დამლევს ვარდისფერად აფეთქდა ნუში“, ტოტებზე ყვავილები დაისია, „შეხმატკბილდა ჩიტის ულურტულთან, წყლის ჩუხჩუხთან, ირმის ბღავილთან...“ ქარის ყოველ წამობერვაზე, იგი პეპლების გუნდივით წამოშლის სიფრიფანა ყვავილების ფურცლებს და ირგვლივ დამბნიდავი სურნელება დატრიალდება. გარდა თავისთავად სურათის სილამაზისა, ლექსი ყველა დაბრკოლების გადამლახველ ჭეშმარიტი ნიჭის უბერებლობაზე მიგვანიშნებს და გაოცებისგან დამუნჯებულ პოეტს მოუნდება ხილულ სასწაულთან შეხმიანება. ფინალურ სტრიქონებში აღტაცებული მიმართავს ზღაპრულად აყვავილებულ ნუშს:

— შენ გადალახე მოზომილი
შენთვის საზღვარი,
აღარც კი იცი, მისი მიჯნა
ახლა სად არი;
და ვიდრე ცოცხლობ,
წლების ტვირთი
რომ არ გებევროს,
ამოყვავილდი, ამოშუქდი,
ხეო, ბებერო!

თამარ ერისთავის პოეზიაში ყოველ სათქმელს თავისი შესაფერი ფორმა და იერი, ინტონაცია აქვს, ყოველგვარი პოზის გარეშე, ბუნებრივადაა გამოხატული ავტორის განწყობილება, სამყაროსადმი მისი მიმართება. წიგნის ყველაზე დიდი ვერლიბრი — „მტრედი ნისკარტით ფანჯარაზე მოგიკაკუნებს“, — რომელსაც გვერდს ვერ ავუვლი, ყოფით წვრილმანებზეა აგებული, მაგრამ ძალზე მნიშვნელოვანი, მრავალპლანიანი ქმნილებაა. საგანგებოდ შერჩეული დინჯი თხრობის კილო ინტერესს ოდნავადაც ვერ ანელებს. ეს გახლავთ მარტოობის ოსტატურად გაშლილი მეტაფორა. წიგნებითა და ძველი ავეჯით გამოტენილი დაბალჭერიანი „ოთახის ოთხ კედელში გამომწყვდეული“ ადამიანი გასაკვირი არ არის, ტუსაღად რომ გრძნობდეს თავს და მის ირგვლივ განლაგებული ნივთების „ღირსეულ სიდარბაისლეს“ ვერც ამჩნევდეს. ყველაფერს განურჩევლობის მძიმე ბეჭედი აზის. ჩახუთულ სივრცეში მოქცეულ პოეტს ზოგჯერ თავი ეჩვენება შებოჭილ ჭუპრად, რომელსაც პეპლად ქცევა და ჰაერში განავარდება არ უწერია.

მოულოდნელად ფანჯრის მინაზე მტრედის ნისკარტის კაკუნი მოისმის. ტაძრის მოღუღუნე ფრინველი თავის არსებობას შეახსენებს ოთახის ბინადარს და ისიც იჩქარის, რომ სასურველ სტუმარს პურის ნაჭერი მიუტანოს, ლუკმა გაუყოს. ნამცეცების ასაკენკად, ახლო-მახლო ხეებზე შეყუჟული ბელურებიც მოფრინდებიან, ხალისიან ჟივჟივს იწყებენ.

ფრინველთა დამპურებელი მყისვე ამოძრავებულ წარმოსახვას მიენდობა, თავს აღწევს დამთრგუნველ სატუსაღოს, სულისშემხუთველ პარკს და პეპლად ქცეული, მოჟრიამულე ბელურების გუნდს აედევნება, ფრთებგაშლილი ცისკენ მიიწევს, „ტანში სიხარულის ჟრუანტელი“ დაუვლის. ასე იცის მადლის კეთებამ. უმალ გეუფლება უკიდეგა-

ნო სამყაროსთან ერთიანობის დიადი, ამაღლებული განცდა. ლექსის ბოლო სტრიქონები მშრალ შეგონებად სრულებითაც არ აღიქმება — სიკეთის უანგარო სამსახურს, სიყვარულს, ადამიანად ყოფნის სილამაზეს შეგვახსენებს:

მტრედის ნისკარტის
ფანჯარაზე მოკაკუნებამ
რა სასწაულის მოხდენა შესძლო!

ნუ დავიშურებთ პურის ნამცეცს
დამშეული მტრედების და
ბეღურებისთვის,
თორემ სასახლეც ცივ აკლდამად
გვექცევა ალბათ,
უმადური სიცოცხლისათვის.

ამ ვერლიბრის გვერდით ერთგვარ კონტრასტს ქმნის და მონოტონურობასაც არღვევს ხალხურ ტონალობაზე გაწყობილი, უაღრესად ლაღი, ალერსიანი ლექსი, რასაც წიგნში მეტი სიცოცხლე შეაქვს. სასურველია, სიმცირის მოქნილობის გამო, იგი მთლიანად მოვიტანოთ:

ეგრემც წყენას არ მიემთხვე,
შუბლზე მადლი გიცხია,
მაგ შავ რაშზე ნუ შეჯდები,
შავი რაში ფიცხია;

მე თეთრონით გაგისწარი,
დროის ხიდზე გადაველ,
რაშის რბოლას ნუ აჰყვები,
დაუჭირე სადავე!

მერე რა, რომ ზოგჯერ ბინდი
რიბირაბოს ფერია,
გაფრენილი თეთრონები
ვისღა დაუჭერია.

ანა კალანდაძის შემდგომ ძნელად თუ დაასახელებ პოეტს, ვისაც თამარ ერისთავივით ჰქონდეს გათავისებული და სათუთად ნაალერსები ფერთა ზღვად გადაშლილი ყვავილთა სამყარო. მრავალთაგან, ამჯერად მხოლოდ ერთ ლექსს („გლადიოლუსი“) გამოვაცალკევებ და მასზედაც მცირე დაკვირვება უნდა ვიკმარო.

პოეტს სხვაგვარად ხიბლავს „ლარნაკში მდგარი მწვანე ყლორტი გლადიოლუსის“; იცის მისი ფარული თვისება — როცა ყველას საბოლოოდ დამჭკნარი, სიკვდილთან ზავდადებული ჰგონია, სწორედ მაშინ გამოაჩენს, მოულოდნელად ამოწვერავს ქათქათა, „კენწეროზე მიმალულ ყვავილს“ და მის მაცქერალს იგი საკუთარი არსების ორეულად ესახება, ბაგეებს კი მუდარის სიტყვები სწყდება:

ო, რა იქნება, მაგ ჯადოთი
ისე მომნუსხო,
რომ შენი ვნება მეც გადმომდო,
გლადიოლუსო!

სიკვდილთან ზავის დასადებად
რომ არ ავჩქარდე,
შენებრ ვიცოცხლო მეც ყვავილის
ბოლო გაშლამდე.

იმედი უნდა ვიქონიოთ — კიდევ ბევრი დრო გაივლის, ვიდრე ამ სტრიქონების დამწერი „დამბადებელს ბოლო სიმღერას“ აღუვლენს.

გამოჩენილი ფრანგი მწერალი, ესეისტი, პოეტი (იგი მეტაფიზიკური ხასიათის საგულისხმო ლექსებსაც წერდა), პოეზიის მცოდნე და დამფასებელი ჟორჟ ბატაი (1897-1962) ბუნებრივად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ პოეზია თავისებური მსხვერპლშეწირვაა (ყოველ ნამდვილ პოეტს გაშინაგნებული აქვს ეს საკრალური აქტი) და იგი იმასაც ამბობს, რომ ამ რიტუალის აღსრულებისას პოეტის ერთადერთი შესაწირავი სიტყვებია. შემოქმედი იმ აზრსაც უნდა იყოს შეგუებული, რომ „პოეზია განახლების მომტანი დაღუპვაა“ და მისი გზა „ნაცნობისგან შეუცნობელისკენ“ მიემართება. ბატაი ძველთაგანვე აღიარებულ ჭეშმარიტებას ეყრდნობა, როცა აცხადებს, რომ პოეტური ხატი — ეს არის სვლა ნაცნობისგან შეუცნობელისკენ, მაგრამ მაინც მიმაგრებულია ნაცნობზე, რომლის მეშვეობითაც იგი ხორცს ისხამს. ასევე ეჭვმიუტანელი ჭეშმარიტებაა ის აზრიც, რომ ხელოვნების, და, ცხადია, პოეზიის მიზანია დროის მოსპობა, მარადიულში შეღწევა.

ყოველივე ეს არავისგან ესწავლება ისეთ ნიჭიერსა და ზნესრულ პოეტს, როგორიც თამარ ერისთავია, ვინც დღემდე სახელოვნად განვლილი, უხინჯო, ლამპარივით წმინდა სიცოცხლე დაუფიქრებლად, მცირეოდენი ყოყმანის გარეშე პოეზიის სამსხვერპლოზე მიიტანა.

თამარ ერისთავს აქვს ერთი მეტად შთამბეჭდავი მცირე უსათაურო (მისი პირველი სტრიქონი წიგნის სათაურად გვევლინება), რომელსაც, მართალია, დაუფარავი სევდა ახლავს, მაგრამ პოეზიის ღვთიური მადლით იგი იმდენადაა გაბრწყინებული, რომ წუხილის კვალი იშლება, ამაღლებული განწყობილება გვეუფლება. ამაში იოლად დავრწმუნდებით:

რაც იყო — იყო, რაც არის — არის,
მოვასწარ ხილვა
მზისა და მთვარის,
ყვავილზე — ფუტკრის,
ბალახზე — ცვარის
და ახლა, როცა
ავდება დარი,
ნაძვის კენწეროს შერჩენილი
თოვლივით ველი
დაბერვას ქარის.

ბუნებრივი, ადამიანურია ეს წუხილი, მაგრამ ისიც მზესავით ნათელი და აშკარაა, გაავებული ქარის ერთ დაბერვაზე ვერ იქნება იარვაქმნილი, არ გაქრება ულამაზესი, შეუბღალავად დარჩენილი სიცოცხლე იმ შემოქმედისა, ვინაც ქართული სიტყვის ჯავარით ასეთი მშვენიერება შექმნა.

თამარ ერისთავის განუმეორებელი პიროვნებისა და ლექსის მიმართ არასოდეს ვყოფილვარ გულგრილი და არ დავმალავ — მინდოდა, ეს ყურადღება მისდამი მიძღვნილ, მკრთალად მოხაზულ ლიტერატურულ პორტრეტშიც გამოვლენილიყო. ხშირად მიფიქრია — მასავით ცოტა ვინმეს

როსტომ ჩხეიძე

გზად რომანისაკენ

თენგიზ აბულაძის სახება – ანარეკლებად

თითქოს უცნაურია და ძალიანაც უცნაური, კინოფილმი „ნატვრის ხე“ კომპოზიციურად ისე რომ შეიკრა, ნოველების კოლაჟად კი აღარ წარმოგვიდგება, არამედ რომანის სიუჟეტს მოგვაგონებს – ერთიანსა და განუყოფელს.

არადა, „ნატვრის ხე“ გიორგი ლეონიძეს ნოველების ციკლად ესახებოდა, წამონყებითაც ასე წამოიწყო და არც მოთავების შემდეგ შეუცვლია აზრი ყრმობის მოგონებათა ამ ცალკეულ სურათებზე.

ფილმის სცენარს – რეჟისორ თენგიზ აბულაძის დავალებითა და თანაავტორობით – რევაზ ინანიშვილი მოჰკიდებდა ხელს და, ცხადია, ლიტერატურული ვერსია უმთავრესად მისი უნდა იყოს.

მაგრამ თუ მისია, რომანივით შეკრულ კომპოზიციას ასე მარჯვედ როგორ მოაბა თავი?

რევაზ ინანიშვილის ეპიკური აზროვნება ნოველის ჩარჩოს იქით ვეღარ აღწევდა, პროზაშიც უფრო ლირიკოსად რჩებოდა და ამ საწყისზე ამოაშენებდა ხოლმე ნოველებსაც და მინიატურებსაც. ცოტა უფრო გაშლილი თხრობა კი უსიამოვნოდ აჩნდებოდა მის მხატვრულ სამყაროს, ასერიგად მომხიბლავსა და კოლორიტულს. „ვიღაცას ავტობუსზე აგვიანდება“ ნამდვილად ვერ დაიქადნის ინანიშვილისებური ხელოვნებით, „ცისფერი გორგალი“ კი – ვრცელი მოთხრობა, ერთხანს მიკრორომანსაც რომ ეძახდნენ მოდურ ტერმინებს აყოლილი კრიტიკოსები – ისეა ამოვარდნილი მისი სტილისტიკიდან, ხელშესახებად რწმუნდები, რომ ვრცელი ჟანრისათვის არ ყოფილა ეს მწერალი დაბადებული.

და მაშ „ნატვრის ხის“ კინოვერსიის შექმნისას მოწმენი უნდა გავმხდარიყავით ნოველათა ალმანახისა, მითუმეტეს, არც ეს ჟანრია უცხო კინემატოგრაფიისათვის.

მაგრამ ნოველები ერთმანეთს მოხდენილად მისადაგებია, ერთ სიუჟეტურ ძარღვზეც ძალდაუტანებლად ასხმულა და კომპოზიციური ქარგაც მტკიცედ ამოხვეულა.

გინდ გაიოცე, გინდ არა – ასეა და...

საგულისხმოა, რომ თამაზ ბიბილური ქართული ბელეტრისტიკის ამ გამორჩეულ ქმნილებას ერთიან, განუყოფელ ეპიკურ ქსოვილად გაიაზრებდა და ამ შეხედულების ანალიტიკურ დამტკიცებას, ერთ-ერთ საუკეთესო თხზულებას ჩვენს ესეისტიკაში, სახელწოდებასაც შესაფერისს შეურჩევდა:

„ნატვრის ხე“ – რომანი“.

გიორგი ლეონიძე კარგა ხანს უტრიალებდა ამ ქმნილების ჟანრის განსაზღვრას, ადვილად ვერცერთისათვის ვერ შეეჯერებინა გული, და თამაზ ბიბილური ამ გარემოებას რომ ჩაუკვირდებოდა, დასძენდა: თუ „ნატვრის ხის“ მრავალრიცხოვან და მრავალმხრივ პერსონაჟებს ერთ დიდ სოფლად დასახლებულს წარმოიდგენ, შეიძლება რომანის კონტურებიც მოიხილოო.

– „ყრმობის მოგონებებს“ რომ თავიდანვე ქვეშეცნეულად არ მოექცია მწერალი გარკვეულ ჩარჩოებში, მას ხელთ ჰქონდა ცხადი შესაძლებლობა უაღრესად თავისებური და კოლორიტული რომანის შექმნისა.

ესეც ის ფსიქოლოგიური სარჩული, წიგნის მოთავების შემდეგაც რომ ვერ აღიქვა „ნატვრის ხე“ რომანად გიორგი ლეონიძემ, თორემ არ გაუძნელდებოდა შინაგანი ძაფების გამკვეთრება და თხრობის მთავარ ღერძად თუნდაც... თუნდაც „მარიტას“ სიუჟეტის გაშლა. ერთიან კომპოზიციურ ჩარჩოს სწორედ ეს ტრაგიკული სიყვარულის ამბავი შექმნიდა, გარეთა ქარგას კი – ნატვრის ხის ძიება.

ის, რაც კინოსცენარში მოხდა, ლიტერატურულ პირველწყაროშიც ასევე შეესხმოდა ხორცი.

და თუმც მწერალს არც უფიქრია ნოველების ციკლის რომანად გარდასახვაზე, მკითხველს მაინც შეეძლო ამ მასალაში უფრო მეტის დანახვა, ვიდრე მოგონებათა – თუნდ შთამბეჭდავი – სურათებია.

– მოდით, ჩვენ ვცადოთ „ნატვრის ხეში“ რომანის დანახვა. ჩვენს წარმოსახვაში გავაერთიანოთ ეს პატარა მარგალიტები... ერთ მთლიან მხატვრულ ქსოვილად, აღვმართოთ ერთი მთლიანი დეკორაციული დანადგარი, სადაც ამ პერსონაჟებმა თავიანთი ავბედითი, უმთენარო ცხოვრების დრამა უნდა გაითამაშონ და ვირწმუნოთ, რომ რომანიც სწორედ ესაა, მკვეთრად ნაძერწი, მსუყე მონასმებით შექმნილი სახეები პერსონაჟებისა...

თამაზ ბიბილური ამ წიგნს მეტაფორულად კი არ უწოდებდა რომანს, მართლაც ამ ჟანრის თავისებურ ნაირგვარობად ესახებოდა, ტრადიციის ჩარჩოსაგან თავდაღწეულად და სიახლეთაგან შეუბორკავად; და დაინტერესდებოდა, თუ საით მიდიოდა ეს რომანი?

მისთვის იმჟამად უცნობი გახლდათ, რომ ეს ნაირსახეობა საკმაოდ გავრცელებულია ამერიკულ ლიტერატურაში, ჟანრობრივად ასე განისაზღვრება: რომანი ნოველებად, – და ყველაზე თვალსაჩინო, ქრესტომათიულ ნიმუშებად კი წარმოდგება: შერვუდ ანდერსონის „უაინსბურგი, ოჰაიო“, ჯეკ ლონდონის „სმოკ ბელიუ“, ერსკინ კოლდუელის „ჯორჯიელი ბიჭი“, უილიამ ფოლკნერის „გარდავედ, მოსე“, ერნესტ ჰემინგუეის „ნიკ ადამსი“, ჯონ სტაინბეკის „ზეციური საძოვრები“.

რაღაც ამგვარი ქართულ მწერლობაშიც გაჩენილიყო უკვე, თავისთავად და არა მაინცდამაინც ამერიკული რომანის ამ ნაირსახეობის განმეორებისათვის, და მიხეილ ჯავახიშვილის „გივი შადური“ სწორედ იმ ქრესტომათიულ ნიმუშებს მიეთვლება; რომ აღარაფერი ითქვას ოთარ ჩხეიძის „ჩემი სოფლის ეტიუდების“ ციკლზე...

ასე რომ, რომანის ამ სახეობასაც თავისი ნიშანდობლივი და გამოკვეთილი აღნაგობა აქვს და მისი გზასავალიც ისეთივეა, როგორც ამ ეპიკური ჟანრის სხვა სახეობებისა,

ტრადიციული იერის შენარჩუნებითაც და სიახლეთათვის გულის გადახსნითაც.

თამაზ ბიბილურისათვის ამ შეხედულების დაბეჯითებით გამოსათქმელად ებიძგებინა ლუი არაგონის ძალზე თავისებური წიგნის, ერთი შეხედვით, სრულიად მოულოდნელ სახელწოდებას: „ანრი მატისი, რომანი“.

არადა, წიგნში თავი მოეყარა წერილებს, შთაბეჭდილებებს, დღიურებსა და მიმოწერას, შენიშვნებსა და ინფორმაციებსაც კი ფრანგი მხატვრის შემოქმედებასა და პიროვნულ ხასიათზე.

და მაინც ავტორი წიგნს რომანად მოიხსენიებდა, რადგანაც მიაჩნდა, რომ:

– ეს ყოველივე მატისის ცხოვრებას უფრო სრულყოფილად წარმოგვიდგენს, მისი ცხოვრება კი რომანი იყო, რომანივით მრავალმხრივი.

ამიტომაც თამაზ ბიბილური სავსებით იზიარებდა იმ კრიტიკოსთა თვალსაზრისს, რომელნიც აღიარებდნენ, რომ „ანრი მატისი, რომანი“ მაინც რომანია ამ სიტყვის ფართო გაგებით, ჩვენს წინაშეა ჩამოყალიბებული დღევანდელი რომანი, ყველა ჟანრს რომ იწოვს და სათავისოდ მოაქცევს – პოემასა თუ ფილოსოფიურ ესეის, ლირიკულ აღსარებასა თუ ესთეტიკურ ანალიზს, ფიქრებს ადამიანური ყოფის არსზე თუ ნამდვილ ცხოვრებისეულ დოკუმენტს.

ამიტომაც აღმოჩნდა ლუი არაგონის ეს წიგნი არა მხოლოდ XX საუკუნის ფერწერის ნიშანდობლივ თავისებურებებში გასარკვევად სანდო მეგზური მკითხველისათვის, არამედ ლიტერატურული ფორმითაც უაღრესად საგულისხმო – ის ხომ იმ სიახლეზე მიანიშნებს მწერლებსაც და მკითხველებსაც, დღესდღეობით რომ ყალიბდება!..

მართლაც რატომ არ შეიძლება, რომ „ნატვრის ხეც“ იყოს „რაღაც ამგვარი“ რომანი?

და კიდევ იმგვარი რომანი, ამერიკელთა გამოცდილება რომ გვითვალსაჩინოებს?

მიუხედავად მოზაიკური აღნაგობისა, გიორგი ლეონიძის წიგნში აზვირთებული რომანის ენერგია აიყოლიებდა სცენარისტსაც კომპოზიციური ქარგის შემოსარკალად და ასე დადასტურდებოდა „ნატვრის ხის“ ის ჟანრული თავისებურება, რასაც თენგიზ აბულაძის კინოფილმი უკარნახებდა სალიტერატურო კრიტიკას, რომელსაც ისღა დარჩენოდა, ყრმობის ეს მოგონებანი რომანად ეღიარებინა.

თამაზ ბიბილურისათვის კი ეს ფილმი ერთხელ კიდევ ადასტურებდა იმ რწმენას, რომ: ამქვეყნად ყველაფერი ლიტერატურით იწყება.

მაშ ნამდვილი ფილმი თავისი არსით ლიტერატურაა?

რატომაც არაო, – ეჭვიც არ ეპარებოდა „ჟამი კითხულისას“ შემოქმედს და ფედერიკო ფელინისა და ინგმარ ბერგმანს ისევე მოიხსენიებდა მწერლებად, როგორც მიქელანჯელო ანტონიონისა და ჩარლი ჩაპლინს.

და თენგიზ აბულაძეც მათ შორის ეგულებოდა და მისი ერთგულებაც ამიტომ ხიბლავდა ქართული კლასიკური ლიტერატურისადმი: რომანტიკულმა ბუნებამ, ამაღლებულისაკენ ლტოლვამ, სინამდვილის პოეტურმა შეგრძნებამ მიიყვანა იგი ვაჟა-ფშაველას სამყაროში. სწორედ „ვედრებაში“ გამოიკვეთა მისი მძაფრი პოეტური დრამატიზმი, ალეგორიული აზროვნება, ლტოლვა ადამიანის ბუნების ფარული შრეების ამოხსნისაკენ, კინომეტაფორის სიღრმისა და სიდიადისაკენ.

შემდგომ კი რა გასაკვირია, რომ „ვედრებაში“ მიღწეული „ნატვრის ხეში“ გაგრძელებულიყო და გაღრმავებულიყო და:

– მხატვრის სტილს უფრო მეტი „კლასიკური უბრალოება“ და ხალხურობა შეეძინა, უფრო გამოკვეთილი, მონოლითური სახე მიეღო.

და კიდევ:

– ბელეტრისტული თხზულების ტოლფარდი აზროვნება, პოეტურ სახეთა შესატყვისი კინოგადაწყვეტა.

ვარსკვლავებზე აგებულ ფილმად მოიხსენიებს „ნატვრის ხეს“ ოთარ მეღვინეთუხუცესი და არ გიკვირს მისგან ასეთი ხატოვანება, პოეტებსაც რომ შეეხარბებათ, ნეტა ჩვენ შეგვეფასებინა ასე ზუსტად და ლაკონურად ეს კინოსურათიო.

თითქოს ელიოზის სული მეტყველებს მსახიობში, პერსონაჟს განუმსჭვალავს თავისი ღრმა პოეტურობით მისი არსება და ძალდაუტანებლად ამიტომაც ებადება ამგვარი ელვარე ფრაზები.

ის სიტყვები ხომ სწორედ ელიოზის სულის გახსნაა, გიორგი ლეონიძე ასერიგად რომ განაზოგადებს: პოეტები მხოლოდ ქაღალდზე რითმებით მოლაპარაკენი როდი არიან, პოეტური თვალით, პოეტური გულითა და დიდი ოცნებით გასხივოსნებული სხვაც ბევრი დადის დედამიწაზეო.

„ნატვრის ხე“ ასეთი პოეტებით დასახლებულა.

და კინოსურათი მხოლოდ მაშინ იპოვნიდა საკუთარ თავს, თუ ეს სული გადაინაცვლებდა ეკრანზეც.

და კიდეც –

ასე შეიქმნებოდა ფილმში ახალი მხატვრული სინამდვილე, ეკრანული ხილვებით გაბრწყინებული და მძაფრი დრამატიზმით აღბეჭდილი, რომელიც ამ ერთ-ერთი საუკეთესო მკითხველისა და მაყურებლის დაკვირვებით არამარტო ერთგულებას იჩენდა ლიტერატურული პირველწყაროსადმი, არამედ აღტაცებასა და კრძალულებასაც და, რაც მთავარია, ამოცნობილიყო მისი პოეტური ბუნება, ეს ყოველივე კი ბოლომდე უხინჯოდ შენარჩუნებულიყო.

ეკლექტურობა, რასაც ხარვეზად უთვლიდნენ „ვედრებას“, ამ ფილმის თავისებურება უფროა, ვიდრე ნაკლი (სწორედ ამას ირწმუნება მერაბ კოკოჩაშვილიც: პარალელს თუ გაავლებთ თანამედროვე მუსიკასთან, თუ გნებავთ შნიტკესთან, დაინახავთ, რომ ეს ჩვეულებრივი მოვლენაა), მაგრამ თენგიზ აბულაძე ამჯერად გაერიდებოდა ამ სტილისტიკას, რაკიღა გიორგი ლეონიძის ბელეტრისტული ქმნილება რომანად განეცადა და სცენარისტიც იმთავითვე საამისოდ განეწყო – ნოველების კრებულში რომანის აღმოსაჩენად.

მოგვიანებით „მონანიებას“ რომ უყურებდა რობერტ სტურუა, ცდილობდა თენგიზ აბულაძის თვალით ემზირა, და ასე აღმოაჩენდა, რომ ეს სამყარო რაღაც ძალით პოეტურ სფეროში იყო გადაყვანილი. და მეტაფორებით, უც-

ნაური შედარებებით ამიტომაც შეგეძლო დაგენახა ფსიქოლოგიური დრამაც, ლირიკული სცენებიც, ფარსიც, გროტესკიც, ყველაფერი ერთმანეთს რომ შერწყმოდა და არც ნამდვილ ცხოვრებას სცილდებოდა.

და ისეთი შთაბეჭდილება დარჩებოდა, რომ რეჟისორი ამის შემდეგ რაღაც დიდს მიაგნებდა ფორმის მხრივ.

ეგებ ეს „რაღაც დიდი ფორმა“ იმ ფილმის გადაღებისას ეპოვნა, ვახტანგ ჯავახაძის მხატვრულ-დოკუმენტური თხზულება რომ შთააგონებდა – „უცნობი“, გალაკტიონ ტაბიძის აპოლოგიად ნაგულისხმევი, გამოცემიდან გამოცემამდე საბოლოოდ ბიოგრაფიული რომანის იერსაც რომ შეიძენდა.

ბიოგრაფიული რომანი ბიოგრაფიულ რომანად, მაგრამ „უცნობი“ განა გამოდგება კინოსცენარის მასალად? ის ხომ ასე არადრამატურგიულია, მიუხედავად მძაფრი შინაგანი დრამატიზმისა? მაგრამ არადრამატურგიულია ჩვენთვის, თორემ რაკიღა თენგიზ აბულაძეს ეს ჩანაფიქრი გაუჩნდა, კიდეც აქცევდა წარმატებულ კინოფილმად.

განა უფრო არადრამატურგიული თხზულება არსებობს, ვიდრე მიხეილ კვესელავას ასევე მხატვრულ-დოკუმენტური „ას ერგასის დღეა“? ვის უნდა მოფიქრებოდა მის მიხედვით სპექტაკლის დადგმა, და თუ მაინცდამაინც დაებადებოდა ეს სურვილი, განა სპექტაკლი წინასწარვე არ გაიწირებოდა მარცხისათვის? მაგრამ რობერტ სტურუა არ დაგიდევდა ამ ზედაპირულ შთაბეჭდილებას და „ას ერგასის დღის“ მასალიდან ამოიტანდა ისეთ სანახაობრივ დადგმას, ყოველთვის მიკვირს, რატომ არ ასახელებენ ხოლმე ამ სპექტაკლსაც ამ რეჟისორის უკეთეს დადგმათა შორის – თუ შესაფერისად განვსჯით, „ას ერგასის დღე“ რობერტ სტურუას წარმატებათა რკალში უთუოდ მოექცევა და იმ მხრივაც გასათვალისწინებელია რეჟისორთათვის, რათა არასოდეს მიენდონ გარეგნულ შთაბეჭდილებას და ყველგან ეძებონ მასალა სპექტაკლისა თუ კინოფილმისათვის.

„რაღაც დიდი ფორმა“ უთუოდ დაშვენდებოდა ფილმს გალაკტიონზე, იმისი აჩრდილი თვითონვეც რომ გიბიძგებდა რაღაც განსაკუთრებულისაკენ, მითუმეტეს, როდესაც ზურგს გიმაგრებს ვაჟა-ფშაველასა და გიორგი ლეონიძის მხატვრულ სივრცეებში შთამბეჭდავი ხელოვნებით ტრიალის გამოცდილება.

მე კი ისევ ლუი არაგონის წიგნი მიდგას თვალწინ – „ანრი მატისი, რომანი“. და მის ფარდს დავეძებ ქართულ ლიტერატურაში.

თუ აქამდე არ შექმნილა, განა ამიერიდან ვერ დაიბადება რაღაც ამგვარი? მითუმეტეს, რომ საამისო კონტურები მკრთალად, მაგრამ მაინც გამოკვეთილია სწორედაც თენგიზ აბულაძისადმი მიძღვნილ მემორიალურ კრებულში „ანარეკლები“, რომელიც აერთიანებს მოგონებებს, კინემატოგრაფიულ სტატიებსა და ფოტოალბომს – ფოტოსურათებსა და კინოკადრებს, ასე მარჯვედ ამოკრებილთ და მოხდენილად ჩალაგებულთ მთელ წიგნში, ჰარმონიულად რომ განფენილან და უკვე ვეღარც დაგიბეჯითებია, რომელი რომელს უქმნის ფონს – მოგონება ფოტოს თუ ფოტო მოგონებას.

თუმც მთავარი ღერძი მაინც მემუარული ჩანაწერებია, საგულისხმო ცნობები და დაკვირვებანი, რეჟისორის ფსიქოლოგიურ პორტრეტს რომ შემოხაზავენ თანდათანობით, და იმ უამრავ წვრილმანსაც გვამცნობენ, უფრო ხშირად გაცილებით კანთიელად და ხელშესახებად რაც აცოცხლებს ხელოვანისა და საერთოდაც ადამიანის სახებას, ვიდრე ის ეპიზოდები, რაც ერთი შეხედვით უფრო შთამბეჭდავი და მნიშვნელოვანი გვეჩვენება.

წვრილმანი გეგონოს და რაოდენ რელიეფურად წარმოისახება მისი ფსიქიკა და სულიერი სიფაქიზე ნანი ჩიქვინიძის ამ ერთი ფრაზითაც „სხვისი შვილების“ შემოქმედებითი პროცესის ისტორიიდან:

– ციცინო ციციშვილს იმ დროს საქმრო ჰყავდა და თენგიზმა ისე გადაიღო, რომ ფილმში ერთი კოცნაც არ არის.

ან ციგურებით სრიალი რომ გაიტაცებდა და მეგობრები გაუთავებლად ექილიკებოდნენ, მისი ეს საგულისხმო ახსნა ამ გატაცების ფსიქოლოგიური საწყისისა, გიგა ლორთქიფანიძეს რომ გაუმჟღავნებდა:

– მე მარტო კი არ ვსრიალებ, ამით პლასტიკის საიდუმლოს ვსწავლობ, ამ სისწრაფეში პლასტიკა, ქროლვაში პლასტიკა ჩემთვის აღმოჩენაა.

ანდა ფილმში „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ ერთი ასეთი სურათი რომ არის, სადაც ოთხივე გმირი ერთად მოდის, ლომერ ახვლედიანს რა დაავიწყებს, როგორ გადიოდნენ ერთი კვირა ყოველდღე, დილის ცხრა საათზე, და საღამოს 6-ზე ბრუნდებოდნენ უკან, და ეს მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ თენგიზ აბულაძეს ერთხელ იმ მთაზე ლამაზი ღრუბელი ენახა და მის ხელახალ გამოჩენას ელოდნენ.

ან კიდევ „ნატვრის ხის“ გადაღებისა და მონტაჟის შემდეგ კიდევ ერთი ექსპედიცია რომ ექნებოდათ კასპის რაიონში – ხმაურის ჩასაწერად, და მინდვრებსა და სოფლებს რომ დაივლიდნენ და ათასგვარ ხმასაც ჩაიწერდნენ, სოფელ მეტეხში ერთი მიტოვებული ეკლესიის კარსაც შეაღებდნენ და ამ ხმაურზე მტრედების გუნდი აფრინდებოდა ფრთების ტყლაშუნით. და ზურაბ ინაშვილი რომ მოიგონებდა, თუ როგორ დაიწყეს იმ ხმის ჩაწერა, ჯერ მათი ღუღუნი და მერე პატარა ჩქამზე აფრენა, დასძენდა:

– სწორედ ეს ხმა ადევს მარიტას დასჯის ეპიზოდს და ასევე აქვს აღწერილი გიორგი ლეონიძეს – ყრუ გუგუნი.

ისე თურმე ძალზე საშური გახლდათ ამ მასალების მოკრება, ამ მემუარულ ეპიზოდთა თუ სურათთა გადატანა ფურცელზე.

და დროულადაც მოჰკიდებდა ხელს ამ საქმეს ნანა ჯანელიძე ნინო ნატროშვილთან ერთად.

გარდაიცვლებოდა თენგიზ აბულაძე და... მაშინღა გააცნობიერებდნენ ახლობლები და თაყვანისმცემელნი, რომ მისი პიროვნება, ფილმების გარდა, არსად აღბეჭდილიყო – არც ფირზე, არც ინტერვიუებში, არც პირად არქივში, არც სხვადასხვაგვარ ჩანაწერებში. და ეს იმიტომ, რომ დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა ყოველ სიტყვასა თუ ჟესტს, რათა ყველაფერი გააზრებული ყოფილიყო და არა შემთხვევითი. ინტერვიუებისათვის გულდასმით ემზადებოდა, ტელეგადაღებას კი ისე გაურბოდა, თურმე ვერც კი უხსენებდი.

სად გინდა ეძებო მისი ანარეკლი?

ცხადია, ნაცნობ-მეგობართა წრეში, გარეგნულად რაოდენ შეუფერებელი დროც უნდა დამდგარიყო საამისოდ – საუკუნის მიწურული, მთელი თავისი ულმობელობითა და დამთრგუნველობით... მაგრამ რაღაც სიკეთე ყოველგვარ წინააღმდეგობებში იჩენს ხოლმე თავს, და ამჯერადაც:

– გათოშილ და ჩაბნელებულ ქვეყანაში ადამიანებმა ფიქრისთვის მოიცალეს.

და ინტერვიუებზე ჩამოვლა კინოსთან და პირადად თენგიზ აბულაძესთან დაკავშირებულ ადამიანებთან (რეჟისორი იქნებოდა, მსახიობი, ოპერატორი თუ მემონტაჟე) და მრავალმხრივ საგულისხმო ცნობებისა თუ დაკვირვებათა მოკრება ისეთ განცდას გაუჩენდათ, ერთობლივი გარჯისას შემოქმედებითი დღესასწაულის მონაწილენი შევიქენითო.

თენგიზ აბულაძის კოლორიტული პორტრეტი პორტრეტად, და აღმოჩნდებოდა, რომ ამ საუბრებში საკმაოდ ზუსტი სურათი არეკლილიყო, „თუ როგორ ცხოვრობდა ქვეყანა, როგორ ფეთქავდა ინტელექტი, იბადებოდა დიდი იდეები, იქმნებოდა შედევრები, ყველაფერი ერთად კი ქმნიდა ატმოსფეროს, სადაც იძერწებოდა დიდი ქართული კინო...“

ამ მოკლე წინათქმაში ნანა ჯანელიძე წიგნის შინაარსსა და დანიშნულებას ასეც განსაზღვრავდა:

– კინოს ისტორიის ცოცხალი სახელმძღვანელო...

და ეს მართლაც ყველაზე ზუსტი და ლაკონური შეფასებაა ამ წარმატებული პროექტის, რომლის გმირის კინოკარიერის დასაწყისიც იმით აღინიშნა, რომ ფილმი, რომელსაც აღიარება უნდა მოეტანა ახალგაზრდა რეჟისორებისათვის (თენგიზ აბულაძესთან ერთად – რევაზ ჩხეიძისათვის), სამხატვრო საბჭოს გადაწყვეტილებით ჩამოერთვათ, რაკიღა ხელმძღვანელი დაუნიშნეს. საამისო ხელჩასაჭიდი იმთავითვე მოემზადებინათ – თვითონვე გაუშვეს გადაღებაზე ზამთარში, როდესაც გორში თოვლი იდო, არადა, ფილმს ზაფხული სჭირდებოდა, და ახლა შარი მოსდეს, გრაფიკს რატომ ჩამორჩითო.

მემუარულ ჩანაწერში რევაზ ჩხეიძე მადლიერებით იხსენებს კარლო გოგოძეს, ვინც ძალიან გამოიდო თავი და იმდენს ეცადა, მწერლები შეყარა და გადაღებული მასალა შემოქმედებით სექციაზე აჩვენა.

აკაკი ბელიაშვილი ცრემლებს ვერ შეიკავებდა, თორემ ქებით უზომოდ შეაქებდათ. გიორგი შატბერაშვილიც მას აჰყვებოდა. დემნა შენგელაია თავს ვერ შეიკავებდა: ფილმი ჩამოართვეს და ამ ბიჭებს სტუდიიდან გაყრასაც უპირებენო, – რითაც დიდ აღშფოთებას გამოიწვევდა და ყველას კრიტიკულად განაწყობდა კინოსტუდიის თავკაცთა მიმართ.

ეტყობა, ახალგაზრდა რეჟისორები განსაკუთრებით გალაკტიონ ტაბიძეს იყვნენ მიყურადებულნი, რადგანაც არ გამორჩენიათ მისი ჩალაპარაკება: მშვენიერია, მშვენიერიო...

მწერალთა აზრსა და განწყობილებას იმხანად დიდ ანგარიშს გაუწევდნენ და ამჯერადაც მათი ზეგავლენით შეაბრუნებდა კეხს კინოსტუდია, რეჟისორებს დაიბარებდნენ და განუცხადებდნენ: რატომ არ განაგრძობთ ფილმის გადაღებას, ვინ რას გერჩითო?!.

მაგრამ ფილმის გადაღება ჯერ კიდევ არ ნიშნავდა, რომ აუცილებლად უჩვენებდნენ კინოთეატრებში, ვიდრე ხელისუფლება წინასწარ არ ნახავდა და ნებას არ დართავდა. ამ მიზნით ეწვეოდა კინოსტუდიას ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვასილ მჟავანაძე, რომელიც უკმაყოფილო დარჩებოდა „მაგდანას ლურჯას“ კინოვერსიით, მაგრამ დიდ თათბირზე ხელოვნების მუშაკებთან გულუბრყვილოდ განაცხადებდა:

– მე ნუ მიყურებთ, ჩვეულებრივი ადამიანი ვარ და ჩემი შეფასებით ნუ ააგებთ თქვენს აზრს. მე მომეწონა „ცისკარა“ და არ მომეწონა „მაგდანას ლურჯა“, არადა, პირიქით ყოფილა.

წლების შემდგომ არც „ვედრების“ ნახვით დარჩებოდა აღტაცებული, თუმც კვლავ იმავე აზრს გაიმეორებდა: მე რაც არ მომწონს, თურმე ის არის კარგიო.

ეს კვლავ ნებართვას ნიშნავდა და დევი სტურუა, ცენტრალური კომიტეტის მდივანი იდეოლოგიის დარგში, შეეცდებოდა მის პოლიტიკურ გამოფხიზლებას: შესაძლოა ვაჟას ნოველებმა კამათი გამოიწვიოს მაყურებელშიო. მაგრამ ვასილ მჟავანაძე გულმოწყალებას გამოიჩენდა: იკამათონ მერე, კამათი კარგიაო!..

ისევ აწუხებდა, მაშინ კინაღამ რომ ჩააგდო „მაგდანას ლურჯას“ ჩვენება, თუმც მაინც გული ეთანაღრებოდა: ამ ფილმმა მთელი საბჭოთა კავშირი მოიარა და უხერხული არ არის, ჩვენ რომ ვირის გარშემო ვტრიალებთო?.. საერთაშორისო აღიარება კი უთუოდ დაამშვიდებდა. აი, კონსტანტინე გამსახურდიას სწორედ ეს საყოველთაო მოწონება დააყენებდა ხუმრობის გუნებაზე: ევროპაში ვირებით გავედითო.

თუმც ისეთიც რა მოხდა, როდესაც დასავლეთს კარგად ახსოვდა ნაპოლეონ ბონაპარტეს მოწოდება ფრანგთა არმიისადმი ეგვიპტეში ლაშქრობის წინ: მეცნიერები და ვირები შუაში ჩაიყენეთო. ყველაზე გასაფრთხილებლად რაც ესახებოდა, დაე მეომრები ყოველ წუთას მათ გადაფარებოდნენ ზედ.

უცხოელები ფილმის სტილისტიკას დააფასებდნენ – ნეორეალიზმის ქართულ ნაირსახეობას, რაც გარეგნულად იმეორებდა ამ მიმდინარეობის ნიშნებს, მაგრამ ორიგინალური სულითაც აღავსებდა და ეს თავისებურება მოხიბლავდათ...

მაგრამ ჩვენში საკამათო შეიქნებოდა ფილმის ფინალი, რომელიც სრულიად განსხვავდებოდა მისი ლიტერატურული პირველწყაროსაგან. ეკატერინე გაბაშვილის ნოველა გვამცნობდა, რომ სასამართლომ ლურჯა მაგდანას დაუტოვა, კინოსურათში კი სასამართლო სხვაგვარად განსჯიდა – მაგდანას ჩამოართმევდა ლურჯას და მენახშირეს დაუბრუნებდა.

იმჟამად აკაკი ბაქრაძეც მიიჩნევდა, რომ ამგვარი ცვლილება სავსებით უწყინარი გახლდათ, მაგრამ მოგვიანებით მკაფიოდ გააცნობიერებდა, რომ ამ ცვლილებით გამოვლინდა გაბატონებული ტენდენცია – ტყუილის პროპაგანდით წარსულის სახელის გატეხა და დამცირება.

ეკატერინე გაბაშვილი არამარტო ზედმიწევნით იცნობდა რევოლუციის წინარე ხანას, იმჟამინდელ კანონსამართალსა და წეს-წყობილებას, არამედ არავითარ წინასწარშემუშავებულ თუ აკვიატებულ სქემას არ გაუწევდა ანგარიშს და ამჯერადაც დაწერდა ისე, როგორც ხედავდა და გრძნობდა – უთუოდ მიუკერძოებლად.

თუ სასამართლო მაგდანას უტოვებს ლურჯას, ეს ნიშნავს, რომ მაშინდელი სამართალი ასეც სჯიდა – პატიოსან ადამიანს არ დაჩაგრავდა.

ახლა კი ფინალის შეცვლით რა გამოდიოდა?

– ჯერ ერთი, ცილს ვწამებდით წარსულს (ნახეთ, რა უსამართლობა ხდებოდა ძველად). მეორეც, კლასიკური მწერლობის საშუალებით თანამედროვეთა მოტყუებას ვცდილობდით. მესამეც, თავისუფალი აზროვნების ნაყოფს ვაქცევდით სტანდარტული აზროვნების ჩარჩოში.

ამ მკაცრ ფორმულირებას აკაკი ბაქრაძე იმით ამსუბუქებს, რომ მოიმარჯვებს სიტყვას „უნებლიეთ“. მაგრამ ეს გადაწყვეტილება მთლად უნებლიე ვერ იქნებოდა – სრულიად საპირისპირო ფინალის მიკერება, ფილმის მხატვრულ-იდეური კონცეფციის განმსაზღვრავის, შემთხვევით ვერ მოხდებოდა. თუმც ისიც თვალნათლივია, რომ რეჟისორებმა იძულებით გადაუხადეს ხარკი გაბატონებულ პოლიტიკურ რეჟიმს, რათა სიახლე დაენერგათ ქართულ კინემატოგრაფიაში.

მხატვრული იდეა გაწირეს სტილისტიკის გადასარჩენად.

ეს დათმობა რომ არა, ნეორეალიზმის შემოტანას ქართულ რეალობაში არავინ დაანებებდათ და ვეღარ მოახდენდნენ ჩვენი კინოს სასიკეთო ფერისცვალებას.

სხვა რა გინდა იღონო, როდესაც ძალმომრე პოლიტიკა უხეშად იჭრება ხელოვნებაში.

და ასეთ პირობებში ხარ იმის იმედად, რომ სადღაც მაინც გაარღვევ შემხუთველ გარსს... გაარღვევ, ოღონდ, ცხადია, მთლად უმსხვერპლოდაც ვერა. და რაღაცას უნდა შეეღიო.

ასეა თუ ისე –

ქართულ კინემატოგრაფიაში აშკარა გარდატეხა მოხდა და „მაგდანას ლურჯამ“ გაჭრა ის გზა, რომელიც თვალსაჩინო ფილმებით დამშვენდა, მათ შორის, თვითონ თენგიზ აბულაძისა, ვინც ყოველთვის განახლების წყურვილით გახლდათ აღსავსე და ცდილობდა, რომ მისი ერთი კინოსურათი მეორეს ნაკლებად ან სულ არ დამგვანებოდა, და ეპოვნა გადაკვეთის ის წერტილები, რაც მის ფილმებს ლიტერატურის რანგში აამაღლებდა და ღრმა ფილოსოფიურ სარჩულსაც შესძენდა.

დაე მხატვრულ ქმნილებათა მისეული წაკითხვა ყოფილიყო არამარტო რეჟისორული, არამედ ანალიტიკურიც, რათა ახლებურად აემოძრავებინა მეცნიერული აზრი.

ძალიან აინტერესებდა, თუ რა შთაბეჭდილება დარჩებოდა „ვედრებაზე“ გრიგოლ კიკნაძეს, ვაჟა-ფშაველას მხატვრული სამყაროს ერთ საუკეთესო მცოდნესაც და ყოველმხრივ განსწავლულ პიროვნებასაც, ვისაც უნარი შესწევდა შეეცნო ის გულისგულიც, რითაც კინოსურათი ფეთქავდა.

დაე მას გამოეტანა განაჩენი სტუდიაში წინასწარი ჩვენებისას.

რა თქვაო? – ეკითხებოდა მეუღლე, რომელიც მოუთმენლად ელოდა თენგიზის სატელეფონო ზარს, რაკიღა იცოდა, რამხელა იმედს ამყარებდა იგი გრიგოლ კიკნაძის შეფასებაზე. – არაფერი, მაგრამ თვალებში რაღაც სხივი შევამჩნიეო, – პასუხობდა შეფიქრიანებული და ამ სხივს მოჭიდებული, არ მომჩვენებიაო... და კიდეც მობრუნდებოდა მეცნიერი ნახევარ საათში და ოც კაცს მოიყვანდა ფილმის სანახავად – ფილოლოგებსა და ენათმეცნიერებს, და მათ შორის არნოლდ ჩიქობავასაც.

მერე კინოსურათის განხილვასაც გამართავდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მის მიერვე დაარსებულ ვაჟას კაბინეტში, და იქ ითქმოდა ის გულახდილი აღიარება:

– თენგიზ აბულაძე იმ საკითხებს შეეხო, რაც ჩვენ ჯერ შესწავლილი და დამუშავებული არა გვაქვს.

ცხადია, სცენარსაც თავისი უნდა მიეგოს – რეზო კვესელავასა და ანზორ სალუქვაძის მიერ შექმნილსა და უშუალოდ შთაგონებულს მიხეილ კვესელავას ვეება მეცნიერული ნაშრომით „ფაუსტური პარადიგმები“, ამ მსოფლიო თემატიკასა და პრობლემატიკაში რომ მიუჩენდა ადგილს ვაჟას ნაკლებად ცნობილ ნოველებსაც, რომელნიც როგორღაც მიკარგულიყვნენ მისი პოეტური ეპოსის ფონზე, მაგრამ თავისთავად არც ექსპრესია ჰკლებიათ და არც პლასტიკურობა. ამიტომ ოდესმე უნდა გაცხადებულიყო მათი მხატვრული ღირსებანი.

„ვედრება“ მათი ფილმიც არის – სცენარისტების.

თუმც ლომერ ახვლედიანს რომ ჰკითხოთ, ეს განცდა უჩნდებოდა ყველას, ვისაც თენგიზ აბულაძესთან უმუშავია, და არამარტო სცენარისტს, ოპერატორს, მსახიობს, არამედ მძღოლსაც, მემონტაჟესაც და დეკორატორსაც, რაკიღა რეჟისორი არ თაკილობდა არანაირ საქმეს, აგურების გადაწყობა იქნებოდა, ინვენტარის გადატანა თუ ეზოს დაგვა. სხვებსაც ძალდაუტანებლად ითრევდა ამ საქმიანობაში, ჯგუფში იშვიათი კეთილგანწყობა ისადგურებდა და ყველა დაბეჯითებით გეტყოდა: ეს ჩემი ფილმიაო.

და ეს იმიტომ, რომ:

– თენგიზი თანამშრომლებს კი არა, თანამებრძოლებს იკრებდა.

გიგა ლორთქიფანიძე არაერთხელ დასწრებია მის გადაღებებს და გაუკვირდებოდა, რომ რეჟისორი სიმკაცრეს არ იჩენდა, არადა, გარშემო საოცარი წესრიგი სუფევდა:

– რაც ჩვენ ნერვების გლეჯვის, ყვირილის ფასად გვიჯდებოდა, ის სიმშვიდით აღწევდა.

რობერტ სტურუა კი იმთავითვე მოიხიბლებოდა თენგიზ აბულაძის დემოკრატიზმით. თვითონ ამ სიტყვით განსაზღვრავს იმ სცენას, როდესაც რეჟისორს გარს შემოხვევიან მსახიობები, მხატვრები, კომპოზიტორები და თავთავიანთ იდეებს სთავაზობენ, ის კი ირჩევს იმას, რაც სჭირდება. ჯერ კიდევ სტუდენტობისას შეიგრძნო უკვე აღიარებული რეჟისორის ამგვარი საქციელის სიკეთე და მნიშვნელობა და ისეთი შთაბეჭდილება დარჩებოდა, რომ რეჟისორს ყველაფერი უნდა სცოდნოდა, რათა შეძლებოდა იდეათა ნაკადიდან კარგის ამორჩევა.

– მეც ხშირად მიმუშავია ასე, – რომ განაცხადებს, გამჭვირვალედ გულისხმობს, თუ ვისი გავლენით მოინდომებდა ხოლმე თვითონაც დემოკრატობას. თუმც ნუ გამოგრჩებათ ეს „ხშირად“. დიახ, ხშირად იქცევა ასე და არა ყოველთვის, და ეს სავსებით ლოგიკურია. ის, რაც თენგიზ აბულაძისათვის თანდაყოლილი თვისებაა, რობერტ სტურუასათვის – შეძენილია, და ამიტომაც მხოლოდ მაშინ მიმართავს, როდესაც მოაგონდება, რომ დასის შემოკრება და მათი იდეების ცვენა ის აუცილებლობაა, რასაც რეჟისორი არ უნდა გაურბოდეს და არც მოჩვენებითად ქმნიდეს თითქოსდა გულითად გარემოს.

საგანგებოდ აღნიშნავს, რომ თენგიზ აბულაძეს ახალგაზრდების მოსაზრებანიც ძალიან აინტერესებდა და ზოგჯერ ნაპერწკალიც კარნახობდა რაღაც იდეას.

კახი კავსაძეც ამასვე ირწმუნება: ზოგ რეჟისორს რამე რომ შესთავაზო, უნდა უარო, უარო და როგორმე ფრთხილად შეაპარო, თენგიზს კი პირდაპირ დავაჯახებდი ხოლმე. თუ რეჟისორსა და მსახიობს შორის ასეთი გულახდილობა არ არის, რაც თავში მოგივა, თუნდაც სისულელე, თუ არ თქვი, დაღუპულია საქმე. ძმობა უნდა შედგეს, სხვანაირად არაფერი გამოვა. ჩვენ შორის მუდამ არსებობდა ეს ძმობაო.

ზურაბ ინაშვილი იხსენებს, თუ როგორ ეძებდა რეჟისორი „ნატვრის ხის“ ფინალს და საფინალო ეპიზოდის გადაღებას მას და გია მატარაძეს დაავალებდა. რაც უნდა გადაეღოთ, ამათ არ მოსწონდათ, არადა, სხვა გამოსავალი თითქოს არ ჩანდა: ერთხელ სამონტაჟოში მაშინ შევიდოდა, როდესაც მასალას ატრიალებდნენ და კადრებს ათვალიერებდნენ. მათ შორის გაიელვებდა ის კადრიც, ელიოზის შვილი რომ ლოცულობს: ელი-ხე, მალი-ხე... ეს უკვე სხვა თვალით შეხედავდა ამ სურათს და ბატონ თენგიზს ეტყოდა: აი, მშვენიერი ფინალი, უკეთესი რაღა უნდა გადავიღოთო?.. ის შემოხედავდა, დაფიქრდებოდა, არაფერს ეტყოდა... მაგრამ მერე ასეც მოიქცეოდა.

სოფიკო ჭიაურელს „ნატვრის ხის“ გადაღების ერთი ეპიზოდი მოაგონდებოდა, რეჟისორი რასაც ურჩევდა, ზუსტად ისეც რომ გაითამაშებდა. უეცრად თენგიზ აბულაძესთან მივიდოდა ნანა ჯანელიძე და რაღაცას წასჩურჩულებდა. ის თავს დაუქნევდა და მსახიობს მიმართავდა: ასე კი არა, ასეო. ისიც შეასრულებდა. ახლა გია მატარაძე მიუახლოვდებოდა და ის წასჩურჩულებდა რაღაცას მეორე ყურში. და რეჟისორი: ა? შეიძლება, ხომ იცი! – და კვლავ მსახიობს: აბა, ასე სოფიკო.

თითქოს მართლაც ირონიული განწყობილება იქმნება ამ მონაყოლით, მაგრამ ამგვარ განცდას მკითხველს უბათილებს ის უღრმესი სიყვარული და პატივისცემა, რითაც მსახიობი განმსჭვალულიყო თენგიზ აბულაძისადმი, მონათხრობის ამ პასაჟს კი ჩარლი ჩაპლინის სწორედ დროული გახსენებით დააგვირგვინებდა: საგანგებოდ მოჰყავდა მუშები, გამნათებლები, აჩვენებდა მასალას, თვითონ კი უკან ჯდებოდა და აკვირდებოდა, თუ ვის როგორი რეაქცია გაუჩნდებოდაო.

„მონანიების“ სცენარში თავდაპირველად შურისმაძიებლად მამაკაცი რომ იყო ნაგულისხმევი და ამ როლზე მსახიობიც უკვე დაემტკიცებინათ, რეჟისორის უეცარი განცხადება: ამომთხრელი ქალი იქნებაო, – მთელ შემოქმედებით ჯგუფს თავზარს დასცემდა. მაგრამ თენგიზ აბულაძე ამჯერად შეუვალობას გამოიჩენდა და ბათუმში გადაღებაზე გამოიძახებდა ზეინაბ ბოცვაძეს, ოღონდ გააფრთხილებდა: ერთადერთი დაბრკოლება ნანა ჯანელიძეაო, – რაკიღა ასეთ მკვეთრ ცვლილებას ის სასტიკად ეწინააღმდეგებოდა. და ზეინაბ ბოცვაძე იძულებული ხდება, თვითონ გამოიჩინოს ფსიქოლოგიური ზემოქმედების უნარი და დაარწმუნოს სცენარის ერთ-ერთი ავტორი ამგვარი ცვლილების სიკეთესა და აუცილებლობაში.

ნანა ჯანელიძე ამ ამბავს ბელეტრისტული ოსტატობით აღწერს, გაშლილი თხრობა სულაც დოკუმენტურ ნოველას რომ დაემგვანებოდა; თუმც ამდენს აღარ გაჰყოლია, კმარობს ძირითად ბირთვს ფსიქოლოგიური დუელის წარმოსახვისათვის და მოკლე მონახაზითაც ერთბაშად ორი საგულისხმო ხასიათი იკვეთება მკითხველის წინაშე.

მთავარი ამჯერად მაინც ისაა, რომ თენგიზ აბულაძე არც მისცემდა თავს უფლებას – ებრძანებინა, მოეთხოვა, აეძულებინა ანდა ჩამოეცილებინა ფილმისათვის.

სხვათა შორის, შურისმაძიებელი კაცის გარდასახვა ქალად არ ყოფილა რეჟისორის იდეა და ამჯერადაც სხვისი მოსაზრება გაიზიარა – რეზო ესაძისა, ვისაც თავიდან მხოლოდ იმიტომ მიიწვევდა გადასაღებად, რომ მისი პროფილის გამოყენებას მოინდომებდა. ესაა და ეს. არამცთუ ერთი სიტყვაც არ უნდა წარმოეთქვა, არც კი უნდა გაევლო. სცენარს მაინც გააცნობდა და რეზო ესაძე დაურიდებლად მოახსენებდა: ფილმი არაფრად არ ივარგებს, თუ საფლავიდან ვარლამ არავიძის ამომთხრელი კაცი იქნება და არა ქალიო.

– რუსლან მიქაბერიძემ ეს რომ შეიტყო, დავემალე, თორემ მოსაკლავადაც გამიმეტებდაო, – სიცილით გაიხსენებს ხოლმე რეზო ესაძე, რაკიღა უკვე გადაწყვეტილი როლი უნებლიეთ ჩაუგდო. თენგიზ აბულაძესთან „მონანიების“ ირგვლივ მსჯელობისას კი თანდათან გამოიკვეთებოდა მისი პერსონაჟიც, ფილმის ერთ-ერთი კოლორიტული სახე – აპოლონი, ვინც სიუჟეტსაც გამოსდევს და კომპოზიციური ჩარჩოს შექმნაშიც მონაწილეობს.

ესეც მარტოდენ პროფილი!..

რეზო ესაძის მოგონება უთუოდ შეავსებდა „ანარეკლებს“, ისევე, როგორც სხვა არაერთი მასალა – სტატია, ბარათი, ინფორმაცია, კომენტარი...

და კვლავ თვალწინ ამესახება ლუი არაგონის „ანრი მატისი, რომანი“.

ვითომ „ანარეკლებს“ ბევრი აკლია იქამდე?

საძირკველი ისე ღონივრად გაჭრილა და ზოგადი ქარგაც ისე მარჯვედ შემოხაზულა, შუამდე ამოუყვანელ კედლებს შევსება და გადახურვაღა დაჭირდება რეჟისორის მიმოწერისა თუ მაყურებელთა შთაბეჭდილებების ჩართვით.

მძაფრი დისკუსიის გახსენებაც მოუხდება, „ვედრებამ“ რომ გამოიწვია – თითო კრიტიკული და საქებარი სტატია სრულადაც რომ გამოქვეყნდეს, სხვებიდან კი ცალკეული ამონარიდები ამოიკრიბოს, ისევე, როგორც სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული კინორეცენზიებიდან.

„მონანიების“ ტიტრებში ნოდარ წულეისკირის სახელის ამოშლის გარემოებანიც აიხსნას (აკი თვითონ მწერალმა არ მოინდომა სცენარისტთა ჩამონათვალში გარევა, რადგანაც მის მიმართ ხელისუფლების განაწყენებას ვაითუ ხელი შეეშალა ფილმის ეკრანული სიცოცხლისათვის)...

თვითმფრინავის გატაცების ტრაგიკული ეპიზოდიც შედარებით ვრცლად ჩაერთოს – გეგა კობახიძე არამარტო თამაშობდა თორნიკე არავიძის როლს, ვიდრე იმ საბედისწერო გაფრენაში მიიღებდა მონაწილეობას, არამედ ბათუმში ფილმის გადაღებებზე თვითმფრინავით მისვლა-მოსვლას გამოიყენებდა გრაფიკის შესადგენად თანამზრახველებთან ერთად საზღვარგარეთ გაქცევის გეგმის შემუშავებისას, ასე რომ, მისი მწარე ხვედრი უშუალოდაა გადაჯაჭვული „მონანიების“ სხვა მხრივაც დრამატულ თავგადასავალს...

ძალიან მოვისაკლისე და ვერსად ვიპოვნე „ანარეკლებში“ თენგიზ აბულაძის უკანასკნელი ფრაზა:

– ეკრანი გაასწორეთ, ეკრანი!..

ეს სიტყვები – მზია მახვილაძისა და ნანა ჯანელიძის ნაამბობზე დაყრდნობით – შემოინახა რეზო კვესელავამ, მაგრამ ამჯერად არც მის ვრცელ მოგონებაში განმეორებულა და არც რეჟისორის მეუღლისა და რძლისა.

არადა, სიკვდილის წინ ნათქვამ ფრაზებს ყოველთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება და საგანგებოდაც ამიტომ იმახსოვრებენ, თუკი საამისო შემთხვევა მიეცემათ. რა გგონიათ – თავისებური კოლექციაც კი არსე-

ბობს წუთისოფელთან გამოსათხოვარი სიტყვებისა, და ამგვარ კოლექციაში უთუოდ ჩაერთვის ეს ფრაზაც, თვითკმარ განცდადაც და თენგიზ აბულაძის ბიოგრაფიის გასაღებადაც.

და „ანარეკლები“ და მითუმეტეს მის თარგზე ამოშენებული რომანი – უამსიტყვებოდ?

ეგებ მოგონებაში ჩართვის გარდა, სულაც ეპიგრაფად წარემძღვაროს მომავალ წიგნს.

შევსებულ კრებულს უთუოდ დაშვენდება რეზო ჭეიშვილის ნოველაც „სალადაძე“, რომელიც მწერლისათვის ჩვეული გროტესკული სტილით წარმოსახავს „ვედრების“ წინასწარ ჩვენებაზე ვასილ მჟავანაძის სტუმრობას.

შესაფერის კომენტარებს შემდგენლები მიადევნებენ და... კიდეც გამოიკვეთება კანთიელად და სისხლსავსედ არამარტო ერთი ხელოვანის მონუმენტური სახება, არამედ ქართული კინემატოგრაფიისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ნახევარსაუკუნოვანი გზის მღელვარებანი, წინააღმდეგობანი თუ წარმატებანი, და არაერთი პერსონაჟი იმ პიროვნებათაგან, რომელნიც ქვეყნის კულტურული ცხოვრების ამ დრამატული ჟამის მონაწილენი იყვნენ, მიმსწრაფნი შემოზღუდული სივრცისაგან თავდასაღწევად – კინოს ფრთებს მინდობილნი.

„ანარეკლები“ თავისთავად ჩადგომია კვალში ფრანგი მწერლის ორიგინალურ ქმნილებას – „ანრი მატისი, რომანი“ – და ბარემ განმეორდეს ჩვენს ლიტერატურაშიც რაღაც იმგვარი, ძალიანაც ნუღა გადაიდება, როგორც „ანარეკლების“ გამოჩენა გაჭიანურდა, კედლებიც ბოლომდე ამოშენდეს, სახურავიც შესაფერისი მოერგოს და ქართველ მკითხველსაც ჰქონდეს ხელთ ლუი არაგონის წიგნის თავისებური ორეული:

„თენგიზ აბულაძე, რომანი“.

თავისი ღია ფინალით –

ჩაშლილი ოცნებით ილია ჭავჭავაძისა და გალაკტიონ ტაბიძის ტრაგიკული ხვედრის გაიგივებისა საქართველოს ბედისწერასთან; ჩანასახშივე განწირვით იმ კინოვერსიის შექმნისა, კიდევ ერთხელ რომ დაგვიდასტურებდა, თუ რას ნიშნავს ლიტერატურის მაცოცხლებელ ძარღვზე ამოშენებული კინოფილმი, ყოველთვის პოეტური თავისი უკეთესი გამოვლინებისას.

* * *

„ნატვრის ხე“ ვარსკვლავებზე აგებული ფილმიაო, – მსახიობებიც რომ გაპოეტდებიან, როგორც კი დიდი ლიტერატურის ჯადოსნურ გარემოში მოექცევიან ხოლმე.

ჩემი ავტოგრაფი

მახსოვს, თითებით მიყვარდა. საგნები, ადამიანები, სივრცე. ჰაერში მოვრკალავდი ხოლმე და ხელისგულთან ვაქუჩებდი.

ნათელი ფერები დაილია, ფსკერი უჩანთ საღებავის პატარა კოლოფებს. ფუნჯის თავი დაიცრიცა. თითები შევატყუპე და ასანთის ღერითა და შავი საღებავით რუკის შუაგული შემოვსაზღვრე. – საქართველო. მე არასდროს მომიწევს უშენობა. კანის უხილავ შრეებში ჩაგამწყვდიე, ჩემთანაობა დაგაძალე. უდროშოდ, უგერბოდ, უჰიმნოდაც გაგარჩევენ სხვათაგან. ხელაწეული ვივლი, ცა მიწად რომ არ გექცეს, ისედაც თავქვე კიდიხარ და კონტურები გეკლაკნება. მახრები გიჭამს არშიებს. თითქმის აღარ დამრჩი! ადამიანები ჟამიდან ჟამზე ჭიანჭველებივით იცვლიან ალაგს, გამჭვარტლულ და ჯერ კიდევ ცხელ კედლებს მოათრევენ, კარავივით დასცემენ და უფანჯრებო სახლებში იწყებენ ცხოვრებას, რათა არასდროს გამოიხედონ გარეთ! ვიწროდ ვარ. გაძლება გაძნელდა. ასთმიანივით ვეზიდები სუნთქვას ფილტვებიდან. მერე ისევ ხრიალით და ზათქით ჩაემხობა საერთო ჰაერი, ცოტა ჰაერი, ძლივს სამყოფი და გამოზოგილი.

ნუ აფენ მამაჩემს გადაპობილ მკერდზე შენს იშვიათ ბალახებს, უცხო წალკოტს მალამოდ ნუ უღვრი გამხმარ ძარღვებში, ოფლს ნუ შეუშრობ მთის ნიავით, ეგ არ უშველის! ნაპირები თუ ტეხილები უნდა გაიმაგრო, უფრო მკვეთრად მეჩვენებოდე, თითებში არ მეღვრებოდე მართლაც ამ საღებავივით. გეშინია. მიწას ფეხქვეშ აკვანივით მირწევ და ბარბაცით დავდივარ. მე რომ მუხლები გავიმაგრე, შენ მაშინ ჩავარდი ხეიბრად.

მეშინია!

შენში ჩადგმული ჩემი ცივი ტერფები ხორკლიან, უცხო ფესვებს ეხება და ვიშმუშნები. ბოლომდე მემშობლიურებოდე, მინდა! მას ბავშვური, მესაკუთრული ჟინით გიყვირი, შენ, როგორც დედას, რომ სულ ჩემთან იყოს...

არ გიხდება ეს ტანზე შემოტმასნული, პრიალა სამოსი. უხეში ქსოვილით და დაბეგვილი ნაბადით უფრო მიხარიხარ. მჩხვლეტს და ვგრძნობ. ვგრძნობ და მეამება.

სიცხიანი წევხარ შუაგულ ოთახში და მე ცალკე გებრძვი, ვხმაურობ, სკამებს ერთმანეთს ვაჯახებ, ალბათ არ მინდა სისხლი წითელ კრისტალებად მექცეს, რადგან დაშრა შენი მდინარეები და მზით გამთბარი რიყის ქვები დამდის სხეულში.

მამის საფლავზე ჯიუტად ვაბაკუნებ ფეხებს და შენგან ნასახსოვრები მატიანის ბოლო გვერდები მტკივა. მომეშველე, ხასხასა ფოთლები კანს კი არ მილბობს, მიშაშრავს და რა დროს ჩემი ქუსლების დახეთქვაა.

ადამიანები შენში და ჩემ გარშემო, სხვადასხვა მიმართულებით თავგანწირულებივით გარბიან და მრჩება მხოლოდ უნდო შემოხედვები და ბასრი შორისდებულები.

ნათელი ფერები არ მქონდა. შავი საღებავით და ასანთის ღერით თითებზე მიგიმწყვდიე, ჩემად დაგიჩემე. არ ხარ ასე მცირე, ეს მე არ მატარეს ხატვაზე.

ხელისგული, - ადგილი ავტოგრაფისთვის. საკუთარი სახელისა და გვარის მიწერა კი არ მეუხერხულება, მიჭირს, ამის ნაცვლად კი ასანთის ღერს წვერი წავუწვეტე და დახრილი ასოებით ვწერ (ვგრძნობ)...

ავტოგრაფი: ყველანი მიყვარხართ!

თათია ჯგუშია

ვახტანგ ბახტაძე

დაცარიელებული სამყაროს წინაშე

ჟაკლინ სირაძის წიგნის „ხელოვანის გზა“ („მერიდიანი“, 2008) უკანა ყდაზე გამოტანილია დრამის მთავარი გმირის ჰამლეტ ემანუელოს მონოლოგის ბოლო ნაწილი, რომელიც ამ სიტყვებით მთავრდება:

სამყარო დაცარიელდა, რადგან აღარ არის
მხვედრი თვალი, მას რომ დაინახავს
და შეაფასებს.
ვინ მოკლა იგი?

რამდენადაც ეს სიტყვები თვალსაჩინო ადგილზეა გამოტანილი, ცხადია, ავტორი მათ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს.

სამყაროს რა დაცარიელებაზეა საუბარი, ან მისი მხედველი და შემფასებელი თვალი ვინ მოკლა?

სამყარო უსასრულოდ მრავალფეროვანია, უმცირესი ნაწილაკიდან დაწყებული და უზარმაზარი გალაქტიკებით დამთავრებული, და მასში უსაზღვროდ მრავალი კანონზომიერება მოქმედებს. ყველაფერი ეს თავისთავად არსებობს და არსებობს უფლისგან, მიუხედავად იმისა, შევიმეცნებთ თუ არა ყველაფერ ამას. მაგრამ ასეთი შემეცნება შემოქმედისათვის ალბათ მაინც ყველაზე მნიშვნელოვანი პროცესია, თუნდაც იმიტომ, რომ იგი ადამიანს სამყაროს ქმნილებათა გვირგვინად შეაგრძნობინებს თავს. და წინსვლის, სიკეთისა და ბედნიერების მარადიულად დაუფლების სტიმულს აძლევს და სურვილს აღუძრავს.

„დაცარიელებული სამყარო“?!*

ალბათ მხოლოდ ადამიანის თვალისათვის შეიძლება დაცარიელდეს.

ეს უნარი — სამყარო სიცარიელედ აღიქვას სხვადასხვა სულიერი მდგომარეობის გამო — ადამიანის, როგორც სამყაროს ერთ-ერთი მთავარი ფენომენის, დიდ სირთულესა და ამასთანავე უჩვეულობაზე მეტყველებს. მართალია, ადამიანი ქმნილებათა გვირგვინია, თუმცა იგი მაინც მიდრეკილია დაცემისკენ. არის ისეთი შემთხვევებიც, როცა ძალა აღარ ყოფნის ადამიანს და დაცემის შემდეგ უკვე აღარ დგება. სწორედ ამასთან დაკავშირებით დაიწერა: „დავიღალე, დავიღალე მოდი ჩემთან უფალო!“ ეს ის დროა, როცა ადამიანს აღარ შესწევს ძალა, მიეახლოს უფალს და შეჰღაღადებს: ვერ მოვდივარ შენთან, შენ თვითონ მოდი, წამომაყენე და მიშველე, უფალო, მე ცოდვილს!

სწორედ ადამიანის, უფრო ნიშანდობლივ მისი უმაღლესი და გასაოცარი გამოვლენის — ხელოვანის სულიერების კვლევას, მის მეცნიერულ თუ პოეტურ შემეცნებას ეძღვნება ეს წიგნიც, რომელიც შეიცავს ესეისა და პიესას, აგრეთვე არანაკლებ საინტერესო და ვრცელ კომენტარებს.

ამ მეცნიერული თუ პოეტური კვლევისათვის ავტორი უილიამ შექსპირის ურთულეს და უმნიშვნელოვანეს ლიტერატურულ პერსონაჟს — ჰამლეტს იყენებს.

ჟაკლინ სირაძე შესანიშნავად აანალიზებს ჰამლეტის სახეს და ბევრ საინტერესო დასკვნას გვთავაზობს.

ავტორის თქმით, „მისი პიროვნების სირთულე იმაში მდგომარეობს, რომ ის ყველაფერია ერთდროულად, — ის ფილოსოფოსია, ის თეოლოგია, ის ისტორიკოსია, ის ხელოვანია, — ერთდროულად მუსიკოსი, მხატვარი, ის ისეთივე გიგანტური და ამოუცნობი ფიგურაა, როგორც ეგვიპტის ქურუმები, რომელთაც ხელდასხმის შვიდი საფეხური ჰქონდათ განვლილი“... ჰამლეტი „ბოროტებას ხედავს და ვერც ხედავს“, მისი ნებისმიერი ამოოხვრის, ნებისმიერი ფრაზის იქით იგულისხმება მისი ფრაზა, დაყვანილი ერთგვარ ფორმულამდე: „ბოროტი კაცი დანიაშიც ბოროტი არის“, იგი ყოველ ამოსუნთქვას ამ ფრაზით იწყებს და ამთავრებს“.

მწერალი აღნიშნავს, რომ დრამის შექმნისას, გარდა გენიალური შექსპირის ამ პიესისა, მისი შთაგონების უმთავრესი წყარო იყო ბრიტანელი მწერლისა და პოეტის დ.ჰ. ლორენსის მოსაზრებანი ჰამლეტის შესახებ, რაც თავის მხრივ დოქტორ ფროიდის ფსიქოანალიზის თეორიას ეყრდნობა.

ჟაკლინ სირაძე ჰამლეტისა და თანამედროვე ადამიანის ასეთ შედარებას გვაწვდის: ჰამლეტმა „არჩევანი გააკეთა ბოროტებასა და სიკეთეს შორის და ეს სიკეთე, სინათლე, სიყვარული, სიბრძნეა. თანამედროვე გმირი — უფრო პილატეს მოაგავს, ჰოსა და არას შორის რომ არის გახიდული... ის არც იესოს მიმდევარია და არც ბარაბასი, ის არც სიკეთეს უძღვნის თავს და არც ბოროტებას“.

შედეგი კი ისაა, რომ ავტორის თქმით, „როგორც ყოველთვის, არჩევანის ბოლომდე ვერმიმდევარის არჩევანს სხვა დაეპატრონება და ეს სხვა — არარაობაა, — შავბნელი და პირქუში ბოროტების მსახური“.

„არჩევანის ბოლომდე ვერმიმდევარის არჩევანის“ გამოა, რომ „თანამედროვე ადამიანი ტანჯვით თავისთვის დაკნინებისკენ, დაცემისკენ მიემართება“.

*** წიგნის 289-ე გვერდზე წერია: „[... ეს საუკუნე ღვთისგან ხალხს სინანულისთვის მიეცა. ფუტურულოგნი ამტკიცებენ, რომ თუ კაცობრიობამ კიდევ იარსება XXI საუკუნეში, იგი მეტად რელიგიური ასწლეული იქნება, რადგან ხალხი დაიღალა, უღვთოდ დაცარიელდა ტაძარი სიყვარულის“.**

დღეს ჩვენ ვართ მოწმე არამარტო თანამედროვე ისტორიის ტრაგიზმისა, არამედ მოახლოებული აპოკალიფსური დროისა. სულ უფრო მკვეთრად ჩაგვესმის სიტყვები: — „მე ვარ ანი და ჰოე, იტყვის უფალი ღმერთი, რომელი არს და რომელი იყო და რომელი მომავალ არს, ყოვლისა მპყრობელი“ (გამოცხ. 1;8)

„ჩვენს ეპოქას, — აღნიშნავს მწერალი, — ზიგმუნდ ფროიდის ფსიქოანალიზმა სხვა სახე მისცა. მან ღვთაებრივი გზნება და ცეცხლი ჩაუქრო ჩვენი სიცოცხლის წვენს — ღვთის რწმენას — ლოცვის ჟამს წარმოთქმულ ჩვენს სიტყვებს რომ ამოძრავებდა, სამყაროსა და ადამიანის სულს ღვთაებრივი შუქით რომ ავსებდა, უსახური თარგმანი შეუქმნა — მისი ანატომისტური სურათი“.

ავტორი ასე განმარტავს თავისი წიგნის მიზანს:

„ამ დრამით მე მსურდა ილუზიის ტყვეობაში მყოფთათვის ერთდროულად, ფრთხილად და სასტიკად თვალები ამეხილა და მეჩვენებინა, რომ ფროიდის მიერ შექმნილი სქემა — ოიდიპოსის კომპლექსი გახდა ამ ეპოქის სასტიკი განაჩენის ყალიბი და „საზრისი“, რომლის ფარგლებში აპრიორი უნდა მოექცეს ხელოვანის სათქმელი, რისი წყალობითაც ნებისმიერი ფილოსოფიური ტრაქტატისა და ხელოვნების ნაწარმოებში ჩადებული ღვთაებრივი გზის ერთადერთობის გამასხარება მიმდინარეობს“.

ჟაკლინ სირაძის თქმით, „ამ დრამით თანამედროვე სამყაროში შემოქმედის ტრაგიკული ბედის სასტიკი განაჩენის დაძლევის გზაც გამოიკვეთა“.

როგორც ვხედავთ, ავტორს ურთულესი მიზანი აქვს დასახული — „შემოქმედის ტრაგიკული ბედის განაჩენის დაძლევის გზის გამოკვეთა“. თავისთავად ამ მიზნის არსებობა და მისი შესრულებისათვის ასეთი საგულისხმო მცდელობა, შეიძლება ითქვას, მაჩვენებელია ქართველი ესეისტი ქალის სხივოსანი იმედისა, რომ საბოლოოდ არ დამკვიდრდება „ღვთაებრივი გზის ერთადერთობის გამასხარება“, საბოლოოდ არ მოკვდება სამყაროს მხედველი და შემფასებელი თვალი, ანუ ადამიანის თვალისათვის არ დაცარიელდება სამყარო.

გი დე მოპასანი

უცნობი ქალი

საუბარი შეეხო სიყვარულში იღბალს. თითოეული იმათთაგანი იმის ცდაში გახლდათ, რაიმე უჩვეულო ამბავი გაეხსენებინათ, სასტუმროში, ვაგონში, რესტორანში, უცხოეთში მოგზაურობისას ან თუნდაც პლაჟზე რომ გადახდენოდათ, როჟე დეზ'ანეტის სიტყვებს თუ ვირწმუნებდით, პლაჟზე გადახდენილ სასიყვარულო თავგადასავლებს არაფერი შეედრებოდა. გონტრანი გარიყულად იჯდა, ერთხანს უხმოდ იყო, ბოლოს ისიც ჩაერია:

— ჩემი აზრი თუ გაინტერესებთ, სასიყვარულო ინტრიგებში პარიზი პირველობას არავის უთმობს, ამ ქალაქში ქალი ნამდვილი სამშვენისია და მეტადრე იქ ფასობს, სადაც მასთან შეხვედრებს ვართ დანატრებული. გამორჩეულ ქალბატონებს სწორედ პარიზში თუ შეხვდებით ასე, დამიჯერეთ!

მამაკაცი რამდენიმე წამს ჩაფიქრდა, მერე ისევ განაგრძო:

— ღმერთმანი, სასწაულია პარიზი! აბა გაისეირნეთ გაზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს მის ქუჩებში და იხილავთ... ირგვლივ კოპწია, ელეგანტური ქალები როგორ ირევიან, სად არ შეხვდებით მათ სახლების გაყოლებაზე, ტროტუარზე... ყველგან, ყველგან. ახალ გაფურჩქნულ კოკრებსა ჰგვანან, რა, ნეტავ იცოდე, რა საამო საცქერალია. ყვავილებით მოვაჭრე ქალბატონები ქუჩების გასწვრივ ურიკებით ეზიდებიან თაიგულებს, ჰაერში იების ნეტარი სურნელება იფრქვევა.

სიცოცხლე ზეიმობს ქალაქში... აღარ იცი, საით გაიხედო. ოჰ! რა მაცდუნებელნი არიან ეს კეკლუცი და მოხდენილი ლამაზმანები! აბა შეხედე, კანიც რა გამომწვევი აქვთ ნათელი ფერის სამოსში. შენც აივლი-ჩაივლი და ხარბად ისრუტავ ყველაფერს. გეფიცები, საუცხოო სანახაობაა. ისიც მომხდარა ზოგჯერ, უნებურად იდაყვით რომ გავკარებივარ რომელიმე ქალბატონს და ისეთი გრძნობები ამშლია, მზად ვიყავი თოკში გამეყარა კისერი, ნეტავ მაცოდინა მათი ვინაობა, ან კი მომეცემა შანსი მათთან შეხვედრისა? გამიგონია, ადამიანები ხშირად ბედნიერებას სულ ახლოს ჩაუვლიან და ვერც კი ამჩნევენო. კეთილი! ვაღიარებ, არაერთხელ მოვხვედრილვარ იმის გვერდით, ვინც ჩიტივით ბადეში გამხვევდა და თავისი სატყუარა, ქორფა სხეულით ანდამატივით მიმიზიდავდა.

როზე დეზ'ანეტი ღიმილით უსმენდა. მერე მისკენ მიბრუნდა და უთხრა:

— ბატონო ჩემო! რასაც მიყვები, ჩემთვის უცხო ხილი არ არის. აი, რა შემემთხვა ამ ხუთიოდე წლის წინათ თანხმობის მოედანზე. სწორედ იქ შევხვდი პირველად მაღალი ტანის, ფერ-ხორცით სავსე ახალგაზრდა ქალს. ოო, ნეტავ შემეძლოს გადმოვცე, რა შთაბეჭდილება მოახდინა, ... საოცარი წარუშლელი. ეს იყო შავგვრემანი, ოდნავ ტანსრული ქალი, ბზინვარე თმა მთელ შუბლს უფარავდა. მორკალული სქელი წარბები ლამის საფეთქლებამდე გადაწვდენოდა. ოდნავ შესამჩნევი, ქორფა ულვაშები საოცნებოდ გიწვევდა, ისე როგორც საყვარელ ტყეებზე გიოცნებია, როცა მაგიდაზე ყვავილთა თაიგული შეგინიშნავს. მისი აშოლტილი ტანი და მაღალი მკერდი ნებისმიერ კაცს ჭკუიდან გადაიყვანდა. თვალები მელნისფერი ჰქონდა. თვალიო? თვალი კი არა, ორი შავი ხვრელი უფრო იყო, ღრმა უფსკრულში გაჭრილი. სულშიაც რომ გახედებდა.

ოჰ, ეს საუცხოო, გამომწვევი მზერა, გამოუცნობი, ცარიელი და აზრს მოკლებული, მაგრამ მაინც მშვენიერი და მომაჯადოებელი... ებრაელ ქალად ვიგულე. კვალდაკვალ ავედევნე. ისიც შევნიშნე, ქუჩაში მდგარი მამაკაცები როგორ აყოლებდნენ თვალს. ქალი მედიდურად, ტანის რხევით მიდიოდა... ვერ გეტყვით, გრაციოზული მიხრა-მოხრა ჰქონდა-მეთქი, მაგრამ მისადმი შეუცნობელ გრძნობას მაინც გაგიჩენდა, ვნებით შეგიპყრობდა, აღგაგზნებდა და აგაღელვებდა.

ქალმა იქვე ეტლი დაიქირავა და გამშორდა. მე ობელისკთან ახლოს, ერთ ადგილას დარჭობილი დავრჩი, ნამდვილი ყეყეჩივით. დამიჯერეთ, ქალისადმი ასეთი ჟინით ანთებული არც არასდროს მახსოვს თავი.

მასზე სამი კვირა განუწყვეტლივ ვფიქრობდი, მერე თანდათან დავიწყებას მივეც.

ამ დღიდან ექვსი თვე გავიდა და ჰოი, საოცრებავ! ისევ არ შევხვდი მშვიდობის ქუჩაზე? შევამჩნიე თუ არა, გულმა ბაგა-ბუგი დამიწყო და ისე ამიძგერდა, როგორც საყვარლის შეხვედრისას, ოდესღაც გიჟური სიყვარულით რომ უყვარდათ. მე შევჩერდი, რათა მეცქირა, როგორ მიახლოვდებოდა. გვერდით რომ ჩამიარა, ლამის შემეხო. ისეთი შეგრძნება დამეუფლა, თითქოს გახურებული ღუმელის პირას ვიდექი. როცა გამცილდა, ასე მეგონა, სახეზე გრილმა სიომ დამქროლა-მეთქი. მინდოდა გავდევნებოდი, მაგრამ თავი შევიკავე, მეშინოდა, რაიმე სისულელე არ ჩამედინა.

წელიწადმა ისე განვლო, არსად გადავყრივარ და, აი, მაისის ერთ საღამოს, ელისეის მინდვრებზე სეირნობისას, როცა მზე ის-ის იყო ჩაესვენა, უცაბედად მისი ტანი შევიცანი ჩემგან შორიახლოს, „ვარსკვლავის თაღი“ ცის კიდობანზე იყო გამოსახული, ჰაერში ოქროსფერი მტვერი და წითელი ცეცხლოვანი კვამლი ტრიალებდა. ეს იყო ერთი იმ საღამოთაგანი, პარიზის აპოთეოზი რომ შეიძლება ვუწოდოთ. მეტი აღარ დავაყოვნე და დავედევნე. მასთან გამოლაპარაკების დაუოკებელი სურვილი მკლავდა, მინდოდა მის წინაშე მუხლებზე დავცემულიყავი და ჩემს მხურვალე გრძნობებში გამოვტყდომოდი. ორჯერ გავუსწარი წინ. მერე ისევ მოვბრუნდი. ორჯერვე შევიგრძენი მასთან მიახლოებისას ის მცხუნვარება, რომელიც მშვიდობის ქუჩიდან მოყოლებული სულ ძარღვებში მივლიდა.

მხატვარი ინა ჭელიძე

ქალმა შემომხედა. შემდეგ დავინახე, როგორ შევიდა ერთ სახლში პრესბურგის ქუჩაზე. სადარბაზოსთან მთელი ორი საათი ველოდე, მაგრამ ამაოდ. იგი გარეთ არ გამოსულა. შემდეგ მოვიაზრე და კონსიერჟი დავკითხე. ის, მგონი, კარგად ვერ გაერკვა, რისი გაგება მსურდა. „ალბათ, სტუმრადაა მიწვეული“, — ჩაილაპარაკა ბოლოს.

კიდევ რვა თვე მიიწურა. მე ჩემს საოცნებო ქალს არსად აღარ გადავწყდომივარ. და, აი, იანვრის ერთ ციმბირივით სუსხიან დილას, მალერბის ბულვარში, ჩქარი ნაბიჯებით სეირნობისას ისე დავეტაკე ერთ ქალბატონს, ხელიდან პაკეტი გაუვარდა. მობოდიშება დავუპირე, მაგრამ პირი ღიად დამრჩა. ის იყო, ის... თავდაპირველად ერთ ადგილას გავშეშდი. მერე ძირს დავარდნილი შეკვრა მივაწოდე, თან თავი ველარ შევიკავე და სულმოუთქმელად სულ სხაპა-სხუპით მივაყარე:

— მადამ, ძალიან ვწუხვარ, რომ ასე უხეშად დაგეჯახეთ. მაგრამ გავკადნიერდები და გეტყვით, რომ ჩემს სიხარულს საზღვარი არა აქვს. ორ წელზე მეტია გიცნობთ: თქვენით მოხიბლული ვარ და თავს ვერ ვერევი. ნება მომეცით, წარმოგიდგეთ... არც თქვენი ვინაობა ვიცი და არც ის, სად ცხოვრობთ... მაგრამ მინდა მომიტევოთ ჩემი ასეთი გულახდილობა. დიდად მოხარული ვიქნები თუ მომანიჭებთ უფლებას, სადმე შეგხვდეთ, მოგესალმოთ და თავი დაგიკრათ უმორჩილესად. არა მგონია, ჩემი თქვენდამი გრძნობები შეურაცხმყოფელი იყოს. თქვენ არ მიცნობთ. მე ბარონი დეზ'ანეტი გახლავარ. ჩემი პიროვნებით თუ დაინტერესდებით და გაიკითხავთ, გეტყვიან, რომ კარგი რეპუტაცია გამაჩნია. თუ ჩემს ნაცნობობაზე უარს მეტყვით, იცოდეთ, უბედურ კაცად მაქცევთ. ვიმედოვნებ, გამოიჩენთ დიდსულოვნებას და თქვენთან დაახლოების იმედს არ გადამიწურავთ.

ქალმა ჩემკენ გამოიხედა, თავისი უცნაური მზერა მომაპყრო და ღიმილით მითხრა:

— თანახმა ვარ! მიბოძეთ თქვენი მისამართი. მე თვითონ მოვალ თქვენთან.

— პასუხი ჩემთვის იმდენად მოულოდნელი აღმოჩნდა, გაოცება ვერ დავფარე. რაც, რა თქმა უნდა, არც მისთვის უნდა ყოფილიყო შეუმჩნეველი. არ მაგონდება, რომ ოდესმე დავბნეულიყავი მსგავს ვითარებაში, მაშინვე გა-

ვუწოდე ჩემი სავიზიტო ბარათი, რომელიც უმალ უბისკენ გააქანა, ეტყობა, შეჩვეული ჰქონდა ხელი ბარათების მარჯვედ გადამალვას.

ქალის ასეთი მოქცევით გათამამებულმა დაბალი ხმით გავუბედე:

— როდის შეიძლება შევხვდეთ, მადამ?

ერთხანს ჩაფიქრდა, თითქოს რაღაცას მეტად რთულს ანგარიშობდა, ალბათ ცდილობდა მეხსიერებაში გადაემოწმებინა, როგორ ჰქონდა გადანაწილებული დღის განრიგი.

— კვირა დილით. ათ საათზე, თანახმა ხართ?

— ჰო, რასაკვირველია, მადამ.

ვიდრე წავიდოდა, თავით ფეხებამდე შემათვალიერა, თითქოს მზომავდა და მწონიდა, თითქოს სურდა შევესწავლე თავისი კუშტი და დამაბნეველი ცქერით... ისეთი შეგრძნება გამიჩნდა, თითქოს ჩემს კანზე რაღაცნაირი მწეპავი და სქელი სითხის მსგავს კვალს ტოვებდა, სწორედ ისეთს, რვაფეხა რომ ავრცელებს წყლის ასამღვრევლად, თავის საცეცებში რომ მოიმწყვდიოს მსხვერპლი. სასურველი პაემანის მოლოდინში გონება უკიდურესად დამეძაბა. თავს ვიმტვრევდი იმაზე ფიქრით, ამომეცნო, ვინ იყო სინამდვილეში ეს ქალი და მასთან როგორი მოქცევა მმართებდა.

„უნდა გადავუხადო? მერედა როგორ, რანაირად მოვახერხო ეს?“ ბოლოს და ბოლოს მოვიფიქრე, რა უნდა მექნა. მე მისთვის სამკაული, ძალზე ლამაზი სამკაული ვიყიდე და თავისი ფუტლარით ბუხრის თაროზე შემოვდე. იმ ღამეს ცუდად მეძინა, სულ თვალწინ მედგა და მოუთმენლად ველოდი. ზუსტად ათ საათზე უკვე ჩემთან იყო. გარეგნულად სრულიად მშვიდი და აუღელვებელი ჩანდა. ხელი ისე გამომიწოდა, როგორც ძველ ნაცნობს. მე შლაპა, ქურქი, პირბადე და მუფთა ჩამოვართვი, მერე სკამზე დავსვი. თუმცა ცოტათი დაბნეული ვიყავი, მაგრამ მაშინვე დავუწყე არშიყობა, აბა სად მქონდა დასაკარგი წუთები... მოკლედ რომ გითხრათ, არ გეგონოთ ბევრი მახვეწნინა, ოციოდე სიტყვა არც კი დაგვიხარჯავს ერთმანეთში, რომ გახდა დავუწყე. მერე თვითონ გააგრძელა, ჩემთვის ეს მეტად არასასიამოვნო რთული პროცესი, რადგან ბოლომდე ვერასდროს ვახერხებდი. ქინძისთავები მუდამ ხელში მესობოდა, ზონარებს ყულფიდან რომ ვექაჩები, ნაცვლად გახსნისა, პირიქით, უფრო ვკვანძავ. რაღა დაგიმალო და ყველაფერს ერთმანეთში ვბლანდავ, დიდ დროსაც ვკარგავ და თავგზაც მებნევა. მეგობარო, გქონია ცხოვრებაში ისეთი სასიამოვნო წუთები, მოშორებით მდგარი, ქალს გახდისას რომ ჭვრეტდე? თანაც არ გინდა დაუფრთხო მათთვის ჩვეული სირაქლემას სიმორცხვე, როცა იცი, რომ შენთვის შიშვლდება და იქვე შენს ფერხთ ყრის შრიალა სამოსს, რომელიც ერთიმეორის მიყოლებით წრიულად ეცემა ძირს, რა შეიძლება შეედაროს ასეთ წუთებს, სიცოცხლეგამოცლილი, ელეგანტური ტანსაცმელი დაჭმუჭნული რომ ვარდება იატაკზე. ოჰ, როგორი ჟინმომრევია, კორსეტსაც რომ გაიძრობს და შიშველი მკერდი და მხრები რომ გამოანათებს, ოჰ, რანაირად აგვიშლის ხოლმე გრძნობებს ქალის სხეულის მოხაზულობანი უკანასკნელი ნიღბის ქვეშ...

მოულოდნელად ქალი ჩემკენ ზურგით შემობრუნდა და მეც იქვე გავშეშდი... მხრებს შორის საკმაოდ მოზრდილი, მთლად შავი ფერის ხალი შევნიშნე. თავს ძალა დავატანე, რომ მეტი ყურადღება აღარ მიმექცია. „ოჰ, ღმერთო! ნეტავ რა იყო ეს?“ არა, არ შევმცდარვარ, გამახსენდა, ულვაშებიც რომ აჩნდა, წარბებიც თვალებთან შეერთებული ჰქონდა, თმაც მუზარადივით ადგა თავზე. ცხადია, ყოველივე ამას უნდა შევემზადებინე ასეთი სიურპრიზისათვის, მაგრამ ჩემს გაოცებას საზღვარი მაინც არ ჰქონდა. ასე მეგონა, უცნაური მოჩვენებები და რემინისცენციები გამომეცხადა და ჩემ თვალწინ ჯადოქარი დგას-მეთქი, მზაკვარი „ათას ერთი ღამიდან“, საშიში არსება, რომელიც ადამიანებს ქვესკნელში მიათრევდა. უნებურად სოლომან მეფე გამახსენდა, რომელმაც აიძულა დედოფალი სარკესთან გაევლო, რათა დარწმუნებულიყო, დედოფალს ორად გაყოფილი ჩლიქი ხომ არ აქვსო, როგორც ბოროტი ენები ავრცელებდნენ და იმ წუთას, როცა მე მისთვის სასიყვარულო კუპლეტები უნდა მემღერა, არ ვიცი, ანაზდად რა დამემართა, ჩემი ხმა, ჩემი მშვენიერი ხმა წამერთვა და პირიდან ისეთი სუსტი და მიკნავებული ბგერები აღმომხდა, პაპის მგალობლებს რომ აქვთ. ამ ხმის გაგონებაზე ქალი ჯერ შეკრთა და დიდად გაიოცა, მერე მიბრუნდა, ჩქარ-ჩქარა ჩაცმას შეუდგა და სასტიკად განრისხებულმა იქვე პირში მომახალა:

— ვფიქრობ, ტყუილად გაისარჯეთ, ვაჟბატონო!

დავაპირე მისთვის შეძენილი სამკაული მაინც გადამეცა, მაგრამ რა გგონიათ? ზედაც არ შეხედა, ამაყი, მედიდური პოზა დაიჭირა და მკვახედ მომიგო:

— ერთი ეს მითხარით, თქვენ მე ვინა გგონივართ? — ამ სიტყვების მოსმენაზე სახიან-ყურებიანად გავწითლდი და ერთხელ კიდევ ვიგრძენი თავი დამცირებულად. ქალი ოთახიდან გავიდა და მეტი სიტყვა აღარ დაცდენია.

აი, მეგობარო, ჩემი თავგადასავალი. მაგრამ ყველაზე დიდი უბედურება ისაა, რომ ეს ქალი დღესაც მიყვარს, ჰო, მიყვარს სიგიჟემდე. არ მაგონდება შემთხვევა, სხვა ქალს შევხვედროდე და მასზე ფიქრს არ გავეწამებინე, მე ყველა სხვა ქალი მეჯავრება. მეტადრე ისინი, ვინც მას სრულებით არ მაგონებს. ლოყაზეც ვერავისთვის მიკოცნია, იქვე მისი ლოყები რომ არ წარმომესახოს თვალწინ, როცა სხვას ვეხვევი, ჩემდაუნებურად კვნესა აღმომხდება ხოლმე და სასტიკად ვიტანჯები დაუოკებელი სურვილისაგან. ის ყველა ჩემი სასიყვარულო პაემნის თანამონაწილეა, ყველა ხვევნა-ალერსის ცოცხალი მოწმე, თუმცა ყოველგვარ ხიბლმოკლებულსა და უგემურს ხდის მას. გეფიცები, ყველგან, ყველგან თან მდევს ჩაცმულიც და დედიშობილაც, თითქოს ჩემი საყვარელი ყოფილიყოს. ის ჩემთანაა, მუდამ თავს მადგას, თუმცა მაინც მიუწვდომელია. მგონია, რომ მართლაც ჯადოქარი იყო ეს ქალი... ქალი, რომელიც მხრებშუა თილისმას ატარებდა.

ვინ არის იგი? დღესაც არ ვიცი. მას მერე ორჯერ შემხვდა. მივესალმე, მაგრამ ერთხელაც არ მიპასუხა, უბრალოდ, მისალმების ღირსადაც არა მცნო. თავს შორს იჭერდა და ისეთ იერს ღებულობდა, თითქოს არც მიცნობდა და მაინც ვინ არის ეს ქალი? აზიელია? იქნებ აღმოსავლეთიდანაა, ებრაელი. დიახ, დიახ, ებრაელი უნდა იყოს. თავში სულ ეს აზრი მიტრიალებდა. უთუოდ ებრაელი იქნება. ისე რატომ ავიჩემე, რომ ებრაელი იყო, ნამდვილად არ ვიცი... ამაზე პასუხი არ გამაჩნია.

ფრანგულიდან თარგმნა

* * *

ზეზვა მედულაშვილი საერთო სალამს იტყვის, მერე თვალს რომ მოგვავლებს, მზერას ტრისტან მახაურზე შეაჩერებს და... უეცრად გაიღიმებს:

— მოთნე ტრისტო, როგორ გიკითხო?

ჩვენ ვიუკადრისებთ:

— მოთნე რატომ? ტრისტანზე ამას რატომ ამბობ? არა კმარა, კაფიობაში რომ დაჯაბნე? ახლა ეს კიდევ...

ზეზვა შეცბუნდება:

— არა, მე ეს ისე... კალამბურმა მოითხოვა და... ხომ იცით, მახვილსიტყვა ყველაფერს გაგამეტებინებს...

— ააა!..

და ტრისტანიც შვებით ამოისუნთქებს, თორემ ზეზვასთან შეხვედრისას ისედაც იძაბება ხოლმე.

თუკი შენი დანახვისას გრაფი მონტეკრისტო ახსენდებათ, რა მნიშვნელობა აქვს, რა მოტივით, იყოს თუნდაც ფონეტიკური მსგავსება, და ამან ათქმევინოთ მოთნე ტრისტო...

აბა, „ტრისტან და იზოლდას“ ასოციაციებით ისედაც გაბეზრებულხარ და ნატრობ: ნეტა რამე სხვა წამოაგონდებოდეთო.

ესეც ის „სხვა“.

* * *

თუ ვინმეზე ითქმოდა ჩემს სიჭაბუკეში დიდად განსწავლული, მათ შორის ერთ-ერთი უპირველესთაგანი აკაკი გაწერელია გახლდათ.

ხშირად მომისმენია მისი საჯარო გამოსვლებიც და კერძო საუბრებიც და ყოველთვის ძლიერ მოხიბლული დავრჩენილვარ.

აკი თვითონ ბატონ აკაკის მომხიბვლელობა მწერლის, მეცნიერის უპირველეს ღირსებად მიაჩნდა.

ასეთი ერუდიცია 20-იანი და გარკვეულად 30-იანი წლების საქართველოს სამწერლო და სამეცნიერო წრეებში ჩვეულებრივი მოვლენა გახლდათ, მაგრამ მას შემდეგ, რაც ჩვენს კულტურულ-საგანმანათლებლო რეალობას საბოლოოდ დაეუფლა საბჭოთა მასობრივი ადამიანი, მთელი თავისი სულიერი ავლადიდებით, ერუდირებული პიროვნებანი აქაიქღა ღინღილებდნენ და როგორღაც ახერხებდნენ კულტურის უწყვეტობის შენარჩუნებას.

მეგობრული შარჟები ბადრი გაგნიძისა

აკაკი გაწერელიას ახასიათებდა წიგნისადმი რომანტიკული, ფანატიკური, „ძველმოდური“ სიყვარული და აღსასრულითაც ამიტომ აღესრულა წიგნებით გარშემორტყმული — სინანულით რომ შეჰყურებდა თვითეულს, ნეტა მოვასწრებ თუ არა თქვენს წაკითხვასაცო.

როდესაც პოლ ვალერის (ვისაც აღმერთებდა) მიბაძვით ჩანაწერების ჟანრსაც გადაუხადა ხარკი, „დაკვირვებათა და შთაბეჭდილებათა“ ამ ციკლში ერთი ასეთი ღრმადინტიმური განცდა თუ ტკივილიცაა გამხელილი.

მაინც რისკენ მიილტვოდა, რა ეწადა ამქვეყნად?

ამ შეკითხვას უსვამს საკუთარ თავს, რათა ერთ ტევად ფრაზაში ჩაწუროს თავისი ესთეტიკური იდეალი:

— მხოლოდ მემღერა ჩემთვის მაინც და უხმაუროდ.

ლექსის სტრიქონივითაა, არა?

მაგრამ ამ ოცნებას გადაეღობა ის რეალობა, რომლის ჩატევაც თურმე ასევე შესაძლებელი ყოფილა ერთ ფრაზაში:

— და რამდენიმე მწარე (თუმცა მართალი) სიტყვა დამცდა სიმღერის ნაცვლად!

ესეც ნაყოფი ავი ბედისწერისა.

თუმც გამართლებით კი იმართლებს თავს, მაგრამ გრძნობს, რომ ის სწრაფვა მაინც გაუცუდდა და უხმაურო სიმღერის ნაცვლად ხელთ გაფანტული ილუზიები შერჩა — ჩვენთვის მნიშვნელოვანი სამეცნიერო-ლიტერატურული მემკვიდრეობა, მაგრამ იმ ოცნების მხოლოდღა მკრთალი ანარეკლი.

თან გული წყდება, თან მაინც ენანება გამოვლილი გზა და, პოლემიკაში ჩახარჯული ძალ-ღონე რომ აგონდება, ლამობს ძველ რომაელებსაც არ შეეპუოს და მათი ერთი შეგონება გადააფასოს.

— იუპიტერო, შენ მძვინვარებ, მაშასადამე, მართალი არა ხარ!

თვითონ ეს გამოთქმა არ არის მართალიო, — იმავე ჩანაწერებში აღნიშნავს და ნიმუშად მოიხმობს იულიუს კეისრის აჩრდილს: მას ჰქონდა უფლება გაჯავრებულიყოო.

და იქვე კიდევ:

— მძვინვარებს ლომი ან ვეფხვი, მდრტვინავი თუ მძვინვარე მუდო არავის უნახავს.

შეგნებულად თუ ქვეშეცნეულად საკუთარი ბიოგრაფია შეახსენებს თავს და გულს იმშვიდებს, ჩემი გაბრაზებაც და ის მწარე გამოთქმებიც იმ აუცილებლობით იყო ნაკარნახევი, რასაც ძველი ლათინები იმ სენტენციის შეთხზვისას რატომღაც არ ითვალისწინებდნენ, თორემ ანტითეზისისთვის გაცილებით მეტი მაგალითები მოეპოვებოდათო.

გაბრაზება გაბრაზებად, მაგრამ როგორც ღრმად მო-

აზროვნე ადამიანისათვის, აკაკი გაწერელიასთვისაც უცხო არა ყოფილა თვითირონიის გრძნობა. პოლ ვალერის ერთგული მკითხველი და მოთაყვანე და უამისოდ?

„დაკვირვებათა და შთაბეჭდილებათა“ ციკლში გახსენებულია ჯონ სტაინბეკის პირველი ჩამოსვლა თბილისში და მისი მიწვევა მწერალთა სასახლეში, სადაც უამრავ კითხვას დააყრიდნენ. ერთი შეკითხვა აკაკი გაწერელიასაც დაუსვამს:

— როგორია ედგარ პოსადმი დღევანდელი დამოკიდებულება ამერიკაში?

ამერიკელ მწერალს გაკვირვებით შემოუხედავს და მიუგია:

— ასეთი კითხვა ამერიკაში არ წამოიჭრება, — იგი ჩვენი მწერლობის ყველაზე დიდი სახელია.

გახსენების ავტორი არ მალავს ჯონ სტაინბეკის პასუხის ინტონაციასაც: მგონი ირონიულადაც მომმართაო.

და იქვე თვითგვემა:

„ჯერ რეალურ ვითარებას უნდა ვიყოთ გაცნობილი და კითხვის დასმის უფლებას მერმე მოვიპოვებთ.

ყოველთვის ფრთხილად უნდა ვიყოთ, უცხოელებს რომ პროვინციელად არ ვეჩვენოთ?“

განა რამდენი ადამიანი გაბედავდა საკუთარ თავზე ასეთი რამის დაწერას?

მაგრამ აკაკი გაწერელია არ უშინდება ამ გახსენებას — დიდი ერუდიციის სიმაღლიდან სულ სხვაგვარად წარმოისახება ყოველივე და კიდევ ერთხელ გიდასტურებს, რომ სწავლა მართლაც სიბერემდეა.

ამ ანდაზის ჭეშმარიტება კი სადავოდ არასოდეს გაუხდია.

თანაც, დაუკვირდით, შეფარვით რაოდენ მარჯვედაა მინიშნებული ჩაკეტილი სივრცის ტრაგედია. ამ ცნობისწადილის პიროვნებანი, ბატონი აკაკის დარნი, ცხადია, ჩინებულად იქნებოდნენ გარკვეულნი ამერიკული ლიტერატურის რეალობაშიც, მტკიცედ შემოვლებული გალავნის აქეთ რომ არ ყოფილიყვნენ მომწყვდეულნი.

კითხვის დასმის უფლებას მერმე მოვიპოვებთო...

* * *

ალექსი ჭინჭარაულის წიგნი „მთას ვიყავ“ აგერ მეორედ მოექცა სხარტულა ჩანაწერებში.

ერთხელ მისი სათაური გამოიწვევდა ვახუშტი კოტეტიშვილის შეღიმილებას: არა, ახლა შენც ბადენ-ბადენში იქნებოდიო!..

მეორედ კი მის ტიტულზე წარწერილი ავტორისეული მიძღვნა ბაბუა ალუდაურისადმი:



უფლისმიერი წესია,
ყვავს არ გამოჩეკს ციცარი.
ბაბუაც ჯიშზე წავიდა,
პაპა რაც იყო — ის არი.
კაი ყმობასთან ერთადა
კაი პაპარაციც არი.

ესეც იმ შემთხვევათაგანი, რითმა რითმაში ისე რომ ჯდება, როგორც ტყვია ტყვიაში.

ეპიგრამული ხელოვნების ნიმუშია — მართლაც ეპიგრამის კლასიკოსის შესაფერისი.

ბაბუა ალუდაურის დარ პიროვნებებს სწორედ ასეთი ექსპრომტი დაშვენდებათ ყველაზე უკეთ, თორემ რაც მასზე კაფია შექმნილა!

იმ წუთას კი გაიცინებ, რატომაც არა, მაგრამ იქვე გავიწყდება.

ამ ნაჭედ რითმას კი რა დაგავიწყებს (პაპა რაც... ის არი — პაპარაციც არი).

გეძახონ თუნდაც პაპარაცი, თუკი ეპიგრამის კლასიკოსის მზერაში მოჰყვები!

* * *

ზეზვა მედულაშვილი „საბას“ ლიტერატურულ კონკურსზე ერთ წელიწადს ნომინანტი რომ იქნებოდა, კიდეც მოიპოვებდა ჯილდოს როგორც წლის საუკეთესო თარგმნილი წიგნის ავტორი.

მეორე წელსაც აღმოჩნდებოდა ნომინანტთა შორის, ოღონდ ამჯერად უკვე აღარ გაუმართლებდა.

არადა, მის მეუღლეს ეიმედებოდა წარმატების განმეორება, და თუმც თქმით არაფერს ეტყოდა, ზეზვა მიუხვდებოდა გულისნადებს და პასუხად ექსპრომტს შეაგებებდა:

ისევ დავრჩი ნომინანტი,
ვერ გაგიხდი დომინანტი,
რა გეგონა, დედაკაცო,
ოთხიათასს მოგიტანდი?

ჯერ ისიც რა კარგია, იუმორი რომ მოგმადლებია და ყოველგვარ გაწბილებას იოლად გადაიტან, და ეპიგრამები ხომ მთლად მისწრებაა, მითუმეტეს — ასეთი ნიჭით აღბეჭდილი.



მეგობრული შარჟები გია ლაფაურისა

არ დაიდარდო, პოეტო!

ჩვენი ცხოვრების არაერთ კურიოზთაგან ერთი მათგანი უნდა მოგახსენოთ. მართალია, ფრიად წვრილმანი ეთქმის, მაგრამ მაინც ღირს სათქმელად.

გიორგი ლეონიძის თხზულებათა სრული კრებულის პირველ ტომს (1962 წ.) ახლავს გია მარგველაშვილის მიერ ჩვეული ოსტატობით დაწერილი წინათქმა, სადაც, სხვათა შორის, ვკითხულობთ შემდეგს: „პოეტი თუ ამბობს — „არ დაიდარდო, დედაო!“, განა თვით ეს სიტყვები უდიდესი გულისტკივილის ამოგმინვა არაა?“

კურიოზი კი ის გახლავთ, რომ წინათქმაში მოხსენიებული უაღრესად პოპულარული ლექსი თავად წიგნიდან გაძევებულია.

გასაკვირი სულაც არ არის, რომ 1962 წელს, ნეტარხსენებული ხრუშჩოვის უსაზღვრო გალაღების ჟამს, „არ დაიდარდო, დედაო!“ ვერ დაიბეჭდებოდა, თუმცა ეს ლექსი სტალინისადმი როდია მიძღვნილი. მაგრამ ამას ვინ დაგიდევდათ! მადლობა ღმერთს, პოსტხრუშჩოვისეული ხანის გამოცემებში იგი ისევ ამოტივტივდა, ოღონდ ორი „სტალინური“ სტროფი უგზო-უკვლოდ დაკარგულა (არსებობს გამონაკლისებიც: მაგალითად, 1980 წლის გამოცემა, აგრეთვე მურმან ლებანიძის მიერ შედგენილი „შედევრები“, 1994 წ.; იქნებ სხვაც არის...).

არ ეგების დასახიჩრება ამ ლექსისა, რომელიც თამამად ამოუდგება მხარში დიდებული ქართველი პოეტის ისეთ შედევრებს, როგორებიცაა: ყივჩაღის პაემანი; ოლე; ნინოწმინდის ღამე; სიმღერა პირველი თოვლისა; შინმოუსვლელო, სადა ხარ?; ქეთევანის წიგნი... (გაგრძელება თქვენზე იყოს).

ყირიმის ფრონტზე დაღუპული ქართველი ჯარისკაცი („ღიმილის ბიჭს“ რომ უწოდებს ახალი კომპოზიტების შექმნის უბადლო ოსტატი) ცოცხალივით ელაპარაკება მშობელ დედას, ანუგეშებს და ამხნევებს, არ დაიდარდო დედაო, ნუ მიეცემი სევდასაო... და მერე დარწმუნებით წარმოთქვამს: „მე არ დამკარგავს სამშობლო, სულ ვეხსომები ღევანი, სანამდის საქართველოში იწურებოდეს მტევანი“.

დამოწმებულ სტროფს კი უეცრად მოსდევს, ცოტა არ იყოს, გაუგებარი ფრაზა: „ცხრა ძმათ მეათედ მიმიღეს...“ საიდან გაჩნდა, ესოდენ მოულოდნელად, ეს ცხრა ძმა?

დიახ, სწორედ აქ არის ამოგლეჯილი ორი დასაგმობი სტროფი — ყოველგვარი ეთიკური ნორმებისა (ესთეტიკას ვინღა ჩივის!) და საავტორო უფლებების შელახვით.

აი, რას ამბობს სამშობლოსათვის დაღუპული უცნობი ქართველი ჯარისკაცი: „მტერთან ჩემს სიკვდილს ნუ იტყვით, დამალეთ ჩემი სამარი, თუ მტერმა გკითხოს, უთხარით, კრემლშია, სტალინთან არი! და თუ სტალინმა მიკითხოს, უთხარ, არ ვიყავ ჯაბანი, იქ ვდგევარ, სადაც ნათობენ სტალინის მამა-პაპანი!“

აქ უკვე ბუნებრივად ჟღერს „ცხრა ძმათ მეათედ მიმიღეს“. ცხადია, იგულისხმება ცხრა ძმა ხერხეულიძე, დაცემულნი მარაბდის ომში (1625 წ.).

გაიბა ამაღელვებელი კავშირი წარსულისა და აწმყოს გმირებს შორის და აღარ გეუცხოება ფანტასტიკური სტრიქონები, რომელთაც მარტოოდენ მაღალი პოეზია გაუძლებს: „თუ გაუჭირდა სამშობლოს, კვლავ ცეცხლით დავიდაგებით, ჩვენ გამოვამტვრევთ საფლავებს, ხმლით ქართლის მთებზე დავდგებით“.

ორი დასაგმობი სტროფის ამოგლეჯა ლექსიდან თუნდაც იმიტომ არ ეგების, რომ სწორედ ამ ორ სტროფშია გაცხადებული ის ფასდაუდებელი კავშირი, რომელიც არსებობდა პოეტის შემოქმედებასა და ქართულ ხალხურ პოეზიას შორის.

ტყუილად როდი წერდა გიორგი ლეონიძე: „მშობელ მიწაში მიდგას ფესვები, როგორც წყალში დგას წნორის ძირები“.

გურამ ასათიანის სიტყვით, გიორგი ლეონიძის ლექსს ქართული ხალხური პოეზიის მარგალიტებთან განსაკუთრებით აახლოებს მკაფიოდ გამოხატული ჰეროიკული პათოსი, რომელიც ღრმად შეესატყვისება როგორც ჩვენი მშობლიური მიწა-წყლის ზვიად სილამაზეს, ისე მის მკვიდრთა დიდბუნებოვან ხასიათსაც და მთელი ჩვენი ისტორიის გმირულ სულს.

„არ დაიდარდო, დედაო!“ აშკარად ენათესავება და ეხმიანება თუშურ „დალაის“, რომელიც წარმოადგენს ომში დაღუპული ვაჟკაცის გლოვას.

პოეტმა თუშური სამგლოვიარო სიმღერა შეაზავა ძველებურ ეპიტაფიასთან, რასაც უბიძგებდა რეალობა. მისი ლექსის დაბადება ხომ შთაგონებული იყო ტამანის ნახევარკუნძულზე უცნობი ქართველი ჯარისკაცის საფლავის ნახვით.

სავარაუდოა, რომ გიორგი ლეონიძე იცნობდა „დალაის“ იმ ვარიანტს, რომელიც ჩაუწერია და 1879 წელს გამოუქვეყნებია თავის წიგნში არნოლდ ზისერმანს.

აი, რას ვკითხულობთ შესაბამის ადგილას: „არა, ჩვენ არ გავამხელთ შენს სიკვდილს მტრების გასახარად. იკითხავენ შენს ამბავს ლეკები და ვეტყვით, ქისტეთში არისო. იკითხავენ ქისტები და ვეტყვით, კახეთშია, მეფეს ახლავსო. იკითხავს მეფე და მოვახსენებთ: უფალთან არისო“ (ეს გახლავთ ა. ზისერმანის რუსული ტექსტის პწკარედი. შდრ. სერგი მაკალათიას ჩანაწერი 1937 წლისა: „კახეთში კახნი გიკითხვენ: „არს ქისტეთს დიჩინსთანაო“, დალაი... დიჩინიანთა გიკითხვენ: „არს ქალაქს, ჯარებს ყრისაო“, დალაი... ქალაქს კითხულობს ბატონი „წასულა უფალთანაო“, დალაი...).

XX საუკუნის პოეტმა თუშურ „დალაის“ ახალი ხორცი შეასხა, ახალი სული ჩაუდგა, ახალი სიცოცხლე აჩუქა და „არ დაიდარდო, დედაო!“ იქცა მთელი ქართველი ხალხის საყვარელ ლექსად და სიმღერად, რომელსაც სიკვდილი არ უწერია.

არ დაიდარდო, პოეტო! ვიდრე საქართველო იარსებებს, თუნდაც დღევანდელი არსებობით, შენი უძვირფასესი ლექსიც ცოცხალი იქნება, ხოლო მის მწარე იარას, ადრე თუ გვიან, მოშუშება უწერია.

თითქოს მკვდრეთით აღმდგარაო

ძველი ისპაანის ერთ ქუჩაზე საღამოობით ერთი უსინათლო კაცი იდგა, სახელად ალავი მადანი ერქვა, ხელში ჯოხი ეჭირა და გამვლელ-გამომვლელს ევედრებოდა: ალაჰმა შეიწყალოს კეთილი ადამიანი, ვინც ხელს ჩამკიდებს უსინათლოს და ჩემი სახლის ჭიშკრამდე მიმიყვანსო. ქუჩა გრძელი და ბნელი იყო, ხოლო სახლი უსინათლოსი ამ ქუჩის ბოლოში მდებარეობდა.

როცა გულისხმიერი გამვლელი უსინათლოს მისი სახლის ჭიშკრამდე მიაცილებდა, გულისხმიერ ადამიანს მოულოდნელად თავს ესხმოდნენ და განეულ სიკეთეს ბოროტებით მიუზღავდნენ ანუ ეზოში შეათრევდნენ და ღრმა ჭაში ჩააგდებდნენ. ოთხი-ხუთი თვის მანძილზე ქალაქში მცხოვრები მრავალი ჭაბუკი უგზო-უკვლოდ დაიკარგა. ისინი თვალით აღარავის უნახავს. აღარც ცოცხლებში იყვნენ და აღარც მკვდრებში.

ერთხელაც, მათხოვარ ქალს, რომელსაც სწორედ ამ სახლთან შეერჩია თავისი ადგილსამყოფელი, ხმამაღალი კვნესა მოესმა იქიდან და მყისვე წამოიძახა: „დაე, ალაჰი იყოს მკურნალი სნეულისა!“ იმ სახლის მობინადრეებმა კი იფიქრეს, მათხოვარი ქალი ჩვენს ავკაცობას მიხვდა და ვაი, ჩვენი ბრალიო. მოიწადინეს, რომ ვითომდა მოწყალების გასაცემად შეეტყუებინათ სახლში და მოეკლათ, მაგრამ მათხოვარი თითქოს მიუხვდა განზრახვას, დაფრთხა და გაქცევით უშველა თავს.

პირველივე შემხვედრს უამბო: „ამა და ამ სახლიდან კვნესა მომესმა, შევშფოთდი. მერე სახლიდან ვიღაცეები გამოცვივდნენ და ჩემი შეპყრობა სცადეს. ძლივს გამოვასწარი“.

მათხოვარი ქალის ნაამბობი ელვისებური სისწრაფით მოედო ქალაქს. მთელი ისპაანი აწრიალდა. მითითებულ სახლთან შეგროვდნენ, ბევრი არ უყოყმანიათ, გაუფრთხილებლად შეიჭრნენ ეზოში, მიჩხრიკ-მოჩხრიკეს სახლის ყველა კუთხე და კუნჭული, მიაგნეს სარდაფებში ჩასასვლელს და ხუთასამდე გვამს წააწყდნენ იქ. ზოგი დაკლული იყო, ზოგიც ლურსმნით მიეჭედათ კედელზე. ორი თუ სამი წამებული კაცი სულს ღაფავდა.

მოდიოდნენ და მოდიოდნენ ქალაქის მცხოვრებნი, ათვალიერებდნენ სარდაფებს, მიცვალებულთა შორის ზოგი პოულობდა ნათესავს, ზოგიც — მეგობარსა თუ მეზობელს. მთელს ისპაანში ისეთი მოთქმა-გოდება ატყდა, რომლის მსგავსი არავის ახსოვდაო.

ის კაცი, ვითომდა უსინათლო რომ იყო, თავის ცოლთან ერთად შეიპყრეს, მერე მათ თანამზრახველებსაც მიაკვლიეს და საჯაროდ დაწვეს ბაზარში.

ისინი მულიდები იყვნენ.

ზემოხსენებული ამბავი მომხდარა XII საუკუნის დამდეგს.

მკვლევარებს ეჭვი შეაქვთ სპარსელი ისტორიკოსის მონათხრობის სიზუსტეში. დაუჯერებლად მიაჩნიათ მსხვერპლთა ოდენობა და ის გარემოებაც, რომ გვამებს ოთხი-ხუთი თვე ინახავდნენო.

დაუჯერებლად მიაჩნიათ ისტორიკოსის ის ცნობაც, თითქოს მულიდთა რჯულზე 30 ათასი კაცი იყო მოქცეული ისპაანში, მაშინ როდესაც მთელი მოსახლეობა 100 ათასს არ აღემატებოდაო.

მაგრამ ზემოთ გადმოცემული ამბავი იმით არის ნიშანდობლივი, რომ გამოხატავს უსაზღვრო პანიკასა და მძვინვარე სიძულვილს, რასაც ეს „წყეული მულიდები“ იწვევდნენ თურქ-სელჩუკთა მოსახლეობის სხვადასხვა ფენებში.

ამ თავზარდამცემი სექტის წინამძღოლი ჰასან იბნ საბაჰი უკვე დაპატრონებოდა „არწივის ბუდედ“ წოდებულ ალამუთის ციხე-სიმაგრეს ჩრდილოეთ ირანის მიუვალ მთებში. ალამუთიდან ქვეყნიერების ოთხივე მხარეს იგზავნებოდნენ გამოწვრთნილი ტერორისტები ანუ „ფიდაები“ (თავგანწირულნი) თავიანთი მბრძანებლის დავალების შესასრულებლად.

მთელი აღმოსავლეთი ძრწოდა მულიდთა წინაშე. ცენტრალური აზიიდან ვიდრე ხმელთაშუა ზღვის ნაპირებამდე გაბატონებულმა თურქ-სელჩუკებმა რამდენჯერაც არა სცადეს ალამუთის აღება, იმდენჯერვე მოეცარათ ხელი. ბუნებრივი პირობები და ციხის გარნიზონის შეუპოვრობა გადაულახავი დაბრკოლება იყო თუნდაც მრავალრიცხოვანი ჯარისათვის.

ალამუთი, იმდროინდელი სამხედრო ტექნიკის გათვალისწინებით, მართლაც აუღებელ ციხედ ჩაითვლებოდა. დღესაც კი, როდესაც ვეებერთელა კლდეზე აგებული ალამუთის ნანგრევებიღა შემორჩენილა, მნახველი გაოცებას ვერ მალავს.

აი, როგორ აღწერს თანამედროვე ინგლისელი ირანისტი ლოურენს ლოკარტი ალამუთში ვიზიტის შთაბეჭდილებებს: „მზე ჩავიდა. ალამუთის კლდე ბანაობდა მთვარის ლბილ შუქში. ჩვენს ზემოთ მდებარე ციხის კედლები აღარ ჰგავდნენ გაპარტახებულ ნანგრევებს და იფიქრებდი, ისტორიული ციხე თითქოს მკვდრეთით აღმდგარაო. საოცრად სუფთა ჰაერი მთისა, ბადრი მთვარის შუქი და რომანტიკული გარემო გვაჯადოებდა. მცირეოდენი წარმოსახვაღა იყო საკმარისი საიმისოდ, რომ ჩვენს თვალწინ გაცოცხლებულიყვნენ ჰასან იბნ საბაჰი და მისი ერთგული ფიდაები — ალამუთის ბატონ-პატრონებად“.

დამოწმებული ტექსტი ეკუთვნის არა მეოცნებე პოეტის კალამს, არამედ — უტყუარი ფაქტების მაძიებელ ცივსისხლიან მეცნიერს.

თი-ბი-სი ბანკის საგამოფენო დარბაზში გაიმართა წარდგინება **ნელი კობიაშვილის** წიგნისა **„შორეული ახლობელი“**. ცნობილი ჟურნალისტი და ტელეწამყვანი ანტუან დე სენტ-ეკზიუპერის სიტყვებს იხსენებს: „ყველაზე დიდი ფუფუნება ადამიანთა ურთიერთობაა“. წიგნში შევიდა გადაცემათა ციკლისთვის მომზადებული რეპორტაჟები, ფოტოსურათები, სხვა მასალები. რადგან ტელეპროექტი დროზე ადრე შეწყდა, მომზადებული მასალის გამოსამზეურებლად წიგნად გამოცემა საუკეთესო გზა აღმოჩნდა.

თაკო ჩარკვიანის შეფასებით, ნელი კობიაშვილის ეს ნაშრომი გასცდა ჟურნალისტური მოღვაწეობის სფეროს და ავტორი მწერლად მოგვევლინა. ეს არის თავგადასავალი ჟურნალისტისა, მოქცეული მხატვრულ-დოკუმენტური თხრობის ყალიბში, ამიტომაც უპრიანია, სხვა ჟურნალისტებმაც მიბაძონ.

თემო გოცაძემ და **ჯამლეტ ხუხაშვილმა** გაიხსენეს ნელი კობიაშვილის მიერ მომზადებული გადაცემები, რომლებიც თავის დროზე წარმატებით გადიოდა სატელევიზიო ეკრანზე. აღნიშნეს, რომ ეს იყო პროფესიონალიზმით აღბეჭდილი ტელე-ნოველები. ბევრ ნაცნობ თემასა და პიროვნებასაც კი ახლებურად წარმოაჩენდა და სხვა რაკურსით დაგანახებდა.

წიგნის ავტორი და დარბაზში შეკრებილნი გულწრფელ მადლობას უხდიდნენ ერთმანეთს და ეგზიუპერის სიტყვების ჭეშმარიტებას ადასტურებდნენ.